საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მ. ვარდიაშვილი, მ. ზვიადაძე

# სასვენი ნიშნების ხმარება ქართულ წინადადებაში

რეგისტრირებულია სტუ-ს
სარედაქციო-საგამომცემლო
საბჭოს მიერ

თბილისი
2009

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის. მასში სასვენი ნიშნების ხმარების ძირითადი წესებია მოცემული. გამარტივებითი სახის ლაკონიურ განმარტებებს საფუძველს უმაგრებს უხვი ფაქტობრივი მასალა, რაც სტუდენტებს წესების უკეთ ათვისებაში შეუწყობს ხელს. მაგალითები, ძირითადად, მოყვანილია ქართული (უმეტესწილად, თანამედროვე) ლიტერატურიდან. საანალიზო მოზრდილი ნატყვეტები წარმოდგენილია კომპლექსური სავარჯიშოების სახით.

რედაქტორი პროფ. ლ. ქათამაძე

რეცენზენტი პროფ. თ. ჯაგოდნიშვილი

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2009
ISBN 978-9941-14-487-5
http://www.gtu.ge/publishinghouse/

Verba volant,
scripta manent

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

# შინაარსი


პუნქტუაცია 4

წერტილი 5

კითხვის ნიშანი 13

ძახილის ნიშანი 16

კითხვა-ძახილის ნიშანი 18

მრავალწერტილი 19

წერტილ-მძიმე 22

ორწერტილი 24

ტირე 25

დეფისი 31

ფრჩხილები 33

ბრჭყალები 37

სასვენი ნიშნები პირდაპირ ნათქვამთან 41

რამდენიმე სასვენი ნიშანი ერთად 45

მძიმე 50

- მძიმე უკავშირო შერწყმულ წინადადებაში 50
- მძიმე კავშირიან შერწყმულ წინადადებაში 53
- მძიმე განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებთან 54
- მძიმე რთულ წინადადებაში 69

პასუხები 110

ლიტერატურა 154

# პუნქტუაცია

სასვენ ნიშანთა ერთობლიობას პუნქტუაცია ეწოდება. ტერმინი პუნქტუაცია ანუ ინტერპუნქცია რომაულია, თუმცა მისი წარმოშობის დრო უცნობია. არაა დადგენილი, იყო თუ არა ცნობილი იგი არისტოტელესთვის. ასეა თუ ისე, პუნქტუაციის ჩანასახი უძველეს ბერძენ გრამატიკოსებთან გვხვდება. მაგრამ ამ ტერმინის ბერძენი და რომაელი გრამატიკოსებისეული გაგება თანამედროვისგან განსხვავდება. უძველეს დროში პუნქტუაციას, ძირითადად, ორატორული დანიშნულება ჰქონდა (სიტყვის წარმოთქმა, დეკლამაცია) და მხოლოდ წინადადების ბოლოს წერტილების დასმით გამოიხატებოდა. წერტილს სვამდნენ აბზაცების გამოსაყოფადაც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი პუნქტუაცია ამ უძველესი ნიშნებიდან კი არა, ალექსანდრიული ეპოქის ინტერპუნქციიდან იღებს სათავეს. იგი არისტოფანეს სახელთანაა დაკავშირებული. VIII საუკუნის ბოლოსთვის კი იმდენად შეიცვალა, რომ ვარნეფრიდმა და ალკუინმა, კარლოს დიდის თანამედროვეებმა, მისი პრინციპები ხელახლა შეიმუშავეს.

ბერძნები თავდაპირველად ერთადერთ ნიშანს, წერტილს იყენებდნენ (ბერძ. στιγμή), რომელსაც სტრიქონის ხაზის ზედა ნაწილში, შუაში ან ქვემოთ სვამდნენ (დიონისე ფრაკიელის στιγμαϊ τελέια, μέσον, ύποστίγμή). სხვა ბერძენი გრამატიკოსები, მაგალითად, ნიკანორი (რომელიც კვინტილიანეს შემდგომ ცხოვრობდა), ინტერპუნქციის სხვა სისტემებს იყენებდნენ (ნიკანორი რვა ნიშანს იცნობდა, სხვები – 4-ს და ა. შ.), მაგრამ ყველა მათგანი მეტყველების სინტაქსურ მხარეს ლოგიკურში ურევდა და არანაირი განსაზღვრული წესები არ ჩამოუყალიბებიათ (Steinthal, « eschichte der Sprachwissenschaft bei d. Griechen und R ö mern», ტ. II, ბერლ. 1891, გვ. 348—354). წესების ასეთი გამოუკვეთელობა იყო დამახასიათებელი შუა საუკუნეებისთვისაც. ეს დაახლოებით XV საუკუნემდე გაგრძელდა, სანამ ძმებმა მანუციუსებმა, ტიპოგრაფებმა, პუნქტუაციის ნიშნების რაოდენობა არ გაზარდეს და მათი გამოყენება განსაზღვრულ წესებს არ დაუმორჩილეს. სწორედ ისინი უნდა მივიჩნიოთ თანამედროვე ევროპული პუნქტუაციის ფუძემდებლებად. მართლაც, მანუციუსების შემდეგ პუნქტუაციაში არსებითი ცვლილებები არავის შეუტანია.

მიუხედავად ამისა, თანამედროვე ევროპული ენების ინტერპუნქცია ზოგიერთი დეტალით განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად, ინგლისურში „და" კავშირის (and) წინ ხშირად იწერება ტირე ან მძიმე მაშინ, როცა დამოკიდებული წინადადების წინ იგი საერთოდ არ გამოიყენება. დაახლოებით ასეთივე ვითარებაა ფრანგულშიც. შედარებით რთული და ზუსტი ინტერპუნქციაა გერმანულ ენაში, რომლის ძალიან საინტერესო თეორიაც აქვს ბეკერს (« usf ü hrliche deutsche

Grammatik», ფრანკფურტი, 1842), ისტორია და დახასიათება კი — ბიელინგს (Bieling'a: «Das Prinzip der deutschen Interpunction», ბერლინი, 1886).

ქართული ინტერპუნქცია (ისევე, როგორც სლავური ენებისა) ბერძნულის მიხედვითაა ჩამოყალიბებული. იგი საკმაოდ რთულია, თუმცა, დახვეწილი.

ქართულ ენაში წერისას გამოიყენება შემდეგი სასვენი ნიშნები: წერტილი (.), მძიმე (,), კითხვის ნიშანი (?), ძახილის ნიშანი (!), კითხვა-ძახილის ნიშანი (?!), წერტილ-მძიმე (;), ორწერილი (:), მრავალწერტილი (...), ტირე (—), დეფისი (-), ბრჭყალები („ “), ფრჩხილები ( ).

## წერტილი

წერტილი იწერება თხრობითი წინადადების ბოლოს. იგი გვიჩვენებს, რომ წინადადება დასრულდა. *იდგნენ და ელოდენ. უსაზღვროა მთების მოლოდინი.*

სავარჯიშო № 1. დასვით სასვენი ნიშნები

1. ყავარაყრილი ორსართულიანი პატარა ოდის პალატში იცოხნება ცალი ხარი და ქალბატონი ეკატერინეს უშობელი ზედა სართულის აივანზე მოჩანს კედელზე ჩამოკიდებული სასროლი ბადე და მოძველებული კეხი ოდის წინ ნიგვზის ძირში გაფენილ ჭილოფზე წევს პერანგისამარა ბეგლარი გრძელ სკამზე გულმკერდს იშმუშნის მძინარე ეკატერინე (ნ. ლორთქიფანიძე)

2. იდგა მკათათვე ხართგამოშვების დრო მოტანებული იქნებოდა მზე დასავლეთისაკენ გადახრილიყო შემდგარ-შეტბორებულ ჰაერში მხოლოდ ხანდისხან ოდნავ წამოუბერავდა ხოლმე ქვენა აღმოსავლეთის ქარი (ნ. ლომოური)

3. სოფლის გზაზე ხმაურით მიდის ანანია ქვეყანას შეჰხარის და მიიმღერის გარემოც ალერსით ეგებება სოფელი კეთილი და მადლიანია დაემხვე და ჰკოცნე მისი მიწა (ს. კლდიაშვილი)

4. კვირა დღე იყო ის-იყო სოფლის ეკლესიაზე წირვაც გათავდა სალოცავად მოსული ხალხი ეკლესიის გალავანში გაიფანტა შეიქნა ჩვეულებრივი სჯა-მუსაიფი სოფლელებს შორის ერთ ადგილას რამდენიმე კაცი გულმოდგინებით ყურს უგდებდა რაღაც მხიარულ ამბავს (დ. კლდიაშვილი)

5. იგი არც ძველი ნამამასახლისი იყო და არც ახალი ნათავმჯდომარევი ამ კაცისთვის ვინმეს არც სოფლის თავკაცობა მიუნდვია და ძალისძალად არც სოფელზე მზრუნველობა მოუხვევია თავზე სერაფიონ გორდაძეს არც ერთი მეზობლის ძაღლი არ შეუყეფდა (ო. იოსელიანი)

6. ერთ დღეს ცა ზამთრისპირულად მოქურუშდა დაუბერა  ნოტიო ნიავმა მთელ დღეს იქროლა მერე ნიავი ჩადგა და წვიმა წამოვიდა იწვიმა შუაღამემდე შუაღამის შემდეგ  წვიმა თოვლმა შეცვალა (რ. ინანიშვილი)

7. ხვალ საავადმყოფოში მივდივარ გარეთ გრილა ჩემს ნაცრისფერ პალტოს ჩავიცვამ (ქ. თუთბერიძე)

8. ვაჭრობის დასრულებისას ევაც ამოვიდა გემზე მამას ბეწვეულში გაცვლილი სანოვაგის ჩაზიდვაში ეხმარებოდა მშობელთან საუბრისას ის არ იყენებდა მუნჯის სპეციფიკურ ჟესტებს მამა-შვილი კარგად ირჯებოდა მეზღვაურებიც ეხმარებოდნენ (რ. თაბუკაშვილი)

9. დაბალ სკამზე ჩამომჯდარი შიოლა წარბშეჭმუხნილი დასცქეროდა სოხანეს ბუხარში ცეცხლი ენთო სინათლე დასთამაშებდა შიოლას სახეზე სამი ვაჟკაცი ატუზულიყო დედაბოძთან (გ. დოჩანაშვილი)

10. ნუცა და ხელმძღვანელი წყაროსთან ისხდნენ ნუცას ხელში ახლად აღმოჩენილი საბჭოური წარმოების სინი ეჭირა და მთელი ქვეყანა თავზე ექცეოდა ხელმძღვანელი მშვიდად ლაპარაკობდა მსგავსი შემთხვევა მის პრაქტიკაში პირველი არ იყო და ცდილობდა ახალბედა "არქეოლოგისთვის" ინფორმაცია მეტისმეტად შოკისმომგვრელი არ ყოფილიყო (თ. დოლენჯაშვილი)

11. წინა ღამის უძინარს კედლის საათის ჟღრიალზე გამომეღვიძა თორმეტჯერ დავითვალე ისევ მომერია თვლემა ახლა ზარის ხმა მომესმა ტალანიდან (კ. გამსახურდია)

12. მტერი დიოდა და დიოდა პირველად მზვერავი ცხენოსნები ამოვიდნენ არსად არავინ არ ჩანდა ყველაფრის ჭაჭანება იყო გამწყდარი (ლ. გოთუა)

13. ერეკლემ აჰყარა ალყა აწყურს დასძრა თავისი ჯარი და გაუძღვა როკეტის გზაზე ჩვენი ჯარი ძლიერ ნელა მიდიოდა ცუდი და უცნობი გზის გამო (ი. გოგებაშვილი)

14. თავიდან ქალაქი თითქმის ყოველდღე იბომბებოდა დიდი პანიკა იყო ხალხი სარდაფებში და თავშესაფრებში ათენ-აღამებდა მერე თანდათან საჭმლის მარაგი გაუთავდათ ბომბები უფრო და უფრო იშვიათად ვარდებოდა და ხალხიც თითქოს შეეჩვია ახალ სიტუაციას  თვითმფრინავის დანახვაზე მხოლოდ იმას თუ აკვირდებოდნენ სად დაეცემოდა ბომბები (დ. გოგია)

15. ბარი დღითიდღე იკრებდა ძალებს ბარი დღითიდღე უფრო და უფრო ბევრ მნახველს იზიდავდა ბარი ფართოვდებოდა და სამუშაო საათების რაოდენობას ზრდიდა ღამით ძილი შეუძლებელი გახდა (მ. მიქელაძე)

16. ქუთაისში არ იყო თოვლი და იყო ქარი ცივი ქარი იყო აკაკიმ სადგურშივე დაიჭირა ეტლი (ა. მორჩილაძე)

17. დიდი ხნის წინათ სახლებს ბუხრებით ათბობდნენ ქალაქში ხშირად ნახავდით თავით •ფეხამდე გამურულ კაცებს ისინი ბუხრებს ჭვარტლისაგან ასუფთავებდნენ და დიდი თუ პატარა მათ .ჭვარტლიწმენდიებს ეძახდა (გ. პეტრიაშვილი)

18. თამაზს გამოეღვიძა მზის სხივები უკვე ილერებოდა ოთახში სიხარული დაეუფლა ვაჟკაცის სხეულს ადგა პატარა აივანზე გააბიჯა არემარეს გადახედა დილის მზე უშურველად აფრქევედა თავის სხივებს წვიმით გაჯერებულ მიწას (გ. რობაქიძე)

19. უფლისციხის ტერიტორიაზე პირველი დასახლებული პუნქტის შექმნა ეკუთვნის დაახლოებით მეორე ათასწლეულს ჩვენს ერამდე ამავე დროს ეკუთვნის მისი მიდამოების დასახლება მტკვრის ორივე ნაპირზე ცალკეულ სამოსახლოებს კი ამავე ადგილებში ვხვდებით ენეოლითის დროიდანაც (გ. რჩეულიშვილი)

20. იყო ორი ყანჩა მათი თავგადასავალი სამწუხაროც არის და სასაცილოც ადრე დაობლდნენ საბრალო დედამ სიკვდილის წინ ვერაფერი დარიგება ვერ მისცა უმწეო შვილებს თევზებზე ნადირობის ხერხი არ იცოდნენ და ღონე ხომ სრულებით არა ჰქონდათ (ა. საჯაია)

21. უშველებელ ფუღურო მუხის გვერდით ნაბადი იყო გაშლილი ზედ წამოწოლილიყო ვიღაც თავით ფეხებამდე შეიარაღებული კაცი თოფის კონდახი მკერდში ჩაეხუტებინა წელზე შავი რქისტარიანი ხმალი ერტყა ხელში დამბაჩა ეჭირა ხის ტოტზე მიბმული იყო გიშერივით შავი ბედაური ცხენი ნაბადზე მწოლი თითქოს თვლემდა (უიარაღო)

22. საჭესთან ძია სანდრო ზის ჩვენ წინ მანქანებია ჩვენს უკან მანქანებია უწინ შავი მიკროავტობუსი მიდის ბებიას მიასვენებს ჩვენ ეკლესიაში მივდივართ იქ ბებია უნდა დავასვენოთ (დ. ქართველიშვილი)

23. კიდევ ერთხელ დადგა თორმეტი ნოემბერი გარეთ გააავებული ქარი ქროდა და ყვითელი ფოთლები დაღლილი პეპლებივით ფარფატებდნენ ჰაერში აბელი სკამის საზურგეს გადასწოლოდა (ჯ. ქარჩხაძე)

24. გაზაფხულის გრილი ღამეა ბაღის ბოლოში ვზივარ გავცქერი თითქმის მიძინებულ ქალაქს და ვოცნებობ (შ. ჩანტლაძე)

წერტილი იწერება სახელდებითი წინადადების ბოლოსაც. ასეთი წინადადებები ხშირად ერთმანეთს მოსდევს და სურათს ქმნის. *შუადღე. გზის პირას მდუმარედ ამრეშებული ყანები.* (გ. ლეონიძე)

სავარჯიშო № 2. დასვით სასვენი ნიშნები

1. ანტონას ეზო ისლით დახურულ სახლის წინ დიდი ხე მის ძირთან დასაჯდომი ქვები მარცხნით ყორე და წნელის ჭიშკარი ყორეს გადაღმა სოფლის გზა (დ. კლდიაშვილი)

2. ცხრიანი კომპიუტერის ჯოისტიკი კაცი ასკინკილა ხტუნაობს წვერიანი კაცი წევს მთა მთის იქეთ კიდევ მთა იქეთ კიდევ მთა ქართულის მასწავლებელი ჩემი პირველი შეყვარებული ბალში ბრინჯის ფაფა (გ. მეგრელიშვილი)

3. სკოლის ეზო ასწლოვანი ჭადარი აყრიამულებული ბავშვები ქვაფენილზე უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი ჩანთები

4. წიგნების თარო ნიკოლოზ ბარათაშვილი ილია ჭავჭავაძე აკაკი წერეთელი ვაჟა-ფშაველა

5. მასწავლებლის მაგიდა ჟურნალი წიგნები კალამი სურათებიანი წიგნი საკონტროლო წერის რვეულები

წერტილი იწერება გეგმაში საკითხების ჩამოთვლისას, ასოებისა და ციფრების შემდეგ.

*ინფლაციის ზრდაში ყველაზე მაღალი ზეგავლენის მქონე ცალკეული პროდუქტების წვლილი წლიურ ინფლაციაში:*

*1. ხორბლის თეთრი პური (3,0),*

*2. ხორბლის ფქვილი (0,3),*

*3. ბუნებრივი გაზი (0,9),*

*4. თხევადი გაზი (0,2),*

*5. მზესუმზირის ზეთი (1,2),*

*6. ქალაქის შიგნით მგზავრობა ავტობუსით, მიკროავტობუსითა და ტაქსით (0,6),*

*7. ბენზინი (0,5),*

*8. ცივი წყლის გადასახადი (0,4),*

*9. ნაგვის გატანის გადასახადი (0,3).*

*უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფების წილი მთლიან იმპორტში:*

*ა. ნავთობი და ნავთობპროდუქტები (10,6),*

*ბ. მსუბუქი ავტომობილები (7,0),*

*გ. ნავთობის აირები (6,4),*

*დ. ნაწარმი სხვა შავი ლითონებისგან (4,9),*

*ე. სამკურნალო საშუალებები (2,7),*

*ვ. ხორბალი და მესლინი (2,6),*

*ზ. კავშირგაბმულობის აპარატურა (2,0),*

*თ. შაქარი (1,7).*

საგარჯიშო № 3. დასვით სასვენი ნიშნები

სპორტის სექტორის პროექტები

1 ხელმოკლე სოციალური ფენების საბავშვო ასაკის ნიჭიერი წარმომადგენლების ;გამოვლენისა და ხელშეწყობის პროგრამის შემუშავება

2 სპორტული განვითარების მიმართულების ადრეული გამოკვლევის მეთოდიკა ბავშვების ტესტირების საფუძველზე

ხელოვნების სექტორის პროექტები

I ხელოვნებაში დაოსტატებისა და განვითარების მიმართულების ადრეული გამოკვლევის მეთოდიკა ბავშვების ტესტირების საფუძველზე

II საქართველოს მუზეუმებსა და საცავებში არსებული ფერწერისა და ქანდაკების ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების გოლოგრაფიული ფიქსირება და ეროვნული კულტურის მონაცემთა ბაზის შექმნა

III მცირე ზომის ჭედური ხელოვნების ნიმუშების შექმნის ახალი ტექნოლოგიის შემუშავება ნამზადის ვირტუალური დაპროექტებისა და ელექტროქიმიური ტექნოლოგიით დამზადების მეთოდის გამოყენებით

კულტურის სექტორის პროექტები

ა საქართველოს ლიტერატურული ნაწარმოებების ეროვნული ციფრული მონაცემთა ბაზის შექმნის მიზნით მათი კომპიუტერული ამოცნობის სისტემის შემუშავება და აპრობირება

ბ საქართველოს არსებული და დანგრეული ხუროთმოძღვრული ძეგლების ნახაზების მიხედვით მათი ვირტუალური სამგანზომილებიანი მოდელირება და ციფრული ფორმით ეროვნული კულტურის არქიტექტურის ძეგლების მონაცემთა ბაზაში შენახვა

გ საქართველოს არქივებში არსებული ქართული ფოლკლორული სიმღერების გადაყვანა ციფრულ ფორმაში და ეროვნული კულტურის ფოლკლორული სიმღერების მონაცემთა ბაზის შექმნა

დ ქვეყნის ყოფითი კულტურის სამაგიდო წიგნი

ეკონომიკის სექტორის პროექტები

1 ტრასეკას სატრანსპორტო დერეფნის ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებით განვითარების პერსპექტივების გამოკვლევა

2 ქვეყნის ფინანსური ნაკადების მოდელირება და პროგნოზირება ადამიანის ფსიქო-ფიზიოლოგიური რეაქციების ვებერ-ფეხნერის კანონის გათვალისწინებით

3 გეგმური საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პოსტულატების ფორმულირება

4 მცირე და საშუალო მეწარმეობისათვის ბიზნესგეგმების შედგენის სახელმძღვანელოს და სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება

5 მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის საბანკო-საკრედიტო დაწესებულებებთან ურთიერთობების სამაგიდო წიგნი

6 ქალაქისა და სოფლის შორის სასაქონლო ბრუნვის აღდგენა და განვითარება

7 მევენახეობაში ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების ეფექტურობის განსაზღვრა

8 რეგიონალური და ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურების და მათი თანამშრომლების ეფექტურობის შეფასება საერთო მონაცემთა ბაზის ინფორმაციაზე დაყრდნობით

9 რეგიონალური და ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურების საკადრო პოლიტიკის ვიწრო ადგილების გამოვლენა შეფასება და ფორმირება

10 ბაზრის საზღვრების განსაზღვრისა და მისი კონკურენტულობის დონის შეფასების მეთოდიკის შემუშავება

11 კასპიის რეგიონის ნავთობის ტრანსპორტირების ბაზრის კონკურენტულობის მოდელირება და ნაკადების პროგნოზირების მეთოდიკის შემუშავება

12 სარკინიგზო ტრანსპორტში განვითარების სტრატეგიული გეგმების ფორმირების ავტომატიზებული სისტემის შექმნა

13 ქვეყნის სატარიფო პოლიტიკის შემუშავების მეთოდიკა სატრანსპორტო სექტორში

14 სატრანსპორტო სექტორში არსებული ფარული ეკონომიკის შეფასების მეთოდიკის შემუშავება

15 პროგნოზირების კომპლექსური სისტემისა და მისი პროგრამული უზრუნველყოფის მეთოდიკის შემუშავება

16 სახელმწიფო მოხელეთა ტესტირებისა და შეფასების მეთოდიკის შემუშავება

მედიცინის სექტორის პროექტები

კარდიოტელემედიცინის განვითარების მიზნით ექიმის კომპიუტერული კონსულტანტის მუშაობის ალგორითმის და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება

ბ მხედველობადაკარგული ადამიანებისათვის გამოსახულების აკუსტიკური სკანერის ალგორითმის შემუშავება და სადემონსტრაციო მოდელისათვის სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის მომზადება

გ მეტყველებადაკარგული ადამიანებისათვის მეტყველების სინთეზატორის ალგორითმისა და სათარადო პროდრამული უზრუნველყოფის შემუშავება

დ მხედველობადაკარგული ადამიანებისთვის კომპიუტერული გამოსახულების ამოცნობა/იდენტიფიცირების და აკუსტიკური გახმოვანების სინთეზატორის შემუშავება

ე ავადმყოფისათვის ინტენსიური მკურნალობისა და ქირურგიული ოპერაციების თარიღის დაგეგმეის ოპტიმალური კალენდარული გრაფიკის შედგენა მისი ფსიქოფიზიოლოგიური ბიოლოგიური რიტმების გათვალისწინებით

განათლების სექტორის პროექტები

I ძილის პროცესში სასწავლო ინფორმაციის ათვისების შესაძლებლობის გამოკვლევა

II მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის კომპიუტერული სწავლების პროგრამებისა შემუშავება ინტერნეტის გამოყენებით მეწარმეობის საფუძვლების შესასწავლად

III პროფესიის არჩევისას ადამიანის ფსიქოფიზიოლოგიური ტესტირების მეთოდიკის შემუშავება

IV ინფორმაციის სუბსენსორული აღქმნის პროცესების გამოყენებით სწავლის ახალი ტექნოლოგიის გამოყენება დასამახსოვრებელი სასწავლო მასალის ასათვისებლად ტელეგადაცემების ყურებისა და კომპიუტერთან მუშაობის პარალელურად (25 კადრის ტექნოლოგია)

ადამიანის უფლებების დაცვის სექტორის პროექტები

1 საქართველოში ე წ თურქი მესხების დაბრუნებისათვის საჭირო მოსამზადებელი საინფორმაციო მონაცემთა ბაზის ფორმირების ღონისძიებები

2 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების მარეგულირებელი სამართებლივ-ნორმატიული აქტების კრებულის გამოშვება და ვებგვერდზე განთავსება

3 მასმედიის კრიტიკული გამოსვლების მონიტორინგის და კასკადური რეაგირების სისტემის შემუშავება ამ პროცესში სათანადო უწყებებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების ჩართვით

4 ადამიანის უფლებების დამცველი სტრუქტურების ერთიანი სისტემის ცალკეული რგოლების ამსახველი კრებულის მომზადება მათი უფლება/ვალდებულებებისა და საკონტაქტო რეკვიზიტების მითითებით

5 საქართველოში მოქმედი და ძირითადი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ცნობარის მომზადება მათი პრიორიტეტებისა და საკონტაქტო რეკვიზიტების მითითებით

წერტილი იწერება სიტყვების შემოკლების დროსაც, მათ შორის, ინიციალების შემდეგ. *აკად. (აკადემიკოსი), პროფ. (პროფესორი), და ა. შ. (და ასე შემდეგ), იხ. (იხილეთ), ნახ. (ნახატი, ნახაზი), სურ. (სურათი), გვ. (გვერდი), წ. (წელი), წწ. (წლები), სს. (საუკუნეები), ე. წ. (ეგრეთ წოდებული), ე. ი. (ესე იგი), მაგ. (მაგალითად), სავ. (სავარჯიშო), და სხვ. (და სხვანი)...*

სავარჯიშო № 4. დასვით სასვენი ნიშნები

1. აკად დ ტატიშვილი უამრავი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია

2. პროფ ნ დავითაშვილმა ნევროლოგიის სფერო მრავალი მიღწევით გაამდიდრა

3. ქართულ-შვედურ ბიზნესფორუმში მონაწილეობენ ცნობილი კომპანიები ერიქსონი, ტელია სონერა, საპა პროფაილზი და ა შ

4. თვალსაჩინოებისთვის იხ ნახ 5

5. სურ 3 საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანამშრომლების კახეთში ვიზიტს ასახავს

6. ფიცსიმონზი ინგლისელი მძიმე წონის მოკრივე რომელიც 1897 წ მსოფლიო ჩემპიონი გახდა მას შემდეგ რაც ჯემ კორბეტი დაამარცხა

7. ჯ ჯოისი ულისე თბ 1983 წ გვ 33

8. XIX-XX სს ამ მხრივ ნაკლებად ნაყოფიერი იყო

9. ე წ სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის წარმომადგენელთა განცხადებით ცხინვალს გაზი ქართული მხარის დაუდევრობის გამო არ მიეწოდება

10. სავ 7 ში გამოსახულების გამარტივების ტიპობრივი ნუმუშებია თავმოყრილი

11. კონკურსის შედეგად გამარჯვებული კომპანიები გამოვლინდება ე ი ის კომპანიები რომელთა ხელმძღვანელებმაც წლის განმავლობაში ყველაზე მეტი მუშახელი დაასაქმეს

12. უცხოური პროდუქცია მაგ რუსული ფილმები აღნიშნულ საკონკურსო ჩვენებში საერთოდ არ იყო წარმოდგენილი

## კითხვის ნიშანი

კითხვის ნიშანი იწერება კითხვითი წინადადების ბოლოს. *მართლაც, საიდან მოდის სილამაზე? ან სად მიდის? სად იკარგება, თუ დროებით მიეფარება?*

სავარჯიშო № 5. დასვით სასვენი ნიშნები

1. ეგ ეტლი ვისი მოგონილია (ი. ჭავჭავაძე).

2. ვერც მისი დისწულიო იკითხეს კარისკაცებმა (ა. წერეთელი).

3. რადა შვრებოდა ჩემო პაპავ ორბი იმასაო (ვაჟა-ფშაველა).

4. რას მიბრძანებთ შენი ჭირიმე ბატონო (ნ. ლომოური).

5. ვერ გამიგია დაარღვია სიჩუმე ყველაზე უფრო ახალგაზრდა ასლან-ბიიმ რისთვის მოდის ტანმოკლე ფაშათ-ფაშა ჩვენზე რა უნდა ჩვენგან რა დაგვიშავებია მისთვის (უიარაღო).

6. ვართ პოეტურები და ემოციურები მართალია ვერაფერს იტყვი ნამდვილად ვერ შეედავები ამ მოსაზრებას მაგრამ კარგია ეს თუ ცუდი თუ ჩვეულებრივი მოვლენაა ზოგი ერი ასეთია ზოგი ისეთი რატომ იგებენ მარკესს არა მხოლოდ პოეტური და მეოცნებე არამედ რაციონალისტურად მცხოვრები ქვეყნების მკითხველებიც რატომ არა გვყავს ჩვენ ჩვენი საქვეყნოდ ცნობილი მარკესი რაც მთავარია როგორ ვიცხოვროთ ჩვენ ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების ერმა დემოკრატიულ მაგრამ არაილუზორულ რაციონალისტურ და პრაგმატულ სასტიკ კაპიტალისტურ რეალობაში ჩვენი ევროპისკენ სწრაფვა და მაშასადამე ქართველობა ხომ სწორედ ამას გულისხმობს საერთოდ რამდენად რეალურია და საფუძვლიანი ასეთი მეტამორფოზა (ნ. ჩუბინიძე).

7. გუშინწინ ამ ხევში დაესხნენ თავს (გ. რობაქიძე).

8. პარდის ძესიე ბოდიში ვიხდი რა ენაზეა დაბეჭდილი ეს წიგნი
ჟორჟიენ ვუპასუხე ქართულია გაგიგონიათ ქართული საქართველო (მ. ჯავახიშვილი).

9. შეგიძლიათ ახლა ლაპარაკი გულდამშვიდებით შეგიძლიათ ასეთი საუბრის მოსმენა (გ. ტაბიძე).

10. კარგია რომ დაგვხედე სად გადაიკარგე (გ. ლეონიძე).

11. სადაური ხარ ჰკითხა ციხისთავმა.

აქაური

რომლისა

მზევარისა

რა გინდა მეფესთან (რ. ინანიშვილი).

12. შვილიშვილი ასე იცის პაპა მაჭარმა

პაპა ზოგჯერ ჰო ზოგჯერ არა

შვილიშვილი ზოგჯერ რატომ

პაპა იმიტომ რომ ზოგჯერ ქვევრის კედელი თხელია

შვილიშვილი მერე

პაპა მერე მაჭარი კი ზედმეტად მდუღარეა

შვილიშვილი ზოგჯერ კი

პაპა ზოგჯერ კი ქვევრის კედელი სქელია მაჭარიც ნაკლებად მდუღარეა

შვილიშვილი მერე

პაპა მაშინ არ სკდება

შვილიშვილი პაპავ ეგ ქვევრი აღარ ვარგა (გ. რჩეულიშვილი).

13. ლევან დაგეძებდი კაცხის სვეტი გაგიგია ოდესმე (ლ. გოთუა).

14. რად გინდა თოფი ბადრია ჰკითხა ბაბუამ (ნ. დუმბაძე).

15. ხოლო რაც შეეხება მომდევნო შეკითხვას თუ რომელი მეცნიერება მიტაცებს ესე იგი მიყვარს არა მიძნელდება პასუხის გაცემა შეიძლება ჯერ ისა ვთქვა რომელი არ მიყვარს (გ. დოჩანაშვილი).

16. რად არ მოდიან ესენი კოცონთან არ სცივათ ვეკითხები ენის ბორძიკით მურაბის პატრონს (გ. ოდიშარია).

17. მერე არ ჰკბენენ იკითხა ჩუმადვე ცოტნემ

ჰკბენენ ხედავ როგორ ტოკავს და იგრიხება ჰკბენენ და უძლებს ითმენს

ნეტავ რა აიძულებს გაიკვირვა ცოტნემ (გ. აბაშიძე).

18. ესე იგი არ მომკლავდნენ ეს მხოლოდ გამოთქმაა ამგვარი (ზ. აბზიანიძე).

19. ასანთს ხომ არ ეძებ შიშით ჰკითხა ვანომ (ე. ახვლედიანი).

20. რა არის კოსმოსი ვინ ვართ ჩვენ სად არის დასაწყისი ან დასასრული რა გველის კოსმოსის სიღრმეებში როგორ შეიძლება დავუბრუნდეთ ვარსკვლავებს ადგილს საიდანაც მოვედით ამ პლანეტაზე როგორ არის შესაძლებელი არსებობა ქაოსის თეორიის პრინციპებზე სად გადის ცნობიერების შესწავლის საზღვარი არსებობს თუ არა ცხოვრების რაიმე ფორმა სტრატოსფეროს იქით შესაძლებელია თუ არა კულტურა კომუნიკაციის სრულიად განსხვავებული საშუალებებით და არხებით განსხვავებული ეკონომიკით და განსხვავებული მსოფლაღქმით როგორი შეიძლება იყოს ეგეთი კულტურა შეიძლება თუ არა გრავიტაციით ინფორმაციის გადაწოდება პარალელურ

სამყაროებში შეიძლება თუ არა უიქენდებზე ოჯახთან ერთად წრე დავარტყა დედამიწას ისე რომ პრობლემები არ შემექმნას კონტინენტალურ კაგებესთან (ზ. ჯიშკარიანი).

21. რა არის ბაბუ ეს ვკითხე წყალი არ დაღვინდა-მეთქი (ბ. ჯანიკაშვილი).

22. ვეჟო ის ჩემი ცოდვით სავსე არსენა აღარ გამოჩნდა მეათეჯერ იკითხა ზაალმა (შ. ჯავახიშვილი).

23. გახსოვთ მდინარეში რომ გადახტა შარშანდელს იხსენებდა ვიღაც ბიძა რო გადაარჩინა ტანსაცმლიანად რომ ისკუპა (ბ. ხვედელიძე).

24. განა მხოლოდ ახლა ადრეც მიკითხავს ჩემი თავისთვის რითი მომხიბლა ამ მიუსაფარმა ბოგახომ (ბ. ხარანაული).

25. ვინც რამეს დააშავებდა სულ ჩემი ბრალი იყო ვინ რა მოიპარა იმერელმა ვინ რა გატეხა იმერელმა ვის დასცინიან იმერელ ბიჭს ვისა სცემენ გაჯავრებულ გულზე იმერელ ბიჭს ვის გასაჯავრებლად თქვეს იმერლების დასაცინი ანდაზები იმერლის ბიჭისა (დ. ჭონქაძე)

26. მოსაწვევი ბარათებია შეიძლება

როგორ არა რამდენი გინდა

ერთი ორი რამდენსაც მომცემ ხვალ არის

კი (რ. ჭეიშვილი)

27. რა მოვულოცოთ ჩვენს თავს ქართველნო რა გვაქვს დღეს სასურველი რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ რა გვაქვს ხვალ სანატრელი რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ (ი. ჭავჭავაძე)

28. რამ შეგვაძლებინა რამ გვიხსნა ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით წამებულნი და სისხლმთხეველნი მამულისათვის რამღა გვაცოცხლა რამ გვასულიერა (ი. ჭავჭავაძე)

29. ხომ ხედავ მკითხა მამაჩემმა

რატომ არა ბრმა ხომ არა ვარ

იცსობ ძეკითხება მამა

რა დიდი ცნობა უნდა

ხომ არ გინდა, რომ დაეჭიდო

ვისა

ამ პატარა ბიჭს

ბიჭი კი არა ის არ გინდა კიდე ჩემი ლანდია

რა იცი რომ ლანდია

რატომ არ ვიცი განა ცოტა ძინახავს წყალში (ა. წერეთელი)

30. ძნელია ნეტა მწყერებზე ნადირობა უმისამართოდ იკითხა ესტატემ (გ. ჩქვანავა)

31. ჰო მდიდარია მაგრამ რას გვარგებს ჩვენ იმის სიმდიდრე ჰკითხა მან. გვარგებს თუ ჭკუით მოვიქცევით ამ მდიდარს კაცს ხომ გაგიგებით უყვარს თავისი ერთადერთი ქალი (ი. გოგებაშვილი)

32. რა არის ჩვენი ცხოვრება რანი ვართ ჩვენ და რანი ვიქნებით მომავალში რას ვითხოვთ ადამიანებისგან და რას ითხოვენ ისინი ჩვენგან საით მიექანება ჩვენი ცივილიზებული სამყარო და რა როლი გვაკისრია კაცობრიობას ამ სამყაროში (თ. აქუბარდია)

## ძახილის ნიშანი

ძახილის ნიშანი იწერება ძახილის ან ბრძანებითი წინადადების ბოლოს. *რა ლამაზია! დაყარეთ იარაღი!*

ძახილის ნიშანს ვწერთ მიმართვასთანაც, თუ იგი ცალკეა ხმარებული, ანდა დიდი გრძნობითაა წარმოთქმული და წინადადების თავშია ან ბოლოში. *შვილებო! — დაიძახა გამწარებულმა.*

ძახილის ნიშანი დაისმის ცალკე ხმარებულ შორისდებულთან, ან როცა შორისდებული წინადადების თავშია ან ბოლოში და დიდი გრძნობითაა წარმოთქმული. *ვოჰოდ!*

ძახილის ნიშნით გამოიყოფა მიგებითი ნაწილაკი, თუ ის ცალკე დგას და ძლიერ ემოციას გამოხატავს. *დიახ!*

სავარჯიშო № 6. დასვით სასვენი ნიშნები

1. უი დამიდგა თვალები წამოიძახა კნეინა ეფემიამ შვილო ტატე დაბრუნებულხარ კნიაზო ზაალ გეთაყვა დაადევნე ვინმე თორემ ჩამოვარდება და დამღუპავს (მ. ჯავახიშვილი)

2. არა ასეთ აუგს ვერც ზაალის ყმები მოითმენენ ეყოთ ამდენი სირცხვილი ეყოთ სამი თავმომწონე ვაჟკაცის გალახვა (მ. ჯავახიშვილი)

3. ასე სჯობს აგაშენოს ღმერთმა ივლიანემ ჭიქა დაცალა და ცოტნეს შესთავაზა (გ. აბაშიძე).

4. თქვენ უნდა დაბრუნდეთ დიახ თქვენ აუცილებლად უნდა დაუბრუნდეთ მშობლიურ კერას (ზ. აბზიანიძე).

5. ოჰ საწყალო დედაჩემო აგრე როგორ დაიტანჯე (ლ. არდაზიანი)

6. აკაკი აკაკი და სულ აკაკი (ლ. ასათიანი).

7. დე არხვატს დარჩეს ჩემი ლურჯაის დაკრული ტორი (გ. ჯაბუშანური).

8. ლეონარდოს საიდუმლო სერობა სვეტიცხოვლის კედელზე რომ ეხატოს რა დიდებული საქმე იქნებოდა (ლ. ასათიანი).

9. უნდა გავმრავლდეთ მალთუსის ჯინაზე (ლ. ასთიანი).

10. არ ეკადრება შენს სახელს მაგისთანა უწყალოება (ნ. ბარათაშვილი).

11. არა ხვალაც ვერ დაივიწყებ ცხოვრებას (თ. ბაძაღუა).

12. როგორ გაგვფანტეს ქარიშხლებმა და გადაგვხვეწეს (ა. ბუაჩიძე).

13. დედა ისევ მიყურებს გამოვიხედავ აქეთ ვგრძნობ მაინც ჩემკენ იყურება თან ლამაზია ეგ ოხერი (ლ. ბუღაძე).

14. რუსი გოგონები ისე დაიბოლმენ რომ ჩემს მტერს (ლ. ბუღაძე).

15. ის დალოცვილი იმას კი არ ფიქრობს რომ მოთმინებასაც თავისი საზღვარი აქვს მეტი ღონე აღარა გვაქვს ან ჩვენ უნდა ვიყოთ და ან ივანიკა სთქვა ერთმა გლეხმა (ე. გაბაშვილი).

16. ვაი შენ დედას შვილო ვაი შენ დედას დაბადებიდგანვე დაგყვა შე უბედურო ეგ ბედი (ე. გაბაშვილი).

17. კლაენგური მართლა იტყუებოდა ფრანგი გოგოები ასეთები არ არიან მე მაინც ნუ მასწავლის (დ. გაბუნია).

18. ო შუა გზაზე რა ძნელია შემოღამება
რომ უკედავებით შეისყიდო ქვეყნის წამება (კ. გამსახურდია)

19. ჰოდა აღარ ჩამოვუტანთ საქონელს და გათავდა არ უნდათ კარგად იყვნენ (ა. გეგენავა).

20. ყოჩაღ ქალო სრულიად მართალი ხარ სპარსული ქუდი სწორედ რომ არ უნდა მეხუროს მე ქართველი მეფე გარეგნობითაც ტანისამოსითაც ქართველი უნდა იყოს კარგი ჩინებული დარიგება მომეცი შენ მაგ ქლიავის სროლითა ბარაქალა შენს ქართველ ქალობასა (ი. გოგებაშვილი).

21. არ გაჩერდეთ იარეთ იარეთ ტყის დაწყებამდე გაუძელით არ გაჩერდეთ ცოტაა დარჩენილი (გ. ოდიშარია).

22. აჰა ეს შენ და გადაწერე ლამაზად ოღონდ დროზე (ნ. აბულაძე)

23. შენ გეთაყვანოს ჩემი თავი გაიანე უთხრა ბოლოს ბებერმა რა სახით გიხდება ღირსი იყავ და მოგეცა კიდეცა გადაყარე ეგ შავები (ლ. არდაზიანი)

24. აბა ჩემზე თუ რამე გაიგოთ გადმოდით არ დაიზაროთ (თ. ბიბილური)

25. აბა შენ იცი კინოში არ წახვიდე იცოდე მთვრალი ხარ გამოსძახა დახლიდარმა (თ. ბიბილური)

26. ვაცქერდები მის სახეს ბნელ ფონზე ვკითხულობ ძირს ჩამომიღე დამასვენე შე ქრისტიანო (კ. გამსახურდია)

## კითხვა-ძახილის ნიშანი

კითხვა-ძახილის ნიშანი იწერება იმ შემთხვევაში, თუ კითხვასთან ერთად გამოხატულია გაკვირვება, აღტაცება, აღშფოთება. *რას მიბედავ?!*

კითხვა-ძახილის ნიშანი უნდა დაიწეროს რიტორიკული შეკითხვის ბოლოსაც. *განა ეს ბოლო სანატრელი არ უნდა იყოს?!*

სავარჯიშო № 7. დასვით სასვენი ნიშნები

1. ოხ ღმერთო ჩემო სულ ძილი ძილი / როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება (ი. ჭავჭავაძე)
2. მე ჩემს ქვეყანაში ვარ რისი უნდა მეშინოდეს დასჭექა კასტრომ (ლ. ბულაძე)
3. ბოლშევიკური კერპებისა და წითლად დაფერილი ცრუღმერთების წინააღმდეგ ბრძოლას თუ გულისხმობდა დაუცხრომელი მეომარი ამ სიმბოლოში თორემ რა სჭირდა საბრძოლო და საომარი ქრისტეს და ქრისტიანულ სათნოებას (ს. წურწუმია)
4. როგორ ვიღაც კუჭატნელმა მარაბდელები უნდა შეარცხვინოს ვიღაც მოთრეულმა მილიციელმა მუხათელი ფარცხისელი და ბირთვისელი ბიჭები უნდა დაიბრიყვოს ნეტა ნამდვილი ქართველი მაინც ყოფილიყო კუჭატნელი ეს ვიღაც სეფისკვერაძე იმერეთიდან გადმოსულა სოფელ კუჭატანში დასახლებულა და ლეკებს ეომება ეხლა კი ზაალის შესარცხვენად ამოუყვანიათ საბარათიანოში და მის ფალავნებს საქვეყნოდ უტეხავენ სახელს მაშ ამ ორბელიანებმა პირყვითელა გრიგოლმა მისმა ძმამ ზაქარიამ მათმა ბიძამ ყაფლანმა ზაალის სიძემ ალექსანდრემ ჩიტირეკია ელიზბარ მაღალაშვილმა და ზაალისავე სტუმარმა ვასილ მაიორმა ასე ურცხვად უნდა მოსჭრან თავი მარაბდის ბატონს დიდი საამის ჩამონავალ ბარათაშვილს (მ. ჯავახიშვილი)
5. რას გვიშველის მარტო საქმის წარმოება ქართულად კათოლიკური ეკლესია დღესაც ლათინურ ენაზე აწარმოებს წირვას და მიწერ-მოწერას მაგრამ ეს ენა მაინც მკვდარია ნუთუ შეიძლება მოკვდეს ენა შოთასი ილიასი აკაკის და ვაჟასი (მ. ჯავახიშვილი).
6. რა ვქნათ ჩვენ რა გზას დავადგეთ რით ვუშველოთ მომაკვდავ ბავშვებს რომელთა წინაშე მთელი ქვეყნიერება მთელი ამერ-იმერი საქართველო ყოველი ჩვენგანი დამნაშავეა (გ. ოდიშარია).

7. სად არის მერვე მე თქვენ გეკითხებით სად არის მეცხვარე (გ. ჩოხელი)

8. იმიტომ რომ ამბობს თქვენ ლიტერატურის სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ წიგნის კითხვა გგონიათ და ყოველივე იმას რასაც წაიკითხავ გააზრება არ უნდა დიდი ამბავი ტრამვაიში თუ დაჯდები ან დადგები ყირამალა დგომისასაც კი შეიძლება ფიქრი

კი მაგრამ რაზე (გ. დოჩანაშვილი)

9. ხედავ ხედავ როგორ ვკვდები

10. რას მიბედავ შე ბრიყვო

11. რა დაგიშავე ღმერთო

12. საზიზღარი სიღარიბის უკვდავება რად უნდოდა საწყალ ელიოზს (გ. ლეონიძე)

13. სად წამიხვალ

14. შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ (ა. წერეთელი)

## მრავალწერტილი

მრავალწერტილი დაისმის იმ შემთხვევაში, თუ სათქმელი დაუმთავრებელია, ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოითქმის (რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მთქმელის გრძნობათა სიჭარბით, ულონობით, ავადმყოფობით, მძიმე სულიერი მდგომარეობით, ენის ბორძიკით, აზრის არდამთავრებით). თუ წინადადების შინაარსი მოითხოვს, მრავალწერტილის წინ ძახილის ან კითხვის ნიშანიც დაისმის. *მე... მე... თქვენთვის არაფერი დამიშავებია!...*

მრავალწერტილი იწერება იმ შემთხვევაშიც, თუ ციტატა არასრულია (ანუ დედანთან შედარებით აკლია თავი, ბოლო ან შუა ნაწილი). *ერთი შვილი მყავს, საყვარელი და სანატრელი... იმითი მიდგა უძლურს ტანში უძლური სული, ჩემის სიბერის მისაყრდომად ისლა მშთენია, მაგრამ, მამულო, წაიყვანე, დღეს ის შენია...*

არის შემთხვევები, როდესაც მრავალწერტილი გამოიყენება ტექნიკურ ნიშნად და იწერება სახელებსა და გვარებში გამოტოვებული ასოების ნაცვლად (როცა ავტორს ადრესატის ვინაობის დასახელება არ სურს).

სავარჯიშო № 8. დასვით სასვენი ნიშნები

1. უსარჩოო ელიოზის ჩამონგრეული მიწურის წინ მუდამ გუბე იდგა მწვანე ბუზებით სავსე ძონძები ჩვრები ჭუჭყი შიმშილი (გ. ლეონიძე)

2. ყვითელი აბრეშუმივით თმა-კულული ლურჯი თვალები ისე ვიგრძენი თითქოს ჩვენს ეზოში ია შემოვიდა შემოვიდა და შემოეფინა მე შევდექი და გაკვირვებულმა ცქერა დავიწყე მერე მოწიწებით მიეუახლოვდი ხმის გაცემა გავბედე და მალე ერთად ვთამაშობდით მე და მარიტა (გ. ლეონიძე)

3. დამაგვიანდება დღიურ ვეღარ მივალ სახლში უმთვარო ღამეებით გახლავთ გზაში გამიჭირდება თვითონ იცით რა გზებია მერე ჩვენკენ მე გიახლებით და ამის მთხოვნელი ვიქნები თქვენვე მოახსენოთ სოლომანს ყველაფერი გაჭირვება რომ არ მადგეს ღმერთმანი არც კი შეგაწუხებდით თქვენი იმედით ვიქნები ჩემო ბატონო (დ. კლდიაშვილი)

4. კარგა ხანს ისხდნენ უკვე სულ ჩამობნელდა ავანთეთ დიდი სანთლები ბორისი კითხულობდა ლექსებს ლაპარაკობდა პოეზიაზე მხატვრობაზე იგონებდა გარდასულ დღეებს ოციანი და ოცდაათიანი წლების თბილისს ტიციანს პაოლოს დაღლილი ნაღვლიანი სახე ჰქონდა აღარ მგონია რომ ოდესმე კიდევ მომიხდეს აქ ჩამოსვლაო ამბობდა მართლაც მალე გარდაიცვალა (ლ. გუდიაშვილი)

5. ყველაფრის ჭაჭანება იყო გამწყდარი არც ცხვრის ფარა არც საქონელი ერთი-ორი მოწანწალე ძაღლი გალანდეს (ლ. გოთუა)

6. რა იყო რა მ მმოხდა იკითხავდა თეიმურაზი მ მმოითმინეთ მ მოვისაზროთ ჯერ კამათის საგანი გამ მმოვარკვიოთ (მ. ჯავახიშვილი)

7. რა კარგი დღეა ახალგაზრდა ქალმა ჭიშკართან კუნძზე ჩამომჯდარ ყმაწვილ კაცს გადახედა

ახლა სატირალში წასვლა ცოდვაა პირდაპირ არა ცოტნე

ცოტნემ მათრახის ტარით ყაბალახი წარბებს ზევით აიწია და ჭროღა თვალებით გაიღიმა

რას იზამ

რას იზამ გამოაჯავრა ასინეთმა შენ კი ისე მეპატიჟები გეგონება ქორწილში მიგყავარ (კ. ხიმშიაშვილი)

8. თვალს ვახელ და სინათლისაგან დაცლილი ორი თვალი შემომცქერის საყვედურით სასთუმალი საბანი საგები ყველაფერი ცხელია ჩამოვდივარ ლოგინიდან და ცივ იატაკზე გართხმული ვისვენებ (კ. გამსახურდია)

9. ჰო მაგრამ წაიბუტბუტა კორსიკელმა და სიტყვა გაუწყდა პირში (კ. გამსახურდია)

10. თუნდაც სოფელი ნაჭყვედი ათასზე მეტი კომლი ამომწყდარა ათაზე მეტი კერა ჩანაცრულა (კ. გამსახურდია)

11. შუაღამისას აფენს საფლავს მაღალ ფარაჯას
რადგან მარტომყოფს უსათუოდ სჭირდება ტოლი
თავსასთუმალთან რომ მოუწევს ერთგულ დარაჯად (ა. ბუაჩიძე)

12. იზეპირებდი პატარა სახლში
ღმერთის რისხვას და სულის გლოვათა
და ობლის თკალებს ჰკიდებდა ფარდას
ალმოსავლეთი და ამის გარდა
იის სუროსი სურნელი ნელი
და ჩამწყვდეული ხშირი სიცილის
ოთახში შიში შფოთვა სიფრთხილე
იხვეწებოდა ვით სურის ყელი (ნ. გელაშვილი)

13. დუმილი
ბადე
ლოდინი
თოლიების მშიერი ხმები
თევზი იქაა
ერთისთვის ძალიან ახლოს
მეორესთვის ძალიან შორს
არა ბადეში
ორივემ იცის ერთმანეთზე ჭეშმარიტება
ორივე თევზს ელოდება (დ. გოგია)

14. ჩემი სახელი აქ აშკარად არაფერ შუაში იყო ერთი წიგნიანი გოგონა შევამჩნიე მოწაფე უნდა ყოფილიყო
ხელი დავუქნიე (ლ. გოთუა)

15. მეფანდურემ მცდელად შეპხედა
ლელობი სულ ერთია გეცოდინება
ვიცი მართალია ჩაეღიმა მხედარს ეს ბილიკი მთა-მთა სათოვლე სერით ბოლოს არმაზ-მცხეთას კადადის
ახლა კი შედგა ვაკე
სახე დამანახვე და წვრილად გეტყვი გადაგყვებით კიდევაც თუ ერის
საქმე ითხოვს (ლ. გოთუა)

# წერტილ-მძიმე

წერტილ-მძიმე შუალედურ ადგილზე მდგომი ნიშანია წერტილსა და მძიმეს შორის. იგი ერთმანეთისგან მიჯნავს, გამოყოფს ერთნაირი ენობრივ ელემენტებს — ერთგვარ წევრებსა თუ ერთგვარ წინადადებებს, მით უფრო, როცა ეს წინადადებები, თავის მხრივ, მძიმეებს შეიცავს. *გემმა გადალახა ზღვები, ოკეანეები; უკან მოიტოვა უამრავი ქვეყანა, ქალაქი; შევიდა ზღაპრულ სამყაროში.*

წერტილ-მძიმე შეიძლება გამოვიყენოთ გეგმის საკითხების ჩამონათვალში.

სავარჯიშო № 9. დასვით სასვენი ნიშნები

1. საფუტკრის წინ ახალ გათიბულ მინდორზე კაცი იწვა ცალი მხარი ხალათიდან გამოეძრო და შიშველი მკლავი მზეზე გაეშვირა შიშველ მკლავსა და ხელზე უთვალავი ფუტკარი მისეოდა სახეზე მზისგან დასაცავად გოგრის დიდი ფოთლით ჰქონდა დაფარული ეტყობოდა ცალკე მზე აწუხებდა და ცალკე ფუტკრის კბენა ნიკაპი უძაგძაგებდა და შიშველი მხარ-მკლავი უტოკავდა (გ. აბაშიძე)

2. ცოტნემ მშობლებს ადრე დაბრუნება აღუთქვა ცხენს მოახტნენ და გაჰკურცხლეს თითო შველსა და ირემს დასჯერდნენ ხოხბები და გნოლ-კაკბებიც ინადირეს და უკან დროით გამობრუნდნენ (გ. აბაშიძე).

3. მშობლებს ბატონიშვილის გამოცოცხლება გუნების შეცვლა ახარებდა უკან მობრუნებული მემკვიდრის ამბავს შერგილი გამოწვლილვით კითხულობდა მის ნანადირევს ცალკე მიითვლიდა ისრის აუცდენლად ტყორცნას უქებდა და ახალი შემართებისათვის ამხნევებდა

4. მხატვრული ტექსტის რეცეფციული ესთეტიკის თვალსაზრისით განხილვამ ნაყოფიერი ზეგავლენა მოახდინა ლიტერატურის შემსწავლელი მეცნიერების განვითარებაზე ნათელი მოჰფინა ლიტერატურული პროცესების მრავალ ,,საიდუმლოს'' ლიტერატურული ჟანრების განვითარების მხატვრული გამომსახველობის ხერხთა ევოლუციის შინაგან მიზეზებსა თუ მოტივებს გარდა ამისა ამ მოძღვრებამ მნიშვნელოვნად აამაღლა მკითხველის სტატუსი მიაპყრო რა ყურადღება არა მარტო მის დიდ როლს ტექსტის აღქმისას ნაწარმოების გაცოცხლების საქმეში არამედ მის იდუმალ თანამონაწილეობასაც ტექსტის შექმნის პროცესში ამავე დროს მნიშვნელოვანი შედეგები მოიტანა მხატვრული ტექსტის საზოგადოებრივი ფუნქციის კვლევის სფეროშიც (ლ. ბრეგაძე).

5. 27 სექტემბერს სოხუმი ზეიმობდა თავის უღირს გამარჯვებას მაგრამ მჯერა და მწამს რომ სოხუმშივე იქნებოდა თუნდაც ერთი რუსი მართლმორწმუნე მონანიე რომელიც იმ დღეს მუხლმოყრილი იდგა ჯვარცმის წინაშე და მის სულშიც აღიმართა ცხოველმყოფი ჯვარი როგორც ღვთის თვალი როგორც გაფრთხილება მორწმუნე რომელიც მოწმეა ყველა იმ განუკითხაობისა რომლის გამარჯვებასაც ზეიმობდა სოხუმი (ე. ახვლედიანი)

6. ჩვენში ორიგინალობის მძაფრი სურვილით აღბეჭდილი მრავალი ლექსი იბეჭდება მაგრამ პოეზია სწორედ მაშინ კვდება როცა გამორჩეულობის ჟინი ათას სისულელეს წამოაძახებინებს ავტორს როცა თვალში საცემია მისი წადილი როგორმე რითიმე ყურადღება მიიპყროს თუნდაც სიშიშვლით ან უხამსობით სხვათაგან გამოირჩეს (გ. ალხაზიშვილი)

7. თავიდანვე უნდა განვაცხადო რომ სამეცნიერო მოხსენების წაკითხვას არ ვაპირებ და რომც მომენდომებინა ალბათ ვერც შევძლებდი რადგან არც პროფესიით და არც მოწოდებით არ ვარ ფილოსოფოსი არც ისტორიკოსი ვარ ასე რომ თუ რომელსამე საკითხთან დაკავშირებით ისტორიული მასალის მოხმობა დამჭირდა ეს არ იქნება პროფესიონალის კომპეტენტური დასკვნა არც სოციოლოგი ვარ რათა მოვლენები ამ ჭრილში განვიხილო არ ვარ ფსიქოლოგი (ლ. ბერძენიშვილი)

8. მთა ომივითაა რენტგენის სხივებით ამჟღავნებს ყველას ტაძარივითაა მთა ვისაც ცოტათი მაინც სწამს ღმერთის და ცოტათი მაინც უყვარს ადამიანი აქ განიწმინდება (გ. ოდიშარია)

9. მივდივარ და ვფიქრობ რომ სწორედ ღმერთმა მომიყვანა ამ უღელტეხილთან არ შეიძლებოდა სხვაგან გადაეხვია ჩემს შარას არ უნდა ქცეულიყო იგი კომფორტაბელურ გზად მე არც თვითმფრინავით უნდა დამეტოვებინა მშობლიური ქალაქი და არც გემით მხოლოდ უღელტეხილი იყო და არის ჩემი ბედისწერა ჩემი სიკვდილი და ჩემი სიცოცხლე სასოწარკვეთა და იმედი (გ. ოდიშარია)

# ორწერტილი

ორწერტილს ვხმარობთ შერწყმულსა და რთულ წინადადებებში. იგი დაისმის იმ შემთხვევაში, თუ ერთგვარი წევრები განმაზოგადებელი (გამაერთიანებელი) სიტყვის შემდეგაა. *ყველამ აქ მოიყარა თავი: დიდმა თუ პატარამ, ქალმა თუ კაცმა.*

თუ განმაზოგადებელ სიტყვას ახლავს ისეთი სიტყვა, რომელიც ერთგვარ წევრთა ჩამოთვლაზე მიუთითებს (მაგალითად, კონკრეტულად), ასეთი სიტყვის წინ მძიმე იწერება, მის შემდეგ კი – ორწერტილი. *ღონისძიებაში ბევრი კომპანია მონაწილეობს, მაგალითად: „საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“, „თელავის ღვინის მარანი“, „სამება“, „თბილღვინო“, „ვაზიანი“ და სხვა.*

ორწერტილი იწერება უკავშიროდ შეერთებული რთული წინადადების ნაწილებს შორის, როცა მეორე ნაწილი გადმოგვცემს პირველის მიზეზს, მიზანს ან შედეგს, ანდა ხსნის, განმარტავს, უფრო ვრცლად წარმოგვიდგენს პირველი ნაწილის მნიშვნელობას. *ოჯახში სრული სიმშვიდე სუფევდა: დიასახლისი წინდას ქსოვდა, კაცი სავარძელში თვლემდა, ბავშვებს ეძინათ.*

ორწერტილი შეიძლება დაიწეროს პირდაპირი ნათქვამის წინ, როდესაც იგი ავტორის სიტყვების შემდეგაა. *რუსთაველი წერს: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“.*

სავარჯიშო № 10. დასვით სასვენი ნიშნები

1. გლეხები ბედნიერნი იყვნენ მხოლოდ მოსავლის მეექვსედი იყო ამათი გადასახადი (ე. გაბაშვილი)

2. წელან ომი ვახსენე და ვიდრე ისევ ომს დავუბრუნდებოდე ამთავითვე უნდა გითხრათ თედოს ოინებიდან მხოლოდ ნახევარი მინახავს ჩემი თვალით დანარჩენი სოფლისაგან გამიგონია (თ. ბიბილური)

3. ბარემ ერთბაშად გამოვტყდები ისიც კი არ ვიცი საერთოდ თუ
არსებობს პატრიოტიზმის შემსწავლელი მეცნიერება ან რომელმა დარგმა
დაადო ტორი ამ სფეროს და დააპატენტა მასზე ფიქრის პრიორიტეტი (ლ. ბერძენიშვილი)

4. მინდა ვთქვა მოველი აღსასრულს რათა საბოლოოდ დავრწმუნდე რომ უკვდავი ვარ (ე. ახვლედიანი)

5. სიკვდილის წარმოსახვა ორმხრივ გახსნილია შეუძლებელია არ გაქრე და შეუძლებელია გაქრე (ე. ახვლედიანი)

6. ყმაწვილმა კაცმა მიიწია მისკენ და ხმადადაბლებით ჰკითხა თქვენ მართლა ეძებთ სადედინაცვლო ქალს (დ. კლდიაშვილი)

7. ილია წერდა ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია რა არა დაუზოგვია რა, არა დაუკლია რა

8. მაგიდაზე ელაგა ხილი ვაშლი მსხალი ატამი ყურძენი ქლიავი

9. აივანზე დარჩნენ მოხუცები მართა ქაიხოსრო ლუკა და ანა

10. ეზოში თამაშობდნენ ბავშვები მაია დატო გიორგი ანა და ეკა

11. ყველა იქ დაგვხვდა დავითი გიორგი იოსები თამარი და ნინო

12. ყველა შემთხვევის ადგილას ტრიალებდა ქალები კაცები ბავშვები

13. აქ ამ პატარა ახმეტაში ყველაფერი მალამოდ ეცხება ჩემს გრძნობა-გონებას მიწა წყალი მთა კლდე ცა

14. ნინოს დაურეცხავს ყველაფერი ჩაფები ხელადები დოქები ჭიქები

15. სავარძელზე გადაეფინათ ტანსაცმელი შარვალი პერანგი კაბა პიჯაკი და ჟილეტი

16. მთელი ოჯახი იქ დახვდა დედა მამა ბებია მამიდა და დები

17. ახლად შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაცია ასეთ პროექტს გვთავაზობს მოსახლეობაში მოვიძიოთ მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოცემული უიშვიათესი წიგნები და ბიბლიოთეკაში სამუზეუმო კუთხე მოვაწყოთ

18. აქა-იქ ოთახის სამკაულად ეყარა სხვადასხვა ნივთები მაგალითებრ ტალახიანი ყარაბაღული თეთრი წაღები პირმოტეხილი სპილენძის თუნგი ქონიანი შანდალი სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყრალაბალახი ზურგიელის ნაჭერი და სხვანი და სხვანი (ი. ჭავჭავაძე)

19. ბავშვმა ყველა ფიგურა მწვანედ გააფერადა ხეები პეპლები ყვავილები

20. ილია ჭავჭავაძე წერდა სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას ენა საღვთო რამ არის საზოგადოების საკუთრებაა ი ჭავჭავაძე ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვიდან შეშლილის თარგმანზედა

## ტირე

ტირეს ფუნქცია წინადადებაში მრავალფეროვანია. იგი დაისმის გამოტოვებული შემასმენლის ადგილას. *ფიქრია კნეინა ხორეშანის ფარეშია, მარინე — ტასოსი.*

ტირე დაისმის შედგენილ შემასმენელში გამოტოვებული ზმნური ნაწილის (მეშველი ზმნის) ადგილასაც. *ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა.*

ტირეს ვხმარობთ კავშირის გამოტოვებისას. *მივალ — გაწუმდება, გამოვბრუნდები — ტირის.*

ტირე იწერება განმაზოგადებელ სიტყვასთან შერწყმულ წინადადებაში, როცა განმაზოგადებელ სიტყვას უსწრებს ერთგვარი წევრები. *დიდები, პატარები — ყველანი შეიკრიბნენ.*

თუ ერთგვარი წევრები განმაზოგადებელ სიტყვასა და სინტაქსურად მასთან დაკავშირებულ წევრებს შორისაა ჩასმული, ისინი ტირეებით გამოიყოფა. *მეფის შვილებმა — ადარნასემ, ბაგრატმა და გუარამმა — უხვად გაიღეს შესაწირი.*

ტირე იწერება დანართის წინ, თუ დანართი წინადადების ბოლოშია. თუ დანართი წინადადების შუაშია, იგი თავისი ამხსნელი სიტყვებითურთ ორივე მხრიდან ტირეებით გამოიყოფა. *ამ კლუბში შემოქმედი ახალგაზრდები იკრიბებიან — უმთავრესად, მწერლები. გიორგიმ თვითონ წაიკითხა ორი ზღაპარი — „წითელქუდა" და „კომბლე" — და გახარებულმა უამბო დედას.*

ტირეს ვწერთ რამდენიმე მომდევნო განკერძოებული განსაზღვრების წინ. *მალე ზამთარი მოგვადგება კარს — ცივი და სუსხიანი.*

ტირე დაისმის ჩართული სიტყვებისა და წინადადებების გამოსაყოფად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ იგი ვრცელია. *ნამცეცა — ასე უწოდებდნენ ნინის მეგობრები — კეთილი და ნიჭიერი გოგონა აღმოჩნდა.*

„ეს", „ეგ" და „ამ" ნაცვალსახელების წინ, რომლებიც ცვლიან წინამავალ სახელობით ბრუნვაში დასმულ ქვემდებარეს ან პირდაპირ დამატებას, ტირე იწერება. *შრომა — ამ სახელით საქართველოში რამდენიმე სოფელი იყო ცნობილი.*

ტირეს ვწერთ ავტორის სიტყვების გამოსაყოფადაც, როცა ისინი პირდაპირი ნათქვამის შემდეგაა, ან მის შიგნითაა მოქცეული. ასეთ შემთხვევაში, ტირესთან ერთად მძიმეც იწერება. *ერთად წავიდეთ, — მთხოვა მეგობარმა, — მარტო სიარული არ მიყვარს.*

ტირე იწერება დიალოგებში პერსონაჟთა ნათქვამის გამოსაყოფად. ამასთან, თითოეული პერსონაჟის სიტყვას, ჩვეულებრივ, ახალი სტრიქონი ეთმობა.

— *წავიდეთ?*

— *რასაკვირველია.*

— *იქნებ არც ღირდეს...*

— *ნამდვილად ღირს.*

ტირე ზოგჯერ იხმარება ორწერტილის, მძიმისა და ფრჩხილების ადგილზე.

სავარჯიშო № 11. დასვით სასვენი ნიშნები

1. ჯემალ სკრიპკა

იანგული ლაწირაკო

ჯემალ ქამო

იანგული წუწკო ბერძენო

ჯემალ წირპლიანო

პატარების ყოჩო

ვირისთავო

ვირის მწყემსო

გოგოების მაჩალკა

ხულიგანო

თბილისელო ჰარიფო

შენი დედა ვატირე იანგული

იმანა სუ ინე პროსტიკასა ინეკა ჯემალ (ნ. დუმბაძე)

2. გრიგოლ რობაქიძეს გერმანულ სამყაროში ძალიან ხიბლავდა ნიცშე ნიცშეს შემოქმედებაში კი მითოსური ძალის აღორძინება (თ. გეგეშიძე)

3. ეს მასალა ანუ სიტყვა ენობრივი ნიშანი ყველაზე აბსტრაქტულია ხელოვნების სხვა დარგთა მხატვრობის თეატრის მუსიკის კინოს მიერ გამოყენებულ მასალასთან შედარებით (ლ. ბრეგაძე)

4. ტერმინები აქტუალიზაცია კონკრეტიზაცია, რეკონსტრუქცია ეკუთვნის რეცეფციული ესთეტიკის ერთ-ერთ ფუძემდებელს რომან ინგარდენს (ლ. ბრეგაძე)

5. მლუპავ მამა მივიდა იგი ბეკინასთან მლუპავ დანას მიყრი ყელში რატომ მიმეტებ შენი ჭირიმე ძლივს წარმოსთქვა პლატონმა და ხმაჩაწყვეტილმა უნუგეშოდ ხელები გაშალა

გლუპავ რათა შვილო რათა შენისთანა შვილი უნდა დალუპოს მამამ

აბა რაა და ისევ სიტყვა გაუშრა პლატონს

კარგი თუ გიყვარდე კარგი მხიარულად შესძახა ბეკინამ შე კარგო კაცო მე ერთი ბებრუხანა მოვათრიო შენ რატომ უნდა დაიღუპო შვილო რა დაგლუპავს თუ გიყვარდე

შვილი გეყოლება

ხა ხა ხა გადიხარხარა ბეკინამ და სიტყვა გააწყვეტინა პლატონს შვილი გეყოლებაო ხა ხა ხა რაღა დროს ჩემი შვილია შე კაცო ხა ხა ხა

მამა შენ ნუ მომიკვდები სიკვდილის მსგავს საქმეს მიპირებ

ერთი შენ დაჯინებულად ლაპარაკობ დღეს პლატონ დედაბერმა რავა უნდა შეგაშინოს მე გლახაკო ასე რატომ უნდა შეწუხდე ეგ შენი შიში მამაშვილობამ სრულიად უსაფუძვლოა რამე გევნებათ კი არა თუ დამიჯერებ სასარგებლოც იქნება საწყალ მელანოს ცოტა შეღავათი მაინც მიეცემა თვარა აღარაა ქალი უჭირს ერთ ადამიანს თელი ოჯახი კისერზე აწევს

ბატონო მელანოს ჯაფას რას დეეძებ შენ ნუ

რატომ რას დევეძებ გააწყვეტინა სიტყვა ბეკინამ რატომ არ დევეძებ ისიც შვილი არაა ჩემი

ბატონო შენ სხვებრ შეგვიბრალე და ჩვენს ჯაფას ნუ კითხულობ ნუ დარდობ ღმერთს ჯაფისათვის ვყავართ გაჩენილი ეუბნებოდა პლატონი მამა შენი ჭირიმე გადათქვი ცოლის თხოვა და რა გინდა ჩემგან

ნუ ხარ ჯინიანი შვილო შეუტია ბეკინამ მარტო შენს თავზე კი არ უნდა იფიქრო ადამიანმა

6. სხვამ რაც უნდა ის თქვას მე კი ამ სიტყვებით გავიმართლებ თავს მოყვარეს პირში უძრახე მტერს პირს უკანაო (ი. ჭავჭავაძე)

7. ვედრება ნატვრის ხე და მონანიება სამივე თენგიზ აბულაძის ფილმია

8. თქვენ სოფლელი ბიჭები ღონიერები ხართ მაგრამ მშიშრები

9. აბაშიძის სახლობა დაბრუნდა მაგრამ ყმა და მამული ჩამორთმეული დაუხვდა ოჯახი აკლებული და განადგურებული (ა. წერეთელი)

10. ჩემი ხატია სამშობლო სახატე მთელი ქვეყანა (ა. წერეთელი)

11. ოძელაშვილს ყველგან ჰყავდა დოსტი და ძმადნაფიცი ქიზიყში ნათლიმამა მირზაშვილი თიანეთში სანდრო ცისკარიშვილი გაღმა ბორჩალოში ანდრია ბურნაძე და ათიოდე თათარი (მ. ჯავახიშვილი)

12. ცხენს კბილებს გაუსინჯავენ მოჭიდავეს მხრებსო

13. რამდენი წლის ხარ ჰკითხა ერთმა
სამოცდაორის შენ
მე ორმოცდათვრამეტის

14. ერთმანეთის პირისპირ სხედან ორნი რაღაც უცხო ტომის ქალი და კაცი.

15. ჩვენი სახლის ზედა სართულს ოდა ერქვა ქვედას პალატი და ორივეს ერთად სასახლე

16. ღარიბი იყო მაგრამ მხიარული

17. ხელოვნება ეს ოქროა მიწის გულში დამარხული

18. ასეთი მანქანები გუთანი სალეწი გამნიავებელი ამჟამად თბილისშიც იშოვება

19. მას ხმელი თავი აქვს ქვემო ყბა მოკლე კანჭები თხელი ხოლო ბეჭის ძვლები სქელი და ძალოვანი.

20. დიდი თუ პატარა ყველა ულოცავდა აბდუშაჰილს გამარჯვებას (ა. წერეთელი)

21. ტურები არიან თქვა მან გეშინიათ

22. ხან უგნური ვარ ხან ბრძენი ხან არც ესა ვარ არც ისა (ა. წერეთელი)

23. განათლება ეს ხომ უაღრესად მნიშვნელოვანია

24. ნება შენი იყოს პლატონ ჩემო მაგრამ ახლა შენ მიჩქარი სიკვდილს შვილო სიცილით უთხრა მან.

რავა ბატონო

ი წყეულმა მეც რომ გამაყოლოს წინანდელებს რას მიპირებ მაშინ ა ხა ხა ხა ავი სანდობია მაგისთანა მთვარეზე დაბადებული დედაკაცი

შენისთანა ლონიერ ადამიანს ის ვერაფერს გიზამს შენ არ მომიკვდე

კარგი კარგი შვილო იამა ბეკინას შვილის სიტყვა კარგია შვილო ასე ქენი მარა საქმეს შორს ნუ გადადებ თვარა

არა ბატონო ამ დღეებშივე შევუდგები რაღაზე გავაჭიანურო საქნარი მოლეული ჯობია

ჰო ჰო რასაკვირველია რასაკვირველია მარა გახსოვდეს შვილო უხეირო ვინმეს არ შემყარო თორემ სირცხვილს გაჭმევ პლატონ მიგიტოვებ ქალს და სხვას მე თვითონ ამოვირჩევ მამაშვილობას გეფიცები ღიმილით უთხრა ბეკინამ

ბატონო მაგ რა საკადრისია რატომ ვიზამ მაგ საქმეს მიუგო პლატონმა ამაზე მეტად არ გჯერათ ჩემი

ჰო და აბა ჰე აბა ჰე აწი შენ იცი მე თანახმა ვარ ოღონდ არ დააგვიანო ესეც გახსოვდეს მეტს რაღას მომთხოვ კიდევ შვილო ყველაფერი შენს ნებაზედაა და ეგ არის აწი მაინც ვერაფერში მისაყვედურებ შვილო (დ. კლდიაშვილი)

25. სად იყავ შენი ჭირიმე ჰკითხა მერე კნეინასა რომ ეგრე დაიღალე

როგორ თუ სადა შენი ჭირიმე ოჯახობაა სახლია კარია თვალყურის ჭერა უნდა შენ გენაცვალოს ჩემი თავი მიუგო კნეინამ

ეგრე ჩემო დარეჯან ეგრე გეთაყვანე დედაკაცობაც ეგ არის და

მაშ მიუგო ქებით თავ-გაზვიადებულმა ცოლმა ესე უნდა თვალგაფაციცებული დასტრიალებდე მოსამსახურესა თორემ ჭამის მეტს არას გააკეთებს ბიჭებს მოვლა უნდა

მაშ მაშ

ბევრმა არ იცის როგორ მოეპყრას

მაშ არ იცის თორემ რომ იცოდეს კარგია მაშ

ხანდისხან ტყუილ-უბრალოდაც უნდა დასტუქსო რომ გამოლანძღო კიდეც ცუდი არ იქნება აი მე გავლანძღავ კიდეც გავუჯავრდები დავტუქსავ დავწყევლი სულ რისთვის იმისთვის რომ შიში და კრძალვა ჰქონდეს თორემ შენი მტერი

ოლონდაც შენი მტერი ოლონდაც

ეს გლეხები არიან გაქირ ვირსავით თუ ერთხელ შედგა მერე თუნდა შვინდის სახრით მისდგე ფეხს ვერ გადაადგმევინებ თუ ადრევე დატუქსული არა გყავს

ოლონდაც დატუქსული უნდა გყვანდეს მიუგო ხელახლად თავის ცოლის სიბრძნისაგან გაოცებულმა ლუარსაბმა ოლონდაც გაქირ ვირსავით შედგება

არა გეთაყვა ეს რაცა ვთქვი ტყუილია

ტყუილი რად იქნება მართალია შენოდენა დედაკაცს სიზმარიც დაეჯერება წამოროხა უთავბოლოდ ლუარსაბმა (ი. ჭავჭავაძე)

26. ხომ არ გეშინია

მეშინია

რატომ გეშინია

მეშინია

კიდევ გეშინია

მეშინია

გესმის გერშეინია

გერშეინია

კონიაკს დალევ

მანგოს წვენს

უნდა გაკოცო

მაკოცე

შენ არ მაკოცებ

მე არა

მაშინ მე ორჯერ გაკოცებ (ტ. ჭანტურია)

27. მერე

რაღა მერე ჩაიქნია ხელი პაპამ რაღა დარჩა ძაღლი არა კატა არა ქათამი არა ღორი ვირი ცხენიც ხომალდიც აღარ გამოჩენილა რაღაც ამბავი ხომ არაა იქით აიხედა პაპამ ზევით (ბ. ხვედელიძე)

28. ოთახი სამი იყო აქედან ჩვენ ორი გვეკუთვნოდა ორშიც იმ სახლის მდგმურები ცხოვრობდნენ ნონა და მისი ქალიშვილები (ბ. ჩეკურიშვილი)

29. გამიხარდავ ა გამიხარდავ

გადი კაცო დარდების შემგროვებელი იძახის

შენ გადი სალომე

მე რატომ გავიდე გადი გახისფეხდი

რა ვუთხრა მერე

აი რა უნაღვლელი კაცი ხარ ნეტავ როგორა ვძლებთ შენ ხელში არაფერი გადარდებს კაცო

მერე მაგას რა თავში ვახლი ჩემს დარდს

გადი ხო იცი თუ არაფერს ეტყვი არ მოგეშვება (გ. ჩოხელი)

30. დათუნა შვილო რაზე ფიქრობ გამოელაპარაკა დედა

არაფერზე დედა

მემგონი შენ იმ თოფზე ოცნებობ არა

ხო დედა

დათო შენ სახლში აიყვანე პატარები მე აქ შევალ საქმე მაქვს

შეგიძლია ასაუზმო

კი დედა

შემდეგ დააძინე

კარგი

მე წავედი (გ. რჩეულიშვილი)

31. თავდავიწყება სვ ყიფიანმა მიამბო ტყის კაცი პაოლო იაშვილმა ორი განაჩენი შოთა დადიანმა მართალი აბდულაჰ სანდრო შანშიაშვილმა თეთრი კურდღელი პროფ ასათიანმა სხვებისგანაც ბევრი რამ მოვისმინე და აქა-იქ რომანებსა და მოთხრობებში გავფანტე (მ. ჯავახიშვილი)

## დეფისი

დეფისი გამოიყენება სტრიქონიდან სტრიქონზე სიტყვის გადატანისას, რთული სიტყვის (კომპოზიტის) ნაწილებს შორის, აგრეთვე, სიტყვებს შორის, რომლებიც აღნიშნავს დროის, სივრცის ან რაოდენობის მიჯნას. *სამეცნიერო-ტექნიკური, XIX-XX სს.* დეფისს ვწერთ იმ შემთხვევაშიც, როცა ქართული სიტყვის ფუძე ან ბრუნვის ნიშანი უცხო სიტყვის ფუძესთანაა დაკავშირებული, ანდა ციფრებით გამოხატულ რიცხვით სახელს რიგობითობის მაწარმოებელი აფიქსი, ბრუნვის ნიშანი ან სხვა ფორმანტი დაერთვის. *X-ქრომოსომები, მე-15, გიორგი III-მ.*

დეფისით გამოიყოფა სხვათა სიტყვის ნაწილაკები -მეთქი და -თქო. *წავიდეთ-მეთქი.* ამასთან, მეთქი- და -თქო-ნაწილაკიანი სხვათა სიტყვა ბრჭყალებში არ ჩაისმის. ბრჭყალებში შეიძლება ჩავსვათ სხვათა სიტყვის „ო"-ნაწილაკდართული პირდაპირი ნათქვამი, ისიც იმ შემთხვევაში, თუ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რომ იგი სხვისი ნათქვამია (მაგალითად, ანდაზა). *„ძალა აღმართს ხნავსო".*

დეფისი და ტირე ორი სხვადასხვა ნიშანია და ისინი ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ. არ შეიძლება, მაგალითად, ვთქვათ, რომ *დედ-მამა* იწერება ტირეთი. ეს წესი უნდა გავითვალისწინოთ წერისა და ბეჭდვის დროსაც: ტირე დეფისზე დიდია (დაახლოებით ორი ასოს ტოლი) და წინა და მომდევნო სიტყვებისგან დაშორებულია იმხელა მანძილით, რამხელაც სიტყვებს შორისაა დაცული. *დღეს ღამე მოსდევს, ღამეს – დღე.* დეფისი პატარაა (ერთი ასოს ტოლი) და ვინაიდან იგი სიტყვის ნაწილებს აერთებს და არა სიტყვებს, წინა და მომდევნო ასოებისგან მხოლოდ იმხელა მანძილითაა დაშორებული, რამხელაც ასოებს შორისაა დაცული. *გაიარ-გამოიარა.*

სავარჯიშო № 12. დასვით სასვენი ნიშნები, მათ შორის, დეფისები

1. მთავარია ტყვია წამალი არ გავითავდეს და არაფერი გვიჭირს

2. ივლიანე მოძღვარს ზღვა მოსწყინდა და ტყე ტყე და მთამთა ხეტიალი მოუნდა კარის ეკლესიიდან მწევარმეძებრებთან და ქორ მიმინოებთან გადაბარგდა და სულის სასარგებლო მოღვაწეობა თითქმის დაივიწყა (გ. აბაშიძე)

3. დღევანდელი კაცობრიობა ბერძნულლათინური ტერმინებით სულდგმულობს მაგრამ რამდენჯერაც უნდა გაუმეოროთ ძველ რომაელს კომპიუტერი სულ ერთია ვერაფრით გააგებინებთ სახელდობრ რაზე ელაპარაკებით (ლ. ბერძენიშვილი).

4. თავისი ბებიისა და დედ-მამისგან განსხვავებით შესანიშნავი ქართულით მეტყველებს სომხური არა თუ ფრაზა ერთი სიტყვა ერთი შორისდებულიც კი არ წამოსცდება და მეტიც საქმროს ერთგულებას რუსთაველის ზეპირად ნათქვამი სტრიქონებით ეფიცება (ლ. ბერძენიშვილი)

5. საერთოდ მწერლობა ერის სულიერ კულტურის ერთ ერთ დედაბოძად ითვლება (მ. ჯავახიშვილი).

6. თევდორეს ბაღბოსტანი სხვის ხელში გადავა ამიტომ მეგობრები ზოგჯერ დუქანს ასცდებიან და თევდორეს ბაღ ბოსტანს გიდელკალათებით ესტუმრებიან (მ. ჯავახიშვილი)

7. მზეს შევცქერით და გეზი ჩრდილოდასავლეთისკენ მიგვაქვს (მ. ჯავახიშვილი)

8. ჯუანშერს ხელფეხი გაუცივდა თითქოს დამბლამ შეიპყროო და მიმქრალი თვალები კაკლებივით გადმოეყარა (მ. ჯავახიშვილი)

9. მაზუთით დაბეგილ შავ ცისტერნებს პეტრეპავლეს სასაფლაოს გასწვრივ ლაზარეთის გალავნის წინ მიაგრიალებდა ორი ელმავალი (რ. ჭეიშვილი)

10. დგანან ჭიშკრის დედოს ჩრდილში ქარიან მთვარიანში (რ. ჭეიშვილი)

11. ცარიელი ლიფტი დახრიალებს ზევითქვევით სართულსა და სართულშუა დროდადრო ანათებს წითელი თვალი (რ. ჭეიშვილი)

12. ეს ბზარი თუ იყომეთქი ვიკითხე სხვა არაფერი ხომ არ შეგაშინეთ უკაცრავად ბოდიში ბზარების გამო (რ. ჭეიშვილი)

13. იგავ არაკები მანდა გაქვთ ეკითხება ხალათაფორაჯებული დასაკეცი კიბის ფალანგზე მკლავჩამოდებული მღებავი (რ. ჭეიშვილი)

14. მომისმინემეთქი გითხარი ზრდილობა არ გაქვს სულ შენც მშვენივრად გეტყობა სადაც ხარ გაზრდილი (ბ. ხვედელიძე)

15. პაპა კარლო და მეზობლის ქალი ფეხაკრეფით უახლოვდებოდნენ საწოლს და ფრთხილად უჭერდნენ მხერინავ მამას ხელფეხს (ბ. ხვედელიძე)

16. მხოლოდ ერთს დავძენ ეს წიგნი თავის დროზე მკვლელმანიაკებს შორისაც ძალიან პოპულარული იყო დაწყებული ჩარლი მენსონით და დამთავრებული მარკ ჩეპმენით (მ. ხარბედია)

17. ნაწარმოებში უცნაური განწყობა იგრძნობა ეს არის თითქოსდა უნებლიეთ რელიგიური ლექსი ლექსისამძიმარი (ლ. კოდალაშვილი)

18. ნელნელა სხვებიც მოდიან ქალები კაცები ზოგს გაზეთში გაუხვევია სადილი ზოგს ცელოფანში (ბ კვირტია).

19. დიალექტები ქართული ენის შვილები არიან სვანური და მეგრულჭანური კი ქართული ენის ძმები მშობლის ქართველური ენის იერ სახე ზოგჯერ ქართულმა უკეთ შემოგვინახა ზოგჯერ სვანურმა და ზოგჯერაც მეგრულ ჭანურმა (თ. კვაჭანტირაძე)

20. ამ საოცარმა ხელოვნებამ როგორც ციებ ცხელებამ ისე შეიპყრო მთელი ინდოეთი (შ. ჩანტლაძე)

## ფრჩხილები

ფრჩხილები ერთი ნიშანია. ფრჩხილებში ჩაისმის სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომლებიც ხსნის, განმარტავს წინა სიტყვის მნიშვნელობას. *აკუპუნქტურა (წერტილოვანი მასაჟი) ხშირ შემთხვევაში საკმაოდ ეფექტურია.*

ფრჩხილებში უნდა ჩაიწეროს ჩართული სიტყვები და წინადადებები, რომლებიც იძლევიან დამატებით ცნობას, ახსნა-განმარტებას თუ შენიშვნას ძირითად წინადადებაში გამოთქმულ აზრთან დაკავშირებით. *ეფრემის შვილები, რა თქმა უნდა, კაჟება (ქალი მუნჯი ჰყავდა), გაიოზი და ბაქარი, თელავის სასულიერო სემინარიაში იზრდებოდნენ.*

ფრჩხილებში წერენ მსმენელთა რეაქციას სტენოგრაფიულ ანგარიშებში *(ტაში), (სიცილი დარბაზში).*

ფრჩხილებში უნდა ჩავსვათ ტექსტში დამოწმებულ წყაროზე მითითება. *ეს ლექსი ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ორტომეულის I ტომშია დაბეჭდილი (ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა ტომი I, თბ., 1979 წ., გვ. 169).*

არც გახსნილი და არც დახურული ფრჩხილების წინ არ დაისმის სასვენი ნიშანი. ისინი დაისმის მხოლოდ დახურული ფრჩხილის შემდეგ. დახურული ფრჩხილის წინ შეიძლება იყოს მხოლოდ ის სასვენი ნიშანი, რომელიც ფრჩხილებში მოთავსებულ სიტყვებთანაა დაკავშირებული, მაგალითად, წერტილი შემოკლების ნიშნად. *„სალხინო" კურნავს უამრავ დაავადებას (ოსტეოქონდროზს, სახსრების დაავადებას, მასტიტს, ნევროზს და ა. შ.).*

სავარჯიშო № 13. დასვით სასვენი ნიშნები, მათ შორის ფრჩხილები

1. ჭოლა მძიმედ დაავადებული და ფიზიკურად დაუძლურებული 1912 წელს მოათავსეს სარატოვის დავრდომილთა თავშესაფარში აქვე გარდაიცვალა იგი 1915 წელს დაასაფლავეს თბილისში კუკიის სასაფლაოზე ამჟამად განისვენებს დიდუბის პანთეონში (ს. ჭილაია)

2. თუ გავითვალისწინებთ რომ ამ პერსონაჟებს მიმოწერის საჭიროება რეალურად აქვთ რადგან ტერიტორიულად საკმაოდ დაშორებულნი არიან ერთმანეთისგან ერთი ამერიკაშია მეორე კი საქართველოში ეს მაინც არასაკმარისი მიზეზი აღმოჩნდება იმისთვის რომ საერთოდ არ ჩანდეს მათი თუნდაც ტექსტისმიღმიერი ურთიერთობა უკიდურეს შემთხვევაში თუნდაც ცალკეული მათი ყოფა და არსებობა რაც ალბათ უნდა იგულისხმებოდეს ამ მიმოწერის ნებისმიერი მიმოწერის პარალელურად ის თუ როგორ ცხოვრობენ ისინი თავისთვის მესამე პირში ან რას ფიქრობენ მიმოწერის მიღმა პირველ პირში (დ. ჩიხლაძე)

3. სახელები რომლებიც მაშინ გამოჩნდა ქართული ლიტერატურის სცენაზე ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით რადგან რეპრეზენტაციები უფრო შეეხებოდა საბინაო შეკრებებს ქუჩებს გამოფენებს უნივერსიტეტის აუდიტორიებსა თუ თვითგამოცემებს სრულად წარმოაჩენენ ამ რადიკალიზმის შესაძლო სპექტრს თუმცა ეს ტენდენციები მათ შემოქმედებაში მხოლოდ განვითარებაში გამოჩნდა უფრო სისტემურად ან სტილის სახით (დ. ჩიხლაძე)

4. გიორგის ცოლმა თავი ზედ დააკლა საცა ჩემი გიორგი მოკვდა მეც იქ უნდა მოვკვდეო იმათ საფლავს ახლაც ყარაულები უყენია მთქმელი ა ქებაძე 60 წლისა ს კავთისხევი წერა-კითხვის მცირე მცოდნე ჩაწერილია 1943 წლის იანვარში (გ. შატბერაშვილი)

5. ფრაგმენტაციის ხანის ეს ორივე საგულისხმო პოეტური ფართო გაგებით ნაწარმოები ბარბაქაძის „ტრფობა წამებულთა'' და ამაღლობელის „სეკვენცია'' კარგად გვიჩვენებს რომ მხოლოდ პოეტურ ტრადიციასთან მუშაობით შეიძლება მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევა გნებავთ მისი დეკონსტრუქციისა თუ პირიქით ამ ტრადიციის განახლებისა თუ გაგრძელების გზით კიდევ ერთხელ მსურს გავიმეორო რომ ფრაგმენტაციის ხანის პოეტთა ნაკლი ტრადიციასთან დაპირისპირება კი არაა არამედ ქართული სალიტერატურო ენისა და ამ ენაზე შექმნილი ლიტერატურის არცოდნა ან შეზღუდული ცოდნა ერთი მხრივ ხოლო მეორე მხრივ სტერილური ქართული და პოეტური რეფლექსიის თვითცნობიერების ნაკლებობა სწორედ ამის გამო ვერ ქმნიან ისინი ესთეტიკურად მნიშვნელოვან ნაწარმოებებს (ზ. შათირიშვილი)

6. ამ ორი სინამდვილის სინქრონიზაცია ძირეულ პოლიტიკურ და საკონსტიტუციო რეფორმებს საბოლოო ჯამში კი სრულიად ახალ კონსტიტუციას მოითხოვს რათა ლიბერალური დემოკრატიის კონსოლიდაცია ჰაერში არ გამოეკიდოს და დაუსრულებელ პროექტად არ დარჩეს (ლ. რამიშვილი)

7. მარი ბროსემ გამოაქვეყნა ჯუანშერის XI ს ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა რომელშიც მოხსენებულია ვარსქენის მიერ შუშანიკის წამება ბაკურის ზეობაში ე ი VI საუკუნის მეორე ნახევარში აგრეთვე ბაკურ მეფის მიერ ვარსქენის სიკვდილით დასჯა საგულისხმოა რომ ჯუანშერის ამ შეცდომას არაერთი ძველი ავტორი ვახუშტი ანტონ პირველი ი ბაგრატიონი და სხვ იმეორებდა მარი ბროსე იყო პირველი მკვლევარი რომელმაც კრიტიკულად განიხილა ჯუანშერის თვალსაზრისი (ლ. მენაბდე).

8. ახლახან მარტონ იშტვანოვიჩმა კელეტ ტოტაშის ფურცლებზე მოკლე წინასიტყვაობით გამოაქვეყნა შუშანიკის წამების შემოკლებული უნგრული თარგმანი სრული სახით იბეჭდება ქართული პროზის ანთოლოგიაში პარიზში დაიბეჭდა შუშანიკის წამების ს წულაძისეული ფრანგული თარგმანი (ლ. მენაბდე)

9. ჩვეულებრივ სამღვდელოების შემდეგი სურათი წარმოჩინდებოდა ერთ მხარეს რადიკალური ფუნდამენტალისტები მეორე მხარეს ლიბერალები ისინი საქართველოს ეკლესიაში უკვე გაანადგურეს ხოლო შუაში დიდი ჭაობი რომელიც მრავალრიცხოვანი სრულიად ინერტული და გაუნათლებელი კონფორმისტებისაგან შედგება (ბ. კობახიძე)

10. ბოლო დრომდე ვინახავდი თანდათან მეფანტებოდა მეკარგებოდა წიგნთა არდაბრუნების ქართული წესის მიმდევარ მთხოვნელთა გამოისობით წიგნებს სადაც მისი რჩევით შემეძლო

ცნობები ამომკრიფა ფრანჩესკო ასიზელისა თუ ანრი ბერგსონის შესახებ ვიდრე უშუალო წყაროები გამოჩნდებოდა (ზ. კიკნაძე)

11. არ უნდა გვქვებოს იმის ილუზიამ რომ წიგნებში დაბეჭდილი ზეპირსიტყვიერების ზღაპრებიდან დაწყებული ანდაზებით დამთავრებული ტექსტები რამდენადმე სრულყოფილ ან ნამდვილ წარმოდგენას გვიქმნის ზეპირსიტყვიერ შემოქმედებაზე (ზ. კიკნაძე)

12. სწორედ აქ არის არსებითი განსხვავება ძველი აღმოსავლეთის შუმერი და აქადი ფინიკია ხეთები ხურიტები ეგვიპტე კულტურებისაგან ისინი უპირატესად არქეოლოგიური შეიძლება ითქვას ნამარხი და აღმოჩენილი კულტურებია (ზ. კიკნაძე)

13. მიუხედავად იმისა რომ მისი გარდაცვალების შემდეგ იყო ცალკეული მნიშვნელოვანი პუბლიკაციები მესამე გზის სპეციალური გამოშვება 1994 წელს საარქივო მასალის ბეჭდვა 2002 2004 წლებში ალტერნატივაში ამ ორტომეულში უკვე რელიეფურად გამოიკვეთა კარლო კაჭარავას როგორც პოეტის მოაზროვნისა და კულტურტრეგერის ფენომენი.(შ. იათაშვილი)

14. კლასიკურად სადა სტილით ჩამონაკვთული მისი ნაწარმოებების გაცნობისას გალაკტიონ ტაბიძის ლექსთა მსგავსად იოლად აღიძვროდა ყოველივეს მსწრაფლ შეცნობისა თუ წვდომის ილუზია ასე რომ დავითიანის ლამის ყოველ მკითხველს თავისი გურამიშვილი ჰყავდა და დღესაც ჰყავს თვალწინ ესეც არის ერთი ნიშანი დიდთა შემოქმედთა თავისებურებისა ამგვარმა ვითარებამ გაიოლებასთან ერთად გააძნელა კიდეც დავით გურამიშვილის სამყაროსთან მიახლოება (რ თვარაძე)

15. ჩვენ შეგვიძლია აღვფრთოვანდეთ ყოველგვარი თეოფანიით ღვთის გამოცხადებით რადგანაც ვიცით რომ ქრისტე ყველა მათგანის რეკაპიტულაციას ახდენს თავის თავში შემოკრებს და მათზე მაღლდება როგორც ამბობენ წმ ირინეოს ლიონელი და წმ მაქსიმე აღმსარებელი (ზ. თვარაძე)

16. ანთროპოლოგთა ამერიკული სკოლის მკვლევართა ჰარნერი კასტანედა ელიადე მალინოვსკი ელკინი ევანსპრიჩარდი თვალსაზრისით მითი რიტუალი და მაგია ძალა ერთმანეთისაგან განუყოფელია (ხ. თავდგირიძე)

17. შრომის პროცესსა თუ ნადირობის წინ შესრულებული სასიმღერო-საფერხულო ტექსტი რომლის შინაარსობრივი ბირთვი კოსმოგონიურია საწყისის მითს გააცხადებს და ერთადერთ მიზანს კონკრეტულ სფეროში შრომანაყოფიერება ნადირობა და ა შ მაგიური ზემოქმედების გზით წარმატების მიღწევას ემსახურება (ხ. თავდგირიძე)

18. თასს როგორც სარიტუალო ნიშანს იყენებდნენ ბარბალეს სახელობის სვანურ დღეობა ლიქურაში ანუ ლიქურეში დღეობის წინა დღეს ხუთშაბათს მელქორაშს ლიქურაშის მორიგე მედღეობე ბარბალეს სახელობის ეკლესიიდან ბარბლა თასი ანუ ნიშანი მიჰქონდა და ლოცვა ვედრებით თავის მარანში ათავსებდა (ხ. თავდგირიძე)

19. კონკრეტიზაციის და რეკონსტრუქციის წინაპირობა კი არის აქტუალიზაცია ანუ ნაწარმოების დეტალის ან ეპიზოდის გაცოცხლება გასაგნება მკითხველის მიერ წუთიერი სცენის გარდასახვა გაშლილ სურათად რომელიც წარმოქმნის ასოციაციათა და ემოციათა განტოტვილ ქსელს თანამედროვე საზღვარგარეთული ლიტერატურისმცოდნეობა ენციკლოპედიური ცნობარი მ 1996 სტატია აქტუალიზაცია ციტირებას ვახდენ თამარ ლომიძის მიერ შესრულებული ქართული თარგმნიდან სცანი III ვვ 213 (ლ. ბრეგაძე)

20. ჩვენი ეროვნული სულის ორი პოლუსია მინდია და მურმანი ორი უკიდურესი გადახრა მიღებული ნორმიდან ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით (გ. ასათიანი)

21. თანამედროვე ცხოვრებაში კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ფუნქციის გაზრდამ წარმოშვა ე წ ვირტუალური ენის ქვეტიპი სადაც ვერბალური ნარატივის გარდა მნიშვნელოვანია ისეთი სემიოტიკური ნიშნებიც როგორიცაა სიცილაკები ღიმილაკები და სხვადასხვა სახის პიქტოგრამები (დ. ანფიმიადი)

22. ო კონტმა თავის ექვსტომიან თხზულებაში პოზიტიური ფილოსოფიის კურსი მხოლოდ სპეციალურ პოზიტიურ მეცნიერებათა მათემატიკა ასტრონომია ფიზიკა ქიმია ბიოლოგია სოციოლოგია პრობლემები განიხილა ხოლო ფილოსოფიას არავითარი ადგილი არ დაუთმო (ს ავალიანი)

23. დიფერენცირებულ ინდივიდუალიზებული ანუ სიღრმითსიღრმემდე სინთეტურად ათვისებული მხატვრულად გარდასახული მოდერნისტული აზროვნება არის შემაერთებელი არა მარტო გერმანულენოვანი არამედ მთელი ევროპული ლიტერატურული სამყაროსი (ბ. ადეიშვილი)

24. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება რომ შოთას პერსონაჟები ყველანი ფორმალურად არაქართველები და არაქრისტიანები სხვა რელიგიების როგორც წესი ისლამური რელიგიის წარმომადგენლები არიან (ნ. კაკაბაძე)

25. ისინი ვინც ძალაუფლებას ფლობენ და ეს მარტო ამერიკას არ ეხება უნდა იყვნენ მიმტევებელნი და სამართლიანები რადგანაც შეერთებულ შტატებს აქვს დიდი ძალაუფლება ყოველგვარი კრიტიკა მისთვის და მისი ხალხისთვის მხოლოდ სიკეთის მომტანი იქნება
(თ. აქუბარდია)

## ბრჭყალები

ბრჭყალებში ჩაისმის უცვლელად, სიტყვასიტყვით მოყვანილი ციტატები, გამოთქმები, რომლებიც სხვას ეკუთვნის და არა ავტორს. *რუსთაველი წერს: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი".*

ბრჭყალებში ვსვამთ ორგანიზაციის, დაწესებულების, ჟურნალის, გაზეთის, ნაწარმოების, ფილმის, სპექტაკლის, გემის, მაღაზიის, სასტუმროს, რაიმე საგნის სახელწოდებას. *გაზეთი „24 საათი", ჟურნალი „ჩვენი მწერლობა", სააგენტო „ჯეოპოლიტიკისი" და სხვა.*

ბრჭყალებში უნდა ჩავსვათ ირონიულად ნათქვამი, ასევე, ჩვეულებრივისგან განსხვავებული მნიშვნელობით ნათქვამი სიტყვები. *ილია გვიხატავს ლამაზისეულის „მშვენიერ" გარეგნობას.*

ბრჭყალებში ჩაისმის ბარბარიზმები და მოძველებული სიტყვები. *ლარსის „სტანციაში" ილია რუს ოფიცერს შეხვდა.*

წერტილი, მძიმე, წერტილ-მძიმე ან ტირე მხოლოდ დახურული ბრჭყალების შემდეგ უნდა დაიწეროს. *„შუშანიკის წამება", რომელიც მეხუთე საუკუნეში დაიწერა, ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ნაწარმოებია.*

კითხვისა და ძახილის ნიშნები (ანდა კითხვა-ძახილის ნიშანი) უნდა დაიწეროს ბოლო ბრჭყალების წინ, თუ იგი განეკუთვნება ბრჭყალებში მოქცეულ სიტყვას ან სიტყვებს. *„ურიგო არაფერი გაუბედოთ!" – უბრძანეს მათ.* ხოლო თუ ეს ნიშნები ბრჭყალებში ჩასმულ სიტყვებთან ერთად მთელ წინადადებას განეკუთვნება, მაშინ ბრჭყალების შემდეგ უნდა დავსვათ. *წაკითხული გაქვთ „სამოსელი პირველი"?*

სავარჯიშო № 14. დასვით სასვენი ნიშნები, მათ შორის ბრჭყალები

1. ილიამ გაზეთ დროების ნომერი მოითხოვა

2. კინოთეატრი სიხარული ქალაქის გარეუბანშია

3. ვედრება ნატვრის ხე და მონანიება სამივე თენგიზ აბულაძის ფილმია

4. აგვისტოს ნათელი ხმაური და მძვინვარება და აბესალომ აბესლომ უილიამ ფოლკნერის ნაწარმოებებია

5. შემოდგომის სონატა და მარწყვის მდელო ინგმარ ბერგმანის ფილმებია მსხვერპლშეწირვა და ნოსტალგია კი ანდრეი ტარკოვსკისა

6. ეს კაცი სწორედ შეეცოდებოდა კაცს რომ თვით ამბავი სასაცილო არ ყოფილიყო აი ბატონი კლდიაშვილის მოთხრობების მთავარი აზრი და თუ გნებავთ აი მთელი აზრი ჩვენის ცხოვრებისა ჩვენი ბეჩავი და საცოდავი ცხოვრებისა (კ. აბაშიძე)

7. ოთარაანთ ქვრივი მოთხრობის შესავალიდანვე ასე გვიხასიათებს თავის თავს თუ გაჭირდა რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფემდი ვიელი (კ. აბაშიძე)

8. ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში ბავშვები ერთნაირი გატაცებით კითხულობენ პეროს გრიმებსა და ანდერსენის ზღაპრებს დანიელ დეფოს რობინზონ კრუზოსა და ჯონათან სვიფტის გულივერის მოგზაურობას სერვანტესის დონ კიხოტსა და რაბლეს გარგანტუასა და პანტაგრუელს

დიუმასა და ჟიულ ვერნის ვალტერ სკოტისა და დიკენსის რომანებს მარკ ტვენისა და კიპლინგის მოთხრობებს (გ. აბაშიძე)

9. ნოვატორული სიშმაგე საერთოდ დამახასიათებელია XX საუკუნისათვის განსაკუთრებით კი ჩვენი დროებისათვის (ლ. ავალიანი)

10. მას შეეძლო გაემეორებინა რაბინდრანათ თაგორის სიტყვები მე დამიწერია ბევრი თავისუფალი ლექსი და ყველაფერი რაც მათში ვთქვი არ შემეძლო გადმომეცა რომელიმე სხვა ფორმით შესაძლოა მათ მდიდრული სამოსელი არ აცვიათ მაგრამ ლამაზად კი გამოიყურებიან მე ვფიქრობ სწორედ ამიტომ შეიძლება მათი დაყენება წმინდა პოეზიის გვერდით (ლ. ალიმონაკი)

11. სხვა რა გზა მქონდა დავურეკე კრიჟანს როგორც მისი ცოლი ეძახდა და ვთხოვე ხუთასი მანეთი სესხად (გ. ალხაზიშვილი)

12. ბოლო ხანებში ხშირად ვფიქრობ, რომ მთელი ეს პროგრესი და კულტურული გადატრიალება სხვა არაფერია თუ არა დროის გატარების ახალ-ახალი საშუალებების გაუთავებელი ძებნა (დ. ანფიმიადი)

13. კრეისერ შმიდტის გამოჩენამ ქალაქს თავზარი დასცა ხალხი პანიკამ მოიცვა მოქალაქეთა შორის თავი იჩინა შიშმა სიმხდალემ და გაუტანლობამ ყოველთვის ასე ხდება როდესაც მშვიდობიან მოსახლეობას შეიარაღებულ მომხვდურთან უწევს ურთიერთობის გარკვევა (გ. არგანაშვილი)

14. ერთმა კრიტიკოსმა კიდევ ერთმა ჩემი პოემა კოლხიდა გააბიაბრუა (ლ. ასათიანი)

15. მწვანე ბაზარში ვნახე გალაკტიონი ქეიფობდა ქუთაისელ მემწვანილეებთან და მეტაჩკეებთან (ლ. ასათიანი)

16. რა მომწონს კაკო ყაჩაღში ლუღუნი იგი ჩამრჩენია გულს მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი მითხარ დედალო 'რას აკეთებდი და შეუნგრია გულის ფიცარი შენი გაჩენის ჭირიმე შენი ორივ წაილო ერთმა ნაღველმა (ლ. ასათიანი)

17. როგორი იქნება გალექსილი ასფურცელა და ირმისა ორი საუკეთესო ქართული ზღაპარი (ლ. ასათიანი)

18. ჩვენს ნიკას ორმოცი წლის ვუნდერკინდი შეარქვა ალიოშა საჯაიამ მასვე ეკუთვნის ნიკაზე თქმული მდივანი გვყავდა ნიკოლა ვაქებდით  არა იყო რა (ლ. ასათიანი)

18. მშვენიერი ხალხური სიმღერები ფერად შინდი ვახტანგური შვიდკაცა წინწყარო ბროლის ყელსა და სხვები მეტად ძნელად შესასრულებელი და ჩახლართული სიმღერებია (ლ. ასათიანი)

19. მოზარდის ფერად ცხოვრებაში იჭრება ნაცრისფერ ტონებში შეფერილი დამთრგუნველი რეალობა მის ცნობიერებაში ახალი ცხოვრებისეული პრინციპების შეთვისება დიდი ემოციური წინააღმდეგობის ფონზე მიმდინარეობს, რადგან მოზარდის სათუთი გონება რეალობასთან

შეჯახებისას დაუცველია და ყოფიერებაში გამეფებულ ბოროტებას ახლებურად აცნობიერებს ამის შემდეგ მისი ცნობიერება სამოთხის ბაღს ტოვებს და ურჩხულების ქვეყანაში აბიჯებს (თ აქუბარდია)

20. ერთხელ ჩვენმა ცნობილმა ჟურნალისტმა რეტროპერსპექტივის წამყვანმა ქალბატონმა თამარ ცაგარეიშვილმა ჩემს ჯგუფს ასეთი შეკითხვა დაუსვა რა არის სამშობლო (ე. ახვლედიანი)

21. ხსნადი კაფკა ზაზა ბურჭულაძის მცირე რომანია რომელსაც საბა არ მიენიჭა რადგან ცუდი სიტყვებით იყო დაწერილი დიდი ლექსიკოლოგის სახელი არ შეიძლება უკავშირდებოდეს ცუდ სიტყვებს ბარემ იქნებ გენიოსის მიერ განმარტებული ერთი-ორი სიტყვაც ამოგვეღო სიტყვის კონიდან და საერთოდ ავტორს თუ საბა უნდა სასაბაოდაც უნდა წეროს და ილაპარაკოს განსაკუთრებით ეთერში (ლ. ბერძენიშვილი)

22. ტერმინი პატრიოტიზმი შვა ერთმა ცნობილმა სიმღერამ რომელიც თავიდან საბრძოლო მარში იყო მერე კი საფრანგეთის სახელმწიფო ჰიმნად იქცა მე ვიგულისხმე მარსელიოზა და მისი სიტყვები ალონს ენფანტს დე ლა პატრიე გავეშუროთ სამშობლოს შვილებო სწორედ ეს
პატრი და მხოლოდ ეს პატრი არის საფუძველი პატრიოტიზმისა რაც იმას ნიშნავს რომ პატრიოტიზმს საფუძველი უჩნდება მხოლოდ მას შემდეგ რაც ჩნდება ახალი რეალობა სამშობლო როგორც ლოიალობის სუბიექტი (ლ. ბერძენიშვილი)

23. გრიგოლ რობაქიძის ერთ-ერთი პირველი წერილი რა არის მოდა 1902 წელს დაიბეჭდა ჟურნალ კვალში №20 გვ 227 229 1910 წელს კი ჟურნალ ფასკუნჯში № 1 გვ 76 გამოქვეყნდა მისი თარის ხმა ლექციიდან ბარათაშვილზედ მაგრამ მათში მხოლოდ ზოგადად საუბრობს ავტორი ქართული პოეზიის თავისებურებაზე (თ. ბარბაქაძე)

24. ამელი ნოტომის უზარმაზარი მოუქნელი ცოტა საშიში იდუმალი ღვთაებების მსგავსი პერსონაჟები პრედექსტატი მკვლელის ჰიგიენა პალამედი ბერნადეტი კატილინას წინააღმდეგ ბატონი ომორი კრძალვითა და ცახცახით სწორედ იაპონური ორთაბრძოლების შთაბეჭდილებებითაა ნასაზრდოები (ნ. ბექიშვილი)

25. ოცდაოთხი წლის ილია ჭავჭავაძე 1861 წლის ოქტომბერში წერს უსათაურო ლექს-შედევრს ჩემო კალამო ჩემო კარგო რად გვინდა ტაში დაიბეჭდა 1863 წელს საქართველოს მოამბის № 1-ში რომელშიც თემატიზებულია მისი დამოკიდებულება იმ ფაქტთან რომ მშობელი ხალხის ერთ ნაწილს იგი სამშობლოს მოძულედ შეურაცხავს ჩემზედ ამბობენ ის სიავეს ქართველისას ამბობს ჩვენს ცუდს არ მალავს ეგ ხომ ცხადი სიძულვილია (ლ. ბრეგაძე)

26. წარმოიქმნება მონოტონურობა განმეორებადობა დაბოლოს მთელი ჯაფის რეზიუმე ამ სიტყვებში ლაკონკრეტდება ამაოთა ამაოება ყოველივე ამაო არს ის პოემა მრავალწერტილი შემდეგ კი ეს ბიბლიური კრედო ბანალურ სტრიქონებსაც დაბადებს მაგალითად ასეთს რა არის ერთი

დღის კაცის ცხოვრებ ჩვეულებრივი ვალის მოხდა არსებობისთვის ან მიტყლაშუნე მიტყლაშუნე ცხოვრებავ შენ მხოლოდ ქაფი ხარ შენ მხოლოდ ბორკილი ხარ შენ მხოლოდ ისა ხარ რაც ჟანგდება და განქარდება (ნ გელაშვილი).

27. ყურადღება უნდა მიექცეს თამაზ ენგურის ლიტერატურულ ფსევდონიმს ენგური მდინარეა სვანეთში აქაფებული მბორგავი მაგრამ მისთვის ენგური რომელიმე შუმერელის ან ქალდეველის სახელსაც ნიშნავდა ბუნდოვნად გვეუბნება ავტორი (თ. გეგეშიძე)

28. თუ საწყალი ნიკალა ერთი თლაშოის საფასურად მიკიტნებს კედლებს ულამაზდება იეთიმ-გურჯის ცოცხალი ციტატებით მოფენილია თბილისის ღვინის სარდაფები ვინ დამწყევლა ვისი წყევლა ამიხდა ეთიმ ცრემლი მეგობარი გაგიხდა (ი. გრიშაშვილი)

29. ესეში ჩემი სიყვარულის პწკარედი რენტგენოგრამის იდეა თომას მანის ჯადოსნური მთიდან ვისესხე (ნ. დარბაისელი)

30. შეშლილობის თემა ლიტერატურაში არაერთ ავტორს დაუმუშავებია მაგრამ მე რატომღაც ორი გამახსენდა ფრიდრიხ დიურენმატის 1921-1990 პიესა ფიზიკოსები და კენ კიზის 1935-2001 რომანი ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა ორივე 1962 წელსაა დაწერილი და ორივეში მთავარი გმირი ფსიქიატრიული კლინიკის ექთანს კლავს მაგრამ მათი მსგავსება ამით ამოიწურება რადგან განსხვავება გაცილებით მნიშვნელოვანია (გ კაკაბაძე)

31. შალვა ბაკურაძის მინიპოემა ქმრების საკითხავი რომელიც ხუთი წლის წინ დაიწერა და რამდენიმეჯერ გამოქვეყნდა მაშინდელ პერიოდიკაში სწორედ ის მრავალშრიანი ნაწარმოებია რომელსაც სხვადასხვა მკითხველი სხვადასხვა მსოფლმხედველობრივი ჭრილიდან აღიქვამს და აზრის ემოციის თავისთვის საკმარ დოზას მიიღებს (ლ. კოდალაშვილი)

32. სიამოვნებით მინდა განვაცხადო რომ აკუტაგავას ორი ბრწყინვალე მოთხრობა დიალოგი წყვდიადში და ცხოვრება იდიოტისა სწორედ მისი თხოვნითა და ჩაგონებით ვთარგმნე სამწუხაროდ რუსულიდან (ო. მაღლაფერიძე)

33. ძველი სწავლულები პოეტური შემოქმედების პროცესს ღვთაებრივ სიშმაგედ ღვთაებრივ ბნედად ნათლავდნენ რომლის დროსაც თითქოს წინასწარმეტყველების ზეგარდმო ნიჭიც მჟღავნდებოდა (შ. ნიშნიანიძე)

## სასვენი ნიშნები პირდაპირ ნათქვამთან

პირდაპირი ნათქვამი ტირეთი ან ბრჭყალებით გამოიყოფა. პირდაპირი ნათქვამი, რომელსაც არ დაერთვის სიტყვასიტყვითი ნაწილაკი (-მეთქი, -თქო, -ო), ბრჭყალებში უნდა ჩავსვათ.

თუ ჯერ ავტორის სიტყვებია, შემდეგ კი პირდაპირი ნათქვამი, ავტორის სიტყვების შემდეგ ორწერტილს წერენ, ხოლო პირდაპირი ნათქვამის შემდეგ იმ ნიშანს, რომელსაც შინაარსი მოითხოვს. *დღის ბოლოს ასე გვითხრა: „დილით 9 საათამდე უნდა გამოცხადდეთ ხოლმე".*

თუ პირდაპირი ნათქვამი უსწრებს ავტორის სიტყვებს, მის შემდეგ იწერება სათანადო სასვენი ნიშანი და ტირე. *„ალბათ, საღამომდე უნდა ვულოდოთ", — გვითხრა მამამ.*

კითხვის, ძახილის, ბრძანების ან კითხვით-ძახილის შინაარსის შემცველი პირდაპირი ნათქვამის შემდეგ იწერება სათანადო სასვენი ნიშანი და ტირე. *„როგორ გამიბედეთ?!" — ბრაზობდა მეზობელი.*

პირდაპირი ნათქვამი დიალოგში ახალი აბზაცით იწყება და მის წინ ტირე იწერება. ასეთ შემთხვევაში ბრჭყალები საჭირო აღარ არის.

*— დაღლილი ხარ? — ჰკითხა დედამ.*

*— ძალიან. — თავი მოისწყლა შვილმა.*

როცა ავტორის სიტყვები პირდაპირი ნათქვამის შიგნითაა მოქცეული, გვაქვს რამდენიმე შემთხვევა:

1. ავტორის სიტყვები მძიმითა და ტირეთი გამოიყოფა, როცა იგი პირდაპირ ნათქვამში იმ ადგილასაა ჩართული, სადაც მისი ჩართვის გარეშე საერთოდ არ არის სასვენი ნიშანი, ან საჭიროა მძიმე. *რა არ გადაგვხდენია თავს, — წერს ილია ჭავჭავაძე, — რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძლეით, ყველას გავუმაგრდით.*

2. როცა ავტორის სიტყვები ჩართულია იქ, სადაც მისი ჩართვის გარეშე წერტილია საჭირო, მაშინ ავტორის სიტყვების წინ იწერება მძიმე და ტირე, შემდეგ — წერტილი და ტირე. *უნდა მოგელაპარაკოთ, — გვითხრა მასწავლებელმა და სკამზე მოკალათდა. — ძალიან სერიოზული საკითხია.*

3. როცა ავტორის სიტყვების ჩასმის ადგილას პირდაპირ ნათქვამში მის ჩაუსმელად საჭიროა ძახილის, კითხვის ან კითხვა-ძახილის ნიშანი, მაშინ ავტორის სიტყვების წინ ეს ნიშანი დარჩება, შემდეგ კი წერტილი და ტირე დაიწერება. *გვჭირს კი დღეს რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე? — წერს ილია, — რა გითხრათ? რით გაგახაროთ?*

პირდაპირ ნათქვამში ჩართული ავტორის სიტყვების შემდეგ ორწერტილი და ტირე იმ შემთხვევაში იწერება, თუ ავტორის სიტყვებში ორი ზმნაა და მათგანი პირველი პირდაპირი ნათქვამის პირველ ნაწილს ეხება, მეორე კი — მეორე ნაწილს. *ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა, — წერს ვაჟა-ფშაველა და*

*დასძენს: — ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია, ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია.*

სავარჯიშო № 15. დასვით სასვენი ნიშნები

1. ფუჰ შეგარცხვინოს ღმერთმა ბრაზით წამოიძახა ზაალ ბარათაშვილმა და ზურგი შეაქცია ნარგიზების ფორს სადაც ორბელიანებისა და ბასილა მაიორის ფალავანმა გიორგი კუჭატნელმა მარაბდის ბატონს ის-ის იყო მესამე მოჭიდავე გაუჭიმა თვალწინ (მ. ჯავახიშვილი)

2. როცა მეჯინიბე დაიკარგა ზაალმა ისევ წელანდელივით შეჰღაღადა

გაგიგიათ მეთქი ამისთანა ამბავი ელიზბარი კურკა მელექსე ყაფლანი ალექსანდრე და მაიორი ჩემთან სტუმრად მოვიდნენ ვიღაც ოხერი იმერელი მოიყვანონ და თავს ლაფი დამასხან (მ. ჯავახიშვილი)

3. სად მქონდა შფოთში ჩავარდა ანდრო ვითომ არ იცი რა დღეში ვარ გამაგიჟეს ამ კაქტუსებმა რაღაც ჭირი ჭირთ და ვერ გავუგე ვერაფერი (ბ. ხვედელიძე)

4. ერთი შენცა ხარ ავიქნიე ხელი და და ქუჩას გავხედე მე აი აქ ჩამოვალ (ბ. ხვედელიძე)

5. რა უნდა ვქნა ალაპრო ხელები ანდრომ ხვალე კი არა საღამოსვე მოვალ ბოტანიკის ინსტიტუტში ვარ შესავლელი იქნებ მიშველონ რამე (ბ.ხვედელიძე)

6. მეც ბესარიონი ვარ მეთქი დავაპირე მეყვირა რაკი შორს იყო და აღარ მეშინოდა ბესიკი, ბესარიონი ორივე მქვია ამბასაც კი ვთამაშობ ხოლმე (ბ. ხარანაული)

7. ოჰ ნიკოს გაუმარჯოს მოგეილოცავს დაუძახა ყველამ (დ. ჭონქაძე)

8. აი ის სახლები მუხრანბატონიანთი არის ხედავთ და გაიშვირა ხელი მუხრანბატონიანთ სახლებისკენ (დ. ჭონქაძე)

9. რა საჭიროა ეგ ლაპარაკი დაანებე თავი შენი ვარდო გიბრძანებს უთხრა ვარდომ და აკოცა ერთი იმგვარად როგორ კოცნასაც ბევრი ჩვენგანი თავის სიცოცხლეში არ ეღირსებიან ბედნიერი დურმიშხან (დ. ჭონქაძე)

10. ვარდო შვილო გოგო ვარდო პირჯვარი დაიწერე შვილო შეკრთომით ეუბნებოდა ქალბატონი და უსრესაა ცხვირის ნესტოს და ყურებს გოგოებო ბიჭებო ვინა ხართ მანდ მიშველეთ (დ. ჭონქაძე)

11. უი შოკოლადი დამკარგვია უცებ ჯიბეზე ხელი იტაცა მაგდამ მიიხედ მოიხედა მაგრამ რაკი თვალი ვერსად შეავლო ხელები ზურგზე შემოიწყო და ხმამაღლა მოჰყვა ძახილს ჭიავ ჭიავ მაპოვნინე მე შენ დედას გაპოვნინებ ჭიავ ჭიავ მაპოვნინე მე შენ დედას გაპოვნინებ (ქ. ჭილაშვილი)

12. დავიწყებ შე კაი კაცო რა დაგემართა უჯრას შესწევს და ტუჩებს იწმენდს დავიწყებ და დავამთავრებ ფაქტიურად შვებულებაში ვარ მაგრამ მაინც რა იყო რა მოხდა (რ. ჭეიშვილი)

13. შეიკარით უსაფრთხოების ღვედები და დაიხურეთ მუზარადი აფრთხილებს ჩორგოლაშვილს აქ ჯდომა საშიშია (რ. ჭეიშვილი)

14. განსხვავებული პრინციპი ეღიმება ბელას სახე ეხსნება და ეხურება მალე მე ამიტომ დავიწყე წერა ბატონო ვაჟა ბატონო ვასო რომ მეგონა არაფერს ვიტყოდი რადგან არაფრისგან არაფერი არაფერია (რ. ჭეიშვილი)

15. სად იყავ შენი ჭირიმე ჰკითხა მერე კნეინასა რომ ეგრე დაიღალე (ი. ჭავჭავაძე)

16. ძვირფასი კაცია გაიფიქრებდა ხოლმე მადლიერი მებატონე ძერე დათოს ეტყოდა ბარაქალა ჩემო დათო თუ კაცმა დაივიწყა ღმერთი არ დაივიწყებს ბატონის ერთგულობასა ბარაქალა შენ ჩემი მარჯვენა მკლავი ხარ მაგარი მკლავი (ი. ჭავჭავაძე)

17. ეგ არის რომ თავადიშვილია თქვა წყრომით ლუარსაბმა თავადიშვილი რომ არ იყოს ჯანი გავარდეს ან გლეხი იყოს ან სომეხი კიდევ ჰო ეგა მკლავს რომ თავადიშვილია ძალიან არ წახდა ხალხი თქვენი ჭირიმეთ ამასაც შევესწარი რომ თავადიშვილი ქირაზედ ურმებს ატარებს (ი. ჭავჭავაძე)

18. ვაი ვაი მე უბედურსა ჩაიკრავდა ხოლმე გულში ხელს სადღაბეროდლა გახდა ეს ვაჟკაცის იარაღი მოგიკვდათ თქვე საწყლებო კაი პატრონი უიმე განა მარტო თქვენ მოგიკვდათ ხომ მეც მომიკვდა მეც წაიღო შავმა მიწამ ჩემი თევდორე წამოგექცა ოჯახო დედაბოძი დაგიმიწდათ თოფო და ხმალო თქვენი ფანდი ვაჟკაცი გატყდა შუაზედ ჩვენის წუთის-სოფლის უღელიცა მოგიკვდა ოთარაანთ ქვრივო ტოლდასადები მეუღლე დარჩი ცალად ვაიმე უშენოსა (ი. ჭავჭავაძე).

19. მერე რა პირით-ღა შევეყარო საიქიოს ჩემს ქმარსაო ამბობდა ხოლმე აი უწინამც დღე დაუბნელდეს ოთარაანთ ქვრივს მინამ მამინაცვალს სახლში დაუსვამდეს თავის პატარა გიორგისა (ი. ჭავჭავაძე)

20. მართალი ბძანდები განაგრძელა იმ უბედურმა თითქო მე შევეცოდეო ჩემს დასამშვიდებლად მართალი ბძანდები ცოცხალ კაცს მატლი მეხვევა თითონ მე მეზიზღება ჩემი თავი შენი რა საკვირველია (ი. ჭავჭავაძე)

21. უკეთეს დროს ჩვენ ველარ ჩავიგდებთ ხელში წამოიძახა ცხარედ შალვამ კახელების გულისგატეხა ქართლსაც გადაედება ჯერ კიდევ სანამ სასოება არ წარკვეთიათ და კიდევ რაღაც იმედი აქვს კახელებს ჩვენც უნდა მივეშველოთ თუ ვერ გავიმარჯვებთ სახელოვნად მაინც დავიხოცებით სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო (ა. წერეთელი)

22. მეც მაგას ვწუხვარ ჩემო კიკო მაგრამ რა ვქნათ მიუგო ბატონმა დალონებით ხარჯი არ დამიკლია თავი არ დამიზოგავს სალარო თითქმის დავაცალიერე და მეტი რაღა მექნა (ა. წერეთელი)

23. მე ვიცი განაგრძო აბდუშაჰილმა რომ ამა და ამ დღეს ბაში-აჩუკი შენთან იქნება მეც ნაბრძანები მაქვს რომ ჩემი ცხენოსნებით შემოვერტყა გარს შენს სახლსა და დავიჭირო მაგრამ გააფრთხილე რომ აქ არ დამიხვდესო (ა. წერეთელი)

24. დაილოცოს ღმერთო შენი განგება დაიღრიალა აბდუშაჰილმა მივიდა და დაუჭირა ხელები მითხარი მითხარი სიზმარია თუ ცხადი როგორ მოხდა ეს ყველაფერი ამიხსენი თვარა გონება მეკარგება მეტის აღელვებისაგან ფეხზე ველარ დგებოდა და ჩაჯდა (ა. წერეთელი)

25. არ შეიძლება არ შეიძლება ყვიროდნენ ნაცარქექიები ჩვენც კაცები ვართ ქუდი გვახურავს და ულვაშები გვასხია (ა. წერეთელი)

26. შეიძლება არც ტყუოდა ანეტა როცა გვეუბნებოდა სკამი ვერ ვიპოვეო თქვა ესტატემ თოფი უნდა ვიშოვო სასწრაფოდ (გ. ჩქვანავა)

27. ეეეხ სიკვდილიც გულმავიწყი ყოფილა და ღმერთიცა ამთავრებს მართა (გ. ჩოხელი)

28. იტყვის როგორ არ იტყვის თქვა იქ მყოფმა ახალგაზრდა მოხევემ და ახალას ჩასძახა თქვი ძიავ თქვი (გ. ჩოხელი)

29. არა არა ექიმო შეაწყვეტინა კაცს მინდოდა მეკითხა ეს ძალიან სერიოზულია ვიცოცხლებ თვალებში შეხედა გამომწვევად გამოგონილი გულგრილობით მთელი მისი ნერვული დაბოლოებები ხელებში აფუთფუთდნენ ლამის დაიმტვრია თითები (ე. შერაზადიშვილი)

30. მე ვუთხარი შენი ჭირიმე კოლა მოდი თუ იცი რამე გვასწავლე თორე დაიტანჯა კაცი აი ქათმები რომელსაც ხელს დაადებ იმას დაგიკლავ მეთქი (ნ. შატაიძე)

## რამდენიმე სასვენი ნიშანი ერთად

მძიმისა და ტირეს ერთად ხმარების შემთხვევაში ჯერ იწერება მძიმე, შემდეგ — ტირე. *ერთად წავიდეთ, — უთხრა ქალმა, — მაგრამ გზიდან ნუ გადაუხვევთ.*

თუ წერტილი, მძიმე, წერტილ-მძიმე, ორწერტილი ან ტირე ბრჭყალებთან ერთადაა, ისინი დახურული ბრჭყალების შემდეგ იწერება. *ასე მიიღო მაყურებელმა კორონსტილიოვის „დეკაბრისტები“, გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“.*

კითხვის, ძახილის, კითხვა-ძახილის ნიშნები და მრავალწერტილი ბოლო ბრჭყალების წინ დაისმის იმ შემთხვევაში, თუ იგი ბრჭყალებში მოქცეულ სიტყვას ან სიტყვებს ეკუთვნის. *„რატომ არ მისმენ, როცა გელაპარაკები?!" – ჰკითხა მასწავლებელმა.* ხოლო თუ კითხვის, ძახილის, კითხვა-ძახილის ნიშნები ან მრავალწერტილი ბრჭყალებში ჩასმულ სიტყვებთან ერთად მთელ წინადადებას განეკუთვნება, ეს ნიშნები ბოლო ბრჭყალების შემდეგ დაიწერება. *„რა აზრის ხართ ქეთოს ხარანაულის რომანზე „წიგნი ამაო ბესარიონისა"?*

წერტილი, მძიმე, წერტილ-მძიმე, ორწერტილი და ტირე არ იწერება არც გახსნილი და არც დახურული ფრჩხილების წინ. ისინი მხოლოდ დახურული ფრჩხილების შემდეგ უნდა ვიხმაროთ. *ხევსურეთში ჩემი მეგობრებიც მიდიან (მხოლოდ ბიჭებს დავასახელებ): გიორგი, ნიკა, ლაშა და სანდრო.*

გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ ის შემთხვევა, როცა  წერტილს სიტყვის შემოკლების ნიშნად ვსვამთ. *ქვეყანაში შექმნილი ვითარება ყველა დარგს დაეტყო. თხუთმეტიოდე წლის წინ ჩვენი ზოოპარკის ცხოველებს (ლომებს, ვეფხვებს, მაიმუნებს, მგლებს, ირმებს და ა. შ.) მძიმე პირობებში უხდებოდათ არსებობა.*

კითხვის, ძახილის, კითხვა-ძახილის ნიშნები და მრავალწერტილი დახურული ფრჩხილების წინ იმ შემთხვევაში დაისმის, თუ ისინი მხოლოდ ფრჩხილებში მოქცეულ სიტყვას ან სიტყვებს განეკუთვნება. *თეატრში დაუფიქრებლად გავყევი (ვითომ რატომ არ უნდა გავყოლოდი?!).*

იმ შემთხვევაში კი, თუ ისინი ფრჩხილებში მოქცეულ სიტყვასთან ერთად მთელ წინადადებას ეკუთვნის, დახურული ფრჩხილების შემდეგ დაიწერება. *რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში რომელი წლიდან შედის ჩრდილოეთ ოსეთი (ალანია)?*

თუ ციტატას თან ერთვის ფრჩხილებში მითითებული ავტორი და წყარო, წერტილი უნდა დავსვათ არა უშუალოდ ციტატის შემდეგ, არამედ დახურული ფრჩხილის გარეთ. *„აქვე გვაჩვენეს ხელნაწერების საცავი. შესაშური სასოებით იცავენ ამერიკელები არათუ უძველეს, არამედ თანამედროვე გამოჩენილ მწერალთა ხელნაწერებსაც კი (ნ. დუმბაძე, „ოდისევსის დაბრუნება", თხზ. 4 წიგნად, ტ. IV, თბ., 1992, გვ. 30).*

სავარჯიშო № 16. დასვით სასვენი ნიშნები

1. ქართველი მწერალი მოკლებულია საშუალებას წიგნი გამოუშვას კერძო ინიციატივით შეუძლებელია გამოცემის საჭირო მასალების როგორიცაა ქაღალდი და სხვ შოვნა (დ. თევზაძე)

2. მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ამ დროისათვის მ ჯავახიშვილის პუბლიცისტურმა წერილებმა რომლებიც გამოქვეყნდა 1915-1917 წლებში გაზეთ საქართველოს ფურცლებზე წერილები სალამი ძველი ქართველისა № 99 ქართული წერილები № 1 7 8 სად წავიდნენ სად

არიან № 7 ქართული წერილები ჟამსა ერთობისასა № 23 ომი და საქართველოს ვალი № 140 ღრმად ჩააფიქრებდნენ ქართველ მამულიშვილებს აღსანიშნავია რომ 1910-იან წლებში მ ჯავახიშვილი როგორც პუბლიცისტი აგრძელებდა იმ იდეურ გზას რომელსაც იგი ჯერ კიდევ 1906 წელს დაადგა გაზეთ გლეხის ფურცლებზე (ც. გენძეხაძე)

3. ჩნდება აუცილებელი საჭიროება ახალი ფორმის პოეტური წარმოსახვის ახალ საშუალებათა ძიებისა ამგვარი საჭიროების წინაშე დადგა ქართული პოეზია და არა მარტო ქართული პოეზია მე-19 საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში (გ. კანკავა)

4. ძმამ სანდრომ მამა ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო გადაწყვიტა იგი შუამთის მონასტერში კახეთი მიებარებინა აღსაზრდელად (შ. ჩიჩუა)

5. იროდიონ ისაკის ძე ხოსიტაშვილი ევდოშვილი დაიბადა 1873 წლის 7 მაისს ძველი სტილით სიღნაღის მაზრის სოფელ ბოდბისხევში სასულიერო პირის ოჯახში

6. ყველა პარტიას ჰქონდა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო ხშირად ერთდროულად რამდენიმეც კი ეს პარტიული ორგანოები ერთმანეთს უპირისპირდებოდა პოლიტიკის და კულტურის საკითხებში (ა. მირიანაშვილი).

7. ასევე მრავალმხრივ ინტერესს იმსახურებს ჟურნალი მოამბე რომელიც გამოდიოდა 1894-1905 წლებში რედაქტორები ჯერ ა ჭყონია შემდეგ ა ჯაბადარი (ა. მირიანაშვილი)

8. სალვადორ დალის პარადოქსებიდან ნუ ცდილობ თანადროული გამოჩნდე ესაა ვაი რომ ერთადერთი რამ რასაც რაც არ უნდა ეცადო ვერ გაექცევი ერთი გენიოსის დღიური ჯუმბერ თითმერიას თარგმანი ეს მოსაზრება არა მარტო მხატვრობას ხელოვნების ყველა დარგს მათ შორის ლიტერატურას.ც მიესადაგება (ლ. ავალიანი)

9. ვაჟა-ფშაველას მოკვეთილმა 1894 წ ამ საოცრად დრამატიზებულმა და დიდი ზემოქმედებითი ძალის ნაწარმოებმა პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულმა ფართო სოციალურმა და ფსიქოლოგიურმა ტილომ საოცრად სრულქმნილმა და მრავალპლანიანმა ახალი გზა გააკვლია ქართული დრამის განვითარებაში მეტი სიმაღლე და ძალა მისცა მას ხოლო დ კლდიაშვილის პიესები ირინეს ბედნიერება 1897 და დარისპანის გასაჭირი 1903 ისევე როგორც დრამატურგიული მანერით დაწერილი და მრავალჯერ ინსცენირებული მისი მოთხრობები სოლომან მორბელაძე სამანიშვილის დედინაცვალი არა მარტო ახალ საფეხურს წარმოედგენენ ქართული კომედიოგრაფიის ისტორიაში არამედ მათ ქართული ორიგინალური დრამის მთელ შემდგომ განვითარებაზედაც უდიდესი გავლენა მოახდინეს (გ. ციციშვილი)

10. ეს გაძლიერებული ინტერესი ბუნებისმეტყველების მედიცინისა და მემკვიდრეობითობის პრობლემისადმი ტ რამიშვილს ნატურალისტური დრამის წარმომადგენლებთან აახლოვებს

განსაკუთრებით იბსენთან მხედველობაში გვაქვს მაგალითად მისი მოჩვენებანი და ჰაუპტმანთან მხედველობაში გვაქვს ჩაძირული ზარი (გ. ციციშვილი)

11. ასე თუ ისე ერთი მხრივ ტ რამიშვილის ორი მთავარი მოქმედი პირის ფერშალ გრუშნევსკის მეზობლები და ექიმ ვაგინის ექიმი აშირბაჯიანი ხოლო მეორე მხრივ მარია ლვოვნას მ გორკის მოაგარაკენი შორის დიდი მსგავსებაა (გ. ციციშვილი)

12. ი იმედაშვილის დრამატულ ნაწარმოებთა უმეტესობა (სინი სამ ათეულამდე აღწევს ერთ და ორმოქმედებიანი პიესებია (გ. ციციშვილი)

13. მართალია ოიანა ბუიანას ვერ მივაკუთვნებთ წმინდა დრამის ჟანრს და იგი კომედიასთან არანაკლებ სიახლოვეს ამჟღავნებს თუმცალა არც საკუთრივ კომედიას წარმოადგენს მაგრამ ამ პიესას უხვად მოსდგამს დრამის ელემენტებიც (გ. ციციშვილი)

14. ავტორმა კონკრეტული სიტუაცია ბურების ომი განაზოგადა და დაგვანახა არა მხოლოდ დამპყრობელთა მხეცური სახე არამედ ომის მთელი სისასტიკეც (კ. იმედაშვილი)

15. იმ დროის პერიოდულ პრესაში მათრახი 1908 წ მათრახი და სალამური 1909 წ გამოქვეყნდა მისი რამდენიმე ლექსი რომლებიც თანადროული ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს ეხებოდნენ (გ. მარგველაშვილი)

16. ილიას ცნობილ კერძო განკარგულებებს რომ თავი დავანებოთ სადაც იგი საკუთარი მამულის მოურავს აძლევდა ამ მხრივ მეტად საგულისხმო მითითებებს საკმარისია გავიხსენოთ რომ სწორედ ილიამ ჩაშალა თავისი ბრწყინვალე და მგზნებარე გამოსვლებით საქართველოში შავრაზმელთა ორგანიზაციის შექმნის ბოროტი იდეა (გ. მარგველაშვილი)

17. ეს წერილი წარმოადგენს პასუხს ირაკლი კაკი წერეთლის მომავალში რუსული მენშევიზმის ერთ-ერთი ბელადის წერილებზე რომლებიც ყვირილელის ფსევდონიმით იყო ხელმოწერილი (გ. მარგველაშვილი)

18. დასრულებული ნატურალიზმი ანუ ბუნებრიობა უტოლდება ჰუმანიზმს ადამიანურობას (გ. მარგველაშვილი)

19. ჩვენ არ შევჩერდებით ამ თავისთავად საინტერესო თუმცა ვაჟას ეპიკურ შედევრებთან შედარებით ნაკლები მხატვრული ძალის პოემაზე მაგრამ ვაჟას პოლიტიკური კონცეფციის ნათელსაყოფად მივმართავთ მის თავის დროზე გამოუქვეყნებელ მაგრამ მეტად მნიშვნელოვან პოლიტიკური რადიკალიზმით აღბეჭდილ პუბლიცისტურ წერილებს რას ჰქვიან თავისუფლება და რა არის თავისუფლება ორივე წერილი 1906 წლით თარიღდება და პირველად გამოქვეყნებულ იქნენ 1961 წელს ჟურნალ მნათობში №6 ვაჟას მთავარი ამოსავალი დებულება იმდენად მკაფიო და პირდაპირია რომ კომენტარსაც არ საჭიროებს (გ. მარგველაშვილი)

20. ჭავჭავაძეთა ორივე შტო ყვარლისა უძველესი და წინანდლისა გვიანდელი კახეთში ჩამოსახლებულა ხევსურეთიდან დუშეთში მომრიგებელ შუამავლად შუაკაცად როგორც თვითონ უწოდებს ილია დაინიშნა 1864 წლის ბოლოს როცა აღმოსავლეთ საქართველოში ბატონყმობა მოისპო (გ. ჯიბლაძე)

21. თავის გამოსათხოვარ სიტყვაში აკაკიმ თქვა მშვიდობით ძმაო გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით ერთი გზით დავდიოდით ახლა ჩემი მარტოდ დარჩენა დაობლება საძნელოა (გ. ჯიბლაძე)

22. რამდენიმე თვის შემდეგ ილიამ ზედიზედ დაწერა სატირული ლექსები უკვე არა ზოგად თემებზე არამედ კონკრეტულ პიროვნებათა წინააღმდეგ მხედველობაში გვაქვს გამოცანები სულ 9 და კიდევ გამოცანები 7 გამოცანა ორივე ნაწარმოებს სწრაფად მიუქცევია მკითხველის ყურადღება მიუხედავად იმისა რომ გამოცანები ვრცელდებოდა ხელნაწერის სახით და არა დაბეჭდილი ტექსტით ავტორი აღნიშნული თხზულებების დაბეჭდვას ვერ მოესწრო (გ. ჯიბლაძე)

23. გოეთეს ამ პრინციპს ილია სავსებით იზიარებს თუმცა იგი არ ახდენს თავისი გმირის ისეთ გარდაქმნას როგორი მეტამორფოზაც გერმანელი პოეტის ხელში ისტორიულმა ეგმონტმა განიცადა გაახალგაზრდავება ფაქტების შეცვლა და სხვ ილია აღრმავებს ისტორიის სულს პოემის გმირის შინაგან არსებას შემოჰყავს გამოგონილი პირები ბრმა მეფანდურე მოხუცი თავისი შვილებით და უმაღლეს წერტილზე აჰყავს ისტორიული ფაქტებიდან მომდინარე პატრიოტული გრძნობა (გ. ჯიბლაძე)

24. როცა განდეგილი დაიბეჭდა 1883 წლის ჟურნალ ივერიაში № 11 იმდროინდელი ლიტერატურული კრიტიკა მის ფილოსოფიურ პრობლემატიკას ვერ ჩასწვდა ზოგიერთმა იგი მიიჩნია როგორც თვით პოეტის მიერ ცხოვრებისათვის გვერდის აქცევა ესტატე ბოსლეველი და ამდენად სამწუხარო მოვლენა (გ. ჯიბლაძე)

25. გლახუკა ასე ერქვა ბიჭს ისე გაიტაცებს წიგნების კითხვით გაბროს რომ გადააწყვეტინებს თვითონაც შეისწავლოს წერა-კითხვა იმ მღვდლის დახმარებით მართალია მას ანაფორა აცვია მაგრამ დაბალი სასულიერო წოდების ტანსაცმელში გამოწყობილი კულტურტრეგერია მომავალი ხალხოსანია როცა გლახუკა ამაგისათვის დაზოგილ ორ მანეთს მიუტანს მღვდელი უსაყვედურებს თუ მეტია შენთვის იმას მიეცი ვინც მე და შენზედ უფრო ღარიბია აგერ ამ თქვენის ქუჩის ბოლოს ერთი ღარიბი სახლობა არის პურის შოვნის ილაჯი არა აქვთ გლახუკა მართლა ასე მოიქცევა თავის მასწავლებელს კი შემდეგი სიტყვებით შეამკობს აი რა მადლიანი კაცია ნეტა თვითონ ჰქონდეს რაიმე მაინცა ღვთის განაჩენი არა აბადია-რა დღე-დღეურად ძლივა სცხოვრობს (გ. ჯიბლაძე)

26. გლეხთა განთავისუფლების პირველი დროის სცენებს დაახლოებით 1865 წლის პირველი ნახევარი უნდა ვივარაუდოთ ავტორი ღრმა ისტორიული სიმართლით გადმოგვცემს ილია ამ დროს თვითონ იყო მომრიგებელი შუამავალი დუშეთში და ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი მიროვოი პოსრედნიკი თვითონ ავტორია რომელსაც საკუთარი მუშაობის გამოცდილება თხზულების მასალად გამოუყენებია (გ. ჯიბლაძე)

27. მამათა წარმომადგენლის ექვთიმე წერეთლის პოლემიკურმა სტატიამ რომელიც მიმართული იყო ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ცისკარი 1862 წ გამოიწვია პეტერბურგში მყოფი ახალი თაობის წარმომადგენელთა სამი წერილი სამივე ხელმოწერილი თერგდალეულის ფსევდონიმით (გ. აბზიანიძე)

28. მეორე ლექსში ზემოური იმერელი კახელს შემოწყრაო სატირულ ფორმაში გადმოცემულია ექვთიმე წერეთლის გალაშქრება ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ და მისი შიში და წუხილი ილიას ახალი ჟურნალის გამოცემის სამზადისის გამო მართლაც საქართველოს მოამბე ერთი წლის შემდეგ კიდეც გამოვიდა (გ. აბზიანიძე)

29. მისთვის დამახასიათებელ რითმასთან ერთად მეორე და მეოთხე სტრიქონების გარითმვა ხშირად გვხვდება ჯვარედინი და პარალელური რითმა და სხვ (გ. აბზიანიძე)

30. იანოვსკი იბრძოდა ქართული ენის განდევნისათვის საქართველოს სკოლებიდან იანოვსკის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს ქართველმა მწერლებმა და მოღვაწეებმა ი ჭავჭავაძემ ივერია 1889 № 817 ი გოგებაშვილმა დროება 1881 № 50–57 ს მესხმა დროება 1880 № 254 და სხვებმა (გ. აბზიანიძე)

## მძიმე

## მძიმე უკავშირო შერწყმულ წინადადებაში

შერწყმული წინადადების ერთგვარი წევრები, სინტაქსურად მათთან დაკავშირებულ სიტყვასთან ერთად, ერთმანეთისგან მძიმით გამოიყოფა, თუ შესაერთებლად გამოყენებული არაა კავშირები „და", „თუ", „ან". *ნინო ჯერ სოფლის სკოლაში სწავლობდა, შემდეგ თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ სასწავლებელში გადავიდა.*

მძიმე შერწყმულ წინადადებაში დაისმის, როცა გვაქვს რამდენიმე შემასმენელი ერთ ქვემდებარესთან. *წვიმა წამოვიდა, ეზო დაასველა და გადაიღო.*

მძიმე დაისმის მაშინაც, როცა ერთ შემასმენელთან რამდენიმე ქვემდებარე გვაქვს. *დედამ, მამამ და ძმებმა დაბადების დღე მომილოცეს.*

ერთმანეთისგან მძიმეებით გამოიყოფა რამდენიმე დამატებაც (პირდაპირი იქნება ის, ირიბი თუ უბრალო). *დაბადების დღეზე მაჩუქეს საყურეები, ბეჭდები, სამაჯურები და მძივები. თამარი გაუწყრა ნანას, მარიამს, თეას, ეკას. პატიმარი დარდობდა ცოლზე, შვილებზე, მოხუც დედაზე.*

შერწყმულ წინადადებაში ერთმანეთისგან მძიმეებით გამოიყოფა ერთ საერთო წევრთან დაკავშირებული რამდენიმე ერთი და იმავე შინაარსის გარემოება. *ეს წამალი უნდა სვა დილით, შუადღისას, საღამოს.*

უნდა გვახსოვდეს, რომ გარემოება ერთი და იმავე ტიპის უნდა იყოს (ადგილის, დროის და ა. შ.). სხვა შემთხვევაში (მაგალითად, თუ ჯერ დროის გარემოებაა, შემდეგ — ადგილის), მძიმეებს ვერ დავწერთ. *გუშინ ჩემი სახლის წინ დიდი ხმაური იყო.*

თუ შერწყმულ წინადადებაში საზღვრულ წევრთან რამდენიმე ერთნაირი განსაზღვრებაა, ისინი ერთმანეთისგან მძიმეებით უნდა გამოვყოთ. *თაროზე წითელი, მწვანე და ვარდისფერი კოლოფები დააწყვეს.*

უნდა გავითვალისწინოთ, რომ რამდენიმე ერთი და იმავე ფორმით გადმოცემული განსაზღვრება ერთგვარია, როცა ყოველი მათგანი უშუალოდაა დაკავშირებული საზღვრულ წევრთან. *ბავშვებს ყვითელი, ლურჯი და ცისფერი ბურთები დაურიგეს.*

რამდენიმე ერთი და იმავე ფორმით გადმოცემული განსაზღვრება არაერთგვაროვანია, როცა ყოველი წინა განსაზღვრავს საზღვრულ წევრს მომდევნო განსაზღვრებიანად. არაერთგვაროვან განსაზღვრებებს შორის მძიმე არ უნდა დავსვათ. მათ შორის არც „და'' კავშირი იხმარება. *ლელას ჭრელი ჩითის კაბა უყიდეს.*

უნდა დავიმახსოვროთ, რომ შერწყმულ წინადადებაში ერთმანეთისგან მძიმეებით არ გამოიყოფა „და'' ან „თუ'' კავშირით შეერთებული ერთგვარი წევრები. *დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს — ყველას მოედანზე მოეყარა თავი.*

მძიმე დაისმის მაცალკევებელი კავშირების წინ იმ შემთხვევაში, თუ მაკავშირებელი სიტყვა მეორდება. *სოფელში ან ველისში წავალთ, ან აგვისტოში.*

მაგრამ თუ „ან'' კავშირი ერთხელაა ნახმარი, ერთგვარ წევრებს შორის მძიმე არ დაიწერება. *სოფელში ველისში ან აგვისტოში წავალთ.*

სავარჯიშო № 17. დასვით სასვენი ნიშნები

1. ფეხის ადგმიდან იქნებ უფრო ადრეც ბავშვი იწყებს სამყაროს ურთულეს წესრიგში გარკვევას აკვირდება გარემომცველ საგნებს ნელ-ნელა იმკვიდრებს თავის ადგილს ბუნებასა და საზოგადოებაში (გ. აბაშიძე)

2. ანბანის შესწავლით ბავშვი იწყებს საგნებისა და მოვლენების ურთიერთკავშირში გარკვევას ბუნების საიდუმლოებათა აზრისა და მნიშვნელობის ახსნას (გ. აბაშიძე)

3. ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში ბავშვები ერთნაირი გატაცებით კითხულობენ პეროს გრიმებისა და ანდერსენის ზღაპრებს დანიელ დეფოს რობინზონ კრუზოსა და ჯონათან სვიფტის გულივერის მოგზაურობას სერვანტესის დონ კიხოტსა და რაბლეს გარგანტუასა და პანტაგრუელს დიუმასა და ჟიულ ვერნის ვალტერ სკოტისა და დიკენსის რომანებს მარკ ტვენისა და კიპლინგის მოთხრობებს (გ. აბაშიძე)

4. დიდების ლიტერატურის უმაღლესმა დონემ განსაზღვრა ინგლისური ფრანგული გერმანული და ესპანური საბავშვო მწერლობის ადგილი ჩვენი ცივილიზებული პლანეტის მოზარდი თაობების სულიერ ცხოვრებაში (გ. აბაშიძე)

5. თხუთმეტსაუკუნოვან ქართულ მწერლობას მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ცოტა მოეძებნება ბადალი რომელსაც შეიძლებოდა გატოლებოდა მას თავისი ხანგრძლივობით უწყვეტლობით მრავალფეროვნებით სიმდიდრით (გ. აბაშიძე)

6. დაკრძალვისთვის მაინც ჩამოვიდნენ ქეთინო და დათო (ნ. აბულაძე)

7. გერმანულენოვანი თანამედროვე პოეზიის მიმომხილველს უპირველესად მოეთხოვება ალღო გამორჩევისა მონიშვნისა გადამიჯნვისა (ბ. ადეიშვილი)

8. კოლოკვიუმმა აღნიშნა ძირი ნაკლი გერმანული ლიტერატურისა კარჩაკეტილობა ნაკლებმოდერნულობა ცალმხრივი ინფორმაცია უცხოეთის ქვეყნებში აღჩენილ მიმართულება-მიმდინარეობათა შესახებ თვალსაწიერის მოზღუდვა დახშული ინტერნაციონალური გამოძახილი მოდერნიზმის გაუბრალოებული ლოზუნგური ინტერპრეტაცია (ბ. ადეიშვილი)

9. ლამაზი კომუნიკაბელური ყველაფერში ნიჭიერი და მარჯვე ენამახვილი ქაქანა და მხიარული ფისო მართლაც ბევრად მჯობდა (ლ. ავალიანი)

10. სისხლდაწრეტილი დაქუცმაცებული დაბეჩავებული ჩვენი ქვეყნისათვის რუსეთის იმპერიის მძიმე უღელმა გამოკვეთილმა რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ ერთგვარი დადებითი როლიც შეასრულა (ლ. ავალიანი)

11. არა მგონია ქრისტეს დაბადებიდან 2007 წელს შეცვლილიყოს ჩვენი ამქვეყნიური არსებობის უმაღლესი მიზანი მშვენიერების სიდიადის ამაღლებულის სულიერების მსახურება (ლ. ავალიანი)

12. ბოლო წლებში ჩვენ გარშემო გამეფებულმა ქაოსმა ნგრევამ ომმა შიმშილმა სიცივემ აწრიალებულმა ყოფამ აწრიალებულმა სულმა სისასტიკემ ეჭვმა უნდობლობამ დაუნდობლობამ ნოყიერი ნიადაგი შექმნა ძალადობის თავაშვებულობის სექსუალური განურჩევლობის ფულის კულტის მეთოდურად დამამკვიდრებელი ფილმებისათვის (ლ. ავალიანი)

13. როგორც წესი ენობრივი მოვლენები ადამიანთა ფსიქოსოციალური ქცევა და ლიტერატურული პროცესები პარალელურად ვითარდება ხოლმე (დ. ანფიმიადი)

14. ამდენად მითის საშუალებით პირველმოვლენები პირველარსებები პირველსაგნები კვლავდაკვლავ ცოცხლდებიან აწმყოში და მომავალში (ხ. თავდგირიძე)

15. გველეშაპისა და ხარის მარადიული ორთაბრძოლის მითოსი სამყაროს წყობის სამწევრიანი ზოომორფული იმპლიციტური მოდელიდან მომდინარეობს (ხ. თავდგირიძე)

16. ტყე კი შრიალებს გუგუნებს წვიმით დაჟიჟულ ფოთლებს უზაპუნებს სახეში (თ. ბაძაღუა)

17. უჩა კი მიდის უდარდელად მიალაყუნებს ფეხებს. (თ. ბაძაღუა)

18. დახუთულ ჰაერში უმოძრაოდ კიდია ელექტრონის წვრილი პრიალა მავთული (თ. ბაძაღუა)

19. სასაცილოა და შესაბრალისი ყოველივე ჩვენი აზრი გრძნობა მისწრაფება ლტოლვა კვნესა ვაება სიხარული და ბედნიერება (კ. აბაშიძე)

20. გახალისებული ცოტნე უჩვეულოდ ალგზნებული ჩანდა სანადიროდ ფრთაშესხმულივით მიქროდა. (გ. აბაშიძე)

## მძიმე კავშირიან შერწყმულ წინადადებაში

კავშირიან შერწყმულ წინადადებაში მძიმე დაისმის ერთგვარი წევრების გამოსაყოფად მაკავშირებელი კავშირის მნიშვნელობით გამოყენებული გაძლიერებითი „კიდეც" ნაწილაკის წინ, თუ იგი მეორდება. *კიდეც წავალ, კიდეც დავისვენებ, კიდეც გავერთობი.*

მძიმეს ვსვამთ უკუთქმით წინადადებაში მაკავშირებელ კავშირად გამოყენებული „ც(ა)" ნაწილაკდართული უარყოფითი ნაწილაკების წინ, რომლებიც მეორდება: არც... ...არც, აღარც... ...აღარც, ვეღარც... ...ვეღარც, ნურც... ...ნურც. *არც სიბრალულს გამო მოვსულვარ აქ, არც შიშის, არც ხათრის, არც ინტერესის.*

მძიმეს ვსვამთ იმ შემთხვევაშიც, თუ მაკავშირებელი კავშირების მნიშვნელობით გამოიყენება წყვილები — როგორც... ...ისე, არა მარტო... ...არამედ, არა იმდენად... ...რამდენადაც და სხვა. მძიმე წყვილის მეორე ცალის წინ უნდა დავსვათ. *არა მარტო შენ შეგტკივა გული ამ ქვეყნის ბედზე,*

*არამედ თითოეულ მათგანს.* ზოგჯერ „არამედ" გამოტოვებულია, მაგრამ მძიმე მაინც უნდა დავწეროთ. *ეს კაცი ბარბი კი არა, უნახავია, ნამდვილი უნახავი.*

მძიმე იწერება მაცალკევებელი კავშირების (ხან... ...ხან, ან... ...ან, გინდ... ...გინდ, თუნდ... ...თუნდ) წინ, როცა მაცალკევებელი სიტყვა მეორდება. *ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი, ხან არც ესა ვარ, არც ისა.*

მძიმე დაისმის მაპირისპირებელი კავშირების (მაგრამ, ოღონდ, ხოლო, თუმცა, არ... ...არამედ) წინ. *სტუმრები მოვიდნენ, მაგრამ დიდხანს არ დარჩნენ.*

როცა წინადადებაში სიტყვები ზედიზედ მეორდება, განმეორებულ სიტყვებს შორის მძიმეს ვსვამთ. *ხვალ თეატრში წავალთ, აუცილებლად წავალთ.*

მძიმე დაისმის შესადარებლად გამოყენებულ კავშირებთანაც (როგორც, თითქოს, ვიდრე), როცა ისინი შესადარებელ სიტყვას უძღვიან წინ. *იგი შიშველი იყო, როგორც გაძარცვული.*

სავარჯიშო № 18. დასვით სასვენი ნიშნები

1. დაიბნა კაცი აღარც წასვლა უნდოდა აღარც დარჩენა
2. ჭკვიანი მაგრამ ცოტა ეშმაკიც იყო ჩვენი ვანო
3. ნურც მკვდარს გამწირავ ნურც ცოცხალს (ა. წერეთელი)
4. წავიდეთ ენახოთ ან მკვდარს შევხვდებით ან ცოცხალს
5. ჩემი ბიჭი ტანით დიდია თუმცა ასაკით პატარაა
6. ვერც ქარი შემაშინებს ვერც სიცივე
7. რამდენადაც მაღალი და მნიშვნელოვანია საბავშვო მწერლობის იდეურ-მხატვრული დონე იმდენად დიდი და ხანგრძლივია მისი გავლენა ბავშვის გულსა და გონებაზე (გ. აბაშიძე)
8. დედა ცელქ შვილს ხან უჯავრდებოდა ხან ეფერებოდა
9. იგი ლამაზი იყო ძალიან ლამაზი
10. გუშინ თბილი მაგრამ წვიმიანი დღე იყო
11. ჩვენი სუფრა ღარიბი იყო მაგრამ მხიარული.

## მძიმე განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებთან

წინადადების წევრი ზოგჯერ პაუზით გამოეყოფა მეზობელ სიტყვებს და განცალკევებით დგას. ამ მოვლენას განკერძოებას უწოდებენ, ასეთ წევრს კი — განკერძოებულს. გარდა

განკერძოებული წევრებისა, არსებობს სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც განცალკევებით დგას, მაგრამ წინადადების წევრის განკერძოება არ არის. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმებია: განკერძოებული განსაზღვრება, დანართი, განკერძოებული გარემოება (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის, მიზნის), ჩართული, მიმართვა, მიგებითი ნაწილაკები და შორისდებული.

როგორც ვიცით, წინადადების წევრს, რომელიც ახლავს არსებით სახელს და საგანს რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს, განსაზღვრება ეწოდება. *გიორგი ნიჭიერი, გონიერი ბავშვია.*

განკერძოებულ განსაზღვრებას, ჩვეულებრივი განსაზღვრებისგან განსხვავებით, მეტი აზრობრივი დამოუკიდებლობა და გამომსახველობითი ძალა ახასიათებს. იგი არსებითი სახელით ან გაარსებითებული სახელით გადმოცემული წევრის შესახებ დამატებით შემავსებელ ცნობას იძლევა და წინადადებაში თავისი საზღვრული წევრისგან ინტონაციითა და პაუზით გამოიყოფა. *გიორგი ნიჭიერი ბავშვია, გონიერი.*

განკერძოებული განსაზღვრება უმთავრესად საზღვრული წევრის შემდეგაა, მაგრამ იშვიათად შეიძლება უსწრებდეს მას. განკერძოებული განსაზღვრება თავისი მიმყოლი სიტყვებითურთ მძიმით გამოიყოფა, როცა წინადადების თავშია ან ბოლოში და მძიმეებით, როცა წინადადების შუაშია. იშვიათად განკერძოებულ განსაზღვრებასთან შეიძლება დავსვათ ტირე ან ორწერტილი. *მშვენიერი ფილმი ვნახეთ — საინტერესო და შინაარსიანი.*

სავარჯიშო № 19. დასვით სასვენი ნიშნები

1. პატარა ლეკვი ნაცრისფერი და ბუთხუზა კართან გატრუნულიყო

2. გამახსენდა როგორ მოკლა ვილაცამ თბილისის ზოოპარკში ირემი სიცივისა და შიმშილისაგან დაოსებული (ს. ჯულელი)

3. ამიტომაც მაგონებს ჩემი თბილისი ცისარტყელას ლამაზი ზღაპრული ფერებით აჭრელებულს (ს. ჯულელი)

4. იმ კარშიც ატანდა მომსვლელ-წამსვლელთა საუბარი ხმამაღალი და უხეში (ი. ჯავახაძე)

5. ცხენოსნების მოახლოებისას თხრილიდან ბოლოქანქარა წამოფრინდა მტრედისფერი შავლაქებიანი (კ. ხიმშიაშვილი)

6. ყველა ხალხს აქვს თავისივე ოცნებებითა და სიზმრებით მოქსოვილი სამყარო კალმით ფუნჯითა თუ საჭრეთლით შექმნილი (თ. ჭილაძე)

7. სიკვდილი გვათავისუფლებს მტრებისგან და გვძენს მეგობრებს მარადიულებს (თ. ჭილაძე)

8. პოეტისათვის უპირველესი ნიჭია ხედავდე და აფასებდე ქვეყანას მშვენიერსა და ხელუხლებელს (თ. ჭილაძე)

9. ტიციან ტაბიძეს ბუნების პირველყოფილი სილამაზე ხიბლავდა და ადამიანის მთლად პირველი განცდები აღელვებდა შეურყვნელი (თ. ჭილაძე)

10. ჭოლა ციხიდან ციხეში გადაჰყავთ პროტესტანტი დაუდგრომელი (ს. ჭილაია)

11. ის ფაცხაა მღვიმის პირად მიწნული და მიგრეხილი (ა. წერეთელი)

12. გზა მიუძღვის საცალფეხო მიხვეული მოხვეული (ა. წერეთელი)

13. ანუ ჰყავდეს რაში ცხენი მთაში გაზრდილ-გამოწვრთნილი კლდიდან კლდეზე გადამფრენი უშიშარი და თან ფრთხილი (ა. წერეთელი)

14. ერთი ვინმე ახალგაზრდა აფხაზია ამ მთის შვილი რთულ ცხოვრების უარმყოფი მცირედითაც კმაყოფილი (ა. წერეთელი)

15. რუსთაველის ხმა გლახაკების ფანდურის ჩხაკუნშიაც ისე მოისმოდა როგორც სებასტიან ბახის მუსიკა ორგელის ჯადოსნურ სალამურებიდან განცხადებული (კ. გამსახურდია)

16. რეცეფციული ანუ აღქმის ესთეტიკა პოსტსტრუქტურალისტური ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლიტერატურათმცოდნეობითი მიმდინარეობაა მჭიდროდ დაკავშირებული ჰერმენევტიკასთან ინტერპრეტაციის ხელოვნებასთან (ლ. ბრეგაძე)

17. ამ ღვარძლის თესლმა დათესილმა საუკუნის დასაწყისში სრულყოფილად იხარა საუკუნის ბოლოს (ე. ახვლედიანი)

დანართი არის სახელით გადმოცემული წინადადების რომელიმე წევრის შესახებ დამატებითი ცნობის შემცველი სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომელიც მისამართ წევრთან დაკავშირებულია პაუზით ან საგანგებო მაკავშირებელი სიტყვით. *ეს კაცი, სახელად ივანე, ჩემი მასწავლებელი იყო.*

დანართი წინადადებაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს გაუვრცობლად ანუ ცალკე ერთეულად. *სტუმრები მამაჩემს, გიორგის, დიდხანს არ დაელოდნენ.* თუმცა დანართი უფრო ხშირად მიმყოლი სიტყვით ან სიტყვებითაა გავრცობილი. *სადარბაზოში ელოდებოდა ბავშვი, თავისი შვილი.*

ასახსნელ-განსამარტავ წევრებთან დანართის დასაკავშირებლად გამოყენებულია როგორც საკუთრივ კავშირები (მაიგივებელი), ისე კავშირის ფუნქციით გამოყენებული სიტყვები და ნაწილაკები: ესე იგი, ანუ, თუნდაც, როგორც, განსაკუთრებით, სახელდობრ, მაგალითად, ვთქვათ, უმთავრესად, კი, მეტადრე, ისიც, -ც, სიგრძით, სპეციალობით, წოდებით, სახელად, მეტსახელად, გვარად, ტომით, მოდგმით, წარმოშობით, ეროვნებით და სხვა. *მისი ქმარი, სახელად ოტია, გვარად ქამუშაძე, წოდებით აზნაური იყო.*

დანართი ცალკე თუ თავისი მიმყოლი სიტყვებით წინადადების წევრებისგან გამოიყოფა მძიმეებით, როცა წინადადების შუაშია და მძიმით, როცა წინადადების თავში ან ბოლოშია. ზოგჯერ

უკავშირო დანართი ტირეთი ან ფრჩხილებით გამოიყოფა. *ჩემი მეგობრები — ნანა დოლიძე და ნინო ურუშაძე — ინგლისში მიდიან სასწავლებლად.*

დანართს ამხსნელ-დამაზუსტებლად შეიძლება მოსდევდეს სხვა დანართი ან დანართები. ყოველი მათგანი ერთმანეთისგან მძიმეებით უნდა გამოვყოთ. *კარგად მახსოვს ნინო მეტონიძე, ჩემი კლასელი, ულამაზესი გოგონა, ჭკვიანი და ნიჭიერი.*

დანართი ზოგჯერ, იშვიათად, მისამართი წევრის განმეორებაა, ოღონდ ამ შემთხვევაში იგი, როგორც წესი, გავრცობილია სხვა სიტყვებით. *ძალიან კარგად ერკვევა მხატვრობაში, განსაკუთრებით კედლის მხატვრობაში.*

სავარჯიშო № 20. დასვით სასვენი ნიშნები

1. მერის მეუღლე დღეს უკვე პროფესორი რაც ასაკში შევიდა უფრო დამშვენდა
2. მის ადგილას ბევრი ადამიანი უიმედო ცხოვრებას დამორჩილებული წამოიკვნესებდა
3. თქვენ სოფლელი ბიჭები ღონივრები ხართ მაგრამ მშიშრები
4. ლუარსაბის ცოლი დარეჯანი ნამდვილი მზეთუნახავი იყო
5. მეფის შვილებმა ადარნასემ ბაგრატმა და გუარამმა უხვად გაიღეს შესაწირი
6. ყველა ულოცავდა აბდუშაჰილს გამარჯვებას დიდი თუ პატარა
7. აქ ბიძინამ როგორც მთავარსარდალმა ორად გაყო ჯარი
8. ჩემი სტუდენტები მაგალითად ჯაფარიძე და დავითაშვილი ბრწყინვალედ ფლობენ გერმანულ ენას
9. ნინოს მეზობელი რობერტი ეროვნებით სომეხი საზღვარგარეთ მიდის საცხოვრებლად
10. ჭოლა ლომთათიძემ როგორც სიტყვის ნამდვილმა ოსტატმა პროტესტანტმა და შეურიგებელმა ადამიანმა მეფის საპყრობილის კედლებში რამდენიმე წელი გაატარა (ს. ჭილაია)
11. მე ფრედ ჰეინგსტონი ვარ ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ყოველმხრივ წარმატებული ახალგაზრდა კაცი (ხ. თავდგირიძე)

გარემოება არის წინადადების წევრი, რომელიც ახლავს ზმნას და გვიჩვენებს, სად, როდის, როგორ, რატომ ან რისთვის ხდება მოქმედება. ზოგჯერ ერთ გარემოებას ახლავს მასთან აზრობრივად დაკავშირებული სხვა გარემოება, რომელიც ხსნის და აზუსტებს მას. *აქ, ამ პატარა ახმეტაში, ყველაფერი მალამოდ ეცხება ჩემს გრძნობა-გონებას.*

ქართულში ფართოდაა გავრცელებული ადგილის, დროისა და ვითარების გარემოებათა განკერძოების შემთხვევები, იშვიათია მიზეზისა და მიზნის გარემოებათა განკერძოება.

განკერძოებული გარემოება წინადადებაში მძიმეებით გამოიყოფა. შეიძლება წინადადებაში ერთმანეთის მიყოლებით გვქონდეს რამდენიმე განკერძოებული გარემოება. *ყველას ვეპატიჟებით ჩვენთან, მთაწმინდაზე, თბილისში, საქართველოში.*

სავარჯიშო № 21. დასვით სასვენი ნიშნები

1. ერთხელ გაზაფხულზე უცნაური სტუმარი მეწვია

2. მთის მწვერვალზე ცის მახლობლად მერცხლის ბუდედ რაღაც მოჩანს (ა. წერეთელი)

3. ამ მეტად თავისებურ ხეს ჩემთან ჩემს მშობლიურ სოფელ ხაშმში ბრტყენას ეძახიან

4. ამ დილით შვიდ საათზე აეროპორტის გზაზე დიდი ავარია მოხდა

5. ჩვენთან თბილისში ზამთარში ორ-სამ დღეს თუ იდება თოვლი

6. იქ იმ კლდოვანი მთის თავზე ღრუბლიდან გამოსულიყო უზარმაზარი ციხე-დარბაზი შეუპოვრად გადმომდგარიყო და სანუგეშოდ გადაჰყურებდა არემარეს (ა. წერეთელი).

7. იქვე შორიახლოს ზედ ხარიხასთან მიუდგა სკამი ზაალის მეუღლეს (ა. წერეთელი)

8. დაუნდობლად ჟლეტდა იგი მტერს სასტიკად

9. ეს ახალი სიბრძნეა არსად არც ერთ კაბალისტურ წიგნში არ ამოიკითხება (ბ. ადეიშვილი)

10. პეტერბურგიდან მაშინდელი ლენინგრადიდან აწ განსვენებულმა პოეტმა დალი ცაავამ მანდელშტამის ის ლექსები ჩამოიტანა თბილისში მანქანაზე გადაბეჭდილი ჩვენსავის საერთოდ რომ არ იყო ცნობილი და გასაგები მიზეზების გამო საბჭოთა ცენზურა მათ გამოქვეყნებას კრძალავდა (გ. ალხაზიშვილი)

11. მდინარე ტეხურის პირას სოფელ უშაფათის ბოლოს ორ მთას შუა საკმაოდ ფართო ველია გაჭიმული (უიარაღო)

12. საშვავესთან გელიყარის ქვახეთქილში სულ მოულოდნელად ვიღაც შაოსანმა დედაბერმა წინ გადაურბინა (ლ. გოთუა)

13. მანდელშტამი 1939 წელს გარდაიცვალა საბჭოურ საკონცენტრაციო ბანაკში ეტარაია რეჩკაში ვლადივოსტოკის მახლობლად (გ. ალხაზიშვილი)

მძიმით (მძიმეებით) გამოიყოფა სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე დართული „გარდა" და „მიუხედავად" თანდებულიანი გამოთქმები. ნათიას, გიორგის გარდა, კიდევ სამი შვილი ჰყავს. განკერძოებულია, აგრეთვე, გამოთქმები: უპირველეს ყოვლისა, პირველ ყოვლისა, უწინარეს ყოვლისა.

ჩართული ჰქვია სიტყვებს, სიტყვათშეერთებებსა და წინადადებებს, რომლებიც გამოხატავს მოუბარის დამოკიდებულებას ძირითადი წინადადების მნიშვნელობასთან, იძლევა გამონათქვამის საერთო შეფასებას, მიუთითებს აზრის წყაროზე და ა. შ.. ჩართული არ არის წინადადების წევრი, არ დაესმის კითხვა, ვერ ამყარებს კავშირს წინადადების წევრებთან. ჩართული შეიძლება იყოს წინადადების თავში, შუაში ან ბოლოში. როცა იგი წინადადების თავში ან ბოლოშია, მძიმით გამოიყოფა, როცა შუაშია — მძიმეებით.

ჩართული გვიჩვენებს, რომ მთქმელი დარწმუნებულია გამოთქმული აზრის ჭეშმარიტებაში: რასაკვირველია, რა თქმა უნდა, აშკარაა, ცხადია, ნათელია, მართლაც, ტყუილია, მახსოვს, მე რომ მკითხოთ, არც მეტი არც ნაკლები, ბოლოს და ბოლოს... *რასაკვირველია, თქვენთან ერთად წამოვალ.*

ჩართული შეიძლება გვიჩვენებდეს, რომ აზრი მიჩნეულია საეჭვოდ, სათუოდ, გამოთქმულია მოსაუბრის ვარაუდი: მგონი, ვფიქრობ, ვგონებ, ჩანს, ალბათ, ცოტა არ იყოს, ასე თუ ისე, თუ არ ვცდები, ვინ იცის, ერთიც ვნახოთ... *მგონი, მეზობლები უნდა ვიყოთ...*

ჩართული გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ხდება რამე ფაქტის შეფასება ან განზოგადება: ჩვეულებრივ, როგორც წესი, ცნობილია, როგორც ვიცით, საერთოდ, საზოგადოდ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, წესისამებრ... *როგორც ვიცით, ხილამაზის კონკურსის დასკვნითი ეტაპი დეკემბერში იგეგმება.*

ჩართული გამოხატავს მოსაუბრის მიერ გამოთქმული აზრის შეფასებას: სამწუხაროდ, საბედნიეროდ, ბედად, რაღაც ჭირად, რაღაც ეშმაკად, ღვთით, ღვთის მადლით, ჩემდა ბედად, რა ვქნა, მტრისას, მტრისას და ავისას... *ჩემდა ბედად, მზიანი ამინდები დაიჭირა და კარგი მოსავალი მოვიდა.*

ჩართულის საშუალებით შეიძლება მითითებული იყოს აზრის წყარო: ჩემი აზრით, როგორც ამბობენ, ამბობენ, როგორც ძველად ამბობდნენ, როგორც ჩვენი წინაპრებისგან ვიცით, მისი წარმოდგენით, ჟურნალისტების ინფორმაციით, როგორც მასმედიის საშუალებები იუწყებიან, ჟურნალ-გაზეთების ცნობით... *როგორც ამბობენ, ადრე ღვარძლი არ ყოფილა.*

ჩართული შეიძლება გვიჩვენებდეს მთქმელის დამოკიდებულებას სტილისამი: უფრო სწორად, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ასე ვთქვათ... *დილით წვიმდა, უფრო სწორად, თავსხმა იყო.*

ჩართულის საშუალებით შეიძლება მთქმელი იპყრობდეს თანამოსაუბრის ყურადღებას: როგორც გეტყობათ, თუ გნებავთ, ნუ გაგიკვირდებათ, შენ ხარ ჩემი ბატონი... *როგორც გეტყობათ, უცხოელი ბრძანდებით.*

ჩართული სიტყვები და გამოთქმები გამოიყენება აზრის ლოგიკური თანმიმდევრობით დასალაგებლად, ან გვიჩვენებს დამოკიდებულებას წინ გამოთქმულ აზრთან: ჯერ ერთი... ...მეორე,

თანაც, ერთი მხრივ– –მეორე მხრივ, პირველი... ...მეორე, ერთი სიტყვით, ამრიგად, ამგვარად, მოკლედ, როგორც მოგახსენეთ, როგორც გითხარით, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მით უმეტეს, მით უფრო, მაგალითად, სამაგიეროდ, პირიქით, სხვათა შორის– *ერთი მხრივ, თქვენი დაცვა მინდა, მეორე მხრივ, თქვენი მოწინააღმდეგე მეცოდება.*

ჩართულია საალერსო სიტყვები და გამოთქმები, ზოგიერთი ფიცის ფორმულა, რომლებსაც შორისდებულის მნიშვნელობის მქონედ მიიჩნევენ: გენაცვალე, შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე, შენ შემოგევლე, შენი კენესამე, შენმა დღეგრძელობამ, შენს გაზრდას, შენს გაზრდა-გახარებას, გეთაყვა, დედაშვილობამ, ძმობამ, შვილოსა, ღმერთმანი, ჩემმა მზემ, გეფიცები– *შვილო, შენს გაზრდა-გახარებას, წყალი მომიტანე!*

ჩართულის ფუნქციის შესრულება შეუძლია მრავალსიტყვიან წინადადებასაც. ამ შემთხვევაში ის შეიძლება ტირეებით გამოვყოთ ან ფრჩხილებში ჩავსვათ. *ბაბუაჩემმა ბულა — ასე ეძახიან ჩვენთან თუთას — ღობის ძირას დარგო.*

სავარჯიშო № 22. დასვით სასვენი ნიშნები

1. ჩემი დროის სკოლა ვიმეორებ ჯოჯოხეთი იყო

2. მე როგორც ოჯახის ერთადერთ მამაკაცს კრებაზე ყოველთვის მისწრებდნენ ოლონდ სათათბირო ხმით (ნ. დუმბაძე)

3. ერთი ჩემი მეგობარი ხელოვნებათმცოდნის აზრით ეს ფრესკა XIV საუკუნემდე უნდა იყოს შესრულებული

4. ახალგაზრდობაში თურმე ცხენოსნობას უქებდნენ

5. ჩვენ რა თქმა უნდა კარგად ვიცოდით რა ხე ისხამდა ანდა რა ერქვა იმ უტკბეს ნაყოფს

6. შენი ნახვა მართალი გითხრა გამიხარდა

7. როგორც გატყობთ საქართველოში პირველად ხართ

8. მე შენ გეტყვი არ დაგაგვიანდება

9. მათემატიკაში ძლიერი ვარ სამაგიეროდ გეოგრაფიაში მოვიკოჭლებ

10. ჩემი ვარაუდით ერთ კვირაში დათბება

11. დრო როგორც ამბობენ საუკეთესო მკურნალია

12. აი ბ-ნი კლდიაშვილის მოთხრობების მთავარი აზრი და თუ გნებავთ აი მთელი აზრი ჩვენის ცხოვრებისა ჩვენის ბეჩავის და საცოდავის ცხოვრებისა (კ. აბაშიძე)

13. დიდი ხელოვნებით არის აღწერილი სწორედ გითხრათ ეს დაუბოლოებელი ერთმანეთის მოტყუება ისე რომ მომტყუებელიც და მოსატყუებელიც კარგადა გრძნობს თავიანთის სიტყვების სიყალბეს რომელიც შეუმჩნეველი არც ერთ მხარეს არა რჩება (კ. აბაშიძე)

14. მართალია კაცის ოცნება ცხოვრებისაგან თითქმის უმეტეს ნაწილად შემუსვრილი რჩება მაგრამ კაცი სიმხნევეს მაინც არა კარგავს (კ. აბაშიძე)

15. უეჭველია ყველას ეუცხოვება ასეთი დაპირდაპირება (კ. აბაშიძე)

16. ეს მემკვიდრეობითობა და ურთიერთკავშირი რასაკვირველია არც ერთი მათგანის მათ შორის არც ფილოსოფიის დამოუკიდებლობას არ ხელყოფს არამედ პირიქით განამტკიცებს და მის ღირებულებას კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს (ს. ავალიანი)

17. ცოდნის ფორმებია აგრეთვე სპეციალური მეცნიერებანი ამიტომ ბუნებრივია მათ შორის მჭიდრო აუცილებელი კავშირი არსებობს (ს. ავალიანი).

18. ეს ყველაფერი კი როგორც ვიცით მოითხოვდა ფილოსოფიურ გააზრებას რამაც ნატურფილოსოფიის ასევე მძლავრ განვითარებაში პოვა გამოძახილი (ს. ავალიანი)

19. XX საუკუნის ნატურფილოსოფიის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას როგორც აღვნიშნეთ ისიც წარმოადგენს რომ უახლეს საბუნებისმეტყველო აღმოჩენებს ხელი მოჰკიდა სპეციალურ მეცნიერებებში დაოსტატებულმა ფილოსოფოსთა თაობამ რომლებიც ცნობილია ნეოპოზიტივისტების სახელწოდებით (ს. ავალიანი)

20. ჩემი აზრით ამ ფილმში ტრიერმა სააშკარაოზე გამოიტანა სასულიერო პირთა დოგმები რეჟისორმა პროვინციალიზმისა და გაუნათლებლობის მთავარ გამოვლინებად შერაცხა რელიგიის მსახურთა დოგმატური წესები რომელთა მეშვეობითაც ისინი მრევლზე გავლენის მოპოვებას ცდილობენ რელიგიური დოგმატიზმიდან განთავისუფლებას და ცივილიზებული აზროვნების დამკვიდრებას როგორც ირკვევა არც საზოგადოება და არც სასულიერო პირები არ ჩქარობენ რელიგია იმდენად ტაბუდადებული თემაა საზოგადოებაში რომ ადამიანები ერიდებიან ამ სფეროზე საუბარს ან საკუთარი განსხვავებული აზრის გამოთქმას (თ. აქუბარდია)

21. დღევანდელ მსოფლიოში აფრიკის თემა მწვავედ დგას და ჩემი აზრით კიდევ უფრო მწვავე გახდება მომავალში რამდენიმე მიზეზის გამო (მ. ბასილაია)

22. ამასთანავე აფრიკა თავისი მილიარდიანი მოსახლეობით პოტენციური უდიდესი ბაზარია რომლის ათვისებაც მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი იქნება ზემოთ ხსენებული უძლიერესი ქვეყნებისათვის მაგრამ აფრიკა ულარიბესი კონტინენტია რის გამოც ამერიკულ და ევროპულ ძვირადღირებულ პროდუქციას ვერ აითვისებს სამაგიეროდ აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში უკვე სრული სვლით მუშაობს ჩინური ფაბრიკები და მშვენივრად საღდება ჩინური იაფი პროდუქცია (მ. ბასილაია)

23. ჩინეთი უამრავი პროექტის ამოქმედებაში დაეხმარა ერთ-ერთ ულარიბეს აფრიკულ ქვეყანას მაგალითად სოფლის მეურნეობის დარგში ბრინჯის მოყვანისა და შაქრის წარმოების ტექნოლოგიები დაინერგა ჩინეთი ეხმარება სიერა ლეონეს ელექტრომატარებლების განვითარებაში

და ჩინელების დახმარებით აშენდა ჰიდროელექტროსადგურები აგრეთვე გზები ხიდები და სხვა ინფრასტრუქტურა უნდა აღინიშნოს რომ სიერა ლეონეს დედაქალაქ ფრითაუნში ეროვნული საფეხბურთო სტადიონიც კი ჩინელების დახმარებით აშენდა (მ. ბასილაია)

24. მიუხედავად ამისა სიერა ლეონეში ძალიან დაძაბული სიტუაციაა ეს ქვეყანა უკვე რამდენიმე ათეული წელია შეიძლება ითქვას საომარ მდგომარეობაშია (მ. ბასილაია)

25. საქართველოს როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური და სხვა პრობლემებიდან გამომდინარე რომელთა სიმწვავე დღეს შეიძლება უფრო ცხადად ჩანს ვიდრე 1999 წელს უნდა ითქვას რომ ამ ვალდებულების დაკისრება საქართველოსთვის უსამართლო თუ არა ნაადრევი მაინც იყო (ლ. ბერძული)

26. ამავე დროს ორივე ამ პოეტს დამოუკიდებლად ვრცელი ადგილი უკავია აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძის ხანგრძლივ სამეცნიერო კვლევა-ძიებაში ამდენად მათი შეხვედრა ამ საიუბილეო კრებულის ფურცლებზე ბუნებრივად და ორგანულად მიგვაჩნია (ა. გვახარია)

27. ამ ტიპისაა მაგალითად უკანასკნელი მეშვიდე ნოველა რომელიც თავისი ძირითადი სიუჟეტური მოტივით ფუნქციათა თანმიმდევრობითა და ფინალური იდეით წარმოადგენს დავით გურამიშვილის მხიარული ზაფხულის ანუ ქაცვია მწყემსის ისტორიულ-ტიპოლოგიურ ანალოგიას (ა. გვახარია)

28. მართლაც ამ მეზობელი კაცის შემწეობით მოწყობილი ქორწილისა და მღვდლის კურთხევის შემდგომ მიაღწევს ბიჭი თავის საწადელ მიზანს (ა. გვახარია)

29. ყოველ შემთხვევაში უკანასკნელი ხანის კვლევა-ძიებამ გამოავლინა ქართული ხალხური შემოქმედების კონკრეტული ასახვა დ გურამიშვილის პოეზიაში გამოითქვა მოსაზრება რომ შესაძლებელია დავითიანის ნაწილი საქართველოში შეიქმნა ასეა თუ ისე ნიზამის ბაჰრამ-გურის მეშვიდე ნოველის სიუჟეტური თანხვედრა მხიარული ზაფხულის ცენტრალურ ეპიზოდთან არ უნდა იყოს შემთხვევითი (ა. გვახარია)

30. ყოველ შემთხვევაში გურამ მეგრელიშვილის მოთხრობების პირველი კრებული ვერ ვიტყვი რომ უსერიოზულესი მაგრამ აშკარად საყურადღებო განაცხადია ქართული ლიტერატურისთვის (ლ. კოდალაშვილი)

31. მაინც გარისკეთ და იყიდეთ ეს წიგნი რომელსაც სხვათა შორის მრავალჯერადი ბოთლები ჰქვია ნელ-ნელა აღმოაჩენთ რომ გარეკანმა ისევე მოგატყუათ როგორც ზოგიერთი გაზეთის საპირველგვერდე ანონსი ტყუის ხოლმე მოკლედ ბევრი რომ არ გავაგრძელო სხვას ელი და სულ სხვა რამ შეგრჩა (ლ. კოდალაშვილი)

32. მას როგორც ჩანს არც ისე რბილი ხასიათი აქვს ცდილობს, იყოს ლაკონიური და ყველა აღწერა ყველა ჩამონათვალი ყველა შტრიხი მოახმაროს არარსებული სიმბოლო-ტიპაჟების შექმნას

რომლებიც თავის მხრი, ხან პრობლემის გადაჭრის გზას ეძებენ ხან კი თავადვე ჭრიან პრობლემას (ლ. ,ოდალაშვილი)

33. მე კი ჩემი პროფესიიდან გამომდინარე იცით რა მენატრება ხოლმე სადმე ისე წავიდე რომ რედაქტორმა დავალება არ მომაყოლოს (ბ. ჩეკურიშვილი)

34. სამაგიეროდ იმ მაღაზიაში ბურთები იყიდებოდა (ბ. ჩეკურიშვილი)

35. სუფრა სკოლის სამასწავლებლოში გავშალეთ გრძელ მაგიდაზე სალათიც დავჭერით ჩემო ბატონო და ჭიქებიც ჩამოვარიგეთ (ბ. ჩეკურიშვილი)

36. როგორც მეორე დღეს ბიჭები ყვებოდნენ სუფრაზე სიტყვა აღარავის უთქვამს გიორგი მორჩაძემ აწეული ჭიქა მაგიდაზე დაუშვა და მდუმარედ დაჯდა (ბ. ჩეკურიშვილი)

37. ისე რა დასამალია და ბევრი თანამგზავრი ჰყავდა სწორედ რომ თანამგზავრი რადგან არასდროს ჩერდებოდა ერთ ადგილზე მთელი საქართველო ჰქონდა შემოვლილი (ე. ღაღანიძე)

38. ასე რომ იმ დროისათვის ქალაქიდან ქალაქში არა მაგრამ ბინიდან ბინაში გადაბარგებით იყო დაკავებული (ე. ღაღანიძე)

39. გივი ალხაზიშვილი განუწყვეტლივ სინჯავს აუთვისებელს და ამავე დროს ენდობა არჩეულს. (მ. ღაღანიძე)

40. უნდა ითქვას, რომ უცნაურ მოვლენას აქვს ადგილი: კაცი, რომელიც თანამედროვეთა ცენტრში იდგა თავისი სამხედრო საქმიანობით და ზოგის აღტაცებას იწვევდა, ზოგის - შურსა და სიძულვილს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არავითარ გამოხმაურებას არ პოულობს ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვაობაში. (გ. შატბერაშვილი).

41. მიუხედავად ამისა დღემდის მოურავის შესახებ ხალხური თქმულება თუ ლექსი არ გამოქვეყნებულა (გ. შატბერაშვილი)

42. ჰამერის ცნობით მოურავს თავისი არაჩვეულებრივი ღონისა და აგებულების გამო მეტსახელად ხარს ეძახდნენ ხალხის წარმოდგენით გიორგი წარმოშობით გლეხკაცი იყო გვარად გიგაური ხევსურეთიდან (გ. შატბერაშვილი)

43. გულახდილად უნდა მოგახსენოთ რომ ამ ჩემი ნაცოდვილარით მე არც არავის ჭკუაზე დარიგება მეხალისება და არც მიყვარს ეს მოსაწყენი საქმე (დ. შენგელაია)

44. მთაში საზოგადოდ იყო ჩვეულებად ტყვეების მოყვანა და იმათი დამონავება (ა. ყაზბეგი)

45. მარო როგორც ზემოთა ვთქვით მაღალი და წარმოსადეგი გოგო იყო (ე. გაბაშვილი)

46. ჩემი აზრით არიან პოეტები რომელთა ლექსები იბადება ანუ საქმე გვაქვს თავისებურ ზეპირსიტყვიერებასთან (ა. ბუაჩიძე)

47. ასე რომ მსოფლიოს ბოტანიკურ რუკაზე რაოდენ მოულოდნელ წერტილშიც უნდა აღდგეს ეს სიტყვა იქ ჩვენი წინაპრების ყოფნას როგორც იტყვიან  წყალი არ გაუვა (ლ. ბერძენიშვილი)

48. მამების ბრძოლა ილიას წინააღმდეგ არსებითად მოდერნის წინააღმდეგ ბრძოლაა (ლ. ბრეგაძე)

49. სოფელი გულჩვილია და საწყალი ბაბალეს სიკვდილმა რა თქმა უნდა გული დასწყვიტა (თ. ბიბილური)

50. ჩვენი დღევანდელი მწერლობა ვგულისხმობ საგრძნობ ნაწილს სრულიად მოწყვეტილია სინამდვილეს (ლ. ალიმონაკი).

51. ქართული ვერსიფიკაციის კვლევის ისტორიაში სამწუხაროდ ჯერ კიდევ არ დაუმკვიდრებია კუთვნილი ადგილი გრიგოლ რობაქიძეს რომლის შემოქმედება და ესეისტიკა ჩვენთვის ხელმისაწვდომი 80-იანი წლების ბოლოს შეიქნა (თ. ბარბაქაძე)

52. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ ადამიანი ხარ თუმცაღა მომაკვდავი (ე. ახვლედიანი)

53. ეს შიში რა თქმა უნდა არ არის მხოლოდ ფიზიკური გაქრობის შიში (ე. ახვლედიანი)

54. რასაკვირველია ცალკეული ნიმუშების სახით არამიმეტური და მიმეტური აზროვნება ერთ ქრონოლოგიურ არეალშიც არსებობს მაგრამ ეს თანაარსებობა ცალკეული ნიმუშებით გამოიხატება და მასშტაბურ ხასიათს არ იღებს (დ. ანფიმიადი)

55. უეჭველია ყველას ეუცხოვება ასეთი დაპირდაპირება (კ. აბაშიძე)

56. ხსოვნა კი მოგეხსენებათ ოფიციალური ცენზურისთვის საბედნიეროდ ხელმიუწვდომელი იყო (გ. ალხაზიშვილი)

57. გიჟია ჩემმა მზემ რა მთვრალი რის მთვრალი ვერ ცხრებოდა მეეტლე (ი. ბაბუნაშვილი)

მიმართვა არის წინადადების გარეთ მდგომი ან მის შემადგენლობაში შემავალი, მაგრამ წინადადების წევრებთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა, რომელიც ასახელებს მას (მეორე პირს), ვისკენაც არის მიმართული საუბარი. *გაიღვიძეთ, ბავშვებო, სკოლაში არ დაგაგვიანდეთ!*

მიმართვა წოდებით ბრუნვაში დასმული სახელია. ის შეიძლება იდგეს წინადადების თავში, შუაში ან ბოლოში. წინადადების თავში დასმული მიმართვის შემდეგ მძიმეს ვწერთ. *შვილო, სად ხარ?*

თუ მიმართვა დიდი გრძნობითაა წარმოთქმული, მის შემდეგ ძახილის ნიშანი უნდა დავწეროთ. *მამულიშვილნო! ქვეყანა გასაჭირშია!*

თუ მიმართვა წინადადების შუაშია მოქცეული, ორივე მხრიდან მძიმეებით უნდა გამოვყოთ. *მე, ჩემო კარგო, არაფერი მჭირს.*

თუ მიმართვა წინადადების ბოლოშია, მის წინ მძიმე იწერება, მის შემდეგ კი ის სასვენი ნიშანი, რომელსაც წინადადების შინაარსი მოითხოვს. *რა დაგიშავე, ღმერთო?!*

სავარჯიშო № 23. დასვით სასვენი ნიშნები

1. წარმოიდგინე მკითხველო მაღლის მთის წიაღიდან გადმოვარდნილი ანკარა წყარო (ი. გოგებაშვილი)

2. როგორ იქნება ძვირფასო დედა რომ ჩვენ გაგვეთიშოს თუნდაც სიკვდილმა (კ. გამსახურდია)

3. აბა შვილო ჩემი სიცოცხლე უშენოდ რა იქნება (ე. გაბაშვილი)

4. იცოცხლე ბატონო ღმერთი იყოს თქვენი მოწყალე მაგრამ ჩემს კაცს რა ვუთხრა რომ ასე გიშვებთ მისძახოდა ცაბო (გ. აბაშიძე)

5. გეყოფა ძილი ბატონიშვილო დროა გზას გავუდგეთ ხმადაბლა თქვა ივლიანემ და სარკმლისაკენ ხელი გაიშვირა თენდება (გ. აბაშიძე)

6. საიდან ხარ შვილო რა გვარისა ხარ იკითხა ნავაზირალმა (გ. აბაშიძე)

7. ბევრს ნუ ისურვებ ნიკო (ე. ახვლედიანი)

8. შენ გეთაყვანოს ჩემი თავი გაიანე უთხრა ბოლოს ბებერმა რა სახით გიხდება ღირსი იყავ და მოგეცა კიდეცა გადაყარე ეგ შავები (ლ. არდაზიანი)

9. ყმაწვილი ხარ ჯერ ჩემო ლამაზო რომ თვითონ შენ ვერ მიმხვდარხარ საქმეს (ლ. არდაზიანი)

10. უბრძანე შვილო შემოვიდეს უთხრა ლუარსაბს მშობელმა (ლ. არდაზიანი)

11. ავწონე თქვენი გული მივხვდი თქვენს კეთილს განზრახვას ვგრძნობ ამას ყოველსა მაგრამ სიტყვა არა მაქვს გამოვსთქვა მადლობა ქალბატონო მე ღირსი არა ვარ თქვენთან ახლო ჯდომისა მიმიღეთ მოსამსახურედ (ლ. არდაზიანი)

12. ქუთაისში გახლავთ ჩემო ბატონო გიმნაზიის მოწაფეებთან შეხვედრა აქვს პუბლიცისტიკურ საკითხთან დაკავშირებით (ი. ბაბუნაშვილი)

13. ბატონო იაკობ ამობრძანდით ელენეს ხმაში უკვე ნამდვილი შფოთვა იგრძნობოდა (ი. ბაბუნაშვილი)

14. მაგრამა მშვენიერება გაქვს ცისიერო უხრწნელი და ჩემთა გრძნობათ შენდამი ვერ დასდვან კაცთა სახელი (ნ. ბარათაშვილი)

15. მადლი შენს გამჩენს ლამაზო ქალო შავთვალებიანო დღისით მზევ ღამე მთოვარევ წყნარო და ამოდ ხმიანო (ნ. ბარათაშვილი)

16. მიგიხვდი ჩემო მოხევევ რა ნესტრითა ხარ ნაჩხვლეტი ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო სთქვი შენ და მე გავიგონე მაგრამ გავიგონე თუ არა რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა იქ გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში როდემდის ოხ როდემდის როდემდის ჩემო საყვარელო მიწა-წყალო მომეც ამისი პასუხი (ი. ჭავჭავაძე)

17. ალუბლის ხევ შეპარულო ბერ-მონაზვნის სამყოფელში რატომ უხმობ წმინდას წმინდა იმ სოფლიდან ამ სოფელში (ბ. ხარანაული)

18. საყვარლის საფლავს ვეძებდი ვერ ვნახე დაკარგულიყო  გულამოსკვნილი ვჩიოდი სადა ხარ ჩემო სულიკო (ა. წერეთელი)

19. ჩემო ციცინათელა საით ჰფრენ ნელა-ნელა (ა. წერეთელი)

20. ო ენავ ჩემო დედაო ენავ შენ ჩვენო ნიჭო სრბოლავ და ფრენავ შენ ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო შენ კირო ჩვენთა ქვათა და კირთა შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან (ი. აბაშიძე)

21. ღმერთო მაპატიე აპათია რაც კი მაბადია მაპატიე (რ. ამაღლობელი)

22. შენ განუწყვეტლივ მიბიძგებ საით მარადიული დღეო და ღამევ (თ. ბაძაღუა)

23. ზღვაო ნუმც განმეშორები შენი მზე ნატერისთვალია ყოველთვის მემახსოვრები ზღვაო მიყვარხარ ძალიან (დ. ბედიანიძე)

24. ცეცხლს გავატან შენს სამყოფელს შენს სიყვარულს ქარს და მოგიკლავ მოღალატევ მაგ ნაფერებ ქმარს (კ. გამსახურდია)

25. ბობ დამეხმარე ასე ავადმყოფს / ბობ მხარზე მხარზე ხელი დამარტყი / ბობ ივრის პირას ცეცხლი დავანთოთ / ბობ მთვარის შუქზე ფერი ამარტის (რ. გეთიაშვილი)

26. პატარა ბიჭო ქალაქად წაგყვა / მამის საფლავის ია და სურო (ნ. გელაშვილი)

27. შენი მშობელი დედა ვარ შვილო ესეც შენი ლვიძლი მამაა ეუბნებოდა მაგდანი ქეთოს (ი. გოგებაშვილი)

28. არ დამიძახო ბიჭო ახლა, დიდროია ხაბაკაო და რომ მოვბრუნდები უფულოდ წავიღებ მაგ ჩემოდანს სოფელში (ნ. დუმბაძე)

29. სპირიდონ ძალიან გვინდა მოსვლა მაგრამ ამოგვიკვეთა ფეხი შენს ოჯახში ამ უჯიშომ მაგისი შიშით სკვინჩა ვერ შემომჯდარა შენი ღობის სარზე ან დააბი ან გადააშენე აქედან (ნ. დუმბაძე)

30. დილა მშვიდობისა და ღმერთმა გაგიმარჯოს ქალბატონო დარეჯან შენი ნაგრამიანდ დაილოცა ანანია სალუქვაძე და ისეთი სიამოვნებით დალია ღვინო ნერწყვი გადავყლაპე თითქოს თავმოხდილი ჭურის წინ არ ვმდგარიყავი (ნ. დუმბაძე)

31. ყური მიგდეთ ყმაწვილო თუ კი რაიმე არ არსებობს არ არსებობს სწორედ ფაქტები (ხ. თავდგირიძე)

32. დედა ინახულე / შენ წმინდა ხახული / წადი ფეხშიშველი /ქალაქში დაკარგულ შვილისთვის ლაპე გაათიე / ღმერთო აპატიე (პ. იაშვილი)

33. უიმე უიმე ღმერთო მომკალი პიტია სასიკვდილე პიტია კიკილო კიკილო თქვენ მოუკვდით თქვენ დედას თქვენ პიტია კიკილო კი-კი-ლო-ო უცნაური ხმით გაჰკიოდა და თან მირბოდა ზენათი (დ. კლდიაშვილი)

34. როგორ მიყვარდი წვიმავ იმ ჩემს ტკბილ ბავშვობაში (გ. ლობჟანიძე)

35. ჯანბეგ ჯანბეგ თენდება არა იძახდა ის (გ. რჩეულიშვილი)

36. რა არის კაცო შეგშურდა ჩემი აქ ამოსვლა თუ რა დაგემართა (თ. რაზიკაშვილი)

მძიმე იწერება მიგებით ნაწილაკებთანაც. მიგებითი ნაწილაკები ორგვარია — დადასტურებითი (ჰო, კი, დიახ) და უარყოფითი (არა, ვერა). მათ შემდეგ მძიმე იწერება იმ შემთხვევაში, თუ ისინი დიდი გრძნობით არაა წარმოთქმული, ხოლო თუ მიგებითი ნაწილაკი დიდი გრძნობით წარმოითქმის, მის შემდეგ ძახილის ნიშანი დაისმის. *ვერა! ვერაფრით ვერ დაგითმობთ ამ მიწას!*

შორისდებული, როგორც ვიცით, გრძნობასა და ნება-სურვილს გამოხატავს. მძიმე იწერება შორისდებულთანაც, თუ იგი დიდი გრძნობით არაა წარმოთქმული, ხოლო თუ შორისდებული დიდი გრძნობით წარმოითქმის, მის შემდეგ ძახილის ნიშანს ვსვამთ. *იფ, რა გეპრიელია! ვაიმე! ვილუპებით!*

რთული შორისდებულები და ხმაბაძვითი სიტყვები დეფისით იწერება: წკაპ-წკუპ, ვაი-ვაი, ხა-ხა-ხა). დეფისით არ იწერება შორისდებულთა რიგებში შემავალი იდიომატური გამოთქმები: დილა მშვიდობისა, ძილი ნებისა, შენი ჭირიმე, თქვენმა მზემ, კარგად ბრძანდებოდეთ, ღმერთმა დაგლოცოთ...

სავარჯიშო № 24. დასვით სასვენი ნიშნები

1. ოჰ რა კარგადა ვარ არც შემცივა არც მომშივა ბუტბუტებდა ფითრი (თ. რაზიკაშვილი)

2. კი ჩემო სინათლევ ჩემო მაცოცხლებელო მე უბედურს, ნაცარში ამოგლიგნილ დედაბერს ამისთანების რა გამეგება

3. არა შენ ვერ შეგეხება სასიკვდილოდ ჩემი ტყვია (ა. წერეთელი)

4. ოხო-ხო ჩაიცინა ანტონმა მე მიჯობნია სამ წელიწადში ცხრა ცოლი გამოვიცვალე დანარჩენ ლამაზებს ნაყარ-ნუყარსა და სხვის ცოლებს აღარ ვანგარიშობ მარტო ღმერთმა უწყის მათი კინარპა და რაოდენობა (მ. ჯავახიშვილი)

5. არა ერთი იმას დახეთ და იბღვირება ვიღაც მედუქნე (მ. ჯავახიშვილი)

6. არა აღარ შევა კაფე პასკალში არც სუფლოში არც დარკურში (მ. ჯავახიშვილი)

7. აფერუმ დედაკაცო სიყვარულიც გცოდნია და მეგობრობაც (ა. წერეთელი)

8. უჰ შენ რა გითხარი ძამია ღიმილით დასცდა გამხდარს და არაყი ჩამოასხა (ბ. ხვედელიძე)

9. დიახ შეუყვარდათ ერთმანეთი ისე როგორც აღმოსავლეთში მცხოვრებთ შეუძლიათ სიყვარული (დ. ჭონქაძე)

10. უი შე საწყალო

11. ვინა სთქვა შენი გარდაცვალება / არა უთუოდ დღეს დაიბადე (გ. ტაბიძე)

12. ქსანტე მაგგვარად განაბე სული /ოჰ არ დაიძრა გთხოვ გევედრები (გ. ტაბიძე)

13. ოჰ ასეთია ჩემი ცხოვრება / იანვარს მომძედ არ ვეძნელები (გ. ტაბიძე)

14. ოჰ შენი სახლი მე სახლთან იქვე / ღონემიხდილი მივაწექ კედელს (გ. ტაბიძე).

15. ო სიყმაწვილე აწი არასდროს / იმგვარად აღარ ამეტყველდები (გ. ტაბიძე)

16. არა არ დამივიწყო / არა არ მიმატოვო / ეს ცრემლები ვინ მიზლოს / მეუფევ და ბატონო (დ. ბედიანიძე)

17. ო შუა გზაზე რა ძნელია შემოღამება / რომ უკვდავებით შეისყიდო ქვეყნის წამება (კ. გამსახურდია)

18. ოჰ ბნელო ღამევ ხომ არ იცი რა იქნა დედა / ოჰ ცისნათელო ეგებ შენ თუ მაუწყო რამე (კ. გამსახურდია)

19. არა ხვალაც ვერ დაივიწყებ ცხოვრებას (თ. ბაძაღუა)

20. ჯანდაბას მერქვას მიჯნური ხამი / და ზმანებების პირისფარეში / ჯანდაბას ათასერთივე ღამის / სულის ამოხდა ღია თვალებში (ზ. ბიბილაშვილი)

21. ჰო ეს ამბავი დროში არ ხდება (ც. ბარბაქაძე).

22. ო რა მარტოა ღმერთო ჩემო ადამიანი ისიც რომელიც თითქოს ქვეყნად არ არის მარტო (ა. ბუაჩიძე)

23. ჰო ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი დღე იყო ბადრი (ა. ბუაჩიძე)

24. ო არა მაგრამ სიკვდილის გვერდით / სისხლიან ჩრდილში მწვავე ბრძოლების / თქვენ მაგონდებით როგორც იმედი / წარსულთა დღეთა განმეორების (მ. გელოვანი)

25. თქვენ მაპატიეთ ჰო მაპატიეთ დანაშაული არდაბრუნების (მ. გელოვანი)

26. ო ის ისეთი კარგი არის უნდა დავკარგო რომ სხვამაც იგრძნოს მისი პოვნის ბედნიერება (თ. გაბროშვილი).

27. ვაი ამ ჩემს გულს შენი დუმილი ნეტავი რატომ გაახმიანა (თ. გაბროშვილი)

28. არა თქვენი შეყოვნება ან გზის შეცვლა სულაც არ მსურდა უბრალოდ გულიდან ციცქნა თვალი ამომივარდა და აციმციმდა თქვენს სავალ გზაზე (თ. გაბროშვილი)

29. ჰო ძალიან კარგი თითქოს ისევ უსიტყვოდ მიუხვდა და დაამატა გამო რა ჩემთან (ლ. კოდალაშვილი)

30. არა წითლურია აბა დააკვირდი ღვინო დასჯაბნის
არა, მწვანეა პური დაჰკრავს ყველა მართალი იყო (გ. ლეონიძე)

## მძიმე რთულ წინადადებაში

**მძიმეს ვხმარობთ როგორც რთულ თანწყობილ, ისე რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.**

როგორც ვიცით, თანწყობილია წინადადება, რომელიც შედგება ერთიმეორის მიმართ თანასწორი წინადადებებისგან. როგორც უკავშირო, ასევე კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადების ნაწილები, თუ ისინი „და" კავშირით არ არიან შეერთებული, ერთმანეთისგან მძიმით გამოიყოფა. *ზოგჯერ მთაში მივდივარ დასასვენებლად, უფრო ხშირად კი ზღვაზე ვისვენებ. მარტი გავიდა, გათბა დღე, დარები დგება მზიანი.*

კავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებაში მძიმე დაისმის მაცალკევებელი კავშირების (ან... ...ან, ხან... ...ხან) წინ, გარდა პირველად ხმარებულისა (თუ „და" კავშირი არ არის გამოყენებული). *ხან ისვენებს, ხან მუშაობს, ხან ერთობა.*

კავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებაში მძიმე დაისმის მაპირისპირებელი კავშირების („მაგრამ", „ხოლო") წინაც. *ციოდა, მაგრამ სასეირნოდ მაინც წავიდნენ.*

მძიმე არ უნდა დავსვათ მაპირისპირებელი კავშირის, „კი"-ს წინ. ამ შემთხვევაში იგი წინადადებათა საზღვარზე იწერება. *ქალები სუფრიდან წამოიშალნენ, კაცებმა კი სმა განაგრძეს.*

სავარჯიშო № 25. დასვით სასვენი ნიშნები

1. ბავშვობა ადამიანის სიცოცხლის ულამაზესი და უბედნიერესი ხანაა მაგრამ შეცდომაა ამ ბედნიერებად ბავშვის ვითომდა უზრუნველი ცხოვრების მიჩნევა (გ. აბაშიძე)

2. ავტორი სასაცილო მდგომარეობაში აყენებს თავის გმირებს მაგრამ თანაც ებრალება ისინი

3. სიტყვის თავისუფლებამ სავალალოდ დააკნინა დედაენა მასმედიაში თავისუფლად გადმოინთხა უწიგნურობა (ლ. ავალიანი)

4. ტექნიკურ პროგრესს კაცობრიობის ზნეობრივი პროგრესი არ მოჰყოლია უფრო პირუკუ ადამიანი აღარ დაჭკვიანდება კომპიუტერის პოტენციალი კი თითქმის ამოუწურავია (ლ. ავალიანი)

5. ინტიმი არ არის უცხო ქართული პოეზიისათვის მაგრამ მას შემოაქვს თავისი საკუთარი სპეციფიკური ინტიმი შოთა ჩანტლაძის ინტიმი ურბანისტულ გარემოსთანაა ნაზიარები მისი საწყისი სამყაროს ერთფეროვნებით გულგასენილი კაცის შფოთვაა ზოგჯერ ეს ინტიმი ზღვარდაუდებელია (ლ. ალიმონაკი)

6. ზოგჯერ ცდილობენ ლექსი დაშალონ სტრიქონებად სიტყვებად დაანაწევრონ სახეებად მეტაფორებად მიუსადაგონ მას მკაცრი ლოგიკური განსჯა და ივიწყებენ რომ ლექსიც ისეთივე ცოცხალი არსებაა ვით თეთრი იორდასალამი.

7. ქვეყნად ვეძებდი სამოთხეს სამხრეთისაკენ ედემსა / ეფრატის გაღმა გავხედე გადახრუკულსა ქედებსა (რ. ერისთავი)

8. ბაღში გაზაფხული იყო ალუჩები ყვაოდნენ ის კი ჭლექით კვდებოდა (ლ. ასათიანი)

9. გამო შეითამაშე არვინ ეტყვის მამაშენს (რ. ერისთავი)

10. მე დაჭრილი ვარ უიარაღოდ / მე შენს სიყვარულს ვერ გავექეცი (ლ. ასათიანი)

11. სწორედ აქ არის მოსატანი ნიცშეს აფორიზმი ნახევარცოდნა სრულ ცოდნაზე ძლევამოსილია ხოლო მე მოკრძალებით დავამატებდი უმეცრება უძლეველია (ე. ახვლედიანი)

12. დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად შედის კოლხური კულტურის არეალში II-I ათასწლეულები კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ ქართველები და აფხაზთა წინაპრები აბაზგები და აფსილები ერთად იბრძვიან რომის ირანის ბიზანტიის და სხვა დამპყრობთა წინააღმდეგ ასევე ერთად იყვნენ ისინი მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველ ეგრის-აფხაზეთის სამეფოში VIII-XX სს და გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში XI-XII სს (ე. ახვლედიანი)

13. მე ახლაც მესმის თედოს ქაქანი ახლაც ისე ვხედავ როგორც იცოდა ხოლმე აივანზე გადმოდგომა (თ. ბიბილური)

14. საცაა შეირხევა აჭყაბაჭყად მოხატული კომედიის ფარდა შუქით სავსე სცენაზე გაღიმებული თედო გამოვარდება ჯერ სიტყვა არ ექნება ნათქვამი ხალხი წინასწარ ატეხს ხარხარს და ასე ხარხარით გაილევა ცხოვრება ვიდრე ის ჭრელაჭრულა ფარდა უკანასკნელად არ დაეშვება (თ. ბიბილური)

15. ბაბალე გამრჯე გამომდგარა თედოს მხარ-თეძოზე გადახრილი ქოხი ფეხზე წამოუყენებია შარან-გომური გაუმართავს ძროხა უყიდია ღობეზე მამალი დაუყივლებია ბაღლებიც დაუჩენია სოფელს კი მეტი რაღა დარჩენოდა თედოს ოჯახიც სათვალავში ჩაუგდია (თ. ბიბილური)

16. შედევრების ეპოქა ისტორიას ჩაჰბარდა და ახლა მათი შექმნა ცოტა უხერხულიც კია (ლ. ბერძენიშვილი)

17. ნოტომი ნაკლებადაა გართული პოსტმოდერნული თამაშებით მის ღიად პირდაპირ ნათქვამ სიმართლეს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ზემოქმედების უნარი და უპირატესობას მაინც რეალიზმს ანიჭებს (ნ. ბექიშვილი)

18. უფე საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენია აქვს რამდენიმე ხის გადამამუშავებელი ქარხანა და პლასტმასის საწარმო (ა. გეგენავა)

19. მოსახლეობის სოციალური დონით შვედეთი ევროპაში ერთ-ერთ წამყვან პოზიციას ინარჩუნებს თუმცა ბოლო წლებში ქვეყანას რამდენადმე გაუჭირდა უწინდელი ტემპის შენარჩუნება (ა. გეგენავა)

20. მშვენიერი სანახავია მოწმენდილი ცა განთიადის წინ ლაჟვარდის ფერი გაუზომელი გუმბათი მოჭედილია ბრწყინვალე ვარსკვლავებით და ესენი განუწყვეტლივ ებრძვიან ღამის სიბნელეს და ჰფენენ დაუსრულებელ სივრცეში სინათლესა და ლხენას (ი. გოგებაშვილი)

რთული ქვეწყობილია წინადადება, თუ იგი შედგება მთავარი და მასზე დამოკიდებული წინადადების ან წინადადებებისგან. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადება ზოგჯერ მოსდევს მთავარ წინადადებას, ზოგჯერ უსწრებს მას, ზოგჯერ კი მთავარი წინადადების შიგნითაა მოქცეული.

მძიმე დაისმის მთავარი წინადადების შემდეგ, როცა მას მოსდევს დამოკიდებული წინადადება. *ბინდდებოდა, როცა შინ დავბრუნდით.*

მძიმე დაისმის დამოკიდებული წინადადების შემდეგ, როცა მას მოსდევს მთავარი წინადადება. *შინ რომ დავბრუნდით, ბინდდებოდა.*

როცა დამოკიდებული წინადადება მოქცეულია მთავარი წინადადების შიგნით, ორივე მხრიდან მძიმეებით გამოიყოფა. *ქალი, რომელიც ჩემ წინ დგას, ჩვენი ძველი მეზობელია.*

უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, რომელშიც გამოტოვებულია „რომ" ან „თუ" კავშირები, დამოკიდებული წინადადება მთავარისგან მძიმით უნდა გამოვყოთ. *კახამ გადაწყვიტა, ქორწილი არ გადაეხადა. კაცმა იცოდა, რას მოასწავებდა ეს ამბავი.*

„რომ" კავშირის წინ მძიმე იმ შემთხვევაში დაისმის, როცა ის იწყებს დამოკიდებულ წინადადებას. *მინდა, რომ ჩემთან ერთად წამოხვიდე უნივერსიტეტში.* თუ „რომ" კავშირი არ

იწყებს დამოკიდებულ წინადადებას, მის წინ მძიმე არ დაისმის. *სვანეთში რომ ჩავედით, უკვე კვირაობა ცივოდა.*

სავარჯიშო № 26. დასვით სასვენი ნიშნები

1. ნაღვლობდა ოსტატი ფრიად დაუსრულებელი რომ რჩებოდა სვეტიცხოველი (კ. გამსახურდია)

2. მსახიობს რომ ყვავილები მივართვი ლარნაკში უწყვია

3. ერთ ბნელ ღამეს როცა კაცი თვალთან მიტანილ თითსაც ვერ გაარჩევდა საოცარი ამბავი დატრიალდა სოფელში

4. ახალი ქართული მხატვრული ფილმის სანახავად რომ მივდიოდი თანაკლასელები შემხვდნენ

5. მეფის რუს მოხელეებს ცხენი რომ გაექცათ უნაგირს მისწვდნენ

6. ფანჯარას რომ თვალი ავარიდე ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა

7. შენი სახლის კიბეზე მოხდენილად ჩამომჯდარი რომ დაგინახე თვალი ვერ მოგაშორე

8. ძალიან მესიამოვნა თქვენც რომ მოგონებიათ ჩემი ნახატები

9. ქალმა უკან მოიხედა და თათარი რომ დაინახა ერთი საოცრად დაიკივლა (ა. წერეთელი)

10. უფროს ქალს რომელიც ჯერ კიდევ არ იყო სრულწლოვანი შევუყვარდი

11. ქართული პოეზიის მწვერვალი ვეფხისტყაოსანი იყო ის წიგნი რომელსაც ერთნაირი გატაცებით ეტანებოდა დიდი და პატარა (გ. აბაშიძე)

12. კომპოზიციურად წიგნი ისე ოსტატურად არის მოფიქრებული რომ ყველა იგავი თავისი აზრითა და მორალით უკავშირდება და ემსახურება აღზრდის პრობლემას (გ. აბაშიძე)

13. ადამიანს ჯერ არ გამოუგონია ისეთი ინსტრუმენტი რომლის შემწეობითაც შესაძლებელი იყოს ორის ნიჭის შედარება აწონ-დაწონვა (კ. აბაშიძე)

14. გამომძიებელს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა თითქოს იველტერს აქ უხსოვარი დროიდან ეცხოვროს და მეზობლების რამდენიმე თაობას მოსწრებოდეს (ნ. აბულაძე)

15. უკვე ათი წელია ეს კაცი ხნავს და პოულობს და ამასობაში განისწავლა კიდევაც უკვე მეცნიერულად უდგება საქმეს და ნელ-ნელა ახირებულიც შეიქნა (ბ. ხარანაული)

16. ყოველი ქართველი პოეტი ისე უნდა ივსებდეს გონებას შოთას შაირით როგორც დემოსთენე ივსებდა პირს კენჭებით ენაბრგვილობის დასაძლევად (ლ. ასათიანი)

17. არ მეხარბება პინდაროსის ბედი ოდებს ტირანებისა და ცნობილ დიდკაცთა დაკვეთითა და გარიგებული ფასით რომ წერდა (ლ. ასათიანი)

18. როდესაც ეცემა ბილიკზე მეათედ / უბელო ღრუბელი საზარი / და დაღლილ-დაქანცულ ლაჟვარდებს მიათრევს / მდინარე ლოდების ზანზარით / პატარა სახლიდან შარაგზის პირამდე / უცრად იფეთქებს ნაძენარი (ლ. ასათიანი)

19. გრიგოლ რობაქიძე ჩემი აზრით ერთ-ერთი პირველია ქართველ ლექსმცოდნეთა შორის რომელიც ეროვნულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში ამკვიდრებს სიტყვა ვერსიფიკაციას (თ. ბარბაქაძე)

20. უჩა მიხვდა რომ მამამისი მომკვდარიყო (თ. ბაძალუა)

21. ასე რომ ყველა ის ეტიმოლოგიური ვარაუდი რომელიც ამ სიტყვას
თანამედროვე მამულიშვილობის რაღაცგვარ ადეკვატად მიიჩნევს მცდარია (ლ. ბერძენიშვილი)

22. მიუხედავად ამისა ისე დასრულდა ანტიკურობა და ისე გადავიდა ელინიზმში რომ ერთიანი სამშობლოს გაგება ელადაში არ ჩამოყალიბებულა (ლ. ბერძენიშვილი)

23. მაშასადამე ტერმინი პატრიოტიზმი შინაარსს იძენს იმ დროიდან რაც ჩნდება პატრიოტიზმი როგორც მოვლენა ხოლო ეს მოვლენა ჩნდება მას შემდეგ რაც სუბიექტი მოქალაქის ლოიალობისა ხდება არა მეფე არა ხალხი არა მიწა-წყალი არა აღმსარებლობა არამედ სახელმწიფო თუმცა ყველაფერი ჩამოთვლილი იმ სახელმწიფოს შემადგენელი ელემენტი არის ან შეიძლება იყოს რომლის მიმართ ლოიალური ხდება მოქალაქე (ლ. ბერძენიშვილი)

24. ჩვენ ვერც კი ვგრძნობთ ისე ვდგამთ პირველ ნაბიჯს ფარისევლობის საფლობში როცა ილიას და აკაკის ერთად ვუდგამთ ძეგლს და გვინდა ეს ორი უაღრესად მკაფიო ინდივიდუალობა ყველა საკითხში ერთ პოზიციაზე მდგომ თანამებრძოლებად გამოვიყვანოთ (ლ. ბერძენიშვილი)

25. ადამიანური არსების ცნობიერება ისე არის მოწყობილი რომ იგი ყოველგვარი ნაციონალობის ქართველობის სომხობის ჩინელობის ფრანგობის გვერდის ავლით და მასზე უარის თქმით მთელ კაცობრიობას უშუალოდ ვერ ჩაიკრავს გულში და ვერ განაცხადებს მე არც ამერიკელი ვარ არც იტალიელი და არც იაპონელი მხოლოდ და პირდაპირ მსოფლიო მოქალაქე ვარო ეს ისევე განუხორციელებელია როგორც ის რომ ადამიანი არც ერთ რასას არც ერთ კულტურას არ ეკუთვნოდეს არც ერთი ფასეულობათა სისტემა არ გააჩნდეს არ იყოს არცერთენოვანი და აზროვნებდეს როგორც ყველაფერ ამაზე მაღლა მდგომი ზოგადად ადამიანი (ლ. ბერძენიშვილი)

26. ბატონმა ალექსანდრემ ზარის გაგონებისთანავე დაჭყიტა თვალები თუმცა ყურმილის აღება არც უფიქრია (ლ. ბუღაძე).

27. მე არ მინდა იმ ევროპელ მოგვებს დამადარონ მწიგნობრობას კასტის საუფლოდ რომ აცხადებენ (კ. გამსახურდია)

28. ჩვენ უარვყოფთ იმ რბილკანიან თაობათა იმედებს რომელთაც ქალაჩუნური აღთქმებით ჰაძინეს ქართული შემოქმედების სამერმისო იმპულსი ჩვენ უარვყოფთ იმ თაობებს რომელთაც ქართველ ერს გზა-კვალი აუბნიეს ქიმერიული იდეალებით (კ. გამსახურდია)

29. ბარიერებს იმიტომ აშენებენ მაღალს რომ კარგი მოჯირითეების ვაჟკაცობა გამოჩნდეს დაბრკოლებანი იმისთვის არსებობენ რომ დაძლეულ იქმნან კონკურენცია იმისათვისაა მოგონილი უნიჭიერესი და უძლიერესი გამოაჩინოს (კ. გამსახურდია)

30. ცალკეული ერის სულიერი ცხოვრება მსოფლიო კალენდარსაც მიჰყვება და საკუთარსაც რომელზედაც აღნიშნულია ცვლილებანი ახალი ეპოქის დადგომა იმათ მიერ ვინც მოწოდებულია დრო აღნიშნოს (ნ. გელაშვილი)

31. პოეტის ღრმა სევდის მკვებავ წყაროთა ძიებას თუ გავაგრძელებთ მალევე გადავეყრებით ცოდვისა და დანაშაულის განცდას პირდაპირ თემატურად თუ არაპირდაპირ ნაგულისხმევად რომ მიჰყვება მრავალ სტროფსა თუ სტრიქონს (ნ. გელაშვილი)

32. დარიალის ვიწროებში სადაც ახლა მშვენიერი გზატკეცილი მიდის და შავ კლდეებს შუა გველსავით იკლაკნება უწინ მარტო ბილიკები იყო რომელზედაც ცხენების ქარავნები ძლივს დადიოდა

33. ყველა სამზადისსა და თადარიგს რომ მორჩა ეს ანაფორიანი დეკაცი ცხენზე შეჯდა

34. რამდენადაც მაღალი და მნიშვნელოვანია საბავშვო მწერლობის მხატვრული დონე იმდენად დიდი და ხანგრძლივია მისი გავლენა ბავშვის გულსა და გონებაზე (გ. აბაშიძე)

35. ფეხის ადგმიდან იქნებ უფრო ადრეც ბავშვი იწყებს სამყაროს ურთულეს წესრიგში გარკვევას (გ. აბაშიძე)

36. ამაოების აბსოლუტურობის იდეასთან დარჩენა რომ შეიძლებოდეს ღმერთი აღარ ჩამოვიდოდა დედამიწაზე (ნ. გელაშვილი).

37. საერთოდ არსებობს ბუნებრივი მოლოდინი რომ ამა თუ იმ სერიოზული კრებულის დამაგვირგვინებელი ლექსი გამორჩეულად მრავლისმეტყველ, რაღაც შემაჯამებელი ქმნილება უნდა იყოს (ნ. გელაშვილი)

38. თვალები რომ გამოუსაღდა ამას კი გრძნობდა მაგრამ ჭიანჭველების დანახვამ საოცარი შინაგანი ძალა და რწმენა შემატა ახლა ანბანსაც სრულკეთილად დაინახავდა (ლ. გოთუა)

39. საჩინო ბარათაშვილი სპასპეტი რომ არ ყოფილიყო ალბათ მგოსანი იქნებოდა (ლ. გოთუა)

40. თბილისიდან რომ გამოვიდა ერეკლე მხოლოდ სამი ზარბაზანი წამოიღო თან რადგანაც ტოტლებენის ზარბაზნების იმედი ჰქონდა (ი. გოგებაშვილი)

41. ბატონიშვილს ნაბრძანები ჰქონდა მამისაგან რომ თავისი ჯარით ომში მონაწილეობა თავდაპირველად არ მიეღო თავისი ძალღონე შეენახა შემდეგისათვის და გაჭირვების დროს ან ბოლოს ხანს დასვენებული ჯარით იერიში მიეტანა მტერზე (ი. გოგებაშვილი)

42. ყოველ მოსვლაზე რწმუნდებოდა რომ არც ჩამწერი ვიყავი და მით უმეტეს, არც გამომქვეყნებელი (დ. გ··გია)

43. გალაკტიონის შემოქმედებაში არის თავისებური სამყარო რომელიც ხილული ქვეყნის ანარეკლია (ტ. გრანელი)

44. სხვა ლექსებს თავი რომ დავანებოთ ლურჯა ცხენები შედევრია რომლის ვრცელი დინამიკა უმაღლეს წერტილს აღწევს (ტ. გრანელი)

45. ტვირთი არ იყო ქვეყნად იმის დაღეულ მხრებს რომ არ გაეძლო სატკივარი არ არსებობდა ისეთი ის რომ დაეკვნესებინა უბედობას ვერ მოიგონებდი ის რომ აეწუწუნებინა (გ. დოჩანაშვილი)

46. ასეთი მრავალფეროვანი და ინტენსიური თუ იყო ლიტერატურული ცხოვრება საქართველოში ვერც ვიფიქრებდი (ნ. დარბაისელი)

47. ვერც კი გაეიხსენე ბოლოს როდის ენახე (თ. დოლენჯაშვილი)

48. მათ შორის შესაძლოა ისინიც იყვნენ ვინც ჩემს ბედნიერებას გაინაწილებს და სიკვდილის წარმტაც წალკოტებში წამომყვება (თ. დოლენჯაშვილი)

49. ხეს რომ დაველაპარაკე პირველად 14 წლისა ვიყავი (ნ. დუმბაძე)

50. ადრე ახალ;;აზრდობაში ძალიან უკვირდა ხაზარულას როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ფესვები რომ არ ჰქონდათ მასავით მიწაში გადგმული ან როგორ მოძრაობდნენ მის გარშემო და საერთოდ მაგრამ ბოლოს მიეჩვია ამ აზრს და ფიქრიც კი შეწყვიტა ამ მისთვის გაუგებარ და აუხსნელ საგანზე რადგან ამაზე პასუხის გამცემი ხაზარულას ქვეყნად არც არაფერი და არც არავინ არ ეგულებოდა (ნ. დუმბაძე)

51. ომი სულ რაღაც ორი თვის გამოცხადებული იყო მისმა სუსხმა რომ ჩვენს სოფელს მოაღწია (ნ. დუმბაძე)

52. საპარიკმახ;როში რომ შევედი პაექრობა კარგა ხნის დაწყებული იყო და ჩემთვის ყურადღება არავის მოუქცევია (ნ. დუმბაძე)

53. საერთო ჯამში კი ეს ის ჩანასახი იყო რომელმაც ადრე მეოცე საუკუნის დასაწყისში უკვე სცადა განვითარება (ლ. კოდალაშვილი)

54. მეათე  საუკუნის ხატზე ღვთისმშობელი და წმინდა ბარბარეა ერთად გამოსახული რაც იკონოგრაფიაში იშვიათად გვხვდება (ბ. ჩეკურიშვილი)

55. გინახავთ სადმე მართლმადიდებლური ფრესკა სადაც ღვთისმშობელი ძუძუს აწოვებს ყრმა იესოს აი სვანებმა დაწერეს და თანაც მანამდე ვიდრე ევროპაში რენესანსი დაიწყებოდა (ბ. ჩიკურიშვილი)

56. ახალო წელიწადო თუ რამ შეგიძლია თვალი აგვიხილე ყურებიდან ბამბა გამოგვაცალე ფუტკრისვან გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცო ზნენია რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვს რა გითხრათ რით გაგახაროთ (ი. ჭავჭავაძე)

57. ვინც ლუარსაბის სახეში თავისთავს იცნობს ვინც ლუარსაბზედ დაწერილს თავისთავზედ მიიღებს ის რასაკვირველია ლაფის სროლას დამიწყებს და გიჟიას დაუძახებს ამ მოთხრობის უხეირო დამწერსა ეს კარგად იცოდნენ რომ ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს ჩვენ საზოგადო პირზედა ვწერთ (ი. ჭავჭავაძე)

58. იმ ვეებერთელა სოფელში რომელსაც თუნდა წაბლიანს დავარქმევ ყველამ იცოდა ვინ არის ოთარაანთ ქვრივი (ი. ჭავჭავაძე)

59. ერთი სიტყვით ამ სახეში მომხიბლავი იყო ის რაც შეიძლება შემოქმედების წინაპირობად ჩაითვალოს (ბ. ხარანაული)

სავარჯიშო № 27. დასვით სასვენი ნიშნები

აჰა ერთი კიდევ ახალი წელიწადი რა მოვულოცოთ ჩვენს თავს ქართველნო რა გვაქვს დღეს სასურველი რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ რა გვაქვს ხვალ სანატრელი რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ უკან მივიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა რომ თავი მოვიწონოთ ან ნანვითა ვთქვათ ჰოი წამო სიხარულისავ ესე სწრაფად სად წახვედი წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა რომ გული გულის ადგილსავე დაგვრჩეს ან ნატვრით ვთქვათ მოვიდინ დღეო სიხარულისაო რა გითხრათ რით გაგახაროთ

ნუთუ ისევე ძველებურადვე თავი უნდა დაგიკრათ და მოგახსენოთ შემოვდგი ფეხი გწყალობდეთ ღმერთი სულ წყალობა ღვთისა და წყალობა ღვთისა ერთხელ ჩვენ თვითონაც თითი გავძრათ ერთხელ ჩვენ თითონაც მივდგეთ-მოვდგეთ წყალობა ღვთისა კარგია მაგრამ რა ქმნას მარტო წყალობამ თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თითონ ადამიანი არა რწყავს არა სხლავს არა პფურჩქნის არ უვლის არ პპატრონობს ღმერთმა რაც წყალობა იყო უკვე მოილო ჩვენზე დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამაო რა კაცობა გამოვიჩინეთ რა გითხრათ რით გაგახაროთ

ჩვენთვის ღმერთს არა დაუშურვებია რა არა დაუზოგავია რა არა დაუკლია რა თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა რომ კაცს ეთქმოდეს ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ დაიბერტყაო იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის რაც ღვთის შემძლეობით არის და არა კაცისათი ის ყველაფერი უკვე მოგვემადლა ღმერთმა ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა

რომლის მნახავთ შეუძლიათ სამართლიანად სთქვან სხვა საქართველო სად არის რომელი კუთხე ქვეყნისა ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული გული ელევა ხორცი აღნება რა გითხრათ რით გაგახაროთ

ტყე-მინდორი მთა-ბარი მიწა-წყალი ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს რომ რა გინდა სულო და გულო არ მოიხვეჭო არ იშოვო არ გამოიყენო აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან ისიც იშოვება ოღონდ ხელი გასძარ გაისარჯე იმხნევე მუცელსა და გულის-თქმას ბატონად ნუ გაიხდი იცოდე დღეს მძლეთა მძლეა გარჯა შრომა და ნაშრომის გაფრთხილება შენახვა პატრონობა გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ ვართ კი ასეთნი რა გითხრათ რით გაგახაროთ

რა არ გადაგვხდენია თავს რა მტრები არ მოგვსევიან რა ვაი-ვაგლახი რა სისხლის ღვრა რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძლით ყველას გავუმაგრდით შევინახეთ ჩვენი თავი შევინარჩუნეთ ჩვენი ქვეყანა ჩვენი მიწა-წყალი ლანგ-თემურებმა ჩვენს საკუთარ სისხლში გვბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით მოვსულიერდით ალა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს მოგვსრნეს მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით მოვშენდით წელში გავსწორდით გავუძლით საბერძნეთს რომსა მოხლოლებს არაბებს ოსმალ-თურქებს სპარსელებს რჯულიანსა და ურჯულოს და დროშა ქართველებისა შუბის წვერით ისრით და ტყვიით დაფლეთილი ჩვენს სისხლში ამოვლებული ხელში შევირჩინეთ არავის წავალებინეთ ცოდვა არ არის ეს დროშა ახლა ჩრჩილმა შესჭამოს თაგვმა დაგვიჭამოს დრო-ჟამი ამას გვიქადის რა გითხრათ რით გაგახაროთ

ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ როგორც კლდეზედ დავუდგით ქრისტიანობას საყდარი ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი გავწყდით გავიჟლიტენით თავი გავიწირეთ ცოლ-შვილნი გავწირეთ უსწორო ომები ვასწორეთ ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში რომელსაც ჩვენს სამშობლოს ჩვენს მამულს სამართლიანის თავმოწონებით ვეძახით ცოდვა არ არის ეს ერი მოსწყდეს ცოდვა არ არის ეს ლომი კოლომ საბუდრად გაიხადოს ცოდვა არ არის მელა-ტურამ გამოლრლნას როგორც მძოვარი როგორც ლეში რათ რისთვის ვის რა ვირი მოვპარეთ რა გითხრათ რით გაგახაროთ

ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა რამ შეგვაძლებინა რამ გვიხსნა ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით წამებულნი და სისხლმთხეველნი მამულისათვის რამლა გვაცოცხლა რამ გვასულიერა მან რომ ვიცოდით იმ დროს რა უნდოდა რა იყო მისი ციხე-სიმაგრე

ჰისი ფარ-ხმალი ვაჟკაცობა უნდოდა ვაჟკაცნი ვიყავით ხმალი უნდოდა ხმლის ჭედვა ვიცოდით ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა ომის საქმენი ვიცოდით აი რამ შეგვაძლებინა რამ გვიხსნა რამ შეგვინახა იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი სილბო გვქონდა ნაქსოვისა ვით ქრისტიანებს და სიმტკიცე ნაჭედისა ვით მეომრებსა და მამულიშვილებს ამით გავიტანეთ თავი დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით დროთა შესაფერი ხერხი დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა დროთა შესაფერი მხნეობდა და გამრჯელობა წავიდა ის დრო დაჩლუნგდა ხმალი გაუქმდა ვაჟკაცობა ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ აღარაფრის მაქნისია ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში ან გუთანი ან ჩარხი ქარხნისა ან მართულები მანქანისა ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა რომ სისხლსა ჰღვრიდეს ვაჟკაცობა უნდა შრომისა რომ ოფლი ჰღვაროს კიდევ ვიტყვით ქვეყანა ეხლა იმისია ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს ვინც იზოგავს ნაღვაწს დღეს მძლეთა მძლეა მარტო ის ვინც მცველია და ბეჯითი სულით და ხორცითა ცოდნითა და მარჯვენითა გვჭირს-კი დღეს რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე რა გითხრათ რით გაგახაროთ

ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი ჩვენი ქვეყანა ხმლიანს მტერს გავუძელით გადავრჩით ქვეყანა და სახელი შევინახეთ სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ შევირჩინეთ საქოლავი არავის ავაგებინეთ ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა შრომით და გარჯით ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს ფეხქვეშიდან მიწას გამოგვაცლის სახელს გაგვიქრობს გაგვწყვეტს სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას როგორც უპატრონო საყდარს სხვანი დაეპატრონებიან შრომასა და გარჯას ცოდნასა და ხერხს ვერავინლა გაუძლებს თუ შრომა და გარჯა ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ წინ არ დავახვედრეთ წინ არ დავუყენეთ ვართ კი ყოველ ამისთვის მზად ან გვეტყობა რაშიმე რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით რა გითხრათ რით გაგახაროთ

ეხლაც ომია ხოლო სისხლის ღვრისა კი არა ოფლის ღვრისა ომი უსისხლო მშვიდობიანი წყნარი ამ ომმა არც ბუკი იცის არც ნაღარა უბუკნაღაროდ სთესავს უბუკნაღაროდ მკის კოკისებურ შხაპუნა ნიაღვარს კი არ ჰგავს რომ მთა და ბარი თან წაიღოს მოარღვიოს მოღაროს და მოგრაგნოს მდუმარე წვიმისაებრ ნაყოფის გამომცემელია არც რბევა იცის არც ძარცვა ეს მის ბუნებაში არა სწერია თუ თვითონ ადამიანმა გესლი ულმობელის სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა ბუნება არ მოუწამლა არ მოუშხამა ეს ომი შრომისაა და ვითარცა შრომა პატიოსანია ნამუსიანია და ისეთივე თავმოსაწონებელი თავგამოსაჩენი როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედგამოჭრით თუ მართალს

ათქმევინებთ რა გლეხკაცი თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება ამას ჰღაღადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღაღადი ვაი რომ არა მაშ რა გითხრათ რით გაგახაროთ

არ ვიცით რანი ვყოფილვართ არ ვხედავთ რანი ვართ ვერ გამოგვისახია რანი ვიქნებით ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია არც არაფერს ვხედავთ არც არაფერი გვესმის უზარმაზარი თხრილია ჩვენ ქართველების წინ და აინუშიაც არ მოგვდის ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან და შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანად ორბი არწივიც კი ველარ გვიპოვის ველარ დასწვდება ჩვენს ძვლებს რომ გამოხრან გამოსწიწკნონ ისეთი ღრმაა ეს თხრილი ისეთი უძირო ვდგევართ და უღონოდა ვბზუით მე ვარ და ჩემი ნაბადიო და ამ ბზუილიდან არა გამოდის-რა იქნება იმიტომ რომ ყველა ბუზი კი ბზუის ფუტკართან კი ყველა ტყუის

ახალო წელიწადო თუ რაიმე შეგიძლიან თვალი აგვიხილე ყურებიდან ბამბა გამოგვაცალე ფუტკრისგან გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცო ზნეჩია რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვს რა გითხრათ რით გაგახაროთ (ი. ჭავჭავაძე)

სავარჯიშო № 28. დასვით სასვენი ნიშნები

თვალმიუწვდომელ სიშორიდან გველივითი მოიკლაკნებოდა ჩუხჩუხა არაგვი და ერთგან კლდოვან კიდეს გამეტებით ეხეთქებოდა რომ ახალი გზა გაეკვლია თავს არ იზოგავდა მაგრამ შეუპოვრობისაგან უკუქცეული დარეტიანებული და თავბრუდასხმული თითქოს სულის მოსაბრუნებლად იქვე მორევში რამდენჯერმე მოტრიალდებოდა ხოლმე და მერე კი დაკვირვებით გადადიოდა დაბლობზე რომ უფრო მეტის სიფრთხილითა და კვნესა-დუდუნით დაშვებულიყო ქვემოატეხილ ჭალებისაკენ იმ კლდოვან მთის თავზე ღრუბლიდან გამოსულიყო უზარმაზარი ციხე-დარბაზი შეუპოვრად გადმომდგარიყო და სანუგეშოდ გადაჰყურებდა არემარეს ყოველ მხრით შეუვალ გალავნით შემოზღუდულ შენობას მხოლოდ ერთის მხრით აღმოსავლეთისაკენ გულს უხსნიდა სიგრძით ჩაყოლებული აივანი (ა. წერეთელი)

სავარჯიშო № 29. დასვით სასვენი ნიშნები

ჭირი დაუმალავი სჯობიაო ეს ჭირიც ჩვენი ძველი ნაცნობია თითქმის ნაჩვევი და გაშინაურებული ქართული ენის ამღვრევისა და დამახინჯების შესახებ მოგახსენებთ ეს საგანი გაცვეთილი და თავმოსაბეზრებელია მაგრამ ჩვენი დანარჩენი ჭირ-ვარამნი და სატკივარნიც დაძველდნენ

ყველას ბავშვობიდანვე გვახსოვს ამ საგანზე ჩივილი და ზრუნვა მაგრამ ჩვენი დასნეულებული ქართული ენა ფეხზე წამოდგომისა და დაწმენდის მაგიერ უარესად დაავადდა და

ატალახდა ისიც გვახსოვს რომ ერთ დროს გადაგვარებულებს თითებზე ჩამოთვლიდით ხოლმე ახლა კი ანვარიში ავვერია და სათვალავი დაგვეკარგა გვახსოვს დროების ივერიის მოამბისა და ცნობის ფურცელის ქართული ახლა კი ქართული სიტყვის ერთი წერილის ავტორისა არ იყოს, ნაწერზე ადვილად გამოიცნობთ დამწერის დაბადების კუთხეს ამ მხრივ ჩვენში უსაზღვრო თავისუფლება დამყარდა ალარაფერს ერიდებიან და ჟურნალ-გაზეთებში თამამად წერენ ლაფატკა ფლაგი სიროსტი ტუმანი და სხვ არ ვაჭარბებ ეს სიტყვები მე თვითონ წამიკითხავს და იმავე დროს გამხსენებია რომ თითო ასეთ სიტყვას ჩვენ შეგვეიძლია ორი და სამი ქართული დავახვედროთ

უკან ალარავინ იხედება ცოტაოდენი ცოდნა ენის კანონებისა სავალდებულოდ ალარავის მიაჩნია წიგნის ფურცელი სუსტი ანარეკლია იმ უბადრუკ სურათისა რომელსაც ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით დღევანდელ ოჯახში, ქუჩაში და დაწესებულებებში ამ დღეებში სასამართლოში გახლდით ერთ დარბაზში ნამდვილი სეტყვა მოდიოდა ასეთის სიტყვებისა ჟენოტდელი ჩისტკა სოკრაშჩენიე უბორკა ბირჟა ტრუდა სატრუდნიკი მესტკომი სოვრაბოტნიკი ზემოტდელი სანტრუდი და ათასი ამისთანა ნარევი გაუგებარი და გონჯი ასე ლაპარაკობდნენ ქართველები ასეთივე ამბები ხდება დაწესებულებებში სადაც ისევ ქართველები ოფლში იწურებიან ქართულის წერით გეგონებათ წინანდელ გიმნაზიელებს ლათინურს ან ბერძნულს აწერინებენო

ან კი რა საკვირველია დაიარეთ რომელიმე დაწესებულება და დაელაპარაკეთ თანამშრომლებს ქართულად იშვიათად მიიღებთ პასუხს ქართულადვე დაუგდეთ ყური ამ ხალხის ენას ნამდვილი ვოლაპიუკი ჟარგონი უშნოდ ნარევი და ნამყნობი უმგვანო ამ ჯურის ხალხმა ხეირიანად არც ქართული იცის არც რუსული თვითონვე რომ შეიგნონ თავიანთი უენობა და მოისმინონ თავიანთი რუსულ-ქართული ან სულ დამუნჯდებოდნენ ან თავიდანვე დაიწყებდნენ ენის შესწავლას უცებ რომ ჩვენმა წინაპრებმა წამოიწიონ და ყური უგდონ დღევანდელ ქართულს ნებაყოფლობით უკანვე ჩაცვივდებიან საფლავებში

აი ასეთი ჰიბრიდები არიან რომ ქართულ ენას და კულტურას უმზადებენ ლათინური და ირლანდიური ენების ბედს ე ი ნელ-ნელა მარხავენ ჩვენი ხალხის ცოცხალ ენას მეტად მდიდარს მოქნილს ფერადსა და ხმოვანს

რას გვიშველის მარტო საქმის წარმოება ქართულად კათოლიკური ეკლესია დღესაც ლათინურ ენაზე აწარმოებს წირვას და მიწერ-მოწერას მაგრამ ეს ენა მაინც მკვდარია ნუთუ შეიძლება მოკვდეს ენა შოთასი ილიასი აკაკის და ვაჟასი დაუჯერებელია მაგრამ გონება და რეალობა მაინც თავისას გაიძახიან და მრისხანე მუქარას გვითვლიან

თევზი თავიდან აყროლდებაო სწორედ ჩვენს ინტელეგენციაზეა ნათქვამი იგი ჩემულობს ხალხის მეთაურობას და ხელმძღვანელობას მაგრამ ამ შემთხვევაში გახრწნა და გადაგვარებაშიც

მასვე ეკუთვნის პირველობა და სხვებზე ადრე იმან უნდა დაიწყოს ზრუნვა საკუთარი თავის განკურნებაზე
ზოგნი ამ სნეულებას უიმედოდ შესცქერიან მე კი მაგონდება ერთი მაგალითი 1905-1906 წლებში სულ ორიოდე წელიწადში ყველა სომეხი  დედაენაზე ალაპარაკდა ბარაქალა იმათ როგორ მოხდა ეს ამბავი სულ უბრალოდ მოინდომეს და შეასრულეს ხალხის ნებაყოფლობამ უკვდავების ალღომ და სიცოცხლის წყურვილმა ასი წლის ნაშენი ზღუდენი გადალახა და თავისი ენით ამეტყველდა

არც ჩვენა გვაქვს სხვა გზა გარდა ასეთივე ნებისყოფის დაყენების შეგნებისა და სიცოცხლის წყურვილისა ყველამ თვითონვე უნდა იზრუნოს თავის თავსა და ოჯახზე (მ. ჯავახიშვილი)

სავარჯიშო № 30. დასვით სასვენი ნიშნები

ხვალ საქართველო ძველი ტკივილებიდან ახალი წლის იმედებისაკენ ხელს გაიშვერს წელიწადი და საუკუნე არაფერს მისცემს ქვეყანას თუ მას არაფერი აქვს თავის თავისთვის მისაცემი ყოველი წელი ჩვენგან ელის თავის შინაარსს ყოველი დრო ჩვენგან მოითხოვს ახალ სიტყვას და ახალ საქმეს დრო თავისთავად ცარიელი სიტყვაა იგი ჩვენს გარეშე არ არსებობს დრო ცარიელი საწყაულია რომელიც ჩვენგან ითხოვს მუდამ შევსებას მოდიან სასტიკი და ულმობელი წლები მოისწრაფიან პირგამეხებული საუკუნის მესაყვირენი

რაც უფრო წინ მიდის ადამიანის მოდგმა მით უფრო რთულდება მსოფლიოს შეგნებისა და ბუნების დამორჩილების მაშინერია დღეს არც ერთ ერთს არ შეუძლია იმით ამაყობა რაც ის ყოფილა დღეს ყოველი ერი იმით ამაყობს რაც ის არის არა წელთა დაზიდულობა იძლევა წონას არამედ შემოქმედების ხელმწიფეობა ძველ ქართულ პატრიოტიზმს წარჩინებული წინაპრების მანდატით მოჰქონდა თავი ჩვენ უარვყოფთ იმ პატრიოტიზმს რომელიც მხოლოდ წარსულს დაემყარება ჩვენ უარვყოფთ იმ პატრიოტიზმს რომელიც წინაპართა მავზოლეუმის ჩრდილს შეაფარებს თავს მკვდრები რაგინდ წარჩინებულნიც იყვნენ ცოცხლების მაგიერად ვერ ილაპარაკებენ

ჩვენ უარვყოფთ იმ რბილკანიან თაობათა იმედებს რომელთაც ქალაჩუნური აღთქმებით მიაძინეს ქართული შემოქმედების სამერმისო იმპულსი ჩვენ უარვყოფთ იმ თაობებს რომელთაც ქართველ ერს გზა-კვალი აუბნიეს ქიმერიული იდეალებით მოდიან სასტიკი და ულმობელი წლები ადამიანის მოდგმა საშინელ ტკივილების კონვულსიებით იკაფავს გზას ახალი შემოქმედებისაკენ ინგრევიან ძველი ციტადელები ილეწება ძველი სამყარო და საშვილიშვილოს მხოლოდ ის ერი გააღწევს რომელსაც მავთულის ნერვები აქვს პერსპექტივა არწივისა გონებამახვილობა მაკიაველის

ვინ გაიმართლებს დღეს თავს იმითი რომ ბარიერი მაღალია დაბრკოლება დიდი კონკურენცია აუტანელი ბარიერებს იმიტომ აშენებენ მაღალს რომ კარგი მოჯირითეების ვაჟკაცობა გამოჩნდეს დაბრკოლებანი იმისთვის არსებობენ რომ დაძლეულ იქმნან კონკურენცია იმისათვისაა მოგონილი

უნიჭიერესი და უძლიერესი გამოაჩინოს სისუსტე სხეულის უძლურობის შედეგია მხოლოდ სისუსტე ატავიზმია

ვინ გაიმართლებს ამიერიდან თავს რომ ისტორიის ფატალიზმმა 42 გრადუსზე მოაქცია და არა ოკეანის რომელიმე კუნძულზე

მოდის ათას ცხრაას ოცდასამე წელი და ქართველობა ერთხელ კიდევ უნდა დაფიქსირდეს დაფიქრდეს არა იმისთვის რომ შეჩერდეს და უკან დაიხიოს მხოლოდ იმისთვის რომ ვეფხვისებური ნახტომი გააკეთოს წინ დაფიქრდეს არა იმისთვის იჭვნეულივით რომ შეყოყმანდეს არამედ იმისთვის რომ შეპყრობილივით წინ გაეშუროს ყველაზე უფრო დაფიქრება გვაკლია ჩვენ დაფიქრება ბუნებაში ღრმად ჩახედვაა და არა განზე თითის გაშვერა ქართველობას მუდამ განზე თითის გაშვერა უყვარდა ქართველი პატრიოტები მუდამ განზე თითს იშვერდნენ და ქართველობის გარეშე ეძებდნენ ქართველობის დამღუპველებს და ქართული ოჯახის წახდომისა და დაქცევის მიზეზებს

1923 წელს ჩვენ უნდა ვუთხრათ ჩვენს თავს ჩვენ ამიერიდან არც ხანგადასული ქალები ვართ რომელნიც სასიძოების მოლოდინში არიან შინაგანი გარდატეხა გვჭირდება ჩვენ დღეს ყოველი მორალური გარდაქმნა მხოლოდ შინაგანი ხასიათის უნდა იყოს (კ. გამსახურდია)

სავარჯიშო № 31. დასვით სასვენი ნიშნები

ხელის გულივით სწორია აზნაური ბეგლარის ფრჩხილის ოდენა ეზო ნაშუადღევის ხიოს ქინძის პიტნისა და ომბალოს სუნი ბოსტნიდან მეორე მხარეზე გაშენებულ ვენახში გადააქვს წნელის ღობე კვინძები და ყორე გადახლართულია მაყვლით დაუღლელი ღორი ამაოდ ღრუტუნებს შემოსვლას ვერ ახერხებს ყავარაყრილი ორსართულიანი პატარა ოდის პალატში იცოხნება ცალი ხარი და ქალბატონი ეკატერინეს უშობელი ზედა სართულის აივანზე მოსჩანს კედელზე ჩამოკიდებული სასროლი ბადე და მობველებული კეხი ოდის წინ ნიგვზის ძირში გაფენილ ჰილოფზე წევს პერანგისამარა წვერებგახდილი ბეგლარი გრძელ სკამზე გულმკერდს იმშუშნის მძინარე ეკატერინე

დაცხრა მზე ჩრდილმა მოიკიდა ფეხი მეზობლებმა ფანჯრები გააღეს დახურული ოთახიდან ხალხი ჰაერში გამოეფინა ეკატერინემ ძილში მოიგერა ბუზი (ნ. ლორთქიფანიძე)

სავარჯიშო № 32. დასვით სასვენი ნიშნები

ქართველი ერისათვის მწერლობა არ იყო მხოლოდ და მხოლოდ სფერო სიტყვიერებისა მწერლობა მისთვის უფრო რთულ ფენომენად ვლინდება ქართველი ერი არა თუ ქმნიდა მარტო მწერლობას იგი კიდეც ცოცხლობდა მით რომელიმე ტკბილხმოვანი შაირი შთაგონების შადრევანს

მოწყვეტილი და ხალხში გადავარდნილი საკუთარ სიცოცხლეს იწყებდა უცნაურს იგი იშლებოდა ხან სიმღერის ჯადოსნური ხვეულებით ხან ცეკვის ხალასი სამოსლებით

ქართველი ერი მგოსანია ბუნებით

ძველი მესხეთის უცნაურს ნატეხში გურიაში ხალხი დღესაც მგოსნად გამოდის ძვირად მოიძებნება იქ ისეთი ოჯახი საცა მზიურ ახალისების ჟამს შაირობა არ იყოს გამართული ადვილი საპოვნელია ისეთი ოჯახი საცა სმენამათრობელი მოლექსეობა თაობიდან თაობაზე გადადის ასევეა სამეგრელოში კიდევ მეტი ქართველი ერი არა მარტო ტკბება ლექსით იგი ავადმყოფებსაც არჩენს მით მოიგონეთ ბატონები რომელ ავადმყოფობასაც ქართველმა ერმა ყვავილი უწოდა ეს პირველი მაგალითია რომ ავადობა მხატვრულად მონათლეს მოიგონეთ მასთან ლექსითი სიმღერა ტკბილს ჩანგურზე და თქვენ ნათქვამი დაგაჯერებთ

ქართველი ერის სტილი მწერლობაში განსხეულდა ქართული კულტურის პროფილი ლექსით გამოიკვეთა საქართველოს სულის რელიეფი სამხატვრო სიტყვით გამოიხაზა

გვაქვს შესანიშნავი არქიტექტურა საცა ძველი ქართველის ნებისყოფაა ამართული ურყევი და მტკიცე გვაქვს თვალისმომჭრელი ფრესკები საცა ქართველთა თვალღია სიზმრებია ასახული მზიურ ხაზებით გვაქვს ქართული ტაძარი რაიცა მუნჯი ქვების ლოცვებითაა შეკრული გვაქვს ქართული სიმღერა უცნაური და ლამაზი ბევრი რამ სხვაც გვაქვს

ხოლო გვაქვს კიდევ ისეთი რამ რომლის სადარი ძვირად თუ სადმე მოიპოვება ეს არის ქართული სიტყვა პლასტიკური ლაბადებით რომ იკვეთება თავადური თავმდები ამისა რუსთაველია მზეოსანი

საქართველო საიდუმლო ულელტეხილია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჩვენ ვიწვით აღმოსავლეთის ფიქრმორეული შუადღით როცა მზის ღელეთა მარმაში პანი იბადება მძიმედ მთელემარე ჩვენ ვერთვით დასავლეთის საშიშარ სიცხადეს საცა თვალღია ფანტასმაგორიებში ძეობა იკვეთება ძლევამოსილი ჩვენ გვაფიქრებს ეგვიპტის სფინქსი და გვაცვიფრებს პარიზის ქიმერა ქართული ნადიმით ვიხდით აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქორწილს და ნადიმი იგი მთავარი პანგია ჩვენი ნაბეჭდი სიტყვისა ჯერ არ გათავებულან სადღეგრძელონი იმა ნადიმის რადგან ხშირად და სპირად შეგვიშალეს უდარდო ლხინი და ცხადია თავისთავად არც ქართული სიტყვა თქმულა ჯერ უკანასკნელი

და აი ამ ჟამს როცა ქართლის ბედი ცის მშვილდითაა შემორტყმული ჩვენ ქადმაღლებმა უნდა წარმოვსთქვათ საქართველო დადგინდება თავის თავად და ეტყვის მსოფლიოს თავის ნამდვილ სიტყვას (გ. რობაქიძე)

სავარჯიშო № 33. დასვით სასვენი ნიშნები

შავი ზღვის მიმართულებით ერგეტას გზაზე სამეგრელოში მარიამობისთვის შუადღის სიცხეში გადაფარდაგებული ურემი მიჭრიალებს ფერდებჩავარდნილ ხარებს კარგა დაწინაურებული ყმაწვილი გლეხი მიუძღვის ფეხშიშველი და მუხლებამდის აკაპიწებული მას გაცვეთილი მოკლე ახალუხი აცვია უქამრო მკერდზე შეხსნილი ქამარ-ხანჯალი ხურჯინივით მხარზე გადაუგდია წინ რევოლვერი უკან ხანჯალი იღლიაში კი გრძელი სახრე ამოუჩრია ზანტად მიიმართება განიერ პეჭებს მიარხევს მზისგან შერუჯულ შიშველ წვივებზე კუნთების ჯაჭვი უთამაშებს

გზა ტყიან ჭაობით მიიკლაკნება მარჯვნივ და მარცხნივ გზის კიდეებს ლაყვებში ჩამდგარი წუმპე ლოშნის შორიახლო ლიანებით დახლართულ ღრუებში თხმელის მოწითალო ფესვები და მათი გველის მსგავსი ლანდები ლაღლაღებენ ჭროლაზურგიანი ბაყაყების მთელი ხროვა ხავსის ზედაპიზე ყრუ ყიყინით მიმობნეულა აქა-იქ გუბეებიდან ამოჩრილ ძელებზე კუზიანი თავწვრილა კუები უძრავად შესკუპულან ჰაერი შმორის სუნითა და სიცხის ბოლით გაგუდულა ციების მთქნარებით გაორთქლილ გარემოს ნაადრევი ზრობის ფერი გადაჰკვრია და ზედ ძირს დაშვებული ცის გობი გადახურვია

სული ეხუთება მეურმეს თითქოს გადადგამს ნაბიჯს თუ არა ქვეყანაც მყისვე გათავდებაო წინ ჰორიზონტი არა აქვს ეჩვენება მიდის მაგრამ არაფერს არ უახლოვდება უკან რომ მოიხედავს ჰგონია არაფერს არ შორდება სულ იგივეა რაც იყო არც ფერი იცვლება არც სახე (ლ. ქიაჩელი)

სავარჯიშო № 34. დასვით სასვენი ნიშნები

ოვანეს თუმანიანი დღევანდელ სინამდვილეში იყო ბრწყინვალე პიროვნება ვინც პირადად არ იცნობდა ოვანესს მას ჰიპერბოლად მოეჩვენება მასზე ყოველი ნათქვამი მის პიროვნებაში იყო დიდი ადამიანური განათება რომელიც სამუდამო მეგობრად ხდიდა ვისაც ის დაელაპარაკებოდა

ეს იყო ზაფხული 1917 წელი თბილისში ახალი ჩამოსული ვიყავი მოსკოვიდან ჩემთან ერთად ჩამოვიდა კ ბალმონტი ქართული კლუბის ბაღში სანდრო ყანჩელთან ერთად ვახშამზე რომელიც გაუმართეს ბალმონტს მე პირველად ვნახე ოვანეს თუმანიანი მას სრულიად დამოუკიდებლად ეჭირა თავი ასე რომ რუსულადაც ამბობდა ექსპრომტებს ბალმონტთან ერთად საგანი ექსპრომტებისა იყო ფაცა ამირეჯიბი ცისფერი პანტერა

პირველი ადამიანი რომელსაც ყველაზე უფრო აწვალებდა ფიქრი სომხებისა და ქართველების ძმობაზე იყო ოვანეს თუმანიანი მისი გულწრფელობაც სწამდა ყველას საქართველოში და ამის მოწმე იყო თბილისი მის 25 წლის იუბილეს დროს

დიდი პატრიოტობა არ უშლიდა ოვანესს ყოფილიყო ქართველების ორიენტაციისა საქვეყნოდ ცნობილია რომ ოსმალეთთან ომის დროს სადაც დაიღუპა მისი უფროსი ვაჟი ოვანეს თუმანიანმა

შვიდი ქალიშვილი გაგზავნა ფრონტზე მოწყალების დებად და როცა ქართველ-სომეხთა ომი დაიწყო ზოგი მის შვილებთაგან მოხვდა ერევანში ოვანეს თუმანიანმა უბრძანა შვილებს არ მიეღოთ მონაწილეობა ომში თორემ ის მათ დაწყევლიდა ეს იყო დიდი სიყვარულის აქტი

აქვე უნდა ითქვას რომ ოვანეს თუმანიანს ნამდვილი ძველი პატრიარქის გავლენა ჰქონდა სომხის ერზე მას უსმენდა არა მარტო ხალხი არამედ ხალხის მეთაურნიც რომელნიც თითქმის ყოველთვის დარწმუნებულნი იყვნენ თავიანთ სიყვარულში

ოვანეს თუმანიანის ასეთი გავლენა თავის ხალხზე მე მაგონებდა ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტს (ტ. ტაბიძე)

სავარჯიშო № 35. დასვით სასვენი ნიშნები

მკათათვე გზის პირას მდუმარედ აშრეშებული ყანები თავდახრქილი თავთავები ფხიან ნამგალს უცდიდნენ ნ[illegible]ვი სადღაც გახიზნულიყო გზა დახეთქილი მტვრიანი ირგვლივ მხოლოდ სევდა და თვლემა

შარაზე გამოჩნდა მარტოდმარტო ბერიქალა არსაფერისად ეცვა სხვადასხვა მხიარული ჭყეტელა ნაჭრებისაგან შეკერილი კაბა ცალი ხელით მოძველო ქოლგა ეჭირა მეორეთი ჭრელი ბოხჩა ძველებური შავი თათმანი ეცვა ხელთ და ადამის ხნის დაგლეჯილი მაღალქუსლიანი ჩაღილული ყელიანი ფეხსაცმელი მომტვრეული შუაზე გადაჩეხილი ქუსლი ძალზე აწვალებდა მოქანცული შეოფლიანებული გმინავდა შეწუხებული ცალკე სიცხით ცალკე უხერხული ფეხსაცმლით ცალკე [illegible]ვისი მწარე ბედით

როდემდის როდემდის ამდენი წანწალი კვნესოდა და თან მკერდზე თათმანით ოფლს იმშრალებდა მალე სიარულსაც ველარ შევძლებ და სადღაც ღობის ძირას ამომხდება სული

ერთხელ სარკეში ჩაიხედა და სარკე მიწაზე დაანარცხა სარკემ უთხრა რომ პირის მთვარიანობა დიდი ხანია რაც ჩაჰქრობოდა ბროლის ნათელი ლალის ბრდღვიალი გახუნებოდა შუქდამდგარ სალამოს მიჰგავდა მისი ყვავილიანი სამზეო დალეულიყო წყალმა წაიღო სილამაზეც და თაყვანისცემაც

ოდესღაც კი სილამაზისთვის ფუფალა უწოდეს

აგერ ჩემი სოფელიც ამდენ ხანს დასანატრელი ჩემი კერა სადაც აღარც სახლი მაქვს აღარც კარი ვინ გამომეგებება ვინღა მეტყვის დედასავით ტკბილად შვილო, მშვიდობით მომიხველო ჭირი მოგპარეო ვინღა მეტყვის არავინ ვინა მყავს მათი ნაცვალგვარდა მოხრეკილი საწუთრო უდაბნოუგულო რა კარგი იყო ჩვენი მთვარიანი აივანი ჩვენი ხეივანი საწყალი მამაჩემი ყარსის ციხის ამღები ხელმწიფემ მისი სურათი რომ მოითხოვა მამამ დიდი რუსული ცხენის ნალი მოღუნა ხელში ეს ნალი გაუგზავნეთ სურათის მაგიერო და მისი შვილი აზნაურის ქალი ახლა ასე

დავწანწალებ

ფუფალამ მთაზე შეხედა ნგრეულ ნაშტს და პირჯვარი გადაიწერა (გ. ლეონიძე)

სავარჯიშო № 36. დასვით სასვენი ნიშნები

გოგებაშვილის დედა-ენა და ბუნების კარი არამარტო დიდი პედაგოგიური ალღოთი შედგენილი წიგნებია იაკობ გოგებაშვილი კრებდა და ბავშვებისათვის ამუშავებდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს მის მიერ სახელმძღვანელოში შეტანილი ბევრი ლექსი თუ ზღაპარი სამუდამოდ დამკვიდრდა ჩვენს სასწავლო წიგნებსა და ქრესტომათიებში იაკობ გოგებაშვილმა გამოკრიფა ქართლის ცხოვრების საგმირო ეპიზოდები მოსწავლეთათვის მისაწვდომად გადაამუშავა და ჩვენი ბავშვების სულიერ ცხოვრების ნაწილად აქცია ცოტნე დადიანისა და თევდორე მღვდლის იოთამ ზედგენიძისა და სამასი თავდადებული არაგველის გმირობა

იაკობ გოგებაშვილი არა მარტო თვითონ წერდა არამედ უდიდესი ყურადღებით ექცეოდა ყველა ნიჭიერ მწერალს როცა ისინი საბავშვო ნაწარმოებებს ქმნიდნენ ცნობილია როგორი აღფრთოვანებით შეხვდა იგი აკაკის საბავშვო ლექსებს

იაკობ გოგებაშვილმა სათავე დაუდო ქართულ საბავშვო მწერლობის თეორიასა და კრიტიკასაც მისი თეორიულ-კრიტიკული შეხედულებები ნაწარმოების ღრმა ანალიზს ეფუძნება და დღემდე ინარჩუნებს სავალდებულო მნიშვნელობას (გ. აბაშიძე)

სავარჯიშო № 37. დასვით სასვენი ნიშნები

მე ტყვეობაში ვარ და არა პატიმრობაში ეს ჩემი საუკეთესო წლებია ეს მეტია ვიდრე ოქსფორდი და ასპირანტურა ეს კონტაქტებია სისასტიკესთან სიკვდილთან და სიცოცხლესთან და რა თუკი საერთოდ ველარ ვიხილავ თავისუფლებას განა ეს მისია არაა

განა თავისუფლება ჩემთვის დღეს უფრო საშინელი არ არის ვიდრე იზოლაცია აქ მე დღეში 36 კაპიკი ვღირვარ 2 ზეწარი და 2 ბალიშისპირი მაქვს კვირაში ერთხელ კინო აბანო გაზეთი ტრუდოვაია ჟიზნ და სამუშაო  არცთუ ისე მძიმე ცოცხი ელექტროდები რა ძალიან ცუდია ეს რა მოხდება თუკი საერთოდ აღარ მივუბრუნდები კინოს და საერთოდ რა არის კინო  გასართობი შინამოსამსახურეებისა (ს. ფარაჯანოვი)

სავარჯიშო № 38. დასვით სასვენი ნიშნები

სალამოს მთელი სოხუმი პორტში იყო გამოსული იყო ბევრი ყვავილი ორკესტრიც ტაშ-ფანდურიც ცხვირსახოცების ფრიალიც მადლობა ნახვამდის მშვიდობით მაგრამ ყველაფერზე მეტი მაინც ცრემლი იყო

სოხუმის მოქალაქენი თავისი სხეულის ნაწილს, თავის სისხლს და ხორცს ბერძნებს აცილებდნენ ბერძნები უკვე ასულიყვნენ გემზე ღრუბელივით თეთრ და ქათქათა პოსეიდონზე და იქიდან გვიყვიროდნენ ხელების ქნევით რაღაცას ზოგს ბერძნულად ზოგს რუსულად ზოგს აფხაზურად ზოგს სომხურად ზოგს ქართულად უზარმაზარი თეთრი პოსეიდონი კიჩოთი ნაპირისკენ იდგა ზღვა ოდნავ ღელავდა და გემი ისე ირწეოდა და იქნევდა თავს თითქოს თვითონაც გვემშვიდობებოდა

მე სხვა ბავშვებთან ერთად პირსის მოაჯირს მიჭყლეტილი თვალებს ვაცეცებდი და გემის ქიმზე გადმოფენილ ბერძნებში იანგულის დავეძებდი უცებ თვალი მოვკარი მას კვლავ შავი სატინის ხალათი ეცვა მკერდზე გაღეღილი იანგული მამამისის წინ იდგა და მომეჩვენა რომ მამამისს ხელით ეჭირა (ნ. დუმბაძე)

სავარჯიშო № 39. დასვით სასვენი ნიშნები

დედაქალაქის თეატრებმა სეზონი დახურეს დამთავრდა შრომის ცდისა და ძიების კიდევ ერთი ძნელი წელიწადი ვინც ერთხელ მაინც მოხვედრილა საზაფხულოდ დაცარიელებულ თეატრის დარბაზში როდესაც ფარდა ახდილია და სცენის უკაცრიელი სივრცე დუმილს მოუცავს მას უთუოდ უნდა განეცადა საზეიმო იდუმალების თითქმის ფიზიკური შეგრძნება რამპის გადაღმა კულისების ბინდბუნდში ამ დროს თითქოს ის უჩინარი სულები თვლემენ რომლებიც სულ ახლახან მძაფრი დაძაბული ფერადოვანი სიცოცხლით ცოცხლობდნენ ჩვენ თვალწინ

თეატრის სცენას აქვს თავისი შინაგანი უსაზღვროება სიღრმის ამგვარ ილუზიას ვერავითარი ეკრანი ვერ ქმნის ჯერჯერობით ამ სიღრმეში არის დაპირება გამოუცნობ ზრახვათა მოულოდნელობათა ნიშანი რომელიც წინათგრძნობის განცდად ეუფლება დარბაზს ის ჰამლეტის მამის აჩრდილივითაა რაღაცას გვაგონებს გამუდმებით რაღაც აუცილებელ მოწოდებას აღვიძებს ჩვენში

თეატრისგან ხშირად მოითხოვენ ცხოვრების სწორად დანახვას ანარეკლს სიმართლეს ბუნებრიობას ეს მოთხოვნილება დღეს კიდევ უფრო გაღრმავდა ვერც ერთი ნორმალური მაყურებელი ვერ ეგუება სიყალბეს მაგრამ ღრმად ცდება ის ვინც სცენიდან სინამდვილის განმეორებას მოელის მაყურებელთა უმნიშვნელოვანესი ნაწილისთვის თეატრი უპირველეს ყოვლისა ხელოვნებაა თვისობრივად განსხვავებული ცხოვრებისგან ბუნებისგან ეს განსხვავება ყველაზე მარტივად სხვათა შორის იმაშიც ვლინდება რომ თეატრი კვდება სწორედ იმ დროს როცა ბუნება აღორძინების ზენიტშია რათა ხელმეორედ სწორედ მისი საშემოდგომო ფერისცვალებისას გაცოცხლდეს სასცენო ფარდაც სწორედ მაშინ მიიწევს ზევით როდესაც ბუნება თავის გახუნებულ ბაირაღებს კეცავს თეატრში ჩვენ ვეძებთ უპირატესად იმას რაც ცხოვრებაში დაგვაკლდა რაც

საერთოდ სხვაგან არსად მოიპოვება ასე რომ არ ხდებოდეს სცენა რომ მხოლოდ სარკე მხოლოდ ანარეკლი იყოს ჩვენი ყოველდღიურობისა რა ძალა გვაიძულებდა ამ ყოველდღიურობით სავსე ქუჩიდან თეატრის მყუდრო შენობაში შესვლას (გ. ასათიანი)

სავარჯიშო № 40. დასვით სასვენი ნიშნები

კაცი იყო შურიანი ყველასი და ყველაფრის შურდა შინ იყო და შური ახრჩობდა შინიდან გავიდოდა და შური თვალებს უბნელებდა და გზა-კვალს უბნევდა ადგებოდა და დაწოლისა შურდა თვალს გაახელდა და თვალის დახუჭვისა შურდა მარჯვნივ გაიხედავდა და მარცხნივ გახედვისა შურდა სძულდა შურიან კაცს და სიყვარულისა შურდა დიდი შურით იყო შეპყრობილი შურიანი კაცი

ერთხელ გადაწყვიტა შურზე შური ეძია ჯერ თევზისა შურდა და ცურვა ისწავლა ფრინველისა შურდა და ფრენა ისწავლა ძაღლის ერთგულებისა შეშურდა და ძაღლივით ერთგული გახდა ცხვრის თვინიერებისა შეშურდა და ცხვარივით თვინიერი გახდა ბოლოს ხისა შეშურდა ერთ ადგილას რომ იდგა და რომ მას მაგრილობელი ჩრდილი ჰქონდა და რომ მას ნაყოფი ჰქონდა და რომ მისი ფოთლები შრიალებდნენ და რომ ტოტებზე ფრინველები ისვენებდნენ და ბუდეებს იშენებდნენ

და შინიდან გავიდა შურიანი კაცი ბევრი იარა მრავალი მწვანეშეფოთლილი კორდი გადაიარა და ბოლოს მონახა მწირი ხრიოკი ადგილი ერთიც მოხედა თავის განვლილ გზას და დადგა დადგა და მიწაში ფესვები გაიდგა მერე მარადმწვანე ფოთლებით შეიმოსა ხოლო ნაყოფად ზეთისხილი მოისხა

ახლაც იქ დგას შურისაგან დამცხრალი შურიანი კაცი დგას და შრიალებს (ე. ახვლედიანი)

სავარჯიშო № 41. დასვით სასვენი ნიშნები

თინა ოხრავს მაგიდასთან იკუნტება ტელეფონების სიას დასცქერის ტუჩაბზუებული შემოდიან საბჭოს წევრები კაკო ბორია კოტე ბელა და ვასო ჩორგოლაშვილი რომელიც უკითხავად შედის მოადგილის კაბინეტში

ეს არი ეკითხება კაკო სოსოს საქალალდეს ჩამოართმევს გადაშლის

ეს არი კი ბოლო ვარიანტია

მე რომელი მქონდა

ამის წინა ალბათ

ბევრი შეცვალე

ისე რა ბოლოა და საბოლოო ხელს აღარ ვახლებ ამის შემდეგ მორჩენილი ამბავია

სწორიცაა ეცინება ფურცლებში თავჩარგულ კაკოს

კაკო ეძახის თინა მოსაწვევები არ მიგაქვს

დარჩა მიმაქვს კი გაკეცილი საქაღალდით მიადგება მაგიდას თითით გვერდი აქვს ჩანიშნული ეს არი რამდენი ავიღო

აიღე ერთი ორი რამდენიც გინდა

პრინციპში ორი ისე იყოს აქ პატარა ჯიბეები მაქვს წამოღებული იცინის ჩამოტეხილ კბილზე იფარებს ხელისგულს აჭრილ გვერდებს ასწორებს საქაღალდეში მდივნის მაგიდას შორდება

სოსო სათაური დარჩა ხომ თინა კითხულობს

კი აწერია ტიან-შანი ცისფერი მთები სათაური დარჩა

ერთი რამე მაინტერესებს მე რატომ არა ვარ შიგ კაკოა საქაღალდით

როგორ არა ხარ

არა ვარ იცინის უხმოდ ყველაა ჩემ გარდა

შენ აკაკი არა ხარ ეძებს თაბახის ფურცლები აეჭრება ერთი აჭრით საჭირო ადგილს აგნებს მაინც კითხულობს

აკაკი იცინის ჩამოტეხილ კბილზე იფარებს ხელს სოსო მაინტერესებს მე რატომ არ ვარ შიგ სიტყვასიტყვით წერია ა ბატონო უთითებს

ვყოფილვარ იცინის, ხელს იფარებს ბაგეზე მე კაკოს ვეძებდი საბუთით მართალია აკაკი ვარ მეტრიკით პასპორტითაც აღარ გამახსენდა

უკმაყოფილოდ ნასკვავს საქაღალდის ზონრებს სოსო

შენც ხარ რა

სოსო მე ხომ არ ამოვვარდი თინა კითხულობს ვარ შიგ

ჩვენი მტერიც ამოვარდნილა ხარ რომელია

სათაური შეცვალე სოსო

არა კაცო ცისფერი მთები ტიან-შანი ტიან-შან

მოსაწვევები მართლა არ გინდა დასწრება სავალდებულოაო ოთარმა

გამხდარი მოქალაქე შემოაღებს კარს ფრთხილად თავდახრილი შემოიტანს ნახევარ ტანს

შეიძლება არც კის ეუბნებიან არც არას თავაწეული მისჩერებია თინა

მობრძანდით ეპატიჟება და სკამსაც უთმობს ბელა მოგვიანებით

როგორ გეკადრებათ არავითარ შემთხვევაში ბრძანდებოდეთ უკაცრავად შეგაწუხეთ

ყველა ერთდროულად იწყებს თითქმის ლაპარაკს უცხო აღარავის აინტერესებს

პატარა ჯიბეები წამოვიღე-მეთქი გითხარი დირექტორთან ვინ არი

არავინ

თქვენ დაპრძანდით ქალბატონო მე პირადად უკაცრავი პასუხია მიჩვეული ვარ ფეხზე დგომას მაპატიეთ

ბელა არაფერს ამბობს რაზე ბოდიშობს ეს კაცი ვერ ხვდება უცხო კი არ ჯდება და მოსაცდელის დატოვებას რომ არ აპირებს ეტყობა ლაპარაკის დარღვევა არ უნდა როგორც ჩანს და სხვის ხმებს აყოლებს მომლოდინე თვალებს

ბელა ვინ არი შიგ

არავინ არ არის ხომ ვთქვი ადამიანო

აპა რატომ არ გვეძახის მართლა ხვალ არი თინა საზოგადოების გაფართოებული სხდომა

ხვალ არის კი ყველანი უნდა დაესწრონო გაფართოებული არ მითქვამს სხდომაა თქვენ ვინ დაგიბარათ თვითონ არ არის და როგორ დაგიბარებდათ

ეეე წაუსტვენსავით კაკო არ არიო მოსაწვევებს მოუნაცვლებს ადგილს მაგიდაზე უმოსაწვევებოდ არ შემიშვებენ

სადა დირექტორთან

არა იქ გაფართოებულ იმაზე

გაფართოებული არ მითქვამს ზარია ყურმილს იღებს დიახ გისმენთ რაზეც გინდათ იყავით დიახ დიახ არა არ არი არ ვიცი ხომ გესმით ქართული არ არის, კიდევაც რომ იყოს დღის პირველ ნახევარში მაინც ვერ მიგიღებთ არ ვიცი, გენაცვალე ყურმილს დებს

მეორე ნახევარში უცნობი მოქალაქე ჩაერთვება უცნობისა და ნაცნობის დიალოგში

გაჩნია რა საკითხზე

ვთქვათ იგავ-არაკებისაზე მაგრამ ამაში არ არის საქმე თუ არ შეწუხდებით დიდ ბოდიშს გიხდით ხვალაც მოვალ და იქნებ გეთქვათ ყუფარაძემ დარეკა-თქვა

გადავცემ

დიდი მადლობა ბოდიშს გიხდით რომელიდან რომელამდე აქვს დალოდების საათები

ორიდან დღის ბოლომდე

ხვალ რომ მოვიდე და დაველოდო შეიძლება არა

შეიძლება კი

აქ სულ იგავ-არაკები გაქვთ კითხულობს წარბაქაჩული ბორია თავის სილამაზეში არცთუ უსაფუძვლოდ თავდაჯერებული ყმაწვილი

გამხდარი მოქალაქე საკუთარ პორტფელს აკვირდება და პასუხის გაცემას აგვიანებს (რ. ჭეიშვილი)

სავარჯიშო № 42. დასვით სასვენი ნიშნები

რუსული ტექსტი ქართულიდან გადმოთარგმნილიაო ნათქვამია თუმცალა გაუწაფავი თვალი სხვათაგანაც დადგენილია პირიქითობას მიხვდება ტექსტი რუსულიდანაა გადმოღებული ცუდი ალაგ-ალაგ გაუგებარი ქართულით თავად დოკუმენტი მარჯვედაა შედგენილი და ალბათ სრულად შეესაბამება რუსეთის იმდროინდელ პოლიტიკურ-იურიდიულ ამბიციებს

ქართლ-კახეთის სამეფო შედიოდა ერთმორწმუნე ქრისტიანული ქვეყნის მფარველობაში და გეორგეევსკის ციხესიმაგრეში გაფორმდა და სარატიფიკაციოდ გამზადდა შესაბამისი დოკუმენტი რომელიც თავიანთი ხელმოწერებით დაამშვენეს შემდეგმა პირებმა პავლე პოტემკინმა ასე წერია იოანე ბაგრატიონმა და გარსევან ჭავჭავაძემ მეფე ერეკლე მოგვიანებით დაჰკრავს ბეჭედს და დააფიქსირებს საკუთარ ხელხლართვას ბევრ წყალობას  სოციალურს პოლიტიკურს მეფურს გამოელოდნენ მწყალობელთაგან წყალობილები აღიარებდნენ უმაღლესობას რუსეთისას იმპერატრიცისას სამაგიეროდ სანუფქოდ ინარჩუნებდნენ მეფობას საკუთარი ტერიტორია-სამფლობელოებისას და მემკვიდრეობითობას  სამეფო დინასტიის შენარჩუნებას მრავალჯერ დასჭირდა შეხსენება ამ პირობებისა ერთ მხარეს მეორისათვის უშედეგოდ დაყრუვდნენ თუ თავი დაიყრუეს ცნობილი არ უნდა იყოს (რ. ჭეიშვილი)

სავარჯიშო № 43. დასვით სასვენი ნიშნები

წლევანდელი ზაფხული დიდწვიმიანი გამოდგა გომბორში ხან თავსხმა წამოუშენდა ხანაც ფუთქი თქორავდა შემაბეზრებლად ციოდა შორეული იალნოს მთა მოცრიატებულზე მზეს ნიშბივით რომ მოიყენებს ხოლმე თითქო სამუდამოდ გაიქნა დაიკარგა ჯანყში ხოლო ჩემი სახლის მომიჯნავე წითლოვანი გორა თეთრყომრალი ნისლეულით აბოლდა სწორედ ისეთი ტაროსი იდგა კაცს რომ ჩამყუდროვებული ფიქრისა თუ მოგონებებისათვის განაწყობს მწიფობის ჟამი იყო გალუმპული ნაყოფით დახუნძლული ალუჩა და ვაშლი მსხალი და ალიბუხარი ტოტებდადრეკილნი ნაღვლიანად იდგნენ მოთქრიალე წვიმაში და ჩუმი თმენით ელოდნენ პატრონთა კეთილ ხელშეხებასა და მოსთველიანებას მათ შორის საყვარლად იყო აწოწილი ტოტებგაბარჯღული ალუბალი პრიალა ფოთლები უხასხასებდა ხოლო ნაყოფი მეტი სიმწიფით ჩაშავებულიყო თითქო ღვთის მადლიან მარჯვენას ლალის თვლები შეეფრქვიოს მისთვის და ეთქვას აჰა ახარე ადამის ტომიო არაფერი სჯობდა მის ცქერას ამ ნისლიან სევდიან დღეს იდგა გაწუწული მშვიდი მუქად გაბურბურებული (თ. მაღლაკელიძე)

სავარჯიშო № 44. დასვით სასვენი ნიშნები

ომის 1941 45 წწ  შემდეგ სოფელში სამხედრო ფარაჯები გაჩნდა დროთა განმავლობაში მათ საპატიო საკიდლები მიატოვეს და ღამის მეხრეებისა თუ მოხეტიალე ბოგანოების შესამოსლად იქცნენ

მახსოვს ერთი ასეთი ბოგანო თმაწეერგაშვებულს ქარითა და მზითგამოყვანილ სახიანს ფარაჯის საყელოდან ლამაზი ყელ-კისერი ისე მოუჩანდა იფიქრებდი შიშველ ტანზე აცვიაო ფარაჯა გამხდარ და სწორ სხეულზე ბერის ანაფორასავით შემოჰგრაგნოდა მსხვილი თოკი ჰქონდა წელზე შემორტყმული და თუმცა ტანად მაღალი იყო ფარაჯა ლამის კოჭებამდე სწვდებოდა ამ ბოგანოს მოუცილებლად ხელში სპილოს ძვალივით პრიალა ჯოხი ეჭირა არგანად წოდებული მიდიოდა და მილაპარაკობდა

პრიალა პრიალა სწორი და ლიტაო იყო ის არგანი გეგონება მრავალ თაობას სჭეროდა ხელში და ახლანდელ პატრონს თავის ჭკუაზე გაეწვრთნა რადგანაც რაღას, არ აკეთებინებდა როცა მიდიოდა და მილაპარაკობდა თითქოს იმით მიუძღოდა და წარმართავდა ფიქრებს რომელთაც არგანი ხან იგერიებდა ხან ეთანხმებოდა და ხანაც მსჯავრს სდებდა და თქვენ წარმოიდგინეთ ხითხითებდა კიდევაც ზოგჯერ ისეთი სასტიკი იყო რომ ბალახისა და მტვერიანი გზის მაგივრად შეგეშინდებოდა ზოგჯერ კი ისე ნაზი ლამის სანთელივით მზეში გამლღვალიყო

ჩვენს სოფელზე გაივლიდა ხოლმე ყველაზე დიდხანს მე მივდევდი შორიახლო სხვებს ადრე ელეოდათ ცნობისწადილი და მარტო დარჩენილს შიში და პასუხისმგებლობა მემატებოდა იმისთვის რა მიდიოდა და მილაპარაკობდა არც არაფერთან შედგებოდა არც არავის ესიტყვებოდა მაგრამ მაინც ყველამ იცოდა რომ ამბა ბესარიონი ერქვა და უჯიათი უკმეხი ხასიათის გამო ბერების საძმოდან იყო მოკვეთილი

ბოგანო და მათხოვარი სხვაც ბევრი დადიოდა სოფელ-სოფელ ეს კი არავითარ სურვილს არ ამჟღავნებდა ნატამალი არ უნდოდა არაფრისა ამბობდნენ ბალახსა ძოვსო მაგრამ რაღას არ იტყვიან ხოლმე კაცზე მით უმეტეს როცა არაფერი აინტერესებს

ერთხელ გავბედე და წინ ისე გადავუდექი შემთხვევით რომ ხდება კაცთა შორის ბავშვი ვიყავი აშკარად მეტყობოდა რომ ბავშვი ვიყავი შემომხედა და თვალები ჩამაშტერა ლამაზი ჭროლა თვალები  მიყურა მიყურა თითქოს თვალებიდან თვალებში რაღაც გადმომიღვარა რაღაც შემომისახლა გულიდან გულში სულიდან სულში რაღაც მიწილადა თითქოს ნერწყვიც შეერხა ყელში და როცა ყველაფერი გაიღო ჰააჰ თითქოს ჯოხით გზა გაიწმინდაო ისევ გამკვახებული წავიდა მიდიოდა და მილაპარაკობდა და შორიდან რომ ვუყურებდი გეგონება გულჯავრიანი პეპელა მიფრინავსო უკვე ჰორიზონტზე კი  ალბათ ჯოხის წყალობითაც ქარის წისქვილს ემსგავსა

მეც ბესარიონი ვარ-მეთქი დავაპირე მეყვირა რაკი შორს იყო და აღარ მეშინოდა ბესიკი ბესარიონი ორივე მქვია ამბასაც კი ვთამაშობ ხოლმე დამიცადე სახლში გავიქცევი გრძელ პალტოს წამოვიღებ და ერთად ვიაროთ მეც ძალიან მიყვარს თავის დამარტოხელება აი ახლაც აბა გახედე ჭიჭია მათე და თათუკა სად არიან აგე ძლივს ჩანან ერთად წამოვედით ივრის ტოტი უნდა ავირჩიოთ და ხვალ დავწუროთ მაგრამ მე ჩემთვის სიარული მირჩევნია ჩემთვის უფრო ვერთობი რატომ ვერ მიცანი თუ იფიქრე ბალღია სად ივლის ქარში და წვიმაშიო

მაგრამ თითქოს უცებ გავიზარდეო თავმოყვარე შევიქენი სისულელედ ჩავთვალე ჩემი განზრახვა და ისეთი გრძნობა დამეუფლა თითქოს ნამდვილი ბესარიონი აქ ვიყავი ის კი როგორც მოჩვესება როგორც შორეული კვამლი ისე გაქრებოდა ზუსტად ვიცოდი რომ დღეს მოკვდებოდა იმიტომაც გაემართა კოხის ტყისკენ იქა აქვს საფლავი წინასწარ გათხრილი წელან რომ მიყურებდა ყველაფერი მაშინ მითხრა თვალებით მიამბო მთელი თავისი ამბავი და ანდერძიც მე დამიტოვა

ასე წარმოვისახე მომხდარი და ამაყი შევიქენი ბესიკი-ბესარიონი აქედან რაღაც უნდა გამოსულიყო მით უფრო, თუ ამბაც დაემატებოდა

ადამიანი ზურგიდან გამოიცნობა წასულს შევამჩნიე რაღაცა ზადი თითქოს საკუთარი თავი მხრებზე წამოხურვოდა და ამას კი ვერ ეჯობნა ვერ წამოეღო და ძირს ვერ დაენარცხებინა რომ მერე იმის ტყავზე გაევლო ლოდინს კი ისევ ეს ერჩია მიდიოდა და მილაპარაკობდა მე ახლაც არა ვარ დარწმუნებული რომ ის სიბრძნეს მეტყველებდა მაგრამ თვითონ ფორმა ამგვარი თავისუფლებისა მიდიოდე და მილაპარაკობდე ჩემთვის საოცნებო და მიუღწეველია დღემდე როცა არც წარსული გაქვს არც აწმყო და არც მომავალი არაფერი არ გაგაჩნია და მით უმეტეს სალაპარაკო

განა მხოლოდ ახლა ადრეც მიკითხავს ჩემი თავისთვის რითი მომხიბლა ამ მიუსაფარმა ბოგანომ შესაძლოა იმით რომ დაპირისპირებული იყო ცხოვრებასთან რომლისგანაც ადამიანები კეთილგანწყობას მოითხოვენ და შეჩვევას ხჯერდებიან იმით თავის ნებაზე რომ იყო და ნერვები არ უცხრებოდა კმაყოფილება რომ არ იცოდა რომ ცხოვრების რჩოლა და ჯიბრი მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო

ის ვინც საკუთარ თავს ქმნის საზოგადოებაში ადგილს აღარ უნდა ეძებდეს საზოგადოება ორპირი და თვალთმაქცია აბა დაგვიძახონ ის სახელი რასაც გულში გვეძახიან აბა ისე მოგვექცნენ როგორც გულში გვექცევიან და მაინც როგორ ადვილად მიგვიტყუებს ხოლმე საზოგადოება როგორ ვცდუნდებით როგორ გამოვდივართ კოშკიდან გავშლით მუშტს და ხელს ჩამოვართმევთ ყველაფრის მიზეზი კი ჩვენი სურვილებია

ამბა შთამბეჭდავი და მკვეთრი არსება იყო ის რომ გზაზე გაივლიდა ჰაერი იცვლებოდა ღობეები კრთოდნენ ხეები იზნიქებოდნენ კვალი რჩებოდა იმის გავლილზე უცხო სუნი დგებოდა

დროის სუნი  სიძველისა სხვა როლიც ჰქონდა ამბას ბავშვებს იმისი სახელით აშინებდნენ უიმე უიმე ჩაეყარეთ ახლავე ლოგინში ამბა მოდისო

სოფლის საზოგადოებაში იყო ერთი პატარა უჯრედი ამ საზოგადოებისა რომელიც მთელი სოფლის ოცნებას ასახიერებდა და აღასრულებდა  დრო უქმად გაჰყავდა ერთადერთი კონფლიქტი ამ საზოგადოებას ამბასთან მოსვლია მაგრამ ამ შემთხვევაზე ისე ხმამაღლა როდი ყვებოდნენ ხაწირის მთის ძირში ყანების ბოლოს ფუფქელ გზაზე მიდიოდა თურმე ამბა როცა ზემოდან მოქეიფეები ჩამოხტომიან ნახატარის მუხების ჩრდილში ჰქონიათ სუფრა გაშლილი და იქ მიუწვევიათ ხან წინიდან ხან გვერდიდან შემოუვლიათ და უფრო მეტ ყურადღებას რომ ვერ ღირსებიან ვიდრე სხვა რამ გარშემო ამბასთვის გონზე მოყვანა და ფარაჯაზე ქაჩვა დაუწყიათ მაშინ ყოფილა არგანი ქარბორბალასავით რომ დატრიალებულა თვით პატრონს კი არაფრით შესტყობია გუნების შეცვლა რადგან იმან, ვინც პირველმა შეძლო თვალებში გამოხედვა ღრუბელივით შორს დაინახა

ამბა ბესარიონი თავისუფალი არსება იყო და ეს შეუძლებელია არ შეშურდეს ვისაც მოვალეობები ვერ აუტანია თვალშისაცემი იყო და არავის აინტერესებდა ეს კი ანაზღაურებაზე მეტია როცა თავისუფალი გინდა იყო ერთი სიტყვით ამ სახეში მომხიბლავი იყო ის რაც შეიძლება შემოქმედების წინაპირობად ჩაითვალოს ასეთს  იქნებ გიჟი გვეთქვა  წერა რომ შეეძლოს ერთი ნიჭით მეტი იქნებოდა ასე კი მხოლოდ ცხოვრებაზეა მეტი ცხოვრება ადამიანში თვალებიდან შედის გიჟი ხედავს მეტს გაცილებით მეტს ვიდრე კალამმა შეიძლება აღწეროს და ფიქრობს მეტს და დაულაგებელს  ვიდრე წერაა გიჟისთვის არ არსებობს დავიწყება და გახსენება ის დღესაა და ამ წუთშია მხოლოდ და რასაც მილაპარაკობს ეგრეძვე ივიწყებს აბა სცადე და შენც გააქრე ერთი სტრიქონი ვერა უფრო დაგახსომდება

სისულელე იქნება ვთქვა რომ ის ამბა ბესარიონი დღეს მე ვარ რომ სულმა რომელიც ტყავიდან გავიდა ჩრდილი დატოვა ჩრდილი კი მეტია ჩრდილში ისიცაა რაც სინამდვილეა და ისიც, რაც დაკარგულია მაგრამ განა ის კი მართალი იქნება თუ ვიტყვი რომ დღეს მე ვარ ის მოწმე ბავშვი  ათი-თორმეტი წლის ბესარიონი

მიჩნეულია რომ მძიმე ბავშვობა ნიშნავს ობლობასა და სიღარიბეს რაღაცა წილი მე ამ ორივეში მედო მაგრამ ჩემთვის უფრო მძიმე გასახსენებელია ის განცდები რომლებიც ერთი და იმავე მიზეზით მეუფლებოდა ხოლმე და თავი რომ დამეღწია დათრგუნვისაგან სითამამეს ვეძლეოდი ანუ მაიმუნობას და მასხარაობას ვიწყებდი რაში გამოიხატებოდა ჩემი მასხარაობა ჩავიცვამდი დედაჩემის ძველ პალტოს შემოვირტყამდი ზედ თოკის ნაგლეჯს გავიკეთებდი შავი მატყლის ნაჩეჩისაგან წვერ-ულვაშს თმა ისედაც ხუჭუჭი მესხა დავიჭერდი ხელში თხილის ჯოხს და შევუდგებოდი მტერ-მოყვარე მეზობლების მონახულებას აა მობრძანდი ამბა მობრძანდი მეტყოდნენ

მაგრამ მე რა თქმა უნდა არ ვუჩერდებოდი რამე ორაზროვანსა და თამამ სიტყვას დავუგდებდი მასხარას რომ ეპატიება ისეთს და გავცილდებოდი ისედაც კარგა გრძელ ქუჩაზე იყო ჩვენი უბანი ანუ სცენა ჩემი მოღვაწეობისა და მეც ავყვებ-ჩავყვებოდი ჩვენს გზას და უბანს ჯოხის ჯადოსნური ტრიალით რომლისთვისაც ყველაფერი ობიექტი იყო ღობეც ხეც ქათამიც ძაღლიცა და მეზობლის ბავშვებიც რაკი როლის მიხედვით უნდა განუწყვეტლივ მელაპარაკა მებუტბუტა და შემეთხზა უცაბედი ფრაზები ხანდახან ისეთი რამე წამომცდებოდა რომ ვიფიქრებდი ასეთი რამ დიდი რომ ვიქნები მაშინ შეიძლება წამომცდეს-მეთქი ვინ იცის წამოცდენილი სიტყვა მეტია ვიდრე თხზული წინადადება წინადადება იქნებ მეტი არის ვიდრე აბზაცი და აბზაცი მთელ თავს სჯობია

ეს გარდასახვა კარგა მაგრად მართმევდა ძალას მახსოვს როგორი გაოფლილი ვბრუნდებოდი შინ დაღამებისას მაგრამ უცნაურია მხიარული და კმაყოფილი როდი ვიყავი გულგატეხილი ვბრუნდებოდი აივანზე მივყრიდი ჯოხსა და პალტოს წვერს ისე ჩამოვიგლეჯდი როგორც ჭეშმარიტი მსახიობი რომელმაც სცადა და როლი შეასრულა ტაშიც დაიმსახურა მაყურებელიც აცდუნა აღფრთოვანებაზე მაგრამ საკუთარ თავს ვერ აჯობა და ამად არის მგლოვიარე რადგან გამოცდილებამ კვლავაც შებორკა მეც ვგრძნობდი რომ ვერ შემცვალა ჩემმა თამაშმა სხვები ავიყოლიე მაგრამ საკუთარ თავს კი ვერ ვაჯობე ვერ ვაჯობე ჩემს დარდს და განცდებს ისე ღრმად ყოფილა კაცში საკუთარი თავი რაც მეტს მიჰყვები უფრო მეტსა თხრის თხუნელასავით უფრო გეკარგება და შენ ისევ შიშველი ინსტინქტების ამარა რჩები ასე ნირწამხდარი სახედაკარგული ვწვებოდი ლოგინში და ველოდი როდის ამიწევდა სიცხე

მეორე დღეს საშინელი უიმედობა მეუფლებოდა ისეთი როცა გეჩვენება რომ არ გათენდება რომ არ გაიზრდები და ბავშვად დარჩები რომ ვერასდროს გასცდები შენს გზას და უბანს რომ სულ ამ სოფელში იქნები რომელიც სულაც არაა ზღვის ნაპირას პირიქით მთებშემორტყმულ პატარა ვაკეზეა და რა თქმა უნდა არავითარი ნავსადგური არ აკრავს არ ბიბინებს ზღვა და არ ირწევიან იალქნიანი გემები აქ არც ერთი წაკითხული ამბავი არ გათამაშდება აქ არ იქნება სიყვარული შურისძიება აქ არ დარეკენ ცამდის აწვდენილი ეკლესიის ზარები კიბეები არ იქნება მარმარილოსი თოკს არავინ ჩამოუშვებს შენთვის სარკმლიდან აქ ქალმა რომ გაიხადოს უნდა შებრუნდე რომ გული არ გაგიტყდეს რომ კვლავ გქონდეს მომავლის იმედი რომ როცა აგიშვებენ აუცილებლად შეიქმნები შენს თავზე მეტი და ძალა შეგწევს შეჰფიცო მომავალს რომ

ამავ დედამიწაზე ქრისტესშობიდან მეოთხე საუკუნეში ეგვიპტეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა წმინდანი და სასწაულთმოქმედი ბერი აბბა ბესარიონი რომლის შესახებაც წმინდანთა წიგნში ვკითხულობთ მისი ცხოვრება მსგავსი იყო რომელიღაც ფრინველისა რომელიც ცაში დანავარდობს ან რომელიღაც თევზისა ან რომელიღაც არამიწიერი არსებისა რადგანაც მთელი დრო რაც იცხოვრა მან გალია წუხილისა და ზრუნვის გარეშე არ აწუხებდა მას არც სახლზე ზრუნვა

არც სახნავ-სათესი არც სიამოვნებისადმი ლტოლვა არც ფიქრი რამის შეძენაზე ის თავისუფალი იყო სხეულზე ზრუნვისაგან ცხოვრობდა მომავლის იმედით და შემორტყმული იყო რწმენის კედლით ტყვესავით ითმენდა სიცივეს და გახურებული მზის სხივებში სრულიად შიშველი ჩრდილს როდი ეძებდა დევნილის მსგავსად იმალებოდა უდაბნოს კლდეებში და უკიდეგანო და დაუსახლებელ ქვიშის სამყაროში ისე დადიოდა როგორც ზღვაზე

კიდევ მრავალ სასწაულს ყვებიან აბბა ბესარიონზე განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენი ადამიანური შესაძლებლობების კვალობაზე ასეთი ეპიზოდი სავანეში ერთ-ერთმა ძმათაგანმა შესცოდა და განკვეთილ იქნა მონასტრის წინამძღვრის მიერ როცა ძმა ეკლესიიდან გადიოდა აბბა ბესარიონი ადგა უკან გაჰყვა განკვეთილს და თქვა მეც ცოდვილი ვარ აბბა ბესარიონმა მოახლოებული სიკვდილის წინ მიატოვა თავისი სავანე და უდაბნოს უკაცრიელ კლდეებს შეეხიზნა არავინ იცის რამდენ ხანს იცოცხლა და როგორ აღესრულა (ბ. ხარანაული).

სავარჯიშო № 45. დასვით სასვენი ნიშნები

გურამ რჩეულიშვილის მოთხრობაში სიკვდილი მთებში აღწერილია თავზარდამცემი ტრაგიკული შემთხვევა საქართველოს მთებში მოგზაური გერმანელი მწერლის ალფრედ კურელას თვალწინ დამფრთხალმა ცხენმა ცალ უზანგში ფეხჩარჩენილი მისი მეუღლე გაიტაცა და ქვიან გზაზე თავის ხეთქებით ამოხადა სული ალფრედ კურელამ იშვიათი სტოიციზმი შეაგება მოულოდნელად თავს დამტყდარ უბედურებას ამ ამბის შემსწრენი განცვიფრებულნი იყვნენ მისი ვაჟკაცური თავშეკავებით ფოტოსურათები გადაუღო მეუღლის ცხედარს მცირეწლოვან ვაჟთან ერთად მინდვრის ყვავილები დაკრიფა და იმით შეამკო საყვარელი ადამიანის გვამი მთხრობელმა გურამმა ორჯერ შენიშნა მის თვალებზე რაღაც ცრემლისმაგვარი მაგრამ ჭირისუფალმა ორჯერვე სძლია თავს და უკანვე ჩაიბრუნა ჭირთ მანელებელი ცრემლი ნიკოლოზ ბარათაშვილის გამოთქმაა

მიცვალებულს იქვე გაუჭრეს სამარე მიწას მიაბარეს და თბილისში დაბრუნდნენ იმ სასტუმროში სადაც იდგნენ და ის ნივთები ჰქონდათ დატოვებული რომლებიც მთებში არ სჭირდებოდათ

თითქოს უმთავრესი უკან დარჩა თითქოს ჩავლილია ყველაზე მძიმე წუთები თითქოს ცივმა გონებამ გაიმარჯვა გრძნობაზე მაგრამ სასტუმროს ოთახში შესულ ალფრედ კურელას თვალში მოხვდა საწოლის თავზე გადაკიდებული კაბა და ხალათი მეუღლისა მოთხრობაში ვკითხულობთ ალფრედი იდგა გაშეშებული მარტოკა და იმ საწოლს უყურებდა რომელზეც ქალის კაბა და ყვითელყვავილებიანი ხალათი იყო გადაკიდებული გურამმა რაღაც იგრძნო ტკივილივით იქით ოთახიდან ხმამაღალი ქვითინი მოისმა სარკეში ჩანდა ალფრედი დაეცა საწოლზე აღრიალდა ის ტიროდა ხმამაღლა ქვითინებდა და ზორბა მხრები უძაგძაგებდა

დაობლებულმა სამოსელმა გრძნობათა იმაზე ძლიერი აფეთქება გამოიწვია ვიდრე თვით უბედურებამ უშუალოდ განცდილმა (ლ. ბრეგაძე)

სავარჯიშო № 46. დასვით სასვენი ნიშნები

ორასწლოვანი რუსიფიკატორული პოლიტიკისაგან იძულებითი და საძულველი ორენოვნებისაგან რომელსაც ასე თუ ისე მაინც ვუმკლავდებოდით თავდახსნილნი მშობლიური ენის ქართული კულტურის ქართული სულიერების წინსვლა-განვითარებისა და საბოლოო ზეობის მოიმედენი მწარედ მოვტყუვდით თვით კომუნისტური ტოტალიტარიზმის უმძაფრეს და უსასტიკეს პერიოდებშიც კი არავის ახსოვს ქართული ენა აგრერიგად წარყვნილი შეურაცხყოფილი და დამცირებული ვის შევჩივლოთ ან ვის გადავაბრალოთ ეს ხომ თითოეული ჩვენგანის ბრალია

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან მიამიტურად ვფიქრობ აი ახლა კი ატყდება განგაში დედაენის დაბინძურების გამო დღეს თუ არა ხვალ მაინც ხვალ თუ არა ზეგ მაინც თქვენც არ მომიკვდეთ დღემდე ისე მოვაღწიეთ რომ ენის სიწმინდე ვერა და ვერ იქცა საყოველთაო საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგნად უკვე რამდენი მთავრობა და პარლამენტი სიტყვიერ ომში ინგრევიან პარლამენტები გალაკტიონი გამოვიცვალეთ დედაენის სიწმინდისათვის კი ვერც ერთმა ვერ მოიცალა

დაუდევარი დამოკიდებულება დედაენის მიმართ, გაღარიბებული ლექსიკა და უბრალოდ მიუტევებელი შეცდომები ყველაზე თვალსაჩინოდ ტელეეკრანიდან ფიქსირდება მიკვირს რომ ტელევიზიათა მესვეურები ერთხელაც არ შეწუხებულან კრიტიკის უქონლობის გამო საქართველოში ჩვენდა სამარცხვინოდ ორასზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი ყოფილა მარტივი გაანგარიშებით შესაძლოა ათობით ტელეჟურნალისტიკის კათედრაც არსებობდეს მიუხედავად ამისა ქართული ტელევიზიის გადაცემები საფუძვლიანად სისტემატურად გამოწვლილვით რომ შეეფასებინოს ან გაეკრიტიკებინოს ვინმეს არ მოგვისწრებია ეს კი კარგს არაფერს უქადის ქართულ ტელევიზიას რომელიც მაყურებლისათვის მაინც ერთიანია ამ მხრივ სასიამოვნო გამონაკლისია ახლახან დასტამბული ქეთევან სადღობელაშვილის ეპოქის ყოფილი წამყვანის წერილები

ტელევიზიაში გამართული ლიტერატურული ქართულით მეტყველება წესად უნდა დამკვიდრდეს და არა იშვიათობად არადა ზოგჯერ პირუკუ ხდება (ლ. ავალიანი)

სავარჯიშო № 47. დასვით სასვენი ნიშნები

რა გინდა ბებო რა

მოხვედი შვილო

ხო რა გინდა

მომეცი აბა შენი ხელი

ეე კარგი რა ბებო

მომეცი ბიჭო რა მოხდება

აჰა

გენაცვალოს ბებო ჩემო ვაჟკაცო ჩემო იმედო

აუ კარგი რა ბებო

რატომ შვილო რატომ არ გიყვარს ჩემი მოფერება ბებერი რომ ვარ იმიტომ ვინ მყავს შენს მეტი გენაცვალოს შენი ბებო

აუ ბებო რაა

აი ერთხელაც გაკოცებ ერთხელაც და მეტი აღარ

კარგი ხო წავედი

რომელი საათია

თერთმეტია ერთ საათში ახალი წელი იქნება

რა იქნება

ახალი წელი

ახალი წელი

ხო რა იყო

არაფერი არაფერი

კარგი წავედი ახლა

მოიცა ჩამოჯექი ცოტა ხანს რაღაც უნდა გითხრა

რა გინდა

ჩამოჯექი რა მოხდება

აუ ტელევიზორს ვუყურებ რა

დაჯექი ბიჭო არსად გაგექცევა ის ტელევიზორი

კარგი აჰა დავჯექი

შვილო პაპა გახსოვს

პაპა

ჰო

ისე ბუნდოვნად

მაინც რანაირად

მახსოვს ერთხელ ახალი წელი იყო და გარედან კარზე დააკაკუნა

ჰო ჰო

ჩვენ რაღაც ეკითხეთ ვინ არისო თუ რაღაც თან სულ გვეცინებოდა

მერე

მერე შემოვიდა და შემოიტანა დიდი ლანგრით მანდარინები კანფეტები და ნამცხვრები კანფეტებს იატაკზე ყრიდა და თან ამბობდა შემოვდგი ფეხი გწყალობდეთ ღმერთიო

ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისო

ხო ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისო

მერე მერე

მერე ხელში ამიყვანა თოვლის სუნი ჰქონდა თოვლის და სიცივის

სიცივის სუნი ჰქონდა ბიჭო

ხო შენ ხომ არ გცივა თუ გინდა დედაჩემს ვეტყვი და ჩაის აგიდუღებს

არ მინდა არა

არც გშია

არა არაფერი მინდა

წავალ მაშინ კარგი

წადი შვილო წადი (ნ. შატაიძე)

სავარჯიშო № 48. დასვით სასვენი ნიშნები

ნებისმიერი სიახლე პოეზიაში ისევე როგორც სიძველე არ არის აუცილებლად კარგის ან ცუდის სინონიმი ნიშანი თავგადაკლული ტრადიციონალისტივით პოეზიას ვერც ღვინის სიძველე-სიახლესთან გავაიგივებ და ვერც შევადარებ სრულიად განსხვავებული ტექნოლოგიებისა და დარგობრივი უდიდესი სხვაობის გამო კულტუროლოგებისთვის საინტერესო სიახლეს პოეზიაში არცთუ იშვიათად არანაირი კავშირი არ აქვს პოეზიასთან ამ სიტყვის წმინდა გაგებით და მათთვის პოეზია უმთავრესად საინტერსოა მხოლოდ ინტერპრეტაციისათვის კულტუროლოგიული ძიებისთვის ან როგორც სულიერი კრიზისის ან სხვა რამის ილუსტრაცია უკეთეს შემთხვევაში ისინი ხედავენ ისეთ სიახლეს რომელიც უფრო ფილოსოფიური ასპექტით არის საინტერესო და არა ლიტმცოდნეობრივად ზოგიერთისთვის ანტიპოეზიის ცალკეული ნიმუშები უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ზოგადად პოეზიის ახალი გზა და განვითრების შესაძლებლობანი ზოგმა თუ არ ვცდები პოეზიაში განვითარების გზები საერთოდ გამორიცხა და მის სიკვდილზე ალაპარაკდა

გვინდა თუ არა ლიბერალური ეკონომიკისგან დაწუნებული პოეზია წასაკითხადაც და შესაქმნელადაც უდიდეს მოცალეობას მოითხოვს მოცალეობა კი თითქმის გააუქმა საბაზრო ეკონომიკამ და ამიტომაც არ დარჩა ადგილი პოეზიისთვის თანამედროვე ცხოვრებაში დრო აღარ

არის პოეზიისთვის დრო არ რჩება და არც სურვილი არ არის მისი კითხვისა პოეზია იმ დროის შვილია როცა დრო თავზესაყრელი იყო და წიგნიერ საზრდოს მხოლოდ წიგნებში ეძებდნენ

მიუხედავად ამისა ჩვენში ათასები მაინც წერენ და მოცალეობის ნაკლებობას არ უჩივიან (გ. ალხაზიშვილი)

სავარჯიშო № 49. დასვით სასვენი ნიშნები

ხალხით გაჭედილი ავტობუსი მიქრის ნაბდისქუდიანი წარბებჩამოფხატული ბერიკაცი მოკუნტული დედაბრისკენ მიიწევს დედაბერი ჯინურა კალათებში მოკეცილა და აქეთ-იქით ცქვიტად იცქირება

შენ მაგდანა არა ხარ ეკითხება ბერიკაცი

მაგდანა ვარ მაგდანა

გამარჯობა მაგდან

შენ მიხა არა ხარ

მიხა ვარ მაშ

როგორა ხარ მიხავ როგორა ხარ ბიჭო

ხი-ხი-ხი-ხი ბიჭიო ხითხითებს იქვე მდგარი პატარა ბიჭი

რა გაცინებს ჩემთვის ისევ ბიჭია ტუქსავს დედაბერი ბიჭს

როგორა ხართ ბიჭო, როგორა

აბა როგორ ვიქნებით არა გვიშავ რა

თქვენები როგორ არიან შვილიშვილები დაათხოვე

კარგად არიან დიდს კარგი ყისმათი შეხვდა ქალაქშია ეხლაც იქიდან მოვდივარ შუათანა ახმეტაში გავათხოვეთ ისინიც კარგად არიან მარტო პატარაზე გვეთანაღრება გული

იმ ნაბოლარაზე

ვერ შეხვდა კარგი ბედი სიფხიზლეში კიდევ არა უშავ რა დათვრება და გაგიჟდება

რად გაატანეთ

ვინა გვკითხა ალავერდში ვიყავით მოვბრუნდით და შინ აღარ დაგვიხვდა ფშაველში გაპარულიყვნენ ბიჭის მამიდასთან

შინ უნდა ჩაგეკეტნათ

ჩავკეტეთ ფანჯრიდან გადამძვრალიყო

ეეხ ეხლანდელები

შენ შენ როგორღა ხარ

იი შენ კი გაიხარე

სადა ყოფილხარ

ქალაქში ვარიები მყვანდა გასაყიდად

გაჰყიდევი

მუქთად უნდოდათ აბა ერთი კრუხი თქვენ დასვით-მეთქი

მაგათ იგრე ჰგონიათ

ესეც ჩვენი სოფელი ამბობს ბერიკაცი და ჩასასვლელად ემზადება აბა კარგად იყავი მშვიდობით

მშვიდობით ვინ იცის ველარცა გნახო

აბა რა ვიცი ვინ იცის

მშვიდობით ბიჭო

მისა ჩადის დედაბერი უცებ წამოხტება ფანჯარას მივარდება და ეძახის

ბიჭო მისავ

ხოო

აბა ჩემზე თუ რამე გაიგოთ გადმოდით, არ დაიზაროთ

ნუ გეშინია

გადმოდით ჩემიანები ხართ გეკუთვნით

ბერიკაცი პასუხს აღარ იძლევა დედაბერი თვალს გააყოლებს

ხი ხი-ხი-ხი ბიჭიო ხითხითებს ბიჭი

ბერიკაცი უკან აღარ იხედება დედაბერს გული სწყდება მერე აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედავს და ისევ პატარა ბიჭს მიუბრუნდება

ხო რა გაცინებს ჩემთვის ისევ ბიჭია (თ. ბიბილური)

სავარჯიშო № 50. დასვით სასვენი ნიშნები

უცნაურია დროის მსვლელობა რაც ერთ დროს კანონად და დოგმად ითვლება რამდენიმე ხანში მთლიანად კარგავს თავის ძალას და სასაცილოც კია თუმცა ყოველი მონაკვეთი ისტორიისა თავის დროზე ამტკიცებს თავის სიმართლეს და ერთადერთობას თანაც ცდილობს თვითდამკვიდრებას

ყაზბეგში ერთ-ერთი ფილმის გადაღებისას გადამღები ჯგუფის შემოქმედებით კოლექტივს ერთიმეორეში ჩხუბი მოუვიდა რეჟისორი ამტკიცებდა რომ გადასაღები სცენის დროს ხევისბერს უნდა გამოებრძანებინა თამარ მეფის ან რომელიმე ქართველი ერისკაცის სურათი მხატვარი სხვა აზრისა იყო მას საჭიროდ მიაჩნდა რომ ამ შემთხვევაში ქრისტეს წმინდა გიორგის ან რომელიმე

ძოის სალოცავის ხატი უნდა გამოებრძანებინა ხევისბერს სცენარის ავტორი საბრძოლო დროშას ჰკითხოვდა თუმცა მთლად ავტორი არ იყო ავტორად ითვლებოდა

რომ ვერ შეთანხმდნენ გაიკითხეს ხალხში და იმათ უკვე აღარაფერი იცოდნენ ძველი დროის შესახებ (გ. ჩოხელი).

სავარჯიშო № 51. დასვით სასვენი ნიშნები

დღეს თანამედროვე პოეტის წინაშე სამი ალტერნატივაა პირველი გახდეს ახალი რაფსოდი და შეუერთდეს თუფაქ შაკურისა თუ ემინემის დასს მეორე შექმნას ლექსები პროფესიონალთათვის როგორც პროფესიონალმა თანამედროვე მხატვრის მსგავსად რომელიც თავის ინსტალაციას ქმნის არა მნახველისა თუ შემფასებლისთვის მოყვარულთათვის არამედ უშუალოდ დამკვეთისათვის მუზეუმისა თუ გალერეისთვის გალერეის კურატორისათვის ასევე დღევანდელი პროფესიონალი პოეტიც წერს არა მკითხველისათვის მოყვარულთათვის არამედ უნივერსიტეტების პროფესორთა და აკადემიურ მკვლევართათვის  მეტიც ხშირ შემთხვევაში თავად პოეტიც უნივერსიტეტის პროფესორია  ჯონ ეშბერი მარკ სტრენდი იოსიფ ბროდსკი შეიმას ჰინი ლევ ლოსევი ტომას ვენცლოვა ამის თვალსაჩინო მაგალითები იყვნენ და არიან

მაგრამ არსებობს მესამე ალტერნატივაც პოეტს მუდამ შეუძლია დაუბრუნდეს იმ ინსტიტუციურ საწყისს საიდანაც წარმოიშვა ევროპული ლირიკა ლოცვით-მედიტაციურ პრაქტიკასა და ჟანრს როგორც ცნობილია ევროპული ლირიკა XVI-XVII საუკუნეებში სწორედ ამგვარად იწყება ინგლისში ინგლისური ნაციონალური ეკლესიის ანგლიკანობის წიაღში სადაც ინგლისური ენის სივრცეში ხდება ლათინურენოვანი ლოცვით-მედიტაციური ჟანრისა და პრაქტიკის გადანერგვა ჯონ დონი არა მხოლოდ სენ-პოლის წინამძღვარია არამედ ინგლისური მეტაფიზიკური პოეზიისა და ევროპული ლირიკული პოეზიის ერთ-ერთი დამფუძნებელი რომლის ლირიკული მედიტაციების საფუძველი წმ ეგნატე ლოიოლას სულიერი ვარჯიშები მედიტაციებია იხ ამის შესახებ ინგლისელი ფილოლოგის ლუის მარტცის გამოკვლევები

სწორედ ინგლისური ლირიკული პოეზიიდან იწყება თანამედროვე ლირიკული პოეზია რომელიც ვრცელდება ჯერ საფრანგეთსა და გერმანიაში ხოლო შემდეგ  სხვა ევროპულ ქვეყნებსა და რუსეთში ამ გავრცელებისას ის ნელ-ნელა ივიწყებს თავის გენეალოგიას სწყდება ლოცვით პრაქტიკას როგორც თემატურად ისე ინსტიტუციურად თუმცა დროდადრო ჟანრული მეხსიერება მაინც თავს გვახსენებს ოღონდ ამჯერად უკვე ძირითადად კათოლიკე პოეტებთან და აღმოსავლური ქრისტიანობის სივრცეში კლემენს ბრენტანოს პუშკინის ლერმონტოვისა და ბარათაშვილის ცალკეული ლექსები ჟიულ ლაფორგი ჯერარდ მენლი ჰოპკინსი ვლადიმერ სოლოვიოვი პოლ ვერლენის გვიანდელი ლირიკა XX საუკუნეში  ფრანსის ჟამი შარლ პეგი პოლ კლოდელი მაქს

ჟაკობისა და უისტან ჰიუ ოდენის გვიანდელი შემოქმედება ვიაჩესლავ ივანოვი გერტრუდ ფონ ლე ფორტი გაბრიელა მისტრალი ოსიპ მანდელშტამი ბორის პასტერნაკი განსაკუთრებით იური ჟივაგოს ლექსები ანა ახმატოვა ტომას ელიოტი მოყოლებული ნაცრისყრის ოთხშაბათიდან იოსიფ ბროდსკის მირქმა და საშობაო ლექსების მრავალწლიანი წყება...

ელიტური პოეტი დღეს სწორედ ამ ორი ალტერნატივის წინაშეა იყოს პოეტი-მეცნიერი მეცნიერთათვის ალექსანდრიული ტიპის პოეტი-ერუდიტის მსგავსად სადაც მისი აუდიტორია ოდენ ინტელექტუალური ელიტით ამოიწურება ან იყოს მედიტაციური პოეტი რომელსაც ათვისებული აქვს ევროპული პოეზიის მთელი გამოცდილება და რომლის აუდიტორიაც პოტენციურად უსაზღვროა რადგან ისევე როგორც ქრისტიანული უწყება მისი პოეზიაც ნებისმიერი ადამიანისთვისაა განკუთვნილი

დაბოლოს პოეზია როგორც უკვე აღვნიშნე იწყება როგორც ხსოვნის მეხსიერებისა და დამახსოვრების ხელოვნება ესაა მოსახსენიებელი რისი მეშვეობითაც ახსოვთ ჯერ ღმერთის სახელი შემდეგ გმირის რომელიც ღმერთი ხდება სიკვდილის შემდეგ უკვდავი სახელი ხოლო შემდეგ თვითონ პოეტის სახელი ამიტომაც ჰომეროსის პოეზია ორალური პოეზიაა ორივე მნიშვნელობით პოეზიის მეშვეობით იმახსოვრებენ გმირის უკვდავ სახელს ამავე დროს ზეპირად იმახსოვრებენ თვითონ ტექსტს და ახსოვთ პოეტის უკვდავი სახელი

დაზეპირებას რიტუალური მნიშვნელობა აქვს ჩვენ ვიმახსოვრებთ და ვიზეპირებთ იმას რაც საკრალურია სწორედ ამიტომ ვიცით ზეპირად ლოცვები და ლექსები როდესაც თანამედროვე სკოლამ საზოგადოდ დაზეპირებაზე მათ შორის ლექსების დაზეპირებაზე უარი თქვა ამით სწორედ ის ფაქტი გაცხადდა რომ დამთავრდა პოეტთა ეპოქა დამთავრდა დრო, როცა პოეზია საკრალური იყო თანამედროვე ადამიანი მხოლოდ კანონებს იზეპირებს რადგანაც დღეს საკრალური მხოლოდ კანონია ადამიანის უფლებათა დეკლარაცია და ა შ

ლექსი რომელიც არ გვახსოვს რომელსაც არ ვიზეპირებთ აღარაა ლექსი ლექსი რომელიც მხოლოდ გამოკვლევისა და სტატიებისთვის იწერება ისეთივე სამუზეუმო ექსპონატია როგორც ხელოვნების ნაწარმოები რომელიც მხოლოდ გალერეისთვის იქმნება მაგრამ ლექსი რომელიც უბრუნდება თავის საწყისს უკვდავი სახელის დამახსოვრებას ფაქტობრივად ისევ ლოცვა ხდება (ზ. შათირიშვილი)

სავარჯიშო № 52. დასვით სასვენი ნიშნები

16. მაგისთვის, ჩემო მოხუცო, რა ნეტარია ხარ სარწმუნოება „ჩვენი თავი ჩვენთავე გავყვეთ". — სთქვა შენ და მე ვაგდერი, მაგრამ გაგრძელება თუ არა, რადგან უცხოში ტკბილი ტენილიდან გულმოდგინედ ჩამოიხსნა, აქ, გულში, გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკბილი გულში, როდემდის?! ოხ, როდემდის, როდემდის?! ჩემო სატრფიალო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!

17. ალუბლის ხეს, შეპარული ბურ-მოხაზების სამფლობელში, / რატომ უხმობ წმინდას წმინდა ამ სოფლიდან ამ სოფელში?

18. საყვარლის სახლთან ვეძებდი, ვერ ვნახე, დაკარგულიყო! გულამოსკვნილი ვჩიოდი: „სადა ხარ, ჩემო სულიკო?!"

19. ჩემო ცისიერისფერო, სად მიდიხარ ნელ-ნელა?

20. ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ, შენ ჩვენი ნიში, სრულიად და ფუძენავ, შენ, ჩვენი სუნთქვის დედო ალამო, შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო, შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა, შენ ერთი შეხმატკბილი სიმართლის პირთან.

21. ღმერთო, მაპატიე ამით, რაც კი მაპატია, მაპატიე...

22. შენ გინუწყვეტელე მიხიხები სათი, მარადიული დღეო და ღამეო?

23. ზღვაო, ნუღა გაწუხებ, შენი მზე ნაკურთხიანია, ფოთლების შემსხმელო, ზღვაო, მიყვარხარ ძალიან.

24. ცეცხლს ვაქრობ შენს სამყაროში, შენს სიყვარულს — ქარს / და მოვიკლავ, მოვიკლავ, მაგ ნაფერებ ქარს!

25. ბიჭ, დაეხმარე ახე აიღებულს, / ბიჭ, მზარზე, მზარზე, ხელი დაიჭირე, / ბიჭ, იგრის პირას ცეცხლი დაანთე, / ბიჭ, მოგვარის შუქზე ფერი აპირბის.

26. პატარა ბიჭო, ქალაქიდ წავედი / მამის საფლავის ია და სური.

27. შენი ომობილი დედა ვარ, შვილო! ეგეც შენი ლექსი მამა. — უცნობელმა მაგიდანი ქუდის.

28. არ დაიმიდა, ბიჭო, ახლა, დიდროი სახაკათ და რომ მივუბრუნდები, უეცრად წავიღებ მაგ ჩემთვის სოფელში.

29. საპროლემ, ძალიან გვინდა მოსვლა, მაგრამ ამოუვიცნობია ფეხი შენს ოჯახში ამ უქდოს. მაგისი მიმით ხვეწნა ვერ შემომიდგამ შენი ლაპის საჯ. ან დაიჩ, ან გადამტენე აქედან!

30. ღელა მშვენიერია და ღმერთმა გაგიმარჯოს, ქალბატონო დარეჯან. შენი ნაცრიმიანა! — დაილოცა ანანია ხალუჭაძე და ისეთი სიამოვნებით ლექსი, ნერწყვი გადაყლაპა, თითქოს თავმოხვეული პურის წინ არ ყოფილიყო.

31. ყური მიგდეთ, ყმაწვილნო! თუ კი რამე არ არსებობს, არ არსებობს სწორედ ფაქტები!

32. დედა! ინახულე / შენ წმინდა სახელი! / წადი ფეხმიშვლით, /ქალაქში დაკარგულ შვილისთვის ღამე გაათიე. / ღმერთო, აპატიე!

33. უიმე, უიმე! ღმერთო მომკალი! პიტია! სასიკვდილოდ პიტია! კოკოლი! კოკოლი! თქვენ მოუკლავთ თქვენ დედას, თქვენ! პიტია! კოკოლი! კო-კო-ლი-ი! — უცნაური ხმით გაჰკივლა და თან მიმოიხედა ხეებზე.

34. როგორ მიყვარდა, წუხდა, იმ ჩემს ტკბილ ბავშვობაში.

35. ჯანმეტ, ჯანმეტ, თენდება, არა? — ამახედა ის.

36. რა არის, კაცო, შეეშინდა ჩემი აქ ამოსვლა, თუ რა დაგემართა?!

**სავარჯიშო № 24**

1. — ოჰ, რა კარგადა ვარ! არც შემცივა, არც მომშივა! — ბუტბუტებდა ფიქრი.

2. კი, ჩემი სინათლევ, ჩემი მაცოცხლებელო! მე უბედურს, ნაცარში ამოვლესილ დედაბერს, ამისთანების რა გამიგონია?!

3. არა! შენ ვერ შეეხები სასიკვდილოდ ჩემი ტვინს!

4. ოხო-ხო! — ჩაიცინა ანტონმა. — მე მიკვირს: სამ წელიწადში ცხრა ცოლი გამოიცვალე, დამარხე ლამაზები, ნაყარ-ნუყარისა და სხვის ცოლებს აღარ ეპატარიშობ. მართლა ღმერთმა უწყის მათი ვინაობა და რაოდენობა.

5. არა, ერთი ციდა დახედე და! – იძახოდა კიდევ მეფუნე.

6. არა, აღარ მეყო კიდევ "მასკალში", არც "ხუთულიში", არც "დარჩენში"!

7. ალერსით, დედიკო! სიყვარულით გულიდან და მეგობრობაც!

8. ეჰ, შენ რა გითხარი, ძამია! – ღიმილით დაჰყვა გამხდარს და არაფერი ჩამოსხა.

9. დიახ, შეუდარებლად ურთიერთნი იყო, როგორც აღმოსავლეთში მკვიდრები შეუძლიათ სიყვარული.

10. ეჰ, მე საწყალი!

11. ვინ ხარ შენი გარდაცვალება?! / არა, ვიცოდე დღეს დაიბადე.

12. ქართველ, მამაპაპურად განაძე ხელი. / ოჰ, არ დაიძრა, გაიხე, გაიფერე!

13. ოჰ! ახლოა ჩემი ცხოვრება: / იანვარს ბოლომდე არ ვეწნელები!

14. ოჰ! შენი სახელი! მე სახელი "იქვე" [illegible] მოვიწიე კვალს.

15. ო, სიყმაწვილევ! აწი არასდროს... / იმგვარად აღარ [illegible]...

16. არა, არ [illegible] / არა, არ [illegible] / ეს ცრემლები ვინ მისცა, / მეუფე და ბატონი?

17. ო, მეც გზაზე რა ძნელია შემოდგომება, / როცა უკვდავებით მეხსიერ ქარის წამება.

18. ოჰ, ბნელი ღამეა. სიმ არ იცი, რა იქნა დედა? / ოჰ, ცისნათელი, ვიცი შენ თუ მიუწვდე რამე.

19. არა! ხვალაც ვერ დაივიწყებ ცხოვრებას!

20. ვანიდასას! მერქამ მოჯნური სახე / და ზამთრების [illegible]. / ვანიდასას! [illegible] / ხელის [illegible] თვალებში.

21. პო... ეს ამბავი ლოთში არ ხდება!

22. ო, რა მარტოა, ლამაზი ჩემი, ადამიანი, ისიც, რომელიც თითქოს ქვეყნად არ არის მარტო.

23. პო, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი დღე იყო, ბატონო.

24. ო, არა... მაგრამ სიკვდილის გვერდით, / სისხლიან წრეებში მწვავე ბრძოლების, / თქვენ მაგონდებით, როგორც იმედი / წარსულის დღეთა გაბრწყინების.

25. თქვენ მასპინძელი, პო, მასპინძელი [illegible] არაჩვეულებრივი.

26. ო, ის ისეთი კარგი არის, უნდა დავაკვირდე, რომ სხვადასხვა [illegible] მისი პირის მეტყველება.

27. ვაი, ამ ჩემს გულს! შენი დუმილი ნეტავი რატომ გამხმა?!

28. არა! თქვენი შეგრძნება ან გზის შეცვლა ხელად არ მოუხდა, უბრალოდ, გულიდან ცეცხლი თვალი ამომავალი და აუმაღლდა თქვენს სავალ გზაზე...

29. პო, ძალიან კარგი, – თითქოს იხეე უსიტყვოდ მიუხვდა და დაამატა: – გაში, რა, ჩემთან.

30. – არა, წითლოვრის ახა, დააკვირდი, ლენი დაიხუჭები!

– არა, მწვანეა! პური დაჭკნება! – ვეება მართალი იყო.

სავარჯიშო № 25

1. ბავშვობა ადამიანის სიცოცხლის უდარდელი და უბედნიერესი ხანაა, მაგრამ შეცდომაა ამ ბედნიერებად ბავშვის ვითომდა უზრუნველი ცხოვრების მიჩნევა.

2. ავტორი სახალხო მდგომარეობაში აყენებს თავის გმირებს, მაგრამ თანაც ებრალება ისინი.

3. სიტყვის თავისუფლებამ სავალალოდ დაკარგა ლეგენდა. მიხედვით თავისუფლად „[illegible]" ეწოდებოდა.

4. ტექნიკურ პროგრესს კაცობრიობის ზნეობრივი პროგრესი არ მოჰყოლია, უფრო პირიქით, ადამიანი აღარ „დაეჭვდება", კომპიუტერის პიროვნული კი თითქმის ამოუწურავია.

5. ინტიმი არ არის უცხო ქართული პოეზიისთვის, მაგრამ მას შემოაქვს თავისი საკუთარი, სპეციფიკური ინტიმი; მისი ჩანტლაძის ინტიმი ურბანისტულ გარემოსთან ნაზიარები. მისი საწყისი სამყარო ურთიერთობებით გულგახსნილი კაცის მეოთვალ; ზოგჯერ ეს ინტიმი ზღვარდადებულია.

6. ზოგჯერ ცდილობენ, ლექსი დაშალონ სტროფებად, სტრიქონებად, დაანაწევრონ სახეებად, მეტაფორებად, მოუხადეს მას მკაცრი ლოგიკური განსჯა და იფიქრონ, რომ ლექსი [illegible].

7. ქვეყნად ვერაფერი [illegible] / [illegible] გაშლა გაუხელე გადასრულულის ქვეყანა.

8. ბაღში გაზაფხული იყო, ალუბლები ყვაოდნენ... ის კი ბნელში კვდებოდა.

9. გაშო, შეითამაშე, არვინ ეტყვის მამაშენს!

10. მე დაჭრილი ვარ უთარგლოდ. / მე შენს სიყვარულს ვერ გავექცევი.

11. ხშირად აქ არის მოსატანი ნიკოს [illegible]: „[illegible]", ხოლო მე მიურბოდებით დავამატებდი: „უბედურება უბედურება!"

12 დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად შედის კოლხური კულტურის არეალში (II-I ათასწლეულები), კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ, ქართველები და აფხაზთა წინაპრები (აბაზგები და აფსილები) ერთად იბრძვიან რომის, ირანის, ბიზანტიის და სხვა დამპყრობთა წინააღმდეგ, ასევე ერთად იყვნენ ისინი მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველ ეგრის-აფხაზეთის სამეფოში (VIII-XX სს.) და გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში (XI-XII სს.).

13. მე ახლაც მესმის თელის ქაქანი, ახლაც ისე ვხედავ, როგორც იცოდა ხოლმე აივანზე გადმოდგომა.

14. ხელა შეირხევა აჭყალაჭყად მოხატული კომედიის ფარდა, შუქით სავსე სცენაზე გაღიმებული თელო გამოვარდება, ჯერ სიტყვა არ ექნება ნათქვამი, ხალხი წინასწარ ატეხს ხარხარს და ასე ხარხარით გაილევა ცხოვრება, ვიდრე ის ჭრელაჭრულა ფარდა უკანასკნელად არ დაეშვება.

15. ბასალე კამრაკე გამოილევარა, თელის მხარ-თეძოზე გადახრილი ქოხი ფეხზე წამოუყენებია, მარან-გომური გაუმარიავს, ძროხა უყიდია, ლობეზე ჩალი დაუფილულია, ბაღჩასაც დაუჩნია, სოფელს კი მეტი რაღა დარჩენოდა, თელის ოჯახიც სათვალავში ჩაუგდია.

16. შელეკრების ეპოქა ისტორიას ჩაბარდა და ახლა მათი მექანა ცოტა უხერხულიც კია.

17. ნიტოში ნაკლებადაა გართული პოსტმოდერნული თამაშებით, მის ლიად, პირდაპირ ნათქვამ სიმართლეს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ზემოქმედების უნარი და უპირატესობას მაინც რეალიზმს ანიჭებს.

18. ჟუჟუ საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენია, აქვს რამდენიმე ხის გადამამუშავებელი ქარხანა და პლასტმასის საწარმო.

19. მოსახლეობის სოციალური დონით შვედეთი ევროპაში ერთ-ერთ წამყვან პოზიციას ინარჩუნებს, თუმცა ბოლო წლებში ქვეყანას რამდენადმე გაუჭირდა უწინდელი ტემპის შენარჩუნება.

20. მშვენიერი სანახავია მოწმენდილი ცა განთიადის წინ: ლაჟვარდის ფერი გაუზომელი გუმბათი მოჭედილია ბრწყინვალე ვარსკვლავებით და ესენი ვარუწყვეტლივ ებრძვიან ღამის სიბნელეს და ჰფენენ დაუსრულებელ სივრცეში სინათლესა და ლხენას.

საკონტროლო № 26

ნაღვლობდა ოსტატი ფრიად, დაუსრულებელი რომ რჩებოდა სვეტიცხოველი.

მშახობს რომ ყვავილები მივართვი, ლარნაკში უწყვია.

ერთ ბნელ ღამეს, როცა კაცი თვალთან მიტანილ თითსაც ვერ გაარჩევდა, საოცარი ამბავი დატრიალდა სოფელში.

4. ახალი ქართული მხატვრული ფილმის სანახავად რომ მივდიოდი, თანაკლასელები შემხვდნენ.

ძველის რუს მოხელეებს ცხენი რომ გაექცათ, უნაგირს მისწვდნენ.

6. ფანჯარას რომ თვალი ავარიდე, ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა.

ჩემი სასლის კიბეზე მოხდენილად ჩამომავალი რომ დავინახე, თვალი ვერ მოვაშორე.

8. ძალიან მესიამოვნა, თქვენც რომ მოგეწონებათ ჩემი ნახატები.

9. ქალმა უკან მოიხედა და თათარი რომ დაინახა, ერთი საოცრად დაიკივლა.

10. უფროს ქალს, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო სრულწლოვანი, შეეცდარდი.

11. ქართული პოეზიის მწვერვალი, „ვეფხისტყაოსანი", იყო ის წიგნი, რომელსაც ერთნაირი გატაცებით ეტანებოდა დიდი და პატარა

12. კომპოზიციურად წიგნი ისე ოსტატურად არის მოფიქრებული, რომ ყველა იგავი თავისი აზრითა და მორალით უკავშირდება და ემსახურება აღზრდის პრობლემას.

13. ადამიანს ჯერ არ გამოუგონია ისეთი ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იყოს ორის ნიჭის შედარება, აწონ-დაწონვა.

14. გამომძიებელს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს იველტერს აქ უხსოვარი დროიდან ეცხოვროს და მეზობლების რამდენიმე თაობას მოსწრებოდეს.

15. უკვე ათი წელია, ეს კაცი ხნავს და პოულობს და ამასობაში განისწავლა კიდევაც, უკვე „მეცნიერულად" უდგება საქმეს და ნელ-ნელა ასარგებლოც შეიძინა.

16. ყოველი ქართველი პოეტი ისე უნდა ივსებდეს გონებას შოთას შაირით, როგორც დემოსთენე ივსებდა პირს კენჭებით, ენაბრგვილობის დასაძლევად!

არ მეხარბება პინდაროსის ბედი, ოდებს ტირანებისა და ცნობილ დიდკაცთა დაკვეთითა და გარიგებული ფასით რომ წერდა.

18 როდესაც ეცემა ბილიკზე მეათედ / უბელო ლრუბელი საზარი / და დაღლილ-დაქანცულ ლაჟვარდებს მიათრევს / მდინარე ლოდების ზანზარით, / ჩაქარა სახლიდან მარაგზის პირამდე / უეცრად იფეთქებს ნაძენარი.

19. გრიგოლ რობაქიძე, ჩემი აზრით, ერთ-ერთი პირველია ქართველ ლექსმცოდნეთა შორის, რომელიც ეროვნულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში ამკვიდრებს სიტყვა "ურისთეიკაჯვას".

20. უნა მიხვდა, რომ მამამისი მომკვდარიყო.

21 ასე რომ, ყველა ის ეტიმოლოგიური ვარაუდი, რომელიც ამ სიტყვას თანამედროვე "მამულიშვილობის" რაღაცგვარ ადეკვატად მიიჩნევს, მცდარია.

22. მიუხედავად ამისა, ისე დასრულდა ანტიკურობა და ისე გადავიდა ელინიზმში, რომ ერთიანი სამშობლოს გაგება ელადაში არ ჩამოყალიბებულა.

23. მაშასადამე, ტერმინი "პატრიოტიზმი" შინაარსს იძენს იმ დროიდან, რაც ჩნდება პატრიოტიზმი, როგორც მოვლენა; ხოლო ეს მოვლენა ჩნდება მ.ს. შემდეგ, რაც სუბიექტი მოქალაქის ლოიალობისა ხდება არა მეფე, არა ხალხი, არა მიწა-წყალი, არა აღმსარებლობა, არამედ სახელმწიფო; თუმცა ყველაფერი ჩამოთვლილი იმ სახელმწიფოს შემადგენელი ელემენტი არის (ან შეიძლება იყოს), რომლის მიმართ ლოიალური ხდება მოქალაქე.

24. ჩვენ ვერც კი ვგრძნობთ, ისე ვდგავთ პირველ ნაბიჯს ფარისევლობის საფლობში, როცა ილიას და აკაკის ერთად ვუდგამთ ძეგლს და გვინდა, ეს ორი უაღრესად მკაფიო ინდივიდუალობა ყველა საკითხში ერთ პოზიციაზე მდგომ თანამებრძოლებად გამოვიყვანოთ.

25. ადამიანური არსების ცნობიერება ისე არის მოწყობილი, რომ იგი ყოველგვარი ნაციონალობის – ქართველობის, სომხობის, ჩინელობის, ფრანგობის – გვერდის ავლით და მასზე უარის თქმით, მთელ კაცობრიობას უშუალოდ ვერ ჩაიკრავს გულში და ვერ განაცხადებს: მე არც ამერიკელი ვარ, არც იტალიელი და არც იაპონელი, მხოლოდ და პირდაპირ მსოფლიო მოქალაქე ვარო. ეს ისევე განუხორციელებელია, როგორც ის, რომ ადამიანი არც ერთ რასას, არც ერთ კულტურას არ ეკუთვნოდეს, არც ერთი ფასეულობათა სისტემა არ გააჩნდეს, არ იყოს არცერთენოვანი და აზროვნებდეს, როგორც ყველაფერ ამაზე მაღლა მდგომი ზოგადად ადამიანი.

26. ბატონმა ალექსანდრემ ზარის გაგონებისთანავე დაჭყიტა თვალები, თუმცა ყურმილის ალება არც უფიქრია.

27. მე არ მინდა იმ ევროპელ ბოჰემებს დამადარონ, მწიგნობრობას კასტის საფუძვლად რომ აცხადებენ.

28. ჩვენ უარვყოფთ იმ რბილ[illegible] თაობათა იმედებს, რომელთაც ქალაჩუნური აღთქმებით მიაძინეს ქართული შემოქმედების სამერმისო იმპულსი. ჩვენ უარვყოფთ იმ თაობებს, რომელთაც ქართველ ერს გზა-კვალი აუბნიეს ქიმერიული იდეალებით.

29. ბარიერებს იმიტომ აშენებენ მაღალს, რომ კარგი მოჯირითეების ვაჟკაცობა გამოჩნდეს; დაბრკოლებანი იმისთვის არსებობენ, რომ დაძლეულ იქნან; კონკურენცია იმისათვისაა მოგონილი, უნიჭიერესი და უძლიერესი გამოარჩინოს.

30. ცალკეული ერის სულიერი ცხოვრება მსოფლიო კალენდარსაც მიჰყვება და საკუთარსაც, რომელზედაც აღნიშნულია ცვლილებანი. ახალი ეპოქის დადგომა იმათ მიერ, ვინც მოწოდებულია, „დრო აღნიშნოს".

31. პოეტის ღრმა სევდის მკვებავ წყაროთა ძიებას თუ გავაგრძელებთ, მალევე გადავეყრებით ცოდვისა და დანაშაულის განცდას, პირდაპირ (თემატურად) თუ არაპირდაპირ (ნაგულისხმევად) რომ მიჰყვება მრავალ სტროფსა თუ სტრიქონს.

32. დარიალის ვიწროებში, სადაც ახლა მშვენიერი გზატკეცილი მიდის და შავ კლდეებს შუა გველსავით იკლაკნება, უწინ მარტო ბილიკები იყო, რომელზედაც ცხენების ქარავნები ძლივს დადიოდა.

33. ყველა სამზადისსა და თადარიგს რომ მორჩა, ეს ანაფორიანი დევკაცი ცხენზე შეჯდა.

34. რამდენადაც მაღალი და მნიშვნელოვანია საბავშვო მწერლობის მხატვრული დონე, იმდენად დიდი და ხანგრძლივია მისი გავლენა ბავშვის გულსა და გონებაზე.

35. ფეხის ადგმიდან, იქნებ უფრო ადრეც, ბავშვი იწყებს სამყაროს ურთულეს წესრიგში გარკვევას.

36. ამაოების აბსოლუტურობის იდეასთან დარჩენა რომ შეიძლებოდეს, ღმერთი აღარ ჩამოვიდოდა დედამიწაზე.

37. საერთოდ, არსებობს ბუნებრივი მოლოდინი, რომ ამა თუ იმ სერიოზული კრებულის დამაგვირგვინებელი ლექსი გამორჩეულად მრავლისმეტყველი, რაღაც შემაჯამებელი ქმნილება უნდა იყოს.

38. თვალები რომ გამოუსაღდა, ამას კი გრძნობდა, მაგრამ ჭიანჭველების დანახვამ საოცარი შინაგანი ძალა და რწმენა შემატა. ახლა აბანსაც სრულკვთილად დაინახავდა.

39. ხარიტო ბარათაშვილი სპასპეტი რომ არ ყოფილიყო, ალბათ, მგოსანი იქნებოდა.

40. თბილისიდან რომ გამოვიდა ერეკლე, მხოლოდ სამი ზარბაზანი წამოიღო თან, რადგანაც ტოტლებენის ზარბაზნების იმედი ჰქონდა.

41. ბატონიშვილს ნაბრძანები ჰქონდა მამისაგან, რომ თავისი ჯარით ომში მონაწილეობა თავდაპირველად არ მიეღო, თავისი ძალღონე შეენახა შემდეგისათვის და გაჭირვების დროს ან ბოლოს ხანს დასვენებული ჯარით იერიში მიეტანა მტერზე.

42. ყოველ მოსვლაზე რწმუნდებოდა, რომ არც ჩამწერი ეყავა და მით უმეტეს, არც გამომქვეყნებელი.

43. გალაკტიონის შემოქმედებაში არის თავისებური სამყარო, რომელიც ხილული ქვეყნის ანარეკლია.

44. სხვა ლექსებს თავი რომ დავანებოთ, "ლურჯა ცხენები" შედევრია, რომლის ერცელი დინამიკა უმაღლეს წერტილს აღწევს.

45. ტვირთი არ იყო ქვეყნად, იმის დაღლილ მხრებს რომ არ გაეძლო, სატკივარი არ არსებობდა ისეთი, ის რომ დაეკვნესებინა, უბედობას ვერ მოიგონებდი, ის რომ აეწუწუნებინა.

46. ახეთი მრავალფეროვანი და ინტენსიური თუ იყო ლიტერატურული ცხოვრება საქართველოში, ვერც ვიფიქრებდი.

47. ვერც კი გავიხსენე, ბოლოს როდის ვნახე.

48. მათ შორის, შესაძლოა, ისინიც იყვნენ, ვინც ჩემს ბედნიერებას გაინაწილებს და სიკვდილის წარმტაც წალკოტებში წამომყვება.

49. ხეს რომ დაველაპარაკე პირველად, 14 წლისა ვიყავი

50. ადრე, ახალგაზრდობაში, ძალიან უკვირდა სახარულას, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები, ფესვები რომ არ ჰქონდათ მასავით მიწაში გადგმული, ან როგორ მოძრაობდნენ მის კარშემო და საერთოდ. მაგრამ ბოლოს მიეჩვია ამ აზრს და ფიქრიც კი შეწყვიტა ამ მისთვის გაუგებარ და აუხსნელ საგანზე, რადგან ამაზე პასუხის გამცემი სახარულას ქვეყნად არც არაფერი და არც არავინ არ ეგულებოდა.

51. ომი სულ რაღაც ორი თვის გამოცხადებული იყო, მისმა სუსხმა რომ ჩვენს სოფელს მოაღწია.

საპარაკლისეროში რომ შევედი, პაკრობა კარგა ხნის დაწყებული იყო და ჩემთვის ყურადღება არავის მოუქცევია.

53. საერთო ჯამში კი ეს ის ჩანახატი იყო, რომელიც ადრე, მელცე საუკუნის დასაწყისში, უკვე სცადა განვითარება.

54. მათი საუკუნის ხატზე ღვთისმშობელი და წმინდა ბარბარე ერთად გამოსახული, რაც იკონოგრაფიაში იშვიათად გვხვდება.

55. ვირსხიუთ სადღაც შაროლმადიდებლური ფრესკა, სადაც ღვთისმშობელი ძუძუს აწოვებს ყრმა იესოს? აი, ხვანებმა დაწერეს და თანაც მანამდე, ვიდრე ევროპაში რენესანსი დაიწყებოდა.

56. ახალი წელიწადი, თუ რამ შეგიძლია, თვალი აგვიხილე, ყურებიდან ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისგან გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცო ზრუნვა, რომ ჩვენმა შვილებმა მაინც აღარა სთქვას: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

57. ვინც ლუარსაბის სახეში თავისთავს იცნობს, ვინც ლუარსაბზედ დაწერილს თავისთავზედ მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას ავტორზედ და „ვიცით" დაუძახებს ამ მოთხრობის უხეირო დამწერსა. ეს კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო აზრზედ ვწერთ.

58. ამ კუპრულა სოფელში, რომელსაც თუნდა „წაბლიანს" დავარქმევ, ყველამ იცოდა, ვინ არის ოთარაანთ ქვრივი.

ერთი სიტყვით, ამ სახეში მომხიბლავი იყო ის, რაც შეიძლება შემოქმედების წინაპირობად ჩაითვალოს.

სავარჯიშო № 27

აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი... რა მოვულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ და ვიხარხაროთ. რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მოვიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ ან ნანვითა ვთქვათ: „აი, წამო სიხარულისავ, ესე სწრაფად სად წახვედი?!" წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილსავე დაგვრჩეს, ან ნატვრით ვთქვათ: „მოვიდინ, დღეო სიხარულისაო!" რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

ნუთუ ისევ ძველებურადვე თავი უნდა დავიკრათ და მოგახსენოთ: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი..." სულ წყალობა ღვთისა და წყალობა ღვთისა, ერთხელ ჩვენ თვითონაც თითი გავძრათ, ერთხელ ჩვენ თითონაც მივდგეთ-მოვდგეთ! წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ რა ქმნას მარტო წყალობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თითონ ადამიანი არა რწყავს, არა სხლავს, არა პფურჩქნის, არ უვლის, არ პპატრონობს. ღმერთმა, რაც წყალობა იყო, უკვე მოიღო ჩვენზე. დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამაო. რა კაცობა გამოვიჩინეთ? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ჩვენთვის ღმერთს არა დაუშურებია რა, არა დაუზოგავს რა, არა დაუკლია რა: თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს — ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ დაიბერტყაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლეობით არის და არა კაცისათი, ის ყველაფერი უკვე მოგვმადლა ღმერთმა. ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავთ შეუძლიათ სამართლიანად სთქვან: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა". ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ველ-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო, არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. ნიადაგს რასაც რომ იტყვიან, ისიც იშოვება. ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მეცელსა და გულის-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, [illegible] მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ. ვართ კი ასეთნი? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა სიქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევინარჩუნეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგ-თემურებმა ჩვენს საკუთარ სისხლში გვბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით დაგლიჯეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. ალა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, დაგვარბიეს, მოგვკლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით, მოვშენდით, წელში გავსწორდით, გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალო-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს და დროშა ქართველებისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ახლა ჩრჩილმა შესჭამოს, თაგვმა დაგვიჭამოს. დრო-ჟამი ამას გვიქადის— რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღლევთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი. ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემძლებს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავიწირეთ, ცოლ-შვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს სამართლიანის თავმოწონებით ვეძახით. ცოდვა არ არის, ეს ერი მოსწყდეს?! ცოდვა არ არის, ეს ლომი კოღომ საბუდრად გაიხადოს?! ცოდვა არ არის, მელა-ტურამ გამოდევნოს, როგორც მძოვარი, როგორც ლეში?! რათ? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარეთ? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ყველა ეს შეუძლით და საკითხავად საჭიროა, — რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლდათხეულნი მამულისათვის რამა გვაცოცხლა. რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით, იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე. გვარ-სახელი, ვაჟკაცობა უნდოდა — ვაჟკაცნი ვიყავით, ხმალი უნდოდა — ხმლის ჭრევა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა — ომის საქმენი

ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა.. იმ დროთა ჩარხზე გამარჯვებულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სილბო გვქონდა ნაქსოვისა" — ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაჭედისა" — ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი. დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა. წავიდა ის დრო: დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა, ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია: ეხლა ან აღლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა. ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეთა მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულით და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვეობითა. გვჭირს-კი დღეს რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩით, ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსულმა ვერა დაგვაკლო-რა. შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს, ფეხქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწყვეტს. სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ. ვართ კი ყოველ ამისთვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა. უბუკნაღაროდ სთესავს, უბუკნაღაროდ მკის. კოკისპირულ შხაპუნა ნიაღვარს კი არ ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაიღოს, მოარღვიოს, მოღვაროს და მოგრაგნოს. „მდუმარე წვიმისაებრ ნაყოფის გამომცემელია"; არც რბევა იცის, არც ძარცვა, ეს მის ბუნებაში არა სწერია. თუ თვითონ ადამიანის გესლი ულმობელის სიხარბისა შიგ არ ჩაიწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა და ვითარცა შრომა — პატიოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავგამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტია, — იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედგამოჭრით, თუ მართალს ათქმევინებთ. რა გლეხკაცი, თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰღაღადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღაღადი? ვაი, რომ არა. მაშ რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

არ ვიცით — რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ — რანი ვართ, ვერ გამოგვიცნია — რანი ვიქნებით. ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების წინ და აინუშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან და შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანად. ორბი, არწივიც კი ვეღარ გვიპოვის. ვეღარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწიწკნონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო. ვდგევართ და ულონოდ ვბზუით. — „მე ვარ და ჩემი ნაბადიო" და ამ ბზუილიდან არა გამოდის-რა. იქნება იმიტომ, რომ ყველა ბუზი კი ბზუის, ფუტკართან კი ყველა ტყუის.

ახალო წელიწადო, თუ კი შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდან ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისგან გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცო ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვას: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

სავარჯიშო № 28

თვალმიუწვდომელ სიშორიდან გველივით მოიკლაკნებოდა ჩუხჩუხა არაგვი და ერთგან კლდოვან კიდეს გამეტებით ეხეთქებოდა, რომ ახალი გზა გაეკვლია.. თავს არ იზოგავდა, მაგრამ შეუპოვრობისაგან უკუქცეული, დარეტიანებული და თავბრუდასხმული, თითქოს სულის მოსაბრუნებლად, იქვე მორევში რამდენჯერმე მოტრიალდებოდა ხოლმე და მერე კი დაკვირვებით გადადიოდა დაბლობზე, რომ უფრო მეტის სიფრთხილითა და კვნესა-დუდუნით დაშვებულიყო ქვემოატეხილ ჭალებისაკენ. იმ კლდოვან მთის თავზე ღრუბლიდან გამოსულიყო უზარმაზარი ციხე-დარბაზი, შეუპოვრად გადმომდგარიყო და სანუგეშოდ გადაჰყურებდა არემარეს. ყოველ მხრით შეუვალ გალავნით შემოზღუდულ შენობას მხოლოდ ერთის მხრით, აღმოსავლეთისაკენ, გულს უხსნიდა სიგრძით ჩაყოლებული აივანი.

სავარჯიშო № 29

ჭირი დაუმალავი სჯობია. ეს ჭირიც ჩვენი ძველი ნაცნობია, თითქმის ნაჩვევი და გაშინაურებული. ქართული ენის ამღვრევისა და დამახინჯების შესახებ მოგახსენებთ. ეს საგანი გაცვეთილი და თავმოსაბეზრებელია, მაგრამ ჩვენი დანარჩენი ჭირ-ვარამნი და სატკივარნიც დაძველდნენ.

ყველას ბავშვობიდანვე გვახსოვს ამ საგანზე ჩივილი და ზრუნვა, მაგრამ ჩვენი დასნეულებული ქართული ენა, ფეხზე წამოდგომისა და დაწმენდის მაგიერ, უარესად დაავადდა და ატალახდა. ისიც გვახსოვს, რომ ერთ დროს გადაგვარებულებს თითებზე ჩამოთვლიდით ხოლმე, ახლა კი ანგარიში აგვერია და სათვალავი დაგვეკარგა. გვახსოვს „დროების", „ივერიის", „მოამბისა" და „ცნობის ფურცლის" ქართული, ახლა კი, „ქართული სიტყვის" ერთი წერილის ავტორისა არ იყოს, ნაწერზე ადვილად გამოიცნობთ დამწერის დაბადების კუთხეს. ამ მხრივ, ჩვენში უსაზღვრო თავისუფლება დამყარდა. აღარაფერს ერიდებიან და ჟურნალ-გაზეთებში თამამად წერენ: „ლაფატკა" „ფლაგი", სიროსტი", „ტუმანი" და

სხვ. არ ვაჭარბებ, ეს სიტყვები მე თვითონ წამიკითხავს  და იმავე დროს გამხსენებია, რომ თითო ასეთ სიტყვას ჩვენ შეგვიძლია ორი და სამი ქართული დავახვედროთ.

უკან აღარავინ იხედება. ცოცხალი ცოდნა ენის კანონებისა სავალდებულოდ აღარავის მიაჩნია. წიგნის ფურცელი სუსტი ანარეკლია იმ უბედური სურათისა, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით დღევანდელ ოჯახში, ქუჩაში და დაწესებულებებში. ამ დღეებში სასამართლოში ვახლდით. ერთ დარბაზში ნამდვილი სეტყვა მოდიოდა ასეთის სიტყვებისა: „ჟენოტდელი", „ჩისტკა", „სოკრაშჩენიე", „უბორკა", „ბირჟა ტრუდა", „სოტრუდნიკი", „მესტკომი", „სოვრაბოტნიკი", „ზემოტდელი", „სანტრუდი" და ათასი ამისთანა ნარევი, გაუგებარი და გონჯი. ასე ლაპარაკობდნენ ქართველები. ასეთივე ამბები ხდება დაწესებულებებში, სადაც ისევ ქართველები ოფლში იწურებიან ქართულის წერით. გეგონებათ, წინანდელ [illegible] ლათინურს ან ბერძნულს აწერინებენო.

ან კი რა საკვირველია?! დაიარეთ რომელიმე დაწესებულება და დაელაპარაკეთ თანამშრომლებს ქართულად. იშვიათად მიიღებთ პასუხს ქართულადვე. დაუგდეთ ყური ამ ხალხის ენას: ნამდვილი ვოლაპუკი, ჟარგონი, უშნოდ ნარევი და ნამყნობი, უმგვანო. ამ ჯურის ხალხმა ხეირიანად არც ქართული იცის, არც რუსული. თვითონვე რომ შეიგნონ თავიანთი უენობა და მოისმინონ თავიანთი რუსულ-ქართული, ან სულ დაჩუმდებოდნენ, ან თავიდანვე დაიწყებდნენ ენის შესწავლას. უცებ რომ ჩვენმა წინაპრებმა წამოიწიონ და ყური უგდონ დღევანდელ ქართულს, [illegible]ლობით უკანვე ჩაცვივდებიან საფლავებში.

აი, ასეთი პირობები არიან, რომ ქართულ ენას და კულტურას უმზადებენ ლათინური და ირლანდიური ენების ბედს, ე. ი. ნელ-ნელა მარხავენ ჩვენი ხალხის ცოცხალ ენას — მეტად მდიდარს, მოქნილს, ფერადსა და ხმოვანს.

რას გვიშველის მარტო საქმის წარმოება ქართულად?! კათოლიკური ეკლესია დღესაც ლათინურ ენაზე აწარმოებს წირვას და მიწერ-მოწერას, მაგრამ ეს ენა მაინც მკვდარია. ნუთუ შეიძლება მოკვდეს ენა შოთასი, ილიასი, აკაკის და ვაჟასი?! დაუჯერებელია! მაგრამ გონება და რეალობა მაინც თავისას გაიძახიან და მრისხანე მუქარას გვითვლიან.

თევზი თავიდან აყროლდებაო, — სწორედ ჩვენს ინტელიგენციაზეა ნათქვამი. იგი ჩემულობს ხალხის მეთაურობას და ხელმძღვანელობას, მაგრამ ამ შემთხვევაში  გახრწნა და გადაგვარებაშიც მასვე ეკუთვნის პირველობა და სხვებზე ადრე იმან უნდა დაიწყოს ზრუნვა საკუთარი თავის განკურნებაზე.

ზოგნი ამ სნეულებას უიმედოდ შესცქერიან. მე კი მაგონდება ერთი მაგალითი: 1905-1906 წლებში, სულ ორიოდე წელიწადში, ყველა სომეხი დედაენაზე ალაპარაკდა (ბარაქალა იმათ!). როგორ მოხდა ეს ამბავი? სულ უბრალოდ: მოინდომეს და შეასრულეს, ხალხის ნებაყოფლობამ, [illegible] ალღომ და სიცოცხლის წყურვილმა ასი წლის ნაშენი ზღუდენი გადალახა და თავისი ენით ამეტყველდა.

არც ჩვენა გვაქვს სხვა გზა, გარდა ასეთივე ნებისყოფის, დაჟინების, შეგნებისა და სიცოცხლის წყურვილისა. ყველამ თვითონვე უნდა იზრუნოს თავის თავსა და ოჯახზე.

სავარჯიშო № 30

ხვალ საქართველო ძველი ტკივილებიდან ახალი წლის იმედებისაკენ ხელს გაიშვერს. წელიწადი და საუკუნე არაფერს მისცემს ქვეყანას, თუ მას არაფერი აქვს თავის თავისთვის მისაცემი. ყოველი წელი ჩვენგან ელის თავის შინაარსს, ყოველი დრო ჩვენგან მოითხოვს ახალ სიტყვას და ახალ საქმეს. დრო თავისთავად ცარიელი სიტყვაა, იგი ჩვენს გარეშე არ არსებობს. დრო ცარიელი საწყაულია, რომელიც ჩვენგან ითხოვს მუდამ შევსებას. მოდიან სასტიკი და ულმობელი წლები, მოისწრაფიან პირგამეხებული საუკუნის მესაყვირენი.

რაც უფრო წინ მიდის ადამიანის მოდგმა, მით უფრო რთულდება მსოფლიოს შეგნებისა და ბუნების დამორჩილების მაშინერია. დღეს არც ერთ ერთს არ შეუძლია იმით ამაყობა, რაც ის ყოფილა, დღეს ყოველი ერი იმით ამაყობს, რაც ის არის; არა წელთა დაზიდულობა იძლევა წონას, არამედ შემოქმედების ხელმწიფეობა. ძველ ქართულ პატრიოტიზმს წარჩინებული წინაპრების მანდატით მოჰქონდა თავი. ჩვენ უარვყოფთ იმ პატრიოტიზმს, რომელიც მხოლოდ წარსულს დაემყარება. ჩვენ უარვყოფთ იმ პატრიოტიზმს, რომელიც წინაპართა მავზოლეუმის ჩრდილს შეაფარებს თავს. მკვდრები — რაგინდ წარჩინებულნიც იყვნენ — ცოცხლების მაგივრად ვერ ილაპარაკებენ.

ჩვენ უარვყოფთ იმ რბილკანიან თაობათა იმედებს, რომელთაც ქალაჩუნური ალთქმებით მიაძინეს ქართული შემოქმედების სამერმისო იმპულსი; ჩვენ უარვყოფთ იმ თაობებს, რომელთაც ქართველ ერს გზა-კვალი აუბნიეს ქიმერიული იდეალებით. მოდიან სასტიკი და ულმობელი წლები! ადამიანის მოდგმა საშინელ ტკივილების კონვულსიებით იკაფავს გზას ახალი შემოქმედებისაკენ. ინგრევიან ძველი ციტადელები, ილეწება ძველი სამყარო და სამშვიდობოს მხოლოდ ის ერი გააღწევს, რომელსაც მავთულის ნერვები აქვს, პერსპექტივა — არწივისა, გონებამახვილობა — მაკიაველის.

ვინ გაიმართლებს დღეს თავს იმით, რომ ბარიერი მაღალია, დაბრკოლება — დიდი, კონკურენცია — აუტანელი?! ბარიერებს იმიტომ აშენებენ მაღალს, რომ კარგი მოჯირითეების ვაჟკაცობა გამოჩნდეს; დაბრკოლებანი იმისთვის არსებობენ, რომ დაძლეულ იქმნან; კონკურენცია იმისათვისაა მოგონილი, უნიჭიერესი და უძლიერესი გამოაჩინოს. სისუსტე სხეულის უძლურობის შედეგია. მხოლოდ სისუსტე ატავიზმია.

ვინ გაიმართლებს ამიერიდან თავს, რომ ისტორიის ფატალიზმმა 42 გრადუსზე მოაქცია და არა ოკეანის რომელიმე კუნძულზე...

მოდის ათას ცხრაას ოცდასამე წელი და ქართველობა ერთხელ კიდევ უნდა დაფიქრდეს. დაფიქრდეს არა იმისთვის, რომ შეჩერდეს და უკან დაიხიოს, მხოლოდ იმისთვის, რომ ვეფხვისებური ნახტომი გააკეთოს წინ; დაფიქრდეს არა იმისთვის იჭვნეულივით, რომ შეყოყმანდეს, არამედ

იმისთვის, რომ შეპყრობილივით წინ გაეშუროს. ყველაზე უფრო დაფიქრება გვაკლია ჩვენ. დაფიქრება ბუნებაში ღრმად ჩახედვაა და არა განზე თითის გაშვერა. ქართველობას მუდამ განზე თითის გაშვერა უყვარდა. ქართველი პატრიოტები მუდამ განზე თითს იშვერდნენ და ქართველობის გარეშე ეძებდნენ ქართველობის დამღუპველებს და ქართული ოჯახის წახდომისა და დაქცევის მიზეზებს.

1923 წელს ჩვენ უნდა ვუთხრათ ჩვენს თავს, ჩვენ ამიერიდან არც ხანგადასული ქალები ვართ, რომელნიც სასიძოების მოლოდინში არიან. შინაგანი გარდატეხა გვჭირდება ჩვენ დღეს. ყოველი მორალური გარდაქმნა მხოლოდ შინაგანი ხასიათის უნდა იყოს.

სავარჯიშო № 31

ხელის გულივით სწორია აზნაური ბეგლარის, ფიჩხილის ოდენა ეზო. ნაშუადღევის სიოს ქინძის, პიტნისა და ომბალოს სუნი ბოსტნიდან მეორე მხარეზე გაშენებულ ვენახში გააქვს. წნელის ღობე, კინძები და ყორე გადახლართულია მაყვლით; დაუღალავი ლორი ამაოდ ღრუტუნებს — შემოსვლას ვერ ახერხებს. ყავარაყრილი ორსართულიანი პატარა ოდის პალატში იცოხნება ცალი ხარი და ქალბატონი ეკატერინეს უშობელი. ზედა სართულის აივანზე მოსჩანს კედელზე ჩამოკიდებული სასროლი ბადე და მოძველებული კეხი. ოდის წინ ნიგვზის ძირში გაფენილ ჭილოფზე წევს პერანგისამარა, წაღებგახდილი ბეგლარი. გრძელ სკამზე გულმკერდს იშუშნის მძინარე ეკატერინე.

დაცხრა მზე. ჩრდილმა მოიკიდა ფეხი. მეზობლებმა ფანჯრები გააღეს. დახურული ოთახიდან ხალხი ჰაერში გამოეფინა. ეკატერინემ ძილში მოიგერა ბუზი.

სავარჯიშო № 32

ქართველი ერისათვის მწერლობა არ იყო მხოლოდ და მხოლოდ „საერო სიტყვიერებისა": მწერლობა მისთვის უფრო რთულ ფენომენად ვლინდება. ქართველი ერი არ თუ ქმნიდა მარტო მწერლობას: იგი კიდეც ცოცხლობდა მით. რომელიმე ტკბილხმოვანი შაირი, შთაგონების შადრევანს მოწყვეტილი და ხალხში გადავარდნილი, საკუთარ სიცოცხლეს იწყებდა უცნაურს: იგი იმღერებოდა ხან სიმღერის ჯადოსნური ხვეულებით, ხან ცეკვის სილასი სამოსლით.

ქართველი ერი მგოსანია ბუნებით.

ძველი მესხეთის უცნაურს ნატეხში — გურიაში — ხალხი დღესაც მგოსნად გამოდის. ძვირად მოიძებნება იქ ისეთი ოჯახი, სადაც მზიურ ახალისების ჟამს შაირობა არ იყოს გამართული; ადვილი საპოვნელია ისეთი ოჯახი, სადაც სმენამათრობელი მოლექსეობა თაობიდან თაობაზე გადადის. ასევეა სამეგრელოში. კიდევ მეტი: ქართველი ერი არა მარტო ტკბება ლექსით — იგი ავადმყოფებსაც არჩენს მით. მოიგონეთ „ბატონები", რომელ ავადმყოფობასაც ქართველმა ერმა „ყვავილი" უწოდა (ეს პირველი მაგალითია, რომ ავადობა მხატვრულად მონათლეს). მოიგონეთ მასთან ლექსითი სიმღერა ტკბილს ჩანგურზე და თქვენ ნათქვამი დაგაჯერებთ.

ქართველი ერის სტილი მწერლობაში განსხვავდება. ქართული კულტურის პროფილი ლექსით გამოიკვეთა. საქართველოს სულის რელიეფი სამხატვრო სიტყვით გამოიხაზა.

გვაქვს შესანიშნავი არქიტექტურა, სადაც ძველი ქართველის ნებისყოფაა ამართული, ურყევი და მტკიცე; გვაქვს თვალისმომჭრელი ფრესკები, სადაც ქართველის თვალია სიზმრეული ასახული მზიურ ხაზებით; გვაქვს ქართული ტაძარი, რაიცა მუნჯი ქვების ლოცვებითაა შეკრული; გვაქვს ქართული სიმღერა, უცნაური და ლამაზი; ბევრი რამ სხვაც გვაქვს.

ხოლო გვაქვს კიდევ ისეთი რამ, რომლის სადარი ძვირად თუ სადმე მოიპოვება: ეს არის ქართული სიტყვა, პლასტიკური, დაბადებით რომ იკვეთება. თავადური თავმდები ამისა რუსთაველია მზეოსანი.

საქართველო საიდუმლო უღელტეხილია აღმოსავლეთისა და დასავლეთის: ჩვენ ვიწვით აღმოსავლეთის ფიქრმორეული შუადღით, როცა მზის ღელეთა მარმაშში პანი იბადება მძიმედ მთვლემარე; ჩვენ ვერთვით დასავლეთის საშიშარ ხილვადეს, სადაც თვალდია ფანტასმაგორიებში „ძეობა" იკვეთება ძლევამოსილი; ჩვენ გვაფიქრებს ეგვიპტის სფინქსი და გვაცეფრებს პარიზის ქიმერა; ქართული ნადიმით ვიხდით აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქორწილს და ნადიმი იგი მთავარი პანგია ჩვენი ნაბეჭდი სიტყვისა. ჯერ არ გათავებულან „სადღეგრძელონი" იმა ნადიმის, რადგან ხშირად და ხშირად შეგვიშალეს უდარდო ლხინი და ცხადია თავისთავად, არც ქართული სიტყვა თქმულა ჯერ უკანასკნელი.

და აი, ამ ჟამს, როცა ქართველის ბედი ცის მშვილდითაა შემორტყმული, ჩვენ, ქადმალლებმა, უნდა წარმოვსთქვათ: საქართველო დადგინდება თავის თავად და ეტყვის მსოფლიოს თავის ნამდვილ სიტყვას.

სავარჯიშო № 33

შავი ზღვის მიმართულებით, ერგეტას გზაზე, სამეგრელოში, მარიამობისთვის შუადღის სიცხეში გადაფარდაგებული ურემი მიჭრიალებს. ფერდებჩავარდნილ ხარებს კარგა დაწინაურებული ყმაწვილი გლეხი მიუძღვის, ფეხშიშველი და მუხლებამდის აკაპიწებული. მას გაცვეთილი მოკლე ახალუხი აცვია, უქამრო, მკერდზე შეხსნილი. ქამარ-ხანჯალი ხურჯინივით მხარზე გადაუგდია: წინ რევოლვერი, უკან ხანჯალი, იღლიაში კი გრძელი სახრე ამოუჩრია. ზანტად მიიმართება. განიერ ბეჭებს მიარხევს. მზისგან შერუჯულ შიშველ წვივებზე კუნთების ჯაჭვი უთამაშებს.

გზა ტყიან ჭაობით მიიკლაკნება. მარჯვენივ და მარცხნივ გზის კიდეებს ლაყვებში ჩამდგარი წუმპე ლოშნის. შორიახლო, ლიანებით დახლართულ ღრუებში, თხმელის მოწითალო ფესვები და მათი გველის მსგავსი ლანდები ლაღლაღებენ. ჭროლაზურგიანი ბაყაყების მთელი ხროვა

სავსის ზედაპირზე ყრუ ფოფინით მიმობნეული. აქაიქ გუბეებიდან ამოჩრილ ძელებზე კუნძანი თავწერილა კედი უარავად შეხეკებულან. ბავრი შმირის ხუნთა და სავსის ბოლით გავუდეულა. ცივის მოქმარებით გაორთქლილ გარემის ნაადრევი ზრობის ფერი გადაჰკრია და ზედ ძირს დამშვებული ცის ვერა გადახურვა.

სული ეხუთება მურქეს. თითქოს გადადგამს ნაბიჯს თუ არა, ქვეყანაც მაშინვე გათავდებაო. წინ პერსპექტივა არა აქვს. ეჩვენება: მიდის, მაგრამ არაფერს არ უახლოვდება. უკან რომ მოიხედავს, ჰგონია: არაფერს არ შორდება. სულ იგივეა, რაც იყო: არც ფერი იცვლება, არც სახე.

სავარჯიშო № 34

იოანეს თუმანიანი დღევანდელ სომხეთელთა იყო პირველთაგანი პოეტებს. ვინც პირადად არ იცნობდა იოანესს, მას პატივისცემით მოეპყრობოდა მასზე ჟურნალთ ნაწერებში. მის პოეტურებაში იყო დიდი ადამიანური განათება, რომელიც სამუდამო მეგობრად ხდიდა, ვისაც ის დაელაპარაკებოდა.

ეს იყო ზაფხული, 1917 წელი. თბილისში ახალი ჩამოსული ვიყავი მოსკოვიდან. ჩემთან ერთად ჩამოვიდა კ. ბალმონტი. ქართული კლუბის ბაღში, სადღაც ყანწილთან ერთად ვახშამზე, რომელიც გაუმართეს ბალმონტს, მე პირველად ვნახე იოანეს თუმანიანი. მას სრულიად დამოუკიდებლად ეჭირა თავი, ისე რომ, როგორადაც ამართა ექსპრომტებს ბალმონტთან ერთად. სავანი ექსპრომტებისა იყო ფიცა ამირეჯიბი, „ცისფერი პანტერა".

პირველი ადამიანი, რომელსაც ყველაზე უფრო აწვალებდა ფიქრი სომხებისა და ქართველების ძმობაზე, იყო იოანეს თუმანიანი. მისი გულწრფელობაც სწამდა ყველას საქართველოში და ამის მოწმე იყო თბილისი მის 25 წლის იუბილეს დროს.

დიდი პატრიოტობა არ უშლიდა იოანესს, ყოფილიყო ქართველების ინტერნაციონალისტი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ოსმალეთთან ომის დროს, სადაც დაიღუპა მისი უფროსი ვაჟი, იოანეს თუმანიანმა შვიდი ქალიშვილი გაგზავნა ფრონტზე მოწყალების დებად და როცა ქართველ-სომხებთა ომი დაიწყო, ზოგი მას შვილებთაგან მიხვდა ერევანში. იოანეს თუმანიანმა უბრძანა შვილებს, არ მიეღოთ მონაწილეობა ომში, თორემ ის მათ დაწყევლიდა — ეს იყო დიდი სიყვარულის აქტი.

აქვე უნდა ითქვას, რომ იოანეს თუმანიანს ნამდვილი ძველი პატრიარქის გავლენა ჰქონდა სომხის ერზე. მას უმღეროდა არა მარტო ხალხი, არამედ ხალხის მეთაურნიც, რომელნიც თითქმის ყოველთვის დარწმუნებულნი იყვნენ თავიანთ სიყვარულში.

იოანეს თუმანიანის ასეთი გავლენა თავის ხალხზე მე მაგონებდა ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტს.

სავარჯიშო № 35

მკათათვე... გზის პირას მდუმარედ ამოშენებული გზები. თავდაზნეული თავთავები ფშიან ნაშალს უცდიდნენ. ნივი სადღაც გახიზნულიყო. გზა დახეთქილი, მტვრიანი... ირგვლივ მხოლოდ სიცხე და თვლემა...

შარაზე გამოჩნდა მარტოდმარტო ბერიკაცი. არასცერისად ეცვა. სხვადასხვა მხიარული, პატარა ნაჭრებისაგან შეკერილი კაბა. ცალი ხელით მოჭერილი ქილაკი ეჭირა, მეორეთი — ჭრელი ბოხჩა. ძველებური შავი თასმიანი ქუდი ხურა და ადამის ხნის დაკლაკნილი, მოკლეფეხებიანი, ნალიანი, ყელიანი ფეხსაცმელი. მიმტვერული. შუაზე გადაჩეხილი ქუსლი ძალზე აწვალებდა. მოქანცული, შეოფლიანებული გმინავდა, შეწუხებული ცალკე სიცხით, ცალკე უხერხული ფეხსაცმლით, ცალკე თავისი მწარე ბედით!

— როდემდის, როდემდის, ამდენი წანწალი?! — კვნესოდა და თან მკერდზე თასმიანი ოფლს იმშრალებდა. — მალე სიარულსაც ვეღარ შევძლებ და სადღაც, ღობის ძირას, ამომხდება სული!

ერთხელ სარკეში ჩაიხედა და სარკე მიწაზე დაანარცხა. სარკემ უთხრა, რომ პირის მთვარიანობა დიდი ხანია, რაც მიჰქროდა, ბროლის ნათელი, ლალის ბრწყინვალე გახუნებოდა, შუქდაშრეტილ სალამის მიჰგავდა. მისი ფიფქიანი სამზერი დალეულიყო. წყალმა წაიღო სილამაზეც და თავქარისცემაც!

იდესაც კი სილამაზისთვის „ფუფულა" უწოდეს!

— ვაი, ჩემო სოფელო... ამდენ ხანს დახანატრული... ჩემი კარა, სადაც აღარც სახლი მაქვს, აღარც კარი! ვინ გამიმეგებებს? ვინმა მეტყვის დედასავით ტკბილად. — შვილო, მშვიდობით მობრძანდი? პური მიირთვი. — ვინმა მეტყვის? — არავინ! ვინ მყავს მათი ნაცვალგვარადა? მოსწყვეტილი საწყალი, უდანაშაულო! რა კარგი იყო ჩვენი მთვარიანი ადვანი, ჩვენი სოფელი! ხეწვილი მამამემი, ცარიის ცისის ამღვნი! ხელმწიფემ მისი ხურავი რომ მოითხოვა. მამამ დიდი, როსტომ ცხენის ნალი მოლუნა ხელში, ეს ნალი გაუგზავნეთ ხურათის მაგიერი და მისი შვილი, აზნაურის ქალი, ახლა ასე დაწანწალებს!

ფუფულამ მთაზე შეხედა ნგრეულ ნაშენს და პირჯვარი გადაიწერა.

სავარჯიშო № 36

გოგებაშვილის „დედაენა" და „ბუნების კარი" არამარტო დიდი პედაგოგიური ალღოთი შედგენილი წიგნებია. იაკობ გოგებაშვილი კრებდა და ბავშვებისათვის ამუშავებდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. მის მიერ სახელმძღვანელოში შეტანილი ბევრი ლექსი თუ ზღაპარი სამუდამოდ დამკვიდრდა ჩვენს საბავშვო წიგნებსა და ქრესტომათიებში. იაკობ გოგებაშვილმა გამოარჩია „ქართლის ცხოვრების" საგმირო ეპიზოდები, მოსწავლეებისთვის მისაწვდომად გადაამუშავა და ჩვენი ბავშვების სულიერ ცხოვრების ნაწილად აქცია ცოტნე დადიანისა და თევდორე მღვდლის, ოთამ ზედგენიძისა და სამასი თავდადებული არაგველის გმირობა.

იაკობ გოგებაშვილი არა მარტო თეორიას წერდა, არამედ უდიდესი ყურადღებით ეკიდებოდა ყველა ნიჭიერ მწერალს, როცა ისინი საბავშვო ნაწარმოებებს ქმნიდნენ. ცნობილია, როგორი აღფრთოვანებით შეხვდა იგი აკაკის საბავშვო ლექსებს.

იაკობ გოგებაშვილმა საფუძველი დაუდო ქართულ საბავშვო მწერლობის თეორიასა და კრიტიკას. მისი თეორიულ-კრიტიკული შეხედულებები ნაწარმოების ღრმა ანალიზს ეფუძნება და დღემდე არ კარგავს საყოველთაო მნიშვნელობას.

სავარჯიშო № 37

მე ტყვეობაში ვარ და არა პატიმრობაში. ეს ჩემი საუკეთესო წლებია – ეს მეტია, ვიდრე ოქსფორდი და ასპირანტურა. ეს კონტაქტებია სისასტიკესთან, სიკვდილთან და სიცოცხლესთან. და რა, თუკი საერთოდ ვეღარ ვიხილავ "თავისუფლებას"?! განა ეს მისია არაა?!

განა თავისუფლება ჩემთვის დღეს უფრო საშინელი არ არის, ვიდრე "იზოლაცია"?! აქ მე დღეში 36 კაპიკი მერგება. 2 ზეწარი და 2 ბალიშისპირი მაქვს. კვირაში ერთხელ – კინო, აბანო; გაზეთი "ბრიყვთათვის ფურცელი" და სამუშაო – არცთუ ისე მძიმე: ცოცხი, ელექტროდები... რა, ძალიან ცუდია ეს?! რა მოხდება, თუკი საერთოდ აღარ მივუბრუნდები კინოს?! და საერთოდ, რა არის კინო? – გასართობი შინამოსამსახურეებისა.

სავარჯიშო № 38

სოფლის მთელი სიმხე პარკში იყო გამოსული. იყო ბევრი ყვავილი, ორკესტრი, ტაშ-ფანდური, ცხენოსნების ჯირითი, მაყრები, ნახვამდის, მშვიდობით. მაგრამ ყველაფერზე მეტი მაინც ცრემლი იყო.

სიმღერის მოქცეულ თავისი სხვულის ნაწილს, თავის სისხლს და სიტყვას – ბავშვებს აცილებდნენ. ბავშვები უკვე ასულიყვნენ ვაგონ-ლოკომოტივთან და ქუჩაში „პოსტაფლის" და იქიდან გაუყვიროდნენ ხელების ქნევით რაღაცას – ზოგს ბავშვულად, ზოგს რუსულად, ზოგს ალბანურად, ზოგს სომხურად, ზოგს ქართულად... უზარმაზარი თვალი „პოსტაფლის" კიბეთი ნაპირისკენ იდგა. ზღვა იდნივ ღელავდა და გემი ისე ირწეოდა და იქნევდა თავს, თითქოს თვითონაც გამოემშვიდობებოდა.

მე სხვა ბავშვებთან ერთად პირისის მოაჯირს მიჭყლეტილი. თვალებს ვაცეცებდი და გემის ქიმზე გადმოფენილ ბავშვებში იაზვილის ვეძებდი. უცებ თვალი მოვკარი. მას კვლავ შავი სატინის ხალათი ეცვა. მკერდზე გადეღილი იაზვილი მამამისის წინ იდგა და მოსჩანდა, როცა მამამისს ხელით ეკიდა.

სავარჯიშო № 39

დედაქალაქის თეატრებსა სეზონი დახურეს. დამთავრდა შრომის, ცდისა და ძიების კიდევ ერთი ძნელი წელიწადი. ვინც ერთხელ მაინც მოხვედრილა საზეიმოდ დაცარიელებულ თეატრის დარბაზში, როდესაც ფარდა ახდილია და სცენის უკაცრიელი სივრცე დუმილს მოუცავს, მას უთუოდ უნდა განეცადა საზეიმო იდუმალების თითქმის ფიზიკური შეგრძნება. რამდენ გადმოსცა, კულისების მიღმებშიდან, ამ დროს თითქოს ის უჩინარი სულები თვლემენ, რომლებიც სულ ახლახან მძაფრი, დამახსოვრებული, ფერადოვანი სიცოცხლით ცოცხლობდნენ ჩვენ თვალწინ.

თეატრის სცენას აქვს თავისი შინაგანი უსაზღვროება (სიღრმის მხვავი ილუზიას ქმნიან ვერაფერი ვერც ქმნის ვერაზღვევით). ამ სიღრმეში არის დახურება, გამოუცნობი ზრახვანი, მოულოდნელობათა ნიშანი, რომელიც წინათგრძნობის გარეთ იმყოფება დარბაზს. ის ჰპირდება მაყურებელს აღმოჩენებით: რაღაცას გვაგრძნობს გამუდმებით, რაღაც აუცილებელ მოწოდებას აღვიძებს ჩვენში.

თეატრისგან ხშირად მოითხოვენ ცხოვრების სწორად დანახვას, ანარეკლს, სიმართლეს, ბუნებრიობას. ეს მოთხოვნილება დღეს კიდევ უფრო გაძლიერდა. ვერც ერთი ნორმალური მაყურებელი ვერ ეგუება სიყალბეს. მაგრამ ღრმად ცდება ის, ვინც სცენიდან სინამდვილის განმეორებას მოელის. მაყურებელთა "უშინაურესობაზე" ჩაწერილი თეატრი, უპირველეს ყოვლისა, სულიერებაა – თვისობრივად განსხვავებული ცხოვრებისგან „ბუნებისგან". ეს განსხვავება ფიზიკურად მარტივად, ხშირად შორიას, იმითაც ვლინდება, რომ თეატრი „ცდება" სწორედ იმ დროის, როცა ბუნება ალეგორიების ზეიმშია, როცა ბუნებრივად სწორედ მის სადღესასწაულო ფერისცვალებისას გაცოცხლდება. სხვაგვარ ფარდაც სწორედ მაშინ მოიწევს ზევით, როდესაც ბუნება თავის გახუნებულ ბაირაღებს კეცავს. თეატრში ჩვენ ვეძებთ უპირატესად იმას, რაც ცხოვრებაში დაგვაკლდა, რაც საერთოდ სხვაგან არსად მოიპოვება. ასე რომ არ ხდებოდეს, სცენა რომ მხოლოდ სარკე, მხოლოდ ანარეკლი იყოს ჩვენი ყოველდღიურობისა, რა ძალა გვაიძულებდა ამ „ყოველდღიურობიდან" საკუთ ქუჩიდან თეატრის მყუდრო შენობაში შესვლას?!

სავარჯიშო № 40

კაცი იყო შურიანი, ეჭვიანი და ყველაფრის მშურდა. შინ იყო და შური ახრჩობდა, შინიდან გავიდოდა და შური თვალებს უბნელებდა და გზა-კვალს უბნევდა. ადგებოდა და დაწოლის შურდა. თვალს გაახელდა და თვალის დახუჭვისა შურდა. მარჯვნივ გაიხედავდა და მარცხნივ გახედვისა შურდა. სძულდა შურიან კაცს და სიყვარულისა შურდა. დიდი შურით იყო შეპყრობილი შურიანი კაცი...

ერთხელ გადაწყვიტა, შურ ზე შური ეძია: ჯერ იუდაისა შურდა და ეძებდა იმას მოსალეს; ფრინველისა შურდა და ფრენა ისწავლა; ძაღლის ერთგულებისა შეშურდა და ძაღლივით ერთგული გახდა; ცხვრის თვინიერებისა შეშურდა და ცხვარივით თვინიერი გახდა; ბოლოს ხისა შეშურდა. ერთ ადგილას რომ იდგა, და რომ მას მაგრძლოვნებული წრიალი ჰქონდა და რომ მას ნაყოფი ჰქონდა და რომ მისი ფოთლები შრიალებდნენ და რომ ტოტებზე ფრინველები ისვენებდნენ და ბუდეებს იშენებდნენ.

და შინიდან გაუიდა შურიანი კაცი. ბევრი იარა, მრავალი მწვანეშეფოთლილი კორდი გადაიარა და ბოლოს მონახა მწირი, ხრიოკი ადგილი, რომელიც მოხედა თავის განვლილ გზას და დადგა. დადგა და მიწაში ფესვები გაიდგა, მერე მარადმწვანე ფოთლებით შეიმოსა, ხოლო ნაყოფად ზეთისხილი მოისხა.

ახლაც იქ დგას შურისაგან დამცხრალი შურიანი კაცი. დგას და შრიალებს.

სავარჯიშო № 41

თინა იხრავს. მაგიდასთან იკუნტება. ტელეფონების სიას დასცქერის ტუჩაბზუებული. შემოდიან საბჭოს წევრები: კაკო, ბორია, კოტე, ბელა და ...ლი ჩირგოლაშვილი, რომელიც უკითხავად შედის მოადგილის კაბინეტში.

— ეს არი? — ეკითხება კაკო სოსოს. საქაღალდეს ჩამოართმევს. გადაშლის.

— ეს არი კი. ბოლო ვარიანტია...

— მე რომელი მქონდა?

— ამის წინა. ალბათ...

— ბევრი შეცვალე?

— ისე რა. ბოლოა და საბოლოო. ხელს აღარ ვახლებ ამის შემდეგ. მორჩენილი ამბავია

— სწორიცაა. — ეცინება ფურცლებში თავჩარგულ კაკოს.

— კაკო, — ეძახის თინა. — მოსაწვევები არ მოგაქვს?!

— დარჩა? მომაქვს, კი. — გაკეცილი საქაღალდით მიადგება მაგიდას. თითით გვერდი აქვს ჩანიშნული, — ეს არი? რამდენი ავიღო?

— აიღე ერთი, ორი, რამდენიც გინდა.

— პარნიკაში ორი, ისე იყოს აქ. პატარა ჯიბეები მაქვს წამოღებული, — იცინის. ჩამოტეხილ კბილზე იფარებს ხელისგულს. აჭრილ გვერდებს ასწორებს საქაღალდეში. მდივნის მაგიდას შორდება.

— სოსო, სათაური დარჩა ხომ? — თინა კითხულობს.

— კი. აწერია. „ტიან-შანი“, „ცისფერი მთები“. სათაური დარჩა.

— ერთი რამე მაინტერესებს: მე რატომ არა ვარ შიგ? — კაკოა საქაღალდით.

— როგორ არა ხარ?

— არა ვარ. — იცინის უხმოდ. — ყველაა ჩემ გარდა.

— შენ აკაკი არა ხარ? — ეძებს. თაბახის ფურცლები აეშლება ერთი აჭრით, საჭირო ადგილს აგნებს მაინც. კითხულობს:

— „აკაკი (იცინის. ჩამოტეხილ კბილზე იფარებს ხელს): სოსო, მაინტერესებს, მე რატომ არ ვარ შიგ?“ — სიტყვასიტყვით წერია, ა, ბატონო, — უთითებს.

— კულიკელეარ. — იცინის. ხელს იფარებს ბაგეზე. — მე კაკოს ვეძებდი. საბუთით, მართალია, აკაკი ვარ. მეტრიკით, პასპორტითაც, აღარ ...რიდა

უკმაყოფილოდ ნასკვავს საქაღალდის ზონრებს სოსო:

— შენც ხარ, რა!

— სოსო, მე ხომ არ ამოვვარდი? — თინა კითხულობს, — ვარ შიგ?

— ჩვენი მტერიც ამოვარდნილა, ხარ რომელია!

— სათაური შეცვალე, სოსო?

— არა, კაცო. „ცისფერი მთები“, „ტიან-შანი“, ტიან-შან!

— მოსაწვევები მართლა არ გინდა? დასწრება სავალდებულოაო, — ითარმა.

გამხდარი მოქალაქე შემოაღებს კარს ფრთხილად. თავდახრილი შემოიტანს ნახევარ ტანს.

— შეიძლება? — არც კის ეუბნებიან, არც — არას. თავაწეული მისჩერებია თინა.

— მობრძანდით, — ეპატიჟება და სკამსაც უთმობს ბელა მოგვიანებით.

— როგორ გეკადრებათ, არავითარ შემთხვევაში, ბრძანდებოდეთ, უკაცრავად, შეგაწუხეთ!

ყველა ერთდროულად იწყებს თითქმის ლაპარაკს. უცხო აღარავის აინტერესებს.

— პატარა ჯიბეები წამოიღე-მეთქი, გითხარი. დირექტორთან ვინ არი?

— არავინ.

— თქვენ დაბრძანდით, ქალბატონო, მე პირადად, უკაცრავი პასუხია, მიჩვეული ვარ ფეხზე დგომას... მაპატიეთ.

ბელა არაფერს ამბობს, რაზე ბოდიშობს ეს კაცი, ვერ ხვდება. უცხო კი არ ჯდება და მოსაცდელის დატოვებას რომ არ აპირებს, ეტყობა; ლაპარაკის დარღვევა არ უნდა, როგორც ჩანს, და სხვის ხმებს აყოლებს მომლოდინე თვალებს.

— ბელა, ვინ არი შიგ?

– არავინ არ არის, ხომ ვთქვი, ადამიანო!

– აბა, რატომ არ გვეხსნის? მართლა ხვალ არის, თინა, საზოგადოების გაფართოებული სხდომა?

– ხვალ არის, კი. ყველამ უნდა დაესწროს, გაფართოებული არ მოიქცევა, სხდომაა. იქნებ ვინ დაესწრება, ვერავინ არ არის და როგორ დაესწრებიან?

– ვაი! – წაუხტუნავთ კაცი. – არ არის... – მოსაწყენი მოუწიცებს ადგილს მაგიდაზე. – უმისაწყენოდ არ შეიძლება?

– სადა, დირექტორთან?

– არა, იქ, გაფართოებულ იმაზე...

– გაფართოებული არ მოიქცევს, – ზარია, ყურმილს იღებს. – დიახ, გისმენთ... რაზეც გინდათ, იცით. დიახ, დიახ... არა, არ არი, არ ვიცი. ხომ გესმით ქართული?! არ არის, კიდევაც რომ იყოს, დღის პირველ ნახევარში მაინც ვერ მიიღებს. არ ვიცი, გენაცვალე, – ყურმილს დებს.

– მერე ნახევარში? – უცნობი მოქალაქე ჩაერთვება უცნობისა და ნაცნობის დიალოგში.

– გაიჩინა, რა საკითხზე.

– ვიქვათ, იმავე-არაკებისაზე. მაგრამ ამაში არ არის საქმე. თუ არ შეწუხდებით, დიდ ბოდიშს გიხდით, ხვალაც მოვალ და იქნებ გკითხოთ. ყოველკვირე დარეკავთ...

– გადავეცემ.

– დიდი მადლობა. ბოდიშს გიხდით, რომელიდან რომელამდე აქვს დილიდების საათები?

– ორიდან ღლის ბოლომდე.

– ხვალ რომ მოვიდე და დავრეკოდე, შეიძლება, არა?

– შეიძლება, კი.

– აქ ხვალ იგივე-არაკები გავკეთ? – კითხულობს წარმაქანებული ბოლოს, თავის სიღამაზეში არცთუ ესიამოვნოდ თავდაჯერებული ყმაწვილი. გამხდარი მოქალაქე საკუთარ ხორბცელს აკეთებს და პასუხის გაცემას აყოვნებს.

სავარჯიშო № 42

რუსული ტექსტი ქართულიდან გადმოთარგმნილია, – ნათქვამია. თუმცა გაუწაფავი თვალი (სხვათაგანაც დადგენილია) პირიქითაა მიხვდება: ტექსტი რუსულიდანაა გადმოღებული ცუდი, ალაგ-ალაგ გაუგებარი ქართულით. თავად დოკუმენტი მარჯვედაა შედგენილი და, ალბათ, სრულად შეესაბამება რუსეთის იმდროინდელ პოლიტიკურ-იურიდიულ ამოცანებს.

ქართლ-კახეთის სამეფო შედიოდა ერთმორწმუნე, ქრისტიანული ქვეყნის მფარველობაში და გეორგიევსკის ციხესიმაგრეში გაფორმდა და სარატიფიკაციოდ გამზადდა შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც თავიანთი ხელმოწერებით დაამოწმეს მეფეებმა პირებმა: პავლე „პოტემკინმა" (ასე წერია), თავად ბაგრატიონმა და გარსევან ჭავჭავაძემ (მათვე ერეკლე მეფეებმათ დაბეჭდეს ბეჭდებ და დაამტკიცეს საკუთარი ხელმოწერით). ბევრ წელიწადს – სოლომონის, პოლიტიკურს, მეფეს – გამოელოდნენ მწვალებელთაგან წყალობებსა; ელოდებოდნენ უმაღლესის რუსეთის იმპერატრიცისას, საბოლოოდ. სანუკვარ ინარჩუნებდნენ მეფობას საკუთარი ტერიტორია-სამფლობელოებისას და მემკვიდრეობითობისას — სამეფო დინასტიის შენარჩუნებას. მრავალჯერ დასტურდა შეხსენება ამ პირობებისა ერთ მხარეს მეორისათვის უმეტესად. დაარღვიეს თუ თავად დაირღვევ, ცნობილი არ უნდა იყოს.

სავარჯიშო № 43

წლევანდელი ზაფხული დიდწვიმიანი გამოდგა გომბორში. ხან თავსხმა წამოუშენდა, ხანაც ფუთქი თქორავდა შემაწუხებლად. ცივდა. მორეული ილარის მთა, მოცრიალებულზე მზეს ნიშნავთ რომ მოიყვანს ხოლმე, თითქო სამუდამოდ გაიქა, დაიკარგა ჯანღში, ხოლო ჩემი სახლის მიმდებარე წიწილოვანი ვორხ · კორდოშიალი ნისლ-ღრუბლით ასილდა. სწორედ ისეთი ტაროსი იდგა, კაცს რომ მამეგობრებელი ფიქრისა თუ მოგონებებისათვის განაწყობს. აწიოდიას ცხრა იყო, გალუმპული, ნაცრით დაბუძძლული ალუბა და ვაშლი, მსხალი და ალუბალი ტოტებდადრეკილნი. ნაღვლიანად იდგნენ მოთქრიალე წვიმაში და ჩემი თქმით ელოდნენ პატრონის კეთილ ხელმხებებსა და მოვლელობას. მათ შორის საყვარლად იყო აწოწილი, ტოტებგაშარჯლული ალუბალი. პრიალა ფოთლები უხსნიდნენ. ხოლო ნაცრით მეტი სამწვავით ჩამოვებულიყო, თითქო ლეთის მადლიან მარჯვენას ლალის თვლები შეუერჭყოის მისთვის და ეთქვას: აბა, აბარე ადამის ტომო! არავერი ხვრამდა მის ცქრას ამ ნისლიან, ხვედიან დღეს. იდგა გაწუწული, მშვიდი, მეტად გახარებული...

სავარჯიშო № 44

ომის (1941/45 წწ.) შემდეგ სოფელში სამხედრო ფარაჯები გაჩნდა. დროთა განმავლობაში, მათ სასტიკი საკეთლები მოაჭრეს და ღამის მეზრეებისა თუ მოხეტიალე ბოგანოების შესამოსლად იქცნენ.

მახსოვს ერთი ახალი ბოგანი: თმაწეწეწამშვენებული, ქერათი და შინდისფერლიანი სახიანი ფარაჯის საყელოდან ლამაზი ყელ-კისერი ისე მოუჩანდა, თვალს რომ ეტყობოდა. შიშველ ტანზე ეცვათ. ფარაჯა გაშლილი და ხშირ სხეულზე ბერის ანაფორასავით შემოხვეოდა. შიშველი თითქმის ჰქონდა წელზე შემორტყმული და ოთხივ ტანზე მაღალი იყო. ფარაჯა ლამის კოჭებამდე სწვდებოდა. ამ ბოგანის, მოულოდნელად, ხელში სპილოს ძვალივით პრიალა ჯოხი ეჭირა. არავინ წოდებული, მიდიოდა და მილასლასებდა.

პრიალა, პრიალა, ხშირი და ლიტარი იყო ის არგანი. გვეგონა, მრავალ თაობას ხელიდან ხელში და ახლანდელ პატრონს თავის ბედისწერად გადასცემოდა. რაღაცნაირად რაღაცას არ აკუთვნებდა. როცა მიდიოდა და მილასლასებდა, თითქოს იმით მიუძღოდა და წარმართავდა ფიქრებს, რომელიც არავინ სად იცოდა, სად კაცხმულიყო და სადაც მზაკვრის ხელები და, იქვე წარმოიდგინე, სოსოსოები კედლებს — ზოგჯერ ისეთი ხასიათი იყო, რომ ბალახისა და მტვრიანი გზის მავიწროდ შეეუწმინდებოდა. ზოგჯერ კი ისე ნაზი, ლამის ხანგრძლივი შიშით გამოდგომოდა.

ჩვენს სოფელზე გაივლიდა ხოლმე. ყველაზე ადრე მე მივდევდი შორიახლო. სხვებს აღარ ეცალდათ ცნობისწადილი და მარტო დარჩენილს შიში და პასუხისმგებლობა მემატებოდა. იმისთვის რა! მიდიოდა და მილასლასებდა — არც არავისთან შედგებოდა, არც არავის ესიტყვებოდა, მაგრამ მაინც ყველამ იცოდა, რომ ამას ბესარიონი ერქვა და უცხოთა. უმეტეს ხასიათის გამო ბერების სამზოდან იყო მოკვეთილი.

ბოგანი და მასხოვარი ხშირად ბევრი დადიოდა სოფელ-სოფელ. ეს კი არავითარ სურვილს არ აშლიდნენ, ნატამალი არ უნდოდა არაფრისა. აშორებდნენ, ბალახსა ძოვსო, მაგრამ რაღას არ იტყვიან ხოლმე კაცზე, მით უმეტეს, როცა არაფერი აინტერესებს.

ერთხელ გავბედე და წინ ისე გადავუდექი, შემოხედავდა რომ ხელის კაცთა შორის. ბავშვი ვიყავი, ამჯერად მეჭვრიტებოდა, რომ ბავშვი ვიყავი, შემომხედა და თვალები ჩამიშტერა. ლამაზი, ქერიდა თვალები... მიყურა, მიყურა, თითქოს თვალებიდან თვალებში რაღაც გადმომიღვარაო, რაღაც შემომისახლა გულიდან გულში, ხელიდან ხელში რაღაც მიწოდაო, თითქოს წერწყვიც მეყრება ყელში და როცა გულისფერი გახდა, — პაამ — თითქოს ჯოხით გზა გაიწმინდაო, ისევ გაშეშებული წავიდა. მიდიოდა და მილასლასებდა და შორიდან რომ ვუყურებდი, გვეგონა, გულქვაფრიანი პეპელა მიფრინავსო. უკვე პირიმზეზე კი — ალბათ, ჯოხის წვალობითაც — ქარის წინქვილს ემგავსა.

— მეც ბესარიონი ვარ-მეთქი, — დავაპირე მეყვირა, რაკი შორს იყო და აღარ მეშინოდა, — ბესიკო, ბესარიონი, ორივე მქვია... ამასაც კი ვიამაყებ ხოლმე. დამიცადე, სახლში გავიქცევი, გრძელ პალტოს წამოვიღებ და ერთად ვიაროთ... მეც ძალიან მიყვარს თავის დამარტოხელება. აი, ახლაც, ასე გახედე, ჭიშკა, მამე და თათუკა სად არიან, ავა, ძლივს ჩანან... ერთად წამოვყევით, იქრის ტოტი უნდა აგვეჩრდილა და ხელ დაგვწყვიტა, მაგრამ მე ჩემთვის სიარული მირჩევნია, ჩემთვის უფრო ვერთობი... რატომ ვერ მიცანი? თუ იფიქრე, ბალღია, სად იცის ქარში და წვიმაშიო...

მაგრამ თითქოს უკან გავიხედე, თავმოყვარე შეფიქრი, სინდისივით ჩავიკეტე ჩემი განზრახვა და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ნამდვილი ბესარიონი აქ ვიყავი, ის კი, როგორც მიწვევნია, როგორც შორეული კვალი, ისე გაქრებოდა. ზუსტად ვიცოდი, რომ დღეს მოვკვდებოდი, იმიტომაც გავშალე კოხის ტყისკენ, იქა აქვს სადღაცა წინასწარ გათხრილი... წელან რომ მიყურებდა, ყველაფერი მაშინ მითხრა, თვალებით მითხრა მთელი თავისი ამბავი და ანდერძიც მე დამიტოვა...

ახე წარმოვისახე მომხდარი და ამაყი შევიქენი: ბესიკო-ბესარიონი — აქედან რაღაც უნდა გამოსულიყო, მით უფრო, თუ „ამბაც" დავამატებდი.

ადამიანი ზურგიდან გამოიცნობა. წასულს შევამჩნიე რაღაცა ზადი: თითქოს საკუთარი თავი მხრებზე წამოსხმოდა და ამას კი ვერ უჩივნა, ვერ წაშლილი და ძირს ვერ დაუნარცხებინა, რომ მერე იმის ტყავზე გავცლო. ლოდინს კი ისევ ეს ერჩია... მიდიოდა და მილასლასებდა. მე ახლაც არა ვარ დარწმუნებული, რომ ის სიმართლეს მეტყველებდა, მაგრამ თვითონ ფორმა ამგვარი თავისუფლებისა — მიდიოდე და მილასლასებდე — ჩემთვის საოცნებო და მიუღწეველია დღემდე... როცა არც წარსული გაქვს, არც აწმყო და არც მომავალი... არაფერი არ გაგაჩნია და მით უმეტეს, სადასახლო.

განა მხოლოდ ახლა, ადრეც მიკვირდა ჩემს თავისთვის, — რით მომხიბლა ამ მიუსაფარმა ბოგანმა? შესაძლოა, იმით, რომ დასარისხებული იყო ცხოვრებისაგან, რომლისგანაც ადამიანები კეთილგანწყობას მოითხოვენ და შეჩვევას სჯერდებიან; იმით, თავის ნებაზე რომ იყო და ნერვები არ უცხრებოდა. კმაყოფილება რომ არ იცოდა; რომ ცხოვრების რჩილა და ჯიბრი მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო.

ის, ვინც საკუთარ თავს ქმნის, საზოგადოებაში ადგილს აღარ უნდა ეძებდეს. საზოგადოება ორბირი და თვალთმაქცია — ასა, დაგვიძახონ ის სახელი, რასაც გულში ვკისხიან! ასა, ისე მოგვექცნენ, როგორც გულში ვკისკვიანში და მაინც, როგორ ადვილად მივუტყუებს ხოლმე საზოგადოება, როგორ ვუღონდებით, როგორ გამოვუდგებით კოშკიდან, ვამსხვრევთ მეშტს და ხელს ჩამოვართმევთ. ყველაფრის მიზეზი კი ჩვენი სურვილებია.

ამას მოაშბეჭდავი და მკვეთრი არსება იყო. ის რომ გზაზე გაივლიდა, ბავრი იცვლებოდა, ლიბეები კრთოდნენ, ხეები იხრიჭებოდნენ, კვალი რჩებოდა იმის გავლილზე. უცხო ხენი დგებოდა, ძირის ხენი — სიძველისა... სხვა რაღაც ჰქონდა ამას: ბავშვებს იმისი სახელით აშინებდნენ, — უში, უში, ჩაცუცქე ახლავე ლოგინში, ამას მიდიხრ!

სოფლის საზოგადოებაში იყო ერთი პატარა უკურედი ამ საზოგადოებისა, რომელიც მთელი სოფლის იცნებას ასახიერებდა და აღასრულებდა — ღრო უშმოდ გაიკავლა ერთადერთი კონფლიქტი ამ საზოგადოებას ამასთან მოსვლია, მაგრამ ამ შემთხვევაზე ისე ხმამაღლა რიდი ვეებოდნენ. საწირის მთის ძირში, გინების ბოლოს, ფეეცხლ გზაზე მიდიოდა თურმე ამას, როცა ზემოდან მოქეიფეები ჩამოსხდომიან, ნახატარის მეხების ნრღილში ჰქონიათ სუფრა გაშლილი და იქ მოუწვევიათ. სან წინიდან, სან გვერდიდან შემოუვლიათ და უფრო მეტ ყურადღებას რომ ვერ ღირსებიან, ვიღაც სხვა რამ გარშემო, ამასთვის გიზზე მოუცია და ფარაჯაზე ქარა დაუწვავთ. მაშინ ვიცოდა, არგანი ქარმორბალასავით რომ დატრიალებულა. თვით პატრონს კი არაფერი შესტკივია გერების შეცვლა, რადგან იმან, ვინც პირველმა შეძლო თვალებში გამოხედვა, ლორებელივით შორს დაიხსნა.

ამბა ბესარიონი თავისუფალი არსება იყო და ეს შეუძლებელია, არ შემჩნეოდეს, ვისაც მოვალეობები ვერ აუტანია. თვალშისაცემი იყო და არავის აინტერესებდა, ეს კი ამაზღაურებაზე მეტია, როცა თავისუფალი გინდა იყო — ერთი სიტყვით, ამ სახეში მიმზიდველი იყო ის, რაც შეიძლება შემოქმედების წინასწარობად ჩაითვალოს: ახლის — იქნებ „გიჟი" გვეთქვა — წერა რომ შეეძლოს, ერთი ნიჭით მეტი ექნებოდა. ასე კი, მხოლოდ ცხოვრებაზეა მეტი. ცხოვრება ადამიანში თვალებიდან შედის. ვინც ხედავს მეტს, განცდებით მეტს, ვიდრე კალამს შეუძლია აღწეროს და ფიქრობს მეტს და დაუღალავებელს, ვიდრე წერა. ვისთვისაც არ არსებობს დაეჭვება და გასხვება, ის დღისა და ამ წუთისა მხოლოდ და რასაც მოლაპარაკობს, ფერებელ იფიქრებს. აბა, სცადე და შენც გააკეთე ერთი სტრიქონი! ვერა, უფრო დავასხლდებით.

სისულელე იქნება, ვთქვა, რომ ის ამბა ბესარიონი დღეს მე ვარ; რომ ხელში, რომელიც ტყავიდან გავიდა, ჩრდილი დატოვა. ჩრდილი კი მეტია, ჩრდილში ისიცაა, რაც ხანმოკლეა და ისიც, რაც დაკარგულია... მაგრამ განა ის კი მართალი იქნება, თუ ვიტყვი, რომ დღეს მე ვარ ის მოწმე ბავშვი — ათი თორმეტი წლის ბესარიონი?

მიწყენია, რომ მისმა ბავშვობამ ნიშნავს იძლევაისა და სიხარულის. რაღაცა წილი მე ამ ორივეში მქონ, მაგრამ ჩემთვის უფრო მისი განსხვავებულია ის განცდები, რომლებიც ერთი და იმავე მიზეზით მეუფლებოდა ხოლმე და თავი რომ დამეღწია დაბრკოლებისაგან. სიყვარულს ვებლაურდი, ანუ მოთმენის და მხიარულის ვაწყდები. რაში გამოიხატებოდა ჩემი მხიარულება? — ჩავიცვამდი დედაჩემის ძველ პალტოს, შემოვირტყამდი ზედ თოკის ნაგლეჯს, გავიკეთებდი შავი მატყლის ნაჭრისაგან წვერ-ულვაშს (თმა ისედაც ხუჭუჭი მქონდა), დავიჭერდი ხელში თხილის ჯოხს და შევუდგებოდი მტერ-მოყვარე მეზობლების მონახულებას. — აა, მობრძანდით, ამბა, მობრძანდით, — მეტყოდნენ, მაგრამ მე, რა თქმა უნდა, არ ვუჯერებდი. რამე ორაზროვანსა და თამამ სიტყვას დავუყვებოდი. მასხარას რომ ეკადრება, ისეთს და გავეცლებოდი. ისედაც კარგა გრძელ ქუჩაზე იყო ჩვენი უბანი, ანუ სულ ჩემი მოლაპარაკისა და მეც აფთარ-ბავშვებიდან ჩვენს გზას და უბანს. ვერაფერს ვადარებდი ტრიალით, რომლისთვისაც ყველაფერი იძლეოდა იყო — ლობიო, ხეც, ქათამიც, ძაღლიცა და მეზობლის ბავშვებიც. რაკი, როგორ მიხვდით, უნდა განვიწვართოდ მელაპარაკა, მებუტბუტა და მე! იმის უყვარდი ღრიჭები, ხანდახან ისეთი რამე წამომცდებოდა, რომ ვფიქრობდი, — ახლა რამ დილა რომ ვიქნები, მაშინ შეიძლება წამოძახებ-ძეთი. ვინ იცის, წამოცდენილი სიტყვა მეტია, ვიდრე თხზული წინადადება, წინადადება იქნებ მეტი არის, ვიდრე ამბავი და ამბავი მთელ თავს ხურავს.

ეს გარდასახვა კარგა ხანგრძლივ მართმევდა ძალას. მახსოვს, როგორი გადაღლილი ვბრუნდებოდი შინ დაღამებისას. მაგრამ, უსწორია, მხიარული და ქმაყოფილი როგორ ვიყავი — გულგატეხილი ვბრუნდებოდი, ადგილზე მივყრიდი ჯოხსა და პალტოს, წვერს ისე ჩამოვაგლეჯდი, როგორც ჭეშმარიტი მასხარა, რომელმაც სცადა და როლი შეასრულა, ტაშიც დაიმსახურა, მაყურებელიც აცდენა აღფრთოვანებაზე. მაგრამ საკუთარ თავს ვერ ატყობა და ამად არის მელოდიური, რადგან გამოცდილებამ კვლავაც შეიმოსა. მეც ვგრძნობდი, რომ ვერ შეძლეთ ჩემს თამაშში, სხვები ატყუილით, მაგრამ საკუთარ თავს კი ვერ ვატყობ, ვერ ვატყობ ჩემს დარდს და განცდებს. ისე ღრმად ვიყოლა კაცში საკუთარი თავი, რაც მეტს მიაყვება, უფრო მეტსა თხრის თხუნელასავით, უფრო გვკარგება და შენ ისევ შიშველი ინსტინქტების ამარა რჩები. ასე ნარცხამხდარი, სახედაკარგული ვწვებოდი ლოგინში და ვტიროდი, როდის ამიწყდა სიცხე.

მერე დღეს საშინელი ორმაგობა მეუფლებოდა, ისეთი, როცა გრცხვენია, რომ არ გადარჩები; რომ არ გაიზრდები და ბავშვად დარჩები; რომ ვერასდროს გასცდები შენს გზას და უბანს; რომ ხელ ამ სოფელში იქნები. რომელიც ხელიც არაა ზღვის ნაპირას, პირიქით, მოვიშემოირტყმულ პატარა ვაკეზეა, და, რა თქმა უნდა, არაფერი ნავსადგური არ აქვს, არ მიიღებს ზღვა და არ იგრძნობ ალერსით გემებს. აქ არც ერთი წაკითხული ამბავი არ გათამაშდება, აქ არ იქნება სიყვარული. შერისხვა, აქ არ დარჩენ ცაშიდ ანუქცელი ვარსკვლავის ზარები, კიბეები არ იქნება მარმარილოსი, თავს არავინ ჩამოუშვებს შენთვის სარკმლიდან. აქ ქალმა რომ გაისადოს, უნდა შემორჩეს, რომ გული არ გაგიტეხოს, რომ კვლავ ქორწილს მოიპარავს იმედი: რომ როცა ავიმჩვენ, ყველანაირად შეიქმნები მენ თავზე მეტი და ძალა შეგწევს, შეხვდე მოიპარავს, რომ...

ამავ დღემიწაზე ქრისტეშობიდან მეოთხე საუკუნეში ეგვიპტეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა წმინდანი და სასწაულმოქმედი ბერი ამბა ბესარიონი, რომლის შესახებაც წმინდანთა წიგნში ვკითხულობთ: „მისი ცხოვრება მსგავსი იყო რომელიღაც ფრინველისა, რომელიც ცაში დანავარდობს, ან რომელიღაც თევზისა, ან რომელიღაც არამიწიერი არსებისა, რადგანაც მთელი დრო, რაც იცხოვრა, მან გალია წუხილისა და ზრუნვის გარეშე. არ აწუხებდა მას არც სახლზე ზრუნვა, არც სანაგ-სათესი, არც სამოვნებისადმი ლტოლვა, არც ფიქრი რამის შეძენაზე. ის თავისუფალი იყო სხეულზე ზრუნვისაგან. ცხოვრობდა მომავლის იმედით და შემორტყმული იყო რწმენის კედლით. ტყვესავით იხეტიალა სოფლებს და გასტუმრებული მზის სხივებში, ... მოშიშული. ჩრდილის როგო ეძებდა — დაუნდობის მსგავსად იძლეოდა უდაბნოს კლდეებში და უადგილო და დაუსახლებელ ქვიშის სამყაროში ისე დადიოდა, როგორც ზღვაზე".

კიდევ მრავალ სასწაულს ყვებიან ამბა ბესარიონზე, განსაკუთრებით საინტერესოა, ჩვენი ადამიანური შესაძლებლობების კვალობაზე, ასეთი ეპიზოდი: „სავანეში ერთ-ერთმა ძმათაგანმა შესცოდა და განკვეთილ იქნა მონასტრის წინამძღვრის მიერ. როცა ძმა ეკლესიიდან გადიოდა, ამბა ბესარიონი ადგა, უკან გაჰყვა განკვეთილს და თქვა, — „მეც ცოდვილი ვარ".

ამბა ბესარიონმა მოახლოებული სიკვდილის წინ მიატოვა თავისი სავანე და უდაბნოს უკაცრიელ კლდეებს შეეხიზნა. არავინ იცის, რამდენ ხანს იცოცხლა და როგორ აღესრულა (მ. ხარანაული).

სავარჯიშო № 45

გურამ რჩეულიშვილის მოთხრობაში „სიცოცხლე მთებში" აღწერილია თავზარდამცემი ტრაგიკული შემთხვევა: საქართველოს მთებში მოგზაური გერმანელი მწერლის, ალფრედ კურელას თვალწინ დამფრთხალმა ცხენმა ცალ უზანგში ფეხგაჩრჩენილი მისი მეუღლე გაიტაცა და ქვიან გზაზე თავის ხეთქვით ამოხადა სული. ალფრედ კურელამ იშვიათი სტოიციზმით შეაგება მოულოდნელად თავს დამტყდარ უბედურებას: ამ ამბის შემსწრენი განცვიფრებულნი იყვნენ მისი ვაჟკაცური თავშეკავებით – ფოტოსურათები გადაუღო მეუღლის ცხედარს, მცირეწლოვან ვაჟთან ერთად მიწაყრის ჯვარცმა დაკრძალა და იქით შეიძლო სიყვარული ... მოთხრობელმა (გურამმა) ორიოდე შენიშნა მის თვალებში რაღაც ცრემლისმაგვარი, მაგრამ ქურისტუელმა ორივეჯერ სძლია თავს და უკანვე ჩაიბრუნა „ქურო მანქანებული ცრემლი" (ნიკოლოზ ბარათაშვილის გამოთქმა).

მიცვალებულს იქვე გაუთხრეს სამარე, მიწას მიაბარეს და თბილისში დაბრუნდნენ, იმ სასტუმროში, სადაც იდგნენ და ის ნივთები ჰქონდათ დატოვებული, რომლებიც მთებში არ სჭირდებოდათ.

თითქოს უშფოთველი უკან დარჩა, თითქოს ჩაქრალია ყველაზე მძიმე წუთები, თითქოს ცივმა გონებამ გაიმარჯვა გრძნობაზე. მაგრამ... სასტუმროს ოთახში შესულ ალფრედ კურელას თვალში მოხვდა საწოლის თავზე გადაკიდებული კაბა და ხალათი მეუღლისა. მოთხრობაში ვკითხულობთ: „ალფრედი იდგა გაშეშებული, მარტოკა და იმ საწოლს უყურებდა, რომელზეც ქალის კაბა და ყვავილებიანი ხალათი იყო გადაკიდებული. გურამმა რაღაც იგრძნო ტკივილივით. იქით ოთახიდან ხმამაღალი ქვითინი მოისმა. სარკეში ჩანდა: ალფრედი დაეცა საწოლზე, ეხვეოდა, ის ტიროდა, ხმამაღლა ქვითინებდა და ზორბა მხრები უძაგძაგებდა".

დაობლებულმა სამოსელმა გრძნობათა იმაზე ძლიერი აფეთქება გამოიწვია, ვიდრე თვით უბედურებამ, უშუალოდ განცდილმა.

სავარჯიშო № 46

ორასწლოვანი რუსოფიკატორული პოლიტიკისგან, იძულებით და სახელდახელო ორენოვნებისაგან (რომელსაც ასე თუ ისე, მაინც ვუმკლავდებოდით) თავდახსნილნი, მშობლიური ენის, ქართული კულტურის, ქართული სულიერების წინსვლა-განვითარებისა და საზოგადო ზრუნვის მომლოდინენი, მწარედ მოვტყუვდით: თვით კომუნისტური ტოტალიტარიზმის უმძაფრეს და უსასტიკეს პერიოდებშიც კი არავის ახსოვს ქართული ენა ასერიგად წარყვნილი, შეურაცხყოფილი და დამცირებული. ვის შევჩივლოთ ან ვის გადავაბრალოთ? ეს ხომ თითოეული ჩვენგანის ბრალია...

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან მასობრივად ვფიქრობ, – აი, ახლა კი ატყდება განგაში დედაენის დამცველების გამო: დღეს თუ არა, ხვალ მაინც, ხვალ თუ არა, ზეგ მაინც... თუმცა არ მომიტყუებია – დღემდე ისე მოველოდი, რომ ენის სიწმინდე ჯერ და ჯერ იქცა სიტყვიერად სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი ზრუნვის საგნად. უკვე რამდენი მთავრობა და პარლამენტი („სიტყვიერ ომში ინგრევა პარლამენტები" – გალაკტიონი) გამოვიცვალეთ, დედაენის სიწმინდისათვის კი ჯერ ერთმა ვერ მოიცალა.

დაუდევარი დამოკიდებულება დედაენის მიმართ, გაღარიბებული ლექსიკა და, უპირველეს, მოუწესრიგებელი შეცდომები ყველაზე თვალსაჩინოდ ტელეეკრანიდან „იფრქვევა". მიკვირს, რომ ტელევიზიათა მესვეურები ერთხელაც არ შეწუხებულან კრიტიკის უქონლობის გამო. საქართველოში, ჩვენდა სამარცხვინოდ, ორასზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი ფუთფუთებს; მარტივი გასაგებიცაა, შესაძლოა, ათობით ტელეჟურნალისტის კადრსაც ამზადებს. მიუხედავად ამისა, ქართული ტელევიზიის გადაცემები სიტყვასიტყვით, სისტემატურად, გამოწვლილვით რომ შეეფასებინათ ან გაეკრიტიკებინათ კვალიფიციურ კრიტიკოსებს, არ მოგვესწრება. ეს კი კარგს არაფერს უქადის ქართულ ტელევიზიას, რომელიც მაყურებლისათვის მაინც ერთადერთია (ამ მხრივ, სასიამოვნო გამონაკლისია ახლახან დაარსებული ქუთაის საფოსტოლაშვილის – „ეპოქის" ყოველდღე ჩანჩქარის – წერილები).

ტელევიზიაში გამართული ლიტერატურული ქართულით მეტყველება წესად უნდა დამკვიდრდეს და არა იშვიათობად; არადა, ზოგჯერ პირიქით ხდება.

სავარჯიშო № 47

– რა გინდა, ბებო, რა?
– მოხვედი, შვილო?
– ხო, რა გინდა?
– მომეცი აბა შენი ხელი...
– ეჰ, კარგი რა, ბებო!
– მომეცი, ბიჭო, რა მოხდება...
– აჰა!
– გენაცვალოს ბებო... ჩემი ვაჟკაცი, ჩემი იმედი...
– ოჰ, კარგი რა, ბებო!
– რატომ, შვილო, რატომ არ გიყვარს ჩემი მოფერება, ბებერი რომ ვარ, იმიტომ? ვინ მყავს შენს მეტი, გენაცვალოს შენი ბებო...
– ოჰ, ბებო, რაა!
– აი, ერთხელაც გაკოცებ, ერთხელაც და მეტი აღარ...
– კარგი, ხო, წავედი...
– რომელი საათია?

— თერთმეტია. ერთ საათში ახალი წელი იქნება.

— რა იქნება.?

— ახალი წელი.

— ახალი წელი?

— ხო, რა იყო?

— არაფერი, არაფერი...

— კარგი, წავედი ახლა...

— მოიცა... ჩამოჯექი ცოტა ხანს, რაღაც უნდა გითხრა...

— რა გინდა.

— ჩამოჯექი, რა მოხდება...

— ოჰ, ტელევიზორის ყურება. ჩა...

— დაჯექი, ბიჭო, არსად გაგექცევა ის ტელევიზორი!

— კარგი, აჰა, დავჯექი!

— შვილო, მამა გახსოვს?

— მამა?

— ჰო.

— ისე, ბუნდოვნად...

— მაინც, რანაირად?

— მახსოვს, ერთხელ, ახალი წელი იყო და გარედან კარზე დააკაკუნა...

— ჰო, ჰო!

— ჩვენ რაღაც ვკითხეთ, ვინ რისი იყო რაღაც... თან ხელ გვეჭირა...

— მერე?

— მერე შემოვიდა და შემოიტანა დიდი ლამაზიანი მანდარინები, კანფეტები და ნამცხვრები... კანფეტებს იატაკზე ყრიდა და თან ამბობდა, შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი...

— ფეხი ჩემი — კვალი ანგელოზისო?

— ხო, ფეხი ჩემი — კვალი ანგელოზისო.

— მერე, მერე?

— მერე ხელში ამიყვანა... თოვლის სუნი ჰქონდა, თოვლის და სიცივის...

— სიცივის სუნი ჰქონდა, ბიჭო?!

— ხო. შენ ხომ არ გცივა? თუ გინდა, ღუმელში შევუკეთებ და ჩაის ავადუღებ.

— არ მინდა, არა!

— არც გშია?

— არა, არაფერი მინდა.

— წავალ მაშინ, კარგი?

— წადი, შვილო, წადი...

საკითხავი № 48

ნებისმიერი სიახლე პოეზიაში, ისევე, როგორც სხვაგან, არ არის აუცილებლად კარგის ან ცუდის ნიშანი, ნიშანი. თავდაპირველი ტრადიციონალისტური პოეზიას ვერც ლექსის სიძველე-სიახლესთან გაიგივებს და ვერც შედარებას სრულიად განსხვავებული ტენდენციებისა და დაპირისპირებული ხედვის გამო. კონსერვატორებისთვის სიახლეს პოეზიაში, არცთუ იშვიათად, არანაირი კავშირი არ აქვს პოეზიასთან, ამ სიტყვის "წმინდა" გაგებით და მითუმეტეს პოეზია უპირატესად სიახლეების მიღმაა მოდერნისტებისთვის, კონსერვატიული ძიებისთვის, ან როგორც ხელ·რი კრიზისის ან სხვა რაიმის ილუსტრაცია. ეკლექტიკის შემთხვევაში, ისინი ხედავენ იმას სიახლეს, რომელიც უფრო ფილოსოფიური ასპექტით არის სიახლე და არა ლიტერატურულად. ზოგიერთისთვის ანტიპოეზიის ცალკეული ნიმუშები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ზოგადად პოეზიის ახალი გზა და განვითარების შესაძლებლობანი. ზოგმა, თუ არ ვცდები, პოეზიაში განვითარების გზები საერთოდ გამორიცხა და მის სიკვდილზე ალაპარაკდა.

გვინდა თუ არა, ლიბერალური ეკონომიკისგან დაწურებული პოეზია წასაკითხადაც და შესაქმნელადაც უდიდეს მოცალეობას მოითხოვს. მოცალეობა კი თითქმის გაქრება საბაზრო ეკონომიკაში და ამიტომაც არ დარჩა აღარც პოეზიისთვის თანამედროვე ცხოვრებაში. დრო აღარ არის.

პოეზიისთვის დრო არ რჩება და არც სურვილი არ არის მისი კითხვისა. პოეზია იმ დროის შვილია, როცა დრო თავზესაყრელი იყო და წიგნიერ საზრდოს მხოლოდ წიგნებში ეძებდნენ.

მიუხედავად ამისა, ჩვენში ათასები მაინც წერენ და მოცალეობის ნაკლებობას არ უჩივიან.

სავარჯიშო № 49

ხალხით გაჭედილი ავტობუსი მიქრის. ნაბდისქუდიანი, წარბებჩამოფხატული ბერიკაცი მოკუნტული დედაბრისკენ მიიწევს. დედაბერი ჯინურა კალათებში მოკეცილა და აქეთ-იქით ცქვიტად იცქირება.

— შენ მავლანა არა ხარ? — ეკითხება ბერიკაცი.

— მავლანა ვარ, მავლანა...

— გამარჯობა, მავლან!

— შენ მიხა არა ხარ?

— მიხა ვარ, მაშ...

— როგორა ხარ, მიხავ, როგორა ხარ, ბიჭო!

— ხი-ხი-ხი-ხი... ბიჭოო... — ხითხითებს იქვე მდგარი პატარა ბიჭი.

— რა გაცინებს? ჩემთვის ისევ ბიჭია! — ტუქსავს დედაბერი ბიჭს.

— როგორა ხართ, ბიჭო, როგორა?

— აბა, როგორ ვიქნებით, არა გვიშავს რა...

— თქვენები როგორ არიან? შვილიშვილები დაათხოვე?

— კარგად არიან. დიდს კარგი ყისმათი შეხვდა, ქალაქშია, ეხლაც იქიდან მოვდივარ. შუათანა ახმეტაში გავათხოვეთ. ისინიც კარგად არიან. მარტო პატარაზე გვეთანაღრება გული.

— იმ ნაბოლარაზე?

— ვერ შეხვდა კარგი ბედი: სოფხოზლეში კიდევ არა უშავს რა, დათვრება და გაგიჟდება.

— რად გაატანეთ?

— ვინა გვკითხა? ალავერდში ვიყავით. მოვბრუნდით და შინ აღარ დაგვიხვდა: ფშაველში გაპარულიყვნენ, ბიჭის მამიდასთან.

— შინ უნდა ჩაგეკეტნათ.

— ჩავკეტეთ... ფანჯრიდან გადამძვრალიყო.

— ეჰ, ეხლანდელები...

— შენ? შენ როგორღა ხარ?

— იი, შენ კი გაიხარე...

— სადა ყოფილხარ?

— ქალაქში. ვარიები მყვანდა გასაყიდად.

— გაჰყიდე?

— მუქთად უნდოდათ! აბა, ერთი კრუხი თქვენ დასვით-მეთქი...

— მაგათ იგრე პგონიათ...

— ესეც ჩვენი სოფელი... — ამბობს ბერიკაცი და ჩასასვლელად ემზადება, — აბა, კარგად იყავი, მშვიდობით...

— მშვიდობით, ვინ იცის, ველარცა გნახო.

— აბა, რა ვიცი, ვინ იცის...

— მშვიდობით, ბიჭო...

მიხა ჩადის. დედაბერი უცებ წამოხტება, ფანჯარას მივარდება და ეძახის:

— ბიჭო! მიხავ!

— ხოო!

— აბა, ჩემზე თუ რამე გაიგოთ, გადმოდით, არ დაიზაროთ!

— ნუ გეშინია!

— გადმოდით... ჩემიანები ხართ... გეკუთვნით!

ბერიკაცი პასუხს აღარ იძლევა. დედაბერი თვალს გააყოლებს.

— ხი, ხი-ხი-ხი... ბიჭოო... — ხითხითებს ბიჭი.

ბერიკაცი უკან აღარ იხედება. დედაბერს გული სწყდება. მერე აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედავს და ისევ პატარა ბიჭს მიუბრუნდება:

— ხო, რა გაცინებს? ჩემთვის ისევ ბიჭია...

სავარჯიშო № 50

უცნაური დროის მოვლენაა: რაც ერთ დროს კანონად და დოგმად ითვლება, რამდენიმე ხანში მოულოდნელად კარგავს თავის ძალას და ხასიათსაც კი. თუმცა ყოველი მომავალი ისტორიის თავის დროზე ამტკიცებს თავის სიმართლეს და ერთადერთობას, თანაც ცდილობს თვითდამკვიდრებას.

გაზეთში, ერთ-ერთი ფილმის გადაღებისას, გადამღები ჯგუფის შემოქმედებით კოლექტივს ერთობლივად ჩხუბი მოუვიდა. რეჟისორი ამტკიცებდა, რომ გადასაღები სცენის დროის სცენარს უნდა გამოეხატებინა თამარ მეფის ან რომელიმე ქართველი ერისკაცის სურათი. მხატვარი სხვა აზრისა იყო. მას სურდა ის მიეჩნია, რომ ამ შემთხვევაში ქრისტეს, წმინდა გიორგის ან რომელიმე მთის ხალიჩის ხატი უნდა გამოეხატებინა სცენარს. სცენარის ავტორი სახელდობრ დროშას მოითხოვდა (თუმცა მთლად ავტორი არ იყო, ავტორად ითვლებოდა).

რომ ვერ შეთანხმდნენ, გადაიტანეს სალხში და იქით უკვე აღარავინ იცოდნენ ძველი დროის შესახებ.

სავარჯიშო № 51

დღეს თანამედროვე პოეტის წინაშე სამი ალტერნატივაა: პირველი – გახდეს ახალი რაფსოდი და შეუერთდეს თეთრ შავურის თუ ეპიკურ დასს; მეორე – შექმნას ლექსები პროფესიონალებისთვის, როგორც პროფესიონალმა – თანამედროვე მხატვრის მსგავსად, რომელიც თავის ინსტალაციას ქმნის არა მნახველისა თუ შემფასებლისთვის (მუზეუმებისთვის), არამედ უშუალოდ დამკვეთისთვის – მუზეუმისა თუ გალერეისთვის, გალერეის კურატორისთვის; ასევე დღევანდელი პროფესიონალი პოეტიც წერს არა მკითხველისთვის (მუზეუმებისთვის), არამედ – უნივერსიტეტების პროფესორთა და აკადემიური მკვლევარებისთვის; მეტიც: ხშირ შემთხვევაში, თავად პოეტიც უნივერსიტეტის პროფესორია – ჯონ ეშბერი, მარკ სტრენდი, იოსიფ ბროდსკი, შეიმას ჰინი, ლეს ლინდი, ტომას ვენცლოვა ამის თვალსაჩინო მაგალითები იყვნენ და არიან.

მაგრამ არსებობს მესამე ალტერნატივაც: პოეტს შეუძლია დაუბრუნდეს იმ ინსტიტუციურ საწყისს, საიდანაც წარმოიშვა ევროპული ლირიკა – ლიტურგიკულ-მედიტაციურ პრაქტიკასა და ტექსტს. როგორც ცნობილია, ევროპული ლირიკა XVI-XVII საუკუნეებში სწორედ ამგვარად იწყება ინგლისში, ინგლისური ნაციონალური ეკლესიის (ანგლიკანიზმის) წიაღში, სადაც ინგლისური ენის სტრუქტურა ხდება ლიტურგიკულ-მედიტაციური ტექსტისა და პრაქტიკის გადმოცემა: ჯონ დონი არის მთლიანად სწორედ წინამძღვარია. არამედ ინგლისური მეტაფიზიკური პოეზიისა და ევროპული ლირიკული პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომლის ლირიკული მედიტაციის სტრუქტურა წმ. იგნატე ლოიოლას სულიერი ვარჯიშები – მედიტაციებია (იხ. ამის შესახებ: ინგლისელი ფილოლოგის, ლუის მარტცის გამოკვლევები).

სწორედ ინგლისური ლირიკული პოეზიიდან იწყება თანამედროვე ლირიკული პოეზია, რომელიც ვრცელდება ჯერ საფრანგეთსა და გერმანიაში, ხოლო შემდეგ – სხვა ევროპულ ქვეყნებსა და რუსეთში. ამ გავრცელებისას ის ნელ-ნელა „ივიწყებს" თავის გენეალოგიას – სწყდება ლიტურგიკულ პრაქტიკას როგორც თემატურად, ისე ინსტიტუციურად. თუმცა დროდადრო „დაბრუნებული შეხსენება" მაინც თავს გაახსენებს, ოღონდ ამჯერად უკვე ბიოგრაფიულად, კონკრეტული პოეტებისა და ალტერნატიული ქრისტიანობის სტრუქტურაში – კოლრიჯის მრწამსის, პუშკინის, ლერმონტოვისა და ბარათაშვილის ცალკეული ლექსები, უილიამ ბლეიკი, ჯერარდ მენლი ჰოპკინსი, ჟერარ დე ნერვალი, პოლ ვერლენის გვიანდელი ლირიკა; XX საუკუნეში – ფრანსის ჟამი, შარლ პეგი, პოლ კლოდელი, მაქს ჟაკობისა და უისტან ჰიუ ოდენის გვიანდელი შემოქმედება, ვიაჩესლავ ივანოვი, გერტრუდ ფონ ლე ფორტი, გაბრიელა მისტრალი, ოსიპ მანდელშტამი, ბორის პასტერნაკი (განსაკუთრებით – იური ჟივაგოს ლექსები), ანა ახმატოვა, ტომას ელიოტი (მოქცეული „ნაცრისფერი ოთხშაბათიდან"), იოსიფ ბროდსკის „შობის" და „საშობაო ლექსების" მრავალწლიანი წყება.

„ელიტური პოეტი" დღეს სწორედ ამ ორი ალტერნატივის წინაშეა – იყოს პოეტ-მეცნიერი მეცნიერთათვის (ალექსანდრიული ტიპის პოეტ-ერუდიტის მსგავსად), სადაც მისი აუდიტორია იქნება ინტელექტუალური ელიტა ამიერიდან, ან იყოს მედიტაციური პოეტი, რომელსაც დაკისრებული აქვს ევროპული პოეზიის მთელი გამოცდილება და რომლის აუდიტორიაც პოტენციურად უსაზღვროა, რადგან ისევე როგორც ქრისტიანული უწყება, მისი პოეზიაც ნებისმიერი ადამიანისთვისაა განკუთვნილი.

დაბოლოს, პოეზია, როგორც უკვე აღვნიშნე, იწყება როგორც ხსოვნის, მეხსიერებისა და დამახსოვრების ხელოვნება – ესაა მოსახსენიებელი, რისი მეშვეობითაც ახსოვდა ჯერ ღმერთის სახელი, შემდეგ გმირის (რომელიც ღმერთი ხდება სიკვდილის შემდეგ) უკვდავი სახელი, ხოლო შემდეგ თვითონ პოეტის სახელი. პინდარისა და ჰორაციუსის პოეზია „ორალური პოეზიაა" ორივე მნიშვნელობით – პოეზიის მეშვეობით იმახსოვრებენ გმირის უკვდავ სახელს, ამავე დროს, ზეპირად იმახსოვრებენ თვითონ ტექსტს და ახსოვთ პოეტის უკვდავი სახელი.

დაზეპირებას რიტუალური მნიშვნელობა აქვს – ჩვენ ვიმახსოვრებთ და ვიზეპირებთ იმას, რაც საკრალურია. სწორედ ამიტომ ვიცით ზეპირად ლოცვები და ლექსები. როდესაც თანამედროვე სკოლამ, სამწუხაროდ, დაზეპირებაზე, მით მეტად, ლექსების დაზეპირებაზე უარი თქვა, ამით სწორედ ის ფაქტი გაცხადდა, რომ დამთავრდა პოეტთა ეპოქა, დამთავრდა დრო, როცა პოეზია საკრალური იყო. თანამედროვე ადამიანი მთლიანად კანონებს იზეპირებს, რადგანაც დღეს საკრალური მთლიანად კანონია (ადამიანის უფლებათა დეკლარაცია და ა. შ.).

ლექსი, რომელიც არ გვახსოვს, რომელსაც არ ვიზეპირებთ, აღარაა ლექსი; ლექსი, რომელიც მთლიანად გამოკვლევისა და სტატიებისთვის იწერება, ისეთივე სამუზეუმო ექსპონატია, როგორც ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც მთლიანად გალერეისთვის იქმნება; მაგრამ ლექსი, რომელიც უბრუნდება თავის საწყისს – უკვდავი სახელის დამახსოვრებას – ფაქტობრივად, ისევ ლოცვა ხდება.

**სავარჯიშო № 52**

ეს წიგნი ჩემი ქვეყნიდან შორს, ძალიან შორს იწერება. მაგრამ ფიქრმა არც მანძილი იცის და არც დრო. იგი გამუდმებით გაწუხებს, სადაც არ უნდა იყო და როგორც არ უნდა გრძნობდე თავს. გაწუხებს, რადგან ეს მთავარი ფიქრია და მას ვერსად გაექცევი. თუმცა ზუსტად და კონკრეტულად რას დარქმევ, არც იცი და, ალბათ, არცა აქვს მნიშვნელობა. მთავარია, რომ გაწუხებს და სამყაროს იმ პატარა ნაწილს, რასაც შენი ქვეყანა და მიწა ჰქვია, მაინც ვერ შორდები. ეს ფიქრი გამუდმებით თან დაგყვება, სადაც არ უნდა იყო და როგორც არ უნდა გრძნობდე თავს და მაინც ყველგან და ყველაფერს შენს პატარა სამშობლოს ადარებ, შენს ხალხს, წესსა და ტრადიციას, მდინარეებსა და მთებს...

სწორედ მთებიდან დაიწყო ყველაფერი – ბავშვობის მთებიდან – პირველი წიგნებიდან, იმ საოცარი წიგნებიდან, რომლებსაც ქმნიდნენ ედმუნდ ჰილარი და თენსინგ ნორგეი, მორის ჰერცოგი და ჯონ ჰანტი. წიგნები სიზმრებად იქცნენ, სიზმრები კი ცრემლნარევ ოცნებად – საკუთარი თვალით მენახა ჰიმალაი. ამ ოცნების ახდენამდე ჯერ კიდევ შორს იყო და მეგობრებთან ერთად ფეხით მოვიარე საქართველოს მთიანეთი. ქვეცნობიერად, რა თქმა უნდა, კავკასიონის მწვერვალები ჰიმალაის ბუმბერაზ მთებს უნდა შეეცვალა, მაგრამ სტუდენტობისა და ახალგაზრდობის შუალედური დრო უდარდელობიდან უზარმაზარ დარდში გადაიზარდა და ჩვენი აშლილი ეპოქისა და ქვეყნის დაშოშმინებას ღვინით შევეცადეთ. სანამ კარგი ღვინოები ჯერ კიდევ არსებობდა ჩვენს ქალაქში, პირადად ჩემს ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრებოდა და სადღეგრძელოებს სიამოვნებით ვაყოლებდი ხოლმე ლირიკულ ლექსებს. მაგრამ თანდათანობით, არაუალკოჰოლო სასმელს ნერვებისა და ხელების კანკალი მოჰყვა და, რამდენადაც მახსოვს, პირველად გული სადღაც იგოეთის „ტეკთან" (ან მისადგომებთან) გამიჩერდა. მეორედ და მესამედაც ექიმებმა ზუსტად იგივე თქვეს, რაც პირველად, – აღარ უნდა დალიოო. მაგრამ უკვე გვიან იყო – ჭიქები შევსებული გახლდათ და თამადა სწორედ ჩემთან გადმოდიოდა ალავერდით. მაშინო, – უკან არ დაიხიეს ექიმებმა. – აი, ეს თანხა დასჭირდება ოპერაციას და შენგან სტამბულის კაცს გამოვთლითო. კურსების გრანიტზეც თანხმა ვიყავი და მივდექ-მოვდექი, როგორც ჩვენში იტყვიან, ხალხი შევაწუხე. მაგრამ ამაოდ – ესაო, ისაო, პატივს კი გცემთ, მაგრამ ვერაო და სწორედ მაშინ გამახსენდა ჰიმალაი – კიდევ ერთხელ, როგორც ასპარეზი საკუთარი შესაძლებლობების სარეალიზაციოდ და, რაც მთავარია, როგორც საშუალება საკუთარი სხეულის დასაძლევად. გამახსენდა ჰიმალაი და სწორედ მაშინ მივხვდი და დავიჯერე, რომ ადამიანისათვის სულისა და სულიერის წარმართვა არის ურთულესი და პირიქით, თუ იგი მოინდომებს, სრულიად იოლად შეძლებს სხეულის დამორჩილებას. გადავწყვიტე და შევძელი: გასაკვირად ჩვენი ოჯახის წევრებისა და კეთილისმსურველებისა, ჭიქა დავდგი, მეტიც – გვერდზე გადავდგი და ვარჯიში დავიწყე.

თუმცა ჰიმალაისათვის მხოლოდ სხეულის წვრთნა ვერაფერი ბედენაა და ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იქაური ჰარმონიის მისაღწევად ფსიქოლოგიური მომზადებაა. ამის მიღწევა, პირადად ჩემთვის, გაცილებით იოლი აღმოჩნდა, ვიდრე ფიზიკური მზადყოფნა მწვერვალზე ასასვლელად. პირველი მწვერვალი კი, რომელზე ასვლაც პირველი ქართული ექსპედიციისათვის ღმერთმა ინება, ჰიმალაის მონბლანად წოდებული დხაულაგირია.

ქართველი მთამსვლელების რამდენი თაობა ოცნებობდა, ჰიმალაის თოთხმეტი რვაათასიანიდან ერთ-ერთზე მაინც განეხორციელებინა ასვლა და რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ყველაზე ახლოს ამ მიზანთან ქართველი ალპინისტები სამოციან წლებში იყვნენ, როცა ჩვენს ქვეყანას ნეპალის მაშინდელი მეფე ეწვია სტუმრად და, თუ ეს ლეგენდა არ არის, სვანეთის მთებში ჯიხვიც კი მოინადირა. ქართველ მთასვლელთა იმდროინდელი, უძლიერესი გუნდი ჰიმალაიში მიიწვია, მაგრამ საბჭოთა მთავრობამ სასტიკი უარი განაცხადა ნეპალში ექსპედიციის გამგზავრებაზე.

1982 წელს (სხვა ინფორმაცია მე არ გამაჩნია) ჰიმალაის მთებში პირველი ქართველი მთამსვლელი, აკაკი ხერგიანი მოხვდა საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდთან ერთად. ექსპედიციის თერთმეტმა მონაწილემ დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ლამის ასვლა განახორციელა, მაგრამ მათ შორის აკაკი ხერგიანი არ ყოფილა. მიზეზი უცნობია, ფაქტი კია, რომ იგი ჟურნალისტის მოვალეობას დასჯერდა.

1991 წელს უკვე რუსეთის გუნდი დაიძრა იმავე ევერესტის დასალაშქრად და მწვერვალზე ასვლის სიხარული, სხვებთან ერთად, 54 წლის რომან გიუტაშვილმაც გაიზიარა; თუმცა წარმატებული ექსპედიცია მისთვის კინაღამ ტრაგიკულად დამთავრდა, როცა უკანა გზაზე, მწვერვალიდან დაშვებისას, ბატონ რომანს ტკბილად ჩამოეძინა.. წელს კი, პირველად ქართული ალპინიზმის ისტორიაში, ქართველ მთამსვლელთა გუნდი კატმანდუში გაემგზავრა. მთავარ ჯგუფს ორი კვირით ჩამოვრჩი. ჩვენი ექსპედიცია ნეპალის მიმართულებით ინდოეთის გავლით წავიდა, მე კი მოსკოვიდან გავფრინდი კატმანდუს...

**სავარჯიშო № 53**

თოვს. ტყვეები ფიცრულ ქოხში, ნარებზე არიან მიყრილები. ერთ მათგანს ვიქტორ პავლოვიჩი ჰქვია. ის დროდადრო ახველებს და მერე წითლად დაწინწკლულ ხელისგულებს შარვალზე იწმენდს ის და მეორე ბლოკის სამი ტყვე ხვალ დილით, 9 საათზე, უნდა დახვრიტონ. „კოხის ჩხირი მთელ ბანაკს მოედება და რკინიგზა გასაყვანი დარჩება. ვისაც კი ავადმყოფობას შეამჩნევთ, იმ დღესვე მოაშორეთ", – ოფიცრის ხმა მონოტონურია და უემოციო, როგორც რადიოდიქტორის გამოსვლა, მაგრამ რამდენიმე წამში თითქოს რაღაც ახსენდება და გამოცოცხლებული, თავის მართლების ტონით აგრძელებს: „იმათთვის რა მნიშვნელობა აქვს, ორი დღით ადრე მოკვდებიან თუ ორი დღით გვიან"...

ნიკოლოზი ვერ ისვენებს, ხან წამოდგება, ხან კედლისკენ გადაბრუნდება და თითებით რაღაცას ხაზავს. ფიცრულის ღრიჭოდან ქარი უბერავს, ნიკოლოზს თითქოსდა იმ რაღაცის ხაზვაში უშლის. უცებ წამოჯდება და ვიქტორთან მიდის. ფეხებთან ჩამოუჯდება და ხელს შეახებს. ვიქტორი უსწრაფესად წამოხტება და ნიკოლოზს რომ დაინახავს, მშვიდდება. ჩუმად, სახელოში ახველებს.

– მოვიფიქრე, – ყურთან მიაქვს პირი ნიკოლოზს.

– მითხარი, – ყრუ ხმით პასუხობს ვიქტორი.

— ამ ზაფხულს უკან, ტუალეტებთან, იარაღის პატარა საწყობი აღმოვაჩინე.

— გაგიჟდი?! რა საწყობი... — ყვირილს ძლივს იკავებს ვიქტორი.

— ახალი ტუალეტებისთვის! პერიმეტრის მონიშვნა, ხომ გახსოვს... და იქ, ხის დაბალ ყუთში, მიწისქვეშ, სულ რაღაც ნახევარი მეტრის სიღრმეზე...

— მერე? — ხელები კიდევ უფრო უკანკალებს ვიქტორს. ხველების ახალი შეტევა ეწყება.

— გარშემო არავინ იყო. ბიჭებმა გული ისიამეს და ზედამხედველებიც და ოფიცრებიც იქ იყვნენ შეკრებილი. მაშინვე მიწა მივაყარე. ბალახის და ფოთლების ნაგლეჯები მივაბნიე და ერთი მეტრის მოშორებით დავიწყე თხრა.

— ვინმეს უთხარი?

— არა, პირველად ვამბობ დღეს შენთან.

— მერე მე რატომ მეუბნები, იცი, რომ დილაზე შუბლს გამიხვრეტენ და სადღაც ნაგავსაყრელზე წაიღებენ. სადაც ჩემი გვამი უნდა გადააგდონ, ხომ?

— არა, სხვა რაღაც მოვიფიქრე.

— მაინც რა?

— მოკლედ. ბევრი დრო არ არის. ძალიან სწრაფი მოქმედებაა საჭირო. მზად ხარ, რომ ყურადღებით მომისმინო?

— არა.

— რა არა...

— ხვალ მესვრიან და დავისვენებ. წვალებას ეგ მირჩევნია.

— არ გირჩევნია. მომისმინე: ხვალ ახალი ცვლა დადგება. როგორც წესი, მაშინვე ამოწმებს ძაღლს. როგორც კი შეამოწმებს და ტერიტორიაზე გამოვა, მე ტუალეტში გავალ. იმ მიწის ამოთხრას ნახევარი საათიც არ უნდა. ერთ ხელყუმბარას ავიღებ და მოშორებით გავალ. იქიდან ვესვრი იმ ტუალეტების მიმართულებით, რომ ის საწყობი აფეთქდეს. შენ ამ დროს ღობის ძირას და წყნარად გადადიხარ. მარცხნივ ბილიკიდან ერთ ხუთას მეტრში სამანქანო გზაა. იმ გზის გასწვრივ, ტყე-ტყე იარე და პატარა სოფელი იწყება. მარცხნივ, პირველივე სახლში, ინვალიდი ქალი ცხოვრობს, იდა ჰქვია. ის მოგეხმარება...

აფეთქების ტალღამ მის სამალავამდეც მიაღწია და პერანგს ორივე ღილი წააწყვიტა მკერდთან. ვიქტორ პავლოვიჩს ეს არ გაუგია. ხოხვით გაიარა ბილიკი და ტყეში გაუჩინარდა.

სავარჯიშო N· 54

უშგულში დღეისათვის 32 კოშკია შემორჩენილი. ყველაზე მჭიდროდ კოშკები ჩაჟაშის უბანშია. რამდენიმე წლის წინ ეს უბანი „იუნესკოს" მიერ მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობათა ნუსხაში იქნა შეტანილი.

მე-20 საუკუნის დასაწყისში უშგულში 98 კოშკი იყო. მათი ფუნდამენტები დღემდეა შემორჩენილი. ბევრი მათგანი კომუნისტურ „სამშენებლო პოლიტიკას" ემსხვერპლა". როგორც სვანები ამბობენ, კოშკები ისეა ნაგები, რომ ძალიან იშვიათია, თავისით დაინგრეს, მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კომუნისტებს საშენი მასალა სჭირდებოდათ სხვადასხვა ადმინისტრაციული შენობის ასაგებად. ამას ემსხვერპლა თამარის ციხის კოშკები. იმ ციხისა, რომელიც უშგულელთა ერთ-ერთ თავმოსაწონებელ ადგილს წარმოადგენს. თამარის ციხის კომპლექსი ჩაჟაშის უბანში მდებარეობს. ეს იყო სამეფო კომპლექსი, ჩაკეტილი, გალავნიანი ციხე, თავისი საცეცხლური კოშკით, დარბაზით, დილეგითა და მაცხოვრის სახელობის ეკლესიით.

შარშან უშგულში ჩარკვიანების ოჯახში მოვხვდი. ლაერტ ჩარკვიანის თქმით, მამამისს ახსოვს, როგორ აფეთქეს ამონალით თამარის ციხის კოშკები, რომლებიც კი არ ჩამოშლილან, ხეებივით წამოიქცნენ თურმე. წაქცეულ კოშკებს კი მერე ძალაყინებით შლიდნენ, რომ ქვები გამოეტანათ. ამ ქვით სოფელში საბჭოს შენობა, კანტორა, საქონლის ფერმა და მაღაზია აუშენებიათ. თამარის ციხის ქვით ნაგები ეს შენობებიც დღემდეა სოფელში.

კომუნისტური მმართველობა წარსულს ჩაბარდა, მაგრამ სვანურ კოშკებს ახალი მტერი – უპატრონობა ანადგურებს. მათი უმრავლესობა ხელახლა გადასახურია, წყალი ფუნდამენტში ჩადის, კოშკები იბზარება და იშლება. როგორც ლაერტ ჩარკვიანმა აგვიხსნა, კოშკის გადახურვა ძალიან შრომატევადი საქმეა, იგი ფიქალის ქვით იხურება, უშგულში კი ბევრ ოჯახს ამის შესაძლებლობა არ აქვს. საქართველოს მთავრობამ უშგულის კოშკების გადასახურად 80-იან წლებში თითოეულ ოჯახს 100-100 მანეთი გამოუყო და ბევრი კოშკი მაშინ გადაიხურა. მას შემდეგ არაფერი გაკეთებულა, თუ არ ჩავთვლით საერთაშორისო ორგანიზაცია „საქართველოს [illegible]", რომლის დაფინანსებითაც ჩაჟაშის უბანში 11 კოშკი გადახურეს. ლაერტი გვიყვებოდა, როგორ დაინგრა მის თვალწინ ამ 3-4 წლის წინ ჟიბიანში ჭულიძეების კოშკი: სახურავის ბრჯენის გამო კოშკი გაბზარული იყო, ჩამოინგრა შიდა სართულების გამყოფი კედლები, შენობა მთლიანად დაიბზარა და შემოირღვა.

კოშკები ისეა ნაგები, რომ ზვავი მათ ვერაფერს აკლებდა. 1987 წელს მურყმელში ზვავმა 10 სახლი დაანგრია, ჭულიძეების ოჯახში 7 წევრი დაიღუპა. თოვლმა 12 მეტრს მიაღწია იმ წელს. პირველი დარტყმა ორმა კოშკმა მიიღო, ზვავის კვალი ქონგურებამდე იყო მისული. კოშკებს

ისე აშენებდნენ, რომ საიდანაც ზვავი იყო მოსალოდნელი, კუთხით იდგა და მას რომ ეხეთქებოდა, იყოფოდა, იშლებოდა და სახლებს ნაკლებად აზიანებდა. ჩვიბიანში, ახოთიანებისა და ჩარკვიანების უბანში, 11 კოშკი მდგარა ჩაყოლებით და მათ ზვავის შეკავების დანიშნულებაც ჰქონიათ.

უშგულელები ამბობენ, რომ ყოველ კოშკს თავისი დანიშნულება აქვს. ერთ-ერთ მათგანს საკულტო დანიშნულებაც ჰქონდა. ეს ჩარკვიანების ისტორიული კოშკია, სადაც შუა საუკუნეებში ერთ-ერთი საკულტო კრება ჩატარდა. კოშკი კლდეზე დგას და მის პირველ სართულზე დღემდეა შემორჩენილი კლდეში ამოკვეთილი პატრიაქის ფეხის ხახანი. უშგულში ამობრძანებული ქართველი საკულტო მოღვაწეები ხშირად აქ ისვენებდნენ თურმე.

კოშკი გვარის სიძლიერის სიმბოლო იყო. ახალ კოშკს ყოველი ოჯახი გვარის მემკვიდრის დაბადების აღსანიშნავად უყრიდა საძირკველს და შემდეგ მას რამდენიმე წელს აშენებდა. კოშკები, ძირითადად, 3-4-სართულიანია, ზოგჯერ 5-იანიც. უშგულში ორი შვიდსართულიანი კოშკიც არის. მათ თავდაცვითი და საცხოვრებელი დანიშნულება ჰქონდათ.

დღეისათვის უშგულში 8 გვარია: ჩარქსელიანი, ნიჟარაძე, რატიანი, ღვარლიანი, ჭელიძე, კაკრიაშვილი, ხაჭიანი და ჩარკვიანი.

უშგულში ახლა სტუმარს ორი მუზეუმის დათვალიერება ელის – ეთნოგრაფიულის და ნიჟარაძეების კოშკში მოთავსებული განძთსაცავის. ეს სამსართულიანი კოშკი უშგულის 7 ტაძრის განძს ინახავს. კოშკი სამუზეუმოდ იმიტომ შეარჩიეს, რომ საცხოვრებელი იყო და არა თავშესაფარი, სოფლის ცენტრში მდებარეობს და სამეთვალყურეოდ ადვილია.

სოფლის უხუცესებმა 1926 წელს, ზამთარში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ყველა ეკლესია დაცალეს და მთელი განძი ლატფარის ტყეში გადამალეს. როდესაც სიტუაცია დალაგდა, ხელისუფლებამ სთხოვა მათ, ჯვარ-ხატები შემოეტანათ და დაცვა დაუწესებინათ. დიდხანს მაცხოვრის ეკლესიაში ინახებოდა ყველაფერი, რაც დღეს უშგულის მუზეუმშია.

სამწუხაროდ, სხვადასხვა დროს უამრავი ხელნაწერი განადგურდა. როგორც თურმე უშგულელი ივანე ჩარქსელიანი ყვებოდა, 40-იან წლებში ჩარკვიანების კოშკიდან ერთი მარხილი ხელნაწერები გამოეტანათ და დაეწვათ. კოშკებში ეტრატებით ცეცხლს ვანთებდით და ვთბებოდით.

სავარჯიში № 55

იანვარს მოურთავი ხეების ხედვა. მარილმოყრილი ქუჩები და დათოვლილი ფიქრები მოაქვს. დათოვლილ გზას ყვითელი სახლისკენ ფეხსაცმელების ღრაჭუნით მიჰყვები და ხედავ კიოსკს, რომელსაც ირგვლივ თბილად შეფუთფუნილი ბავშვები უხვევიან. შენს დანახვაზე მომენტალურად იფანტებიან და თვალს ეფარებიან. მხოლოდ ერთი რჩება – თეთრქუდიანი გოგო, ხელში რკინის წვეტიანი სარით, რომელზედაც კიოსკზე შეჭრილი, გაფარჩხული ყორანია წამოგებული. გოგო ყორნიდან სარს დამნაშავის სახით გიწევს და მის თვალებში თეთრ დათვებს საახალწლო მუშტრებს ურიგებენ.

– ნამდვილია?
– ბუნკერში იყო.
– ბუნკერში ნაგავი აღარაა და...
– მაინც იყო. – გაასუსხობს ჯიუტად და მის თვალებში ზანგი მოთხილამურე აციმციმებს.
– ცოცხალი?
– ხო.
– ნაგავი კი ხანია, აღარაა და როგორ?
– რა ვიცი. დარბოდა. ამოხტომა და გაქცევა უნდოდა.
– ესენი რატომ დაიმალნენ?
– ბიჭები?
– აქ რომ იყვნენ.

გოგოს თვალებში ორსული ქალები შოკოლადს ჭამენ.

– გაყვითლებული გვაქვს ხელისთათმანი... თან გვაცინა... თან...
– კი...
– თან შენიც ეშინიათ.
– ეგ ვიცი... და რატომ?
– დიდები უშლებიან. არ დაელაპარაკოთო.
– მერე შენ რატომ არ გაიქეცი?
– მე... ობოლი ვარ... და თან ხვალ კვირაა. – ამბობს გოგო მშვიდად და მის თვალებში ზოოპარკიდან გაქცეული მაიმუნები ტროლეიბუსით მგზავრობენ.

გოგოს თავზე ხელისგულს ადებ. ცოტა ხანი გაყურსული დგახარ. მერე ტრიალდები და სადარბაზოში შედიხარ.

სავარჯიშო № 56

საერთოდ, ჩემი აზრით, თანამედროვე ფრანგული ლიტერატურის ზოგადი ნაკლი არის გარკვეული სქემატურობა, როდესაც მწერალი თითქმის დეკლარაციულ დონეზე გვაწვდის დღევანდელ ევროპაში გავრცელებულ იმ იდეებსა და იდეალებს, რომელთა ერთგულებაც თუნდაც ზედაპირულ, ვერბალურ დონეზე კარგ ტონად მიიჩნევა. ასე ვიღებთ ხოლმე შიშველ სქემას: სიკეთე კარგია, ბოროტება — ცუდი; ეთნოშემწყნარებლობა კარგია, რასიზმი — ცუდი; გენდერული თანასწორობა კარგია, სექსისტური ჩაგვრა — ცუდი. კი ბატონო, ვინ გედავება, მაგრამ სად არის აქ ლიტერატურა? უფრო სწორად, როგორ შეიძლება ადამიანი და, შესაბამისად, პერსონაჟი ასე ცალსახად შეაფასო და მისი არსებობა მხოლოდ რომელიმე იდეის განსხეულების დონემდე დაიყვანო?!

# ლიტერატურა


1. ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწ. I, თბ., 1981.
2. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977.
3. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, III შევსებული გამოცემა, თბ., 1988.
4. თ. სანიკიძე, ქართული მართლწერა, თბ., 1998.
5. თ. სანიკიძე, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1999.
6. ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2005.
7. ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998.
8. დ. თვალთვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, მართლწერის წესები და სავარჯიშოები, თბ., 2005.
9. გ. შალამბერიძე, ქართული მართლწერა, თბ., 1985.
10. ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, VIII კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2001.
11. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, IX კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2001.
12. ო. გაჩეჩილაძე, ქართული ენა, თბ., 1992.
13. ქართული მეტყველების კულტურის საკითხები (დამხმარე სახელმძღვანელო არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტებისთვის), თბ., 2004.
14. www.literatura.ge
15. www.lib.ge
16. www.iatp.ge
17. www.children.iatp.ge
18. www.nplg.gov.ge
19. www.wikipedia.org

იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგენილი სახით

გადაეცა წარმოებას 01.05.2009. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.05.2009. ქაღალდის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 9,5. ტირაჟი 300 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

Verba volant,
scripta manent